

675-9/9  
1973



# გაზნა

ფილოსოფიის  
ფსიქოლოგიის  
ეკონომიკისა და  
სამართლის სერია

1973

1.1973



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
 განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
 Отделение общественных  
 наук

12.306

თბილისი-1973 ТБИЛИСИ



კ. მარკსის სახ. სიქ. სსრ  
 სახელმწიფო რესპუბლიკური  
 ბიბლიოთეკა



# ՄԱՇՆԵ

## ՎԵՍՏՆԻԿ

Серия философии  
психологии  
экономики и права

1.1973

# მაცნე



ფილოსოფიის  
ფსიქოლოგიის  
ეკონომიკისა და  
სამართლის სერია

1.1973

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),  
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,  
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),  
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В., Тевзадзе Г. Б.,  
Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ბოჭორაძე  
Ответственный секретарь Г. Г. Бочорадзе

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., № 19.

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, № 19

ტელეფონი 37-24-07  
телефон

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.7.1973; შეკვ. № 1113; ანაწილის ზომა  $7 \times 11\frac{1}{2}$ ;  
ქალღის ზომა  $70 \times 108\frac{1}{16}$ ; ნაბეჭდი თაბახი 16,80; საარტიცხო-საგამომცემლო  
თაბახი 14, 83; უე 01091; ტირაჟი 600  
ფასი 1 მან.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузсва, 19

\*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი. 380060, კუტუშოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



# შ ი ნ ა ა რ ს ი

## ფილოსოფია

ს. ავალიანი, რა არის მატერია როგორც სუბსტანცია?	7
ბ. სინარულიძე, ობიექტური ჭეშმარიტების ფარდობითობის, აბსოლუტურობისა და კონკრეტულობის საკითხისათვის	26
მ. პაპაბაძე, ფსიქიკის ონტოლოგიური პრობლემის შესახებ	38
ბ. ცინცაძე, „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია და მისი მიზანდასახულება	55
შ. რიშინაშვილი, მეცნიერების ენა, ხელოვნების ენა და ლიტერატურათმცოდნეობის ანალიზის პრობლემები	71

## ფსიქოლოგია

პ. კუპრაშვილი, მოტორულ კომპონენტთა როლი აქტის ნორმალურ და შეცვლილ ვიზუალურ ველში	80
ბ. ბარამიძე, შორეული მოტივაციური ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებანი	91

## პედაგოგია

ს. ბუნიძე, ოპერაციათა სისტემების პროექტირების შესახებ მათი ფუნქციონირების კომპლექსური კრიტერიუმის თვალსაზრისით: „ოპერაციათა ხანგრძლივობა, იმედიანობა და ღირებულება“, I	106
ბ. რუპინაშვილი, მანქანათმშენებლობაში სამეცნიერო სამუშაოების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდური საკითხები	112
შ. ლობჯანიძე, თევზის მრეწველობის თევზის მომპოვებელ დარგში შრომის მწარმოებლობის ზრდის ფაქტორები	122

## სამართალი

მ. შვანია, ცხოვრების დიალექტიკა და სამართლიანობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში	129
მ. შვანიაშვილი, გაუფრთხილებელი დანაშაულის სოციალურ-ეთიკური ბუნება	140

## პუბლიკაცია

ი. გ. ჭერდერის „გამოკვლევა ენის წარმოშობის შესახებ (თარგმანი და შესავალი წერილი ლ. რამიშვილისა)“	150
--	-----

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

შ. სილაგაძე, მოკლე განმარტება გრძელი „რეპლიკების“ გამო	164
ბ. ყორანაშვილი, რეცენზია ი. ვ. კაიანავის წიგნზე	172
რ. ზიოვეცი, ისტორიის მატერიალისტური გაგება და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია (პ. ფლაიშერის წიგნის — „მარქსიზმი და ისტორია“ — გამო)	178
ა. ბოკორიშვილი, შ. რიშინაშვილი, „რომან ინგარდენის ფენომენოლოგია“	188

## საიუბილეო ფურცელი

დ. ქორიძე, ღვაწლმოსილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. ს. შ ი ქ ე ლ ა ძ ე ს	190
---	-----



## СОДЕРЖАНИЕ

### ФИЛОСОФИЯ

С. Ш. АВАЛИАНИ, Что такое материя как субстанция? . . . . .	7
Г. И. СИХАРУЛИДЗЕ, К вопросу об относительности, абсолютности и конкретности объективной истины . . . . .	26
В. Л. КАКАБАДЗЕ, Об онтологической проблеме психики . . . . .	38
Г. ЦИЦАДЗЕ, Теория «Единого Индустриального Общества» и его целенаправленность . . . . .	55
У. И. РИЖИНАШВИЛИ, Язык науки, язык искусства и проблемы литературоведческого анализа . . . . .	71

### ПСИХОЛОГИЯ

Д. Г. КУПРАШВИЛИ, Роль моторных компонентов в нормальном и измененном визуальном поле восприятия . . . . .	80
Н. Х. БАРАМИДЗЕ, Психологические особенности отдаленного мотивационного поведения . . . . .	91

### ЭКОНОМИКА

С. П. БУАЧИДЗЕ, О проектировании систем операций в аспекте комплексного критерия их функционирования — «длительность, надежность и стоимость операций», I . . . . .	106
И. М. РУБИНШТЕИН, Методические вопросы определения экономической эффективности научно-исследовательских работ в машиностроении . . . . .	112
Ш. Я. ЛОБЖАНИДЗЕ, Факторы роста производительности труда в добывающей отрасли рыбной промышленности . . . . .	122

### ПРАВО

В. Г. ЖВАНИЯ, Диалектика природы и справедливость в творчестве Ильи Чавчавадзе . . . . .	129
М. Г. УГРЕХЕЛИДЗЕ, Социально-этическая природа неосторожной вины . . . . .	140

### ПУБЛИКАЦИЯ

И. Г. ГЕРДЕР, Трактат о происхождении языка (Перевод и вступительная статья Л. Рамишвили) . . . . .	150
---	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Ш. В. ХИДАШЕЛИ, Краткое объяснение по поводу обширных «Реплик» . . . . .	164
Г. В. ҚОРАНАШВИЛИ, Рецензия на книгу Ю. В. Качановского . . . . .	172
О. ДЖИОЕВ, Материалистическое понимание истории и современная буржуазная философия (по поводу книги Х. Флайшера «Марксизм и история») . . . . .	178
А. Т. БОЧОРИШВИЛИ, У. И. РИЖИНАШВИЛИ, Феноменология романа Ингардена . . . . .	188

### ЮБИЛЕЙНЫЙ ЛИСТОК

Д. КОРИДЗЕ, К юбилею академика АН Груз. ССР И. С. Микеладзе . . . . .	190
---	-----



# ფილოსოფია

სერგი ავალიანი

## რა არის მატერია რეზორც სუბსტანცია?\*

**1. საკითხის დასმა.** მატერიის კატეგორია მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და, საერთოდ, მატერიალისტური მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი; ამ კატეგორიის დაფუძნების შესაძლებლობაზე დამოკიდებული მატერიალისტური ფილოსოფიის ბედი. სწორედ ამიტომ იდეალიზმი (მაგ., მისი კლასიკური წარმომადგენელი ბერკლი) ცდილობს, უწინარეს ყოვლისა, მატერიალური სუბსტანციის უარყოფას, მის შესახებ მოძღვრების უსაფუძვლოდ დასაბუთებას, ხოლო მატერიალიზმი, პირიქით, მატერიალური სუბსტანციის აუცილებლობას ამტკიცებს და სრულიად სამართლიანად მას მატერიალისტური მსოფლმხედველობის საფუძველდებულებად თვლის. ერთი სიტყვით, მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის, რომელიც დღესაც გრძელდება, არსებითად მატერიის ცნების გარშემო ტრიალებს; ვინც მატერიას ერთადერთ სუბსტანციად აცხადებს და, ამის შესაბამისად, ცნობიერების მეორადობას ამტკიცებს, მატერიალისტების ბანაკს მიეკუთვნება, ხოლო ვინც საპირისპირო თვალსაზრისზე დგას, იდეალისტების ბანაკს წარმომადგენელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მატერიის კატეგორიას ცენტრალური ადგილი უჭირავს მატერიალისტური ფილოსოფიის სხვა კატეგორიათა შორის. ეს კარგად იცოდა ჯერ კიდევ არისტოტელემ, როდესაც კატეგორიების ცხრილში არსების („უსია“) ანუ სუბსტანციის კატეგორია პირველ ადგილზე მოათავსა, ხოლო დანარჩენი კატეგორიები (რაოდენობა, თვისება, დრო, მიმართება, ადგილი, მდებარეობა, მდგომარეობა, მოქმედება, ვნება) მის განსაზღვრულობებად გამოაცხადა. მატერიის კატეგორია მართლაც პირველი ყველა დანარჩენის მიმართ; სივრცე, დრო, მოძრაობა, მიზეზობრიობა და ა. შ. საბოლოო ჯამში მატერიის კატეგორიის გამომთქმელია და, მაშასადამე, მის განსაზღვრულობებს წარმოადგენენ გარკვეული აზრით. ამიტომ მთელი მატერიალისტური მსოფლმხედველობა — განსაკუთრებით ბუნებისმეტყველების ფილოსოფია — შეიძლება მატერიის ფილოსოფიად წარმოვადგინოთ; ვინაიდან იგი სხვა არაფერია, თუ არა მატერიის უზოგადესი კანონზომიერების შემეცნება.

მართალია, მატერიის ფილოსოფიური თეორიები ძველ დროში წარმოიშვა, მაგრამ მატერიის მეცნიერული კვლევა დაკავშირებულია ფიზიკურ-ქიმიური ატომისტიკის წარმოშობასთან. ატომის სტრუქტურისა და, საერთოდ, მიკროსკოპიული სამყაროს კანონზომიერების შესწავლამ ძირფესვიანად შეცვალა ძველი (მეტაფიზიკური) წარმოდგენები მატერიაზე და საფუძველი მოუზადა პრინციპულად ახალ თეორიას მატერიის შესახებ. XIX-X X საუკუნეებში ახალი საბუნებისმეტყველო აღმოჩენები მარტო მექანიკური მატერიალიზმის მარცხის საფუძველი კი არ იყო, არამედ მან საერთოდ საეჭვო გახადა მატერიის სუბსტანციური თეორია; ამის

\* იბეჭდება დისკუსიის წესით.

შედგად წარმოიშვა ე. წ. მატერიის „დედუბსტანციალიზაციის“ იდეა და, მაშასადამე, კრიზისში მოექცა მატერიალისტური მსოფლმხედველობა. ამ კრიზისიდან გამოსავალი აჩვენა დიალექტიკურმა მატერიალიზმმა, კერძოდ, მატერიის ცნების ლენინურმა განსაზღვრებამ, რომელშიც მატერიის სუბსტანციური თეორია მყარ, მეცნიერულ ნიადაგზე დააფუძნა. ქვემოთ ლოგიკურ ასპექტში განხილული იქნება მატერიის ცნების ეს ევოლუცია; ნაჩვენები იქნება თუ როგორ უნდა გავიგოთ მატერია როგორც სუბსტანცია, რა არის მისი ატრიბუტი და რამდენად სწორია ამჟამად ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისი მატერიის ორი ფორმის არსებობის შესახებ.

**2. მატერიის მეტაფიზიკური თეორიის მარცხი.** მატერიის ცნება ისევე ძველია, როგორც თვით მატერიალიზმი; ამ ცნებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხანგრძლივი ევოლუცია განიცადა. მატერიის შესახებ თანამედროვე წარმოდგენები დიალექტურად განსხვავდება იმ წარმოდგენებისაგან, რომელიც ადამიანებს საუკუნეების მანძილზე ჰქონდათ. ბუნებისმეცნიერების, განსაკუთრებით ფიზიკის განვითარებამ შეცვალა ძველი, მეტაფიზიკური წარმოდგენები მატერიის შესახებ და საფუძველი მოუშადა ახალ მსოფლმხედველობას. ამ გაგებით სხვადასხვა ფილოსოფიური თეორიები მატერიის შესახებ, რომლებიც წინ უსწრებდნენ თანამედროვე ფიზიკური წარმოდგენების შემუშავებას და რომელთაც არსებითად მეტაფიზიკური ხასიათი ჰქონდათ, მატერიის მეცნიერული თეორიის წინასტორიად შეიძლება ჩაითვალოს. მატერიალიზმი საერთოდ მატერიალური სუბსტანციის ცნებიდან ამოდის, რომელსაც იგი ცნობიერების მიმართ პირველადად თვლის; მაგრამ მატერიალური სუბსტანცია ყველა მატერიალისტს ერთნაირად როდი ესმის; ძველი, მარქსამდელი მატერიალიზმი მეტაფიზიკური იყო, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ სინამდვილის საწყისად თვლიდა რაღაც პირველმატერიას როგორც ნივთებისა და, საერთოდ, ყოველგვარი არსებულის ქმნადობის მასალას, რომელსაც ინერტულობასა და უცვლელობას მიაწერდა.

პირველმატერია, ამ კონცეფციის მიხედვით, ნივთიერებაა, რომელსაც თავისთავად არავითარი ფორმა, ე. ი. არავითარი გარკვეულობა არა აქვს და მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული საგნების ქმნადობის მასალაა; ფორმა და ინდივიდუალობა აქვს საგნებს, რომლებიც მატერიისაგან არის შედგენილი; ისევე როგორც ოქროსაგან სხვადასხვა სამკაული შეიძლება დამზადდეს (ე. ი. ოქრომ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს), მაგრამ ოქრო ყველგან მაინც ოქროდ რჩება, ასევე ყველა საგანი, მათი განსხვავების მიუხედავად, თანაბრად შედგენილია პირველმატერიისაგან, რომელიც საგნებში იგივეობრივი რჩება; ასე ესმოდათ საგანთა საწყისები („არბე“), მაგალითად, ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს: თალესს (წყალი), ანაქსიმენს (ჰაერი), ჰერაკლიტეს (ცეცხლი), ემპედოკლეს (ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი), ლევკიპესა და დემოკრიტეს (ატომები). და, არსებითად, მარქსამდე არსებულ ყველა მატერიალისტს. ეს არის მატერიის მეტაფიზიკური თეორია, რომელსაც მატერია ინერტულ, უცვლელ, პასიურ, უფორმო მასად მიაჩნდა, საიდანაც ყველა საგანი იწარმოება.

ძველი მატერიალიზმის ამ მეტაფიზიკური ხასიათის გამო ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ ერთმანეთისაგან მტკიცედ გაემიჯნათ მეტაფიზიკური და დიალექტიკური მატერიალიზმი; „რალაც უცვლელი ელემენტების, „საგანთა უცვლელი დედაარსის“ და სხვ. აღიარება მატერიალიზმი კი არ არის, არამედ მეტაფიზიკური ანუ ანტიდიალექტიკური მატერიალიზმი“<sup>1</sup>. მეტაფიზიკური მატერიალიზმი მატერიის ერთადერთ სახეს — ნივთიერებას — იცნობდა და ამიტომ მატერიასა და ნივთიერებას ერთმანეთთან აიგივებდა. ასე ესმოდა მატერიის ცნება ყველა ფილოსოფოსს ელემენტარმატერიული ველის, როგორც მატერიის განსაკუთრებული ფორმის აღმოჩენამდე. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მატერია (materia) ლათინურ

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, გვ. 330.





ენაზე ნივთიერებას ნიშნავს? პირველმატერიას როგორც გრძნობადი სინამდვილის ქმნალობის მასალას, მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა პასიურ, ინერტულ მასად თვლიდა, რომელიც მოკლებულია ქმნალობის ყოველგვარ უნარს, გარეშე ძალის ჩარევით ვერც არ შეუძლია ამოძრავება ან შეჩერება; მატერია, ამ კონცეფციის მიხედვით, თვითონ არაფერს ქმნის, არამედ მისგან ქმნიან ყველაფერს; ერთი სიტყვით, იგი მარტოოდენ ქმნალობის მასალაა და მეტი არაფერი; ასე ესმოდა მატერიის ცნება ბევრ ფილოსოფოსს როგორც მატერიალიზმის, ასევე (მით უმეტეს) იდეალიზმის ბანაყის წარმომადგენელს. სწორედ ამიტომ ეს ფილოსოფოსები მოძრაობის მიზეზს მატერიის გარეთ ეძებდნენ და, ერთი სიტყვით, მატერიასა და მოძრაობას ერთმანეთისაგან წყვეტდნენ. ემპედოკემ ქმნალობის მასალად (პირველმატერია) ოთხი ელემენტი გამოაცხადა, რომელთა შეერთება და დაშლა სავანთა ქმნალობას წარმოადგენს. თვითონ ეს ელემენტები ინერტულია, მოკლებულია ქმნალობის უნარს; სწორედ ამიტომ ამ ფუნქციას სიყვარულისა და სიძულვილის ძალები ასრულებენ; ასევე ანაქსაგორამ ნარევის, როგორც პირველმატერიის, ასამორჩაველად გონების ცნება შემოიტანა, როგორც ერთგვარი პირველი ბიძგი ინერტული პირველმატერიის მოძრაობაში მოსაყვანად. მატერიის ინერტულობის იდეას იზიარებდნენ არისტოტელე, დეკარტი, ნიუტონი და სხვა მოაზროვნეები. ე. წ. პირველი ბიძგის თეორია „მორცხვი“ მატერიალიზმი იყო, რომელიც აგრეთვე მატერიის ინერტულობის თვალსაზრისით იყო ნაკარნახევი.

იყვნენ ისეთი მოაზროვნეებიც, რომლებიც მატერიის ინერტულობის იდეას უარყოფდნენ და მოძრაობას მატერიის განუყოფელ თვისებად თვლიდნენ. ამ პოზიციაზე იდგნენ, მაგალითად, XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტები, განსაკუთრებით ჰოლბახი, რომელიც პირველი ბიძგის თეორიას უარყოფდა და მოძრაობა მატერიის განუყოფელ თვისებად მიიჩნდა: „მატერია თავისი საკუთარი ძალების მიხედვით მოქმედებს და ასამორჩაველად არავითარ გარეგან ბიძგს არ საჭიროებს“. ასევე ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ. ტოლანდი თვლიდა, რომ „მოძრაობა მატერიის არსე ბიითი თვისებაა... იგი ისევე განუყოფელია მისი ბუნებისაგან, როგორც შეუვალბა და განუფილობა“. ლაიბნიციც უარყოფდა მატერიის ინერტულობის იდეას, რის შედეგად მატერიისა და მოძრაობის განუყოფლობის თვალსაზრისამდე მიდიოდა. მიუხედავად ამისა გაბატონებულ თვალსაზრისს მინც მატერიის ინერტულობის თეორია წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ დემოკრიტეს დროიდან, ხოლო განსაკუთრებით ახალ დროში (გალილეი, დეკარტი, გასენდი, ჰობსი, ლოკი) შემუშავდა თვალსაზრისი მატერიის პირველადი და მეორადი თვისებების შესახებ, რაც შემდეგ მატერიის მეტაფიზიკური თეორიისა და, საერთოდ, მექანიკურ-მატაფიზიკური მატერიალიზმის ერთ-ერთ საფუძველდებულედა იქცა. პირველად თვისებებად მატერიის სუბსტანციური თვისებები იგულისხმებოდა, რომელიც მეტაფიზიკური მატერიალიზმი აბსოლუტურ მნიშვნელობას მიაწერდა — უცვლელად, საყოველთაოდ თვლიდა. ასეთ თვისებათა რიცხვს მიაკუთვნებდნენ განუფილობას, სიდიდეს, ფიგურას, შეუვალბას და სხვ. მეორად თვისებებად კი ისეთი თვისებები ითვლებოდა, რომლებიც სუბიექტთან მიმართებაში წარმოიშობა და სავნებს თავისთავად არ მიეკუთვნება (ფერი, გემო, სუნი და ა. შ.).

კლასიკური (მეტაფიზიკური) მატერიალიზმი მატერიის ატრიბუტად — მისი არსების გამოვლინებად — თვლიდა განუფილობას, სივრცესა და დროში არსებობას, მასას, შეუვალბას, მარადიულობას და ა. შ. ამ თვისებების აბსოლუტურობაზე იყო დაფუძნებული მატერიალური სუბსტანციის აბსოლუტურობის იდეა. ამასთანავე ზემოთხსენებული ატრიბუტები მატერიისა და ნივთიერების გაიგივების თვალსაზრისს ეყარებოდა, თუ მატერია და ნივთიერება ერთი და იგივეა, მაშინ იგი, ცხადია, განუფილი უნდა იყოს (ნივთიერება შეუძლებელია იყოს განუფილელი); განუფილობა, თავის მხრივ, სივრცესა და დროში არსებობას ნიშნავს. სივრცესა და დროში არსებულ, ე. ი. განუფილი ნივთიერებას აქვს მასა (რომელიც ნივთიერების რაოდენობად ესმოდა); ნივთიერება კი, ამ კონცეფციის მიხედვით, ატომებისაგან შედგება; ატომი არის „ატომოს“ (განუყოფელი ნაწილი) და, მაშასადამე, იგი შეუვალბა; ამიტომ იგი მარადიულია,

<sup>2</sup> ასევე ინგლისურ ენაზე matter ნიშნავს ნივთიერებას, მატერიას, მასალას; ასეთვე მნიშვნელობა აქვს გერმანულ სიტყვას der Stoff. საყურადღებოა, რომ (Смолдин: „Сила и материя“) მატერიალისტის ბოუნერის თხზულება «Kraft und Stoff» გასულ საუკუნეში (1860) რუსულ ენაზე თარგმნეს როგორც «Сила и материя». რუსული სიტყვა «Материал» („მასალა“), წარმომდგარია სიტყვისაგან „მატერია“. აქაც გამოხატულებას პოულობს ზემოთხსენებული მეტაფიზიკური თვალსაზრისი მატერიისა და ნივთიერების გაიგივების შესახებ და აგრეთვე ის, რომ მატერიას ქმნალობის მასალი თვლიდნენ.

<sup>3</sup> П. Г о л ь б а х, Система природы, М., 1940, стр. 19.



არ შეიძლება წარმოიშვას ან მოისპოს. მატერიის მარადიულობის იდეა ძველ (მეტაფიზიკურ) მატერიალიზმში ძირითადად ატომების განუყოფლობას, ე. ი. კლასიკურ ატომისტურ კონცეფციას ემყარებოდა.

დეკარტი მატერიას, სხეულს (ე. ი. ნივთიერებას) და განუწილობას ერთმანეთთან აიგივებდა: „მატერიის, ესე იგი სხეულის ბუნება ზოგადად იმაში მდგომარეობს... რომ იგი სიგრძით, სიფართოთ და სიღრმით განუწიელი სუბსტანციაა“<sup>4</sup>. სწორედ ამიტომ დეკარტი განუწილობას თვლის არა მატერიალური სუბსტანციის ატრიბუტად, არამედ თვითონ სუბსტანციად, ე. ი. მატერიას, ნივთიერებასა და განუწილობას ერთმანეთთან აიგივებს.

მას შემდეგ, რაც დალტონმა ატომების არსებობა ქიმიურ ნაერთებში ემპირიულად დაადასტურა, ატომისტურმა თეორიამ ექსპერიმენტული ხასიათი მიიღო და სპეციალურ მეცნიერებათა (კერძოდ, ფიზიკისა და ქიმიის) კუთვნილებად იქცა. XIX-XX საუკუნეებში, ატომისტური თეორიის ტრიუმფული განვითარების შედეგად, ძირფესვიანად შეიცვალა კლასიკურ-მეტაფიზიკური თვალსაზრისი მატერიის შესახებ. ელექტრომაგნიტული ველის აღმოჩენამ უარყო მატერიისა და ნივთიერების გაიგივების იდეა, ხოლო ატომების გაყოფამ და, საერთოდ, ატომისტურმა თეორიამ — ყველა ის ატრიბუტი, რასაც კლასიკური აზროვნება მატერიალურ სუბსტანციას მიაწერდა. ამის საფუძველზე თანამედროვე იდეალისტურ ფილოსოფიაში წარმოიშვა თვალსაზრისი „მატერიის დესუბსტანციალიზაციის“ შესახებ. თანამედროვე „ფიზიკურმა“ იდეალისტებმა და პოზიტივისტებმა უახლესი აღმოჩენების ბუნებისმეტყველების დარგში გაიყვანა როგორც მატერიალური სუბსტანციის უარყოფა და, საერთოდ, მატერიალისტური მსოფლმხედველობის მარცხი. კლასიკური მეტაფიზიკური მატერიალიზმი, როგორც აღვნიშნეთ, ატომების განუყოფლობის იდეას ემყარებოდა, მაგრამ როდესაც ატომების გაყოფადობა დადასტურდა, იდეალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „მატერია გაქრა“, ე. ი. ყალიბ-მოჩინა მატერიის მარადიულობის იდეა, რომელიც საუკუნეების მანძილზე უღაგოდ ითვლებოდა. მატერიის მარადიულობის უარსაყოფად იდეალისტები ხშირად მიმართავენ ე. წ. ანტი-ლაიბნიცის ფაქტს, რომლის მიხედვით, ელექტრონ-პოზიტრონის წყვილი შეიძლება გადაიქცეს სხივად ენერგიის ულუფად (ფოტონი). ასეთივე დასკვნებს აკეთებენ მასისა და ენერგიის პროპორციულობის კანონიდან ( $E=mc^2$ ), რომელიც აინშტაინმა ჩამოაყალიბა. „აინშტაინის თეორიის თანახმად — წერს ფ. ფრანკი — მატერია შეიძლება გადაიქცეს ენერგიად — რაღაც არამატერიალურ არსებად. მაშასადამე, სამყაროს მატერიალისტური აღწერა, რომელიც მატერიის მარადიულობას აღიარებს, უარყოფილია თანამედროვე მეცნიერების მიერ, რომელიც ამჟამად უფრო შეთავსებადი გახდა ლეობერციე შემოქმედების იდეასთან“<sup>5</sup>. ადვილი შესაძინევი, რომ ფ. ფრანკი ამ შემთხვევაში ტრადიციულად მატერიასა და ნივთიერებას ერთმანეთთან აიგივებს და, მაშასადამე, უარყოფს იმის მატერიალურობას, რაც ნივთობრივი არ არის. ამის საფუძველზე ფ. ფრანკს მასისა და ენერგიის პროპორციულობის კანონი „მატერიის გაქრობად“, მატერიის მარადიულობის უარყოფად და, საერთოდ, „მატერიის დესუბსტანციალიზაციის“ მაჩვენებლად მიაჩნია.

მატერიალური სუბსტანციის უარყოფის მიზნით თანამედროვე იდეალისტებს მატერიის ე. წ. პირველადი, ე. ი. სუბსტანციური თვისებები მეორად თვისებებზე დაჰყავთ. „პირველადი თვისებები — წერს პ. მარტენაუ — რომლებიც თავიდან დადგენილ იქნა გულუბრყვილობითა და უცოდინარობით, განუწყვეტლად უკან იხევდნენ მეცნიერების ზემოქმედების შედეგად. ისინი ზედღებულად გადაიქცნენ მეორად თვისებებად და ამჟამად ჩვენ დარწმუნებული არა ვართ, რომ მათ შორის განსხვავება აღუზიფური არაა და ყველა თვისება მეორადი არ არის“<sup>6</sup>. მეცნიერების შემდგომი განვითარება, მარტენაუს აზრით, იმის გარანტიას იძლევა, რომ მატერიის ის თვისებები, რომლებიც ჭრ კიდევ პირველადლად ითვლება, მეორადი აღმოჩნდებიან. ა. ედინგტონს სუბსტანციის შესახებ ლაბარაკი საერთოდ გაუმართლებლად მიაჩნია. „ჩვენი თვალსაზრისი სუბსტანციის შესახებ — წერს იგი — ნათელია მანამდე, ვიდრე მას არ დაეკვირვებით და იგი გაქრობას იწყებს მაშინვე, როგორც კი მის ანალიზს შეუდგებით“<sup>7</sup>. ადამიანს არა აქვს არავითარი ცოდნა სუბსტანციის შესახებ, ამტკიცებს იგი, მას არ შეუძლია მისი წარმოდგენა. „ჩემი თვალსაზრისი სუბსტანციის შესახებ, ძალიან როდი განსხვავდება ჩემი ხეზემავალი წინაპრების (ე. ი. მაიმუნების) თვალსაზრისისაგან“<sup>7</sup>.

<sup>4</sup> P. Декарт. Избр. произв., М., 1950, стр. 446.

<sup>5</sup> იხ. ფ. ფრანკის მოხსენება XII საერთაშორისო ფილოსოფიურ კონგრესზე (1958) — «Present Role of Science».

<sup>6</sup> Г. Маргенау. Достоинства и недостатки различных интерпретаций квантовой теории. «Реферативный бюллетень», № 16/50, М., 1957, стр. 163.

<sup>7</sup> A. S. Eddington, The Nature of Physical World, Cambridge, 1929, p. 273—274.

თანამედროვე მეცნიერებამ უარყო წარმოდგენები მატერიის აბსოლუტურად უცვლელი თვისებების შესახებ; აღმოჩნდა, რომ ის „ატრიბუტები“, რომელთაც მეტაფიზიკური მატერიალიზმი მატერიის ატრიბუტებად თვლიდა (განფენილობა, მასა, შეუვალლობა და სხვ.), აბსოლუტური კი არ არიან, არამედ მათ რელატიური მნიშვნელობა აქვთ. თანამედროვე იდეალისტების შეცდომა ამ შემთხვევაში ის არის, რომ ისინი მეტაფიზიკურსა და მექანიკურ მატერიალიზმს მატერიალიზმის ერთადერთ შესაძლებელ ფორმად თვლიან და ამის საფუძველზე ძველი მატერიალიზმის მარცხი საერთოდ მატერიალისტური მსოფლმხედველობის მარცხად მიაჩნიათ. მატერიალური სუბსტანციის შესახებ ძველი, მექანიკურ-მეტაფიზიკური წარმოდგენების მსხვრევა მატერიალური სუბსტანციისა და, საერთოდ, მატერიის უარყოფას კი არ ნიშნავს, არამედ მარტოოდენ იმას, რომ გაქრა „ის საზღვარი, სანამდეც ჩვენ დღემდე ვიცნობდით მატერიას“<sup>8</sup>. მატერიალური სუბსტანციის იდეას ვერ უარყოფს აგრეთვე მატერიის სხვადასხვა ფორმების ან მასისა და ენერჯის პროპორციულობის კანონის აღმოჩენა. ყოველივე ეს ისევ და ისევ მიმართულია მეტაფიზიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც მატერიასა და ნივთიერებას ერთმანეთთან აიგივებდა და, მაშასადამე, ნივთიერებას მატერიის ერთადერთ ფორმად (სახედ) თვლიდა. თანამედროვე მეცნიერების აღმოჩენების საფუძველზე გაფართოვდა ჩვენი ცოდნა მატერიის შესახებ. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ, გარდა ნივთიერებისა, არსებობს მატერიის სხვა ფორმებიც, რომელთა შორის გარკვეული ურთიერთობაა. ეს ნიშნავს, რომ მატერიის მეტაფიზიკური თეორია, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ყალბია.

**8. მატერიალური სუბსტანციის ფორმების სიმრავლე.** სამყაროში მრავალი საგანი და მოვლენა არსებობს, რომელთაც აერთიანებთ მატერიალურობის ნიშანი, როგორც ყველაზე უნივერსალური განსაზღვრულობა. ყველაფერი, რაც გარეგან სამყაროში (ე. ი. ცნობიერების გარეთ) არსებობს, მატერიალურია. „სამყაროს ნამდვილი ერთიანობა — ამბობს ფ. ენგელსი — მის მატერიალობაში მდგომარეობს“<sup>9</sup>. ეს ნიშნავს, რომ მატერია არის სუბსტანცია ანუ ცნობიერების გარეთ არსებულის არსებას მატერია წარმოადგენს.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საგნები და მოვლენები მატერიალური სუბსტანციის გამოვლინებანია; ასე ესმოდა მატერიის ცნება ძველ მატერიალიზმს, რომლის მიხედვით ყველაფრის არსებას რაღაც პირველმატერია წარმოადგენს, რომლებიც სხვადასხვა საგნებში სხვადასხვაგვარად გარდაიქმნება, სხვადასხვა ფორმას იღებს. მარქსისტულ ფილოსოფიაში მატერიალური სუბსტანციის ცნების ქვეშ მარტოოდენ ის იგულისხმება, რომ ბუნებაში არსებული ყველა საგანი და მოვლენა თავისი არსებით მატერიალურია; სწორედ ამიტომ სამყაროს ნამდვილი ერთიანობა მის მატერიალურობაში მდგომარეობს. თუ რას გულისხმობს მატერიალურის ცნება ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

დიალექტიკურ მატერიალიზმს სუბსტანციის ცნებაში ესმის არა უცვლელი, უძრავი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რაღაც პირველმატერია, რომელსაც ასევე აბსოლუტურად უცვლელი თვისებები გააჩნია, არამედ საგანთა და

<sup>8</sup> ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, გვ. 329.  
<sup>9</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიდურიგი, თბილისი, 1952, გვ. 53.

მოვლენათა რელატიური არსი. „მარქსისა და ენგელსისათვის — წერს ვ. ი. ლენინი — არ არსებობს არავითარი სხვა „უცვლელობა“, არავითარი სხვა „არსი“, არავითარი „აბსოლუტური სუბსტანცია“ ... საგანთა „არსი“ ანუ „სუბსტანცია“ აგრეთვე შეფარდებითია“. მატერიალური სუბსტანციის ცნების რელატიურობა და მექანისტურ-მეტაფიზიკური მატერიალიზმის მარცხი იმაში გამოიხატა, რომ მატერიის ე. წ. პირველადი თვისებები, რომელთაც აბსოლუტურ მნიშვნელობას მიაწერდნენ და, საერთოდ, მატერიალური სუბსტანციის ატირებუტად თვლიდნენ, რელატიური, ე. ი. მატერიის ამა თუ იმ (და არა ყველა) ფორმისათვის დამახასიათებელი აღმოჩნდა და, მაშასადამე, მათი უნივერსალურობა უარყოფილ იქნა. „ჰქრებიან მატერიის ის თვისებანი, რომლებიც წინათ აბსოლუტური, უცვლელი, პირველადი გვეგონა (შეუღწევადობა, ინერცია, მასა და სხვ.) და რომელნიც დღეს გვევლინებიან როგორც შეფარდებითი, როგორც მატერიის ზოგიერთი მდგომარეობის დამახასიათებელი თვისებანი“<sup>10</sup>.

მარქსისტული მატერიალიზმი მონისტური მსოფლმხედველობაა; მის მიხედვით, არსებობს ერთადერთი სუბსტანცია — მატერია, რომელიც ყველაფრისაგან დამოუკიდებელია, თავისთავადია, „თვითმიზეზია“ (უფრო ზუსტად, მატერია თვითსაფუძველია; „თვითმიზეზი“ ამ შემთხვევაში „თვითსაფუძველი“ ნიშნავს). მისი ბუნება სწორედ თავისთავადობაში, დამოუკიდებლობაში მდგომარეობს. ცნობიერება არ შეიძლება იყოს სუბსტანცია, ვინაიდან იგი მატერიის ასახვაა, მატერიალურის (უმადლესად განვითარებული მატერიის — ტვინის) პროდუქტია, მისი თვისება, ფუნქციაა და, ცხადია, მატერიის მიმართ მეორადია, მასზეა დამოკიდებული; ცნობიერება, როგორც მატერიის თვისება, არ შეიძლება იყოს სუბსტანცია, ვინაიდან თვისება ყოველთვის თვისების მატარებელზეა (ამ შემთხვევაში მატერიაზეა) დამოკიდებული; სუბსტანციურობა სწორედ თავისთავადობას, დამოუკიდებლობას ნიშნავს.

ძველი მატერიალიზმი, მართალია, მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის აღიარებიდან ამოდიოდა, მაგრამ მას არ ესმოდა ცნობიერების ბუნება და არც იმის დასაბუთება შეეძლო, თუ რატომ არ შეიძლება ცნობიერების ჩათვლა სუბსტანციად. ცნობიერების ფილოსოფიური თეორია მეცნიერულ ნიადაგზე პირველად მარქსმა და ენგელსმა დააყენეს, რომლებმაც ცნობიერება (das Bewußtsein) გაიგეს როგორც შეცნობილი ყოფიერება (das bewußte Sein) და ამით ცნობიერების სუბსტანციურობას საფუძველი გამოაცალეს<sup>11</sup>. ცნობიერების ბუნების ასეთ გაგებას ემყარება სამყაროს შემეცნებადობის იდეა მარქსისტულ ფილოსოფიაში, ვინაიდან ცნობიერება უცხო კი არ არის მატერიისათვის, არამედ მისი ასახვაა, ამიტომ გარეგანი და შინაგანი სამყარო, მატერია და ცნობიერება ერთსა და იმავე უნივერსალურ კანონზომიერებას უნდა ექვემდებარებოდნენ. „ჩვენი სუბიექტური აზროვნება და ობიექტური სამყარო — წერს ფ. ენგელსი — ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარება და ამიტომ არ შეიძლება რომ ისინი თავიანთი შედეგებით ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ; ისინი ერთმანეთს უნდა ეთანხმებოდნენ“<sup>12</sup>. სამყარო თავისი ბუნებით შემეცნებადია, მისაწვდომია ცნობიერებისათვის. სწორედ ამიტომ ვ. ი. ლენინმა მატერიის შემეცნებადობა, მისი შეგრძნებებში მოცემულობა მატერიის ცნების განსაზღვრებაშიც კი შეიტანა. „მატერია არის ის, რაც მოქმე-

<sup>10</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, გვ. 329—330.

<sup>11</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. II, изд. II, М., 1955, стр. 25.

<sup>12</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 280.





დებს ჩვენს გრძობათა ორგანოებზე და იწვევს შეგრძნებებს; მატერია არის ობიექტური რეალობა, რომელიც შეგრძნებებში გვეძლევა<sup>13</sup>. მატერიისა და ცნობიერების დაპირისპირებას მხოლოდ და მხოლოდ გნოსეოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ონტოლოგიურად კი ასეთი დაპირისპირება არ არსებობს და, მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით, არც შეიძლება არსებობდეს.

სუბსტანციურობა, როგორც უკვე აღენიშნეთ, თავისთავადობას, დამოუკიდებლობას ნიშნავს; სუბსტანცია თვითსაფუძვლის მქონეა. სპინოზა სწორედ ამ ნიშნის მიხედვით განსაზღვრავს სუბსტანციას (Causa sui). სუბსტანციის თვითმიზეზობრიობის ქვეშ თვითსაფუძველი იგულისხმება; მიზეზობრიობა, ამ ცნების ზუსტი გაგებით, დაკავშირებულია წარმოშობასთან. მიზეზი წარმოშობს შედეგს, ხოლო სადაც წარმოშობა არ არის, იქ მიზეზობრიობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ამიტომ სუბსტანციის თვითმიზეზობრიობა არ შეიძლება ნიშნავდეს მიზეზობრიობას, ვინაიდან სუბსტანცია მარადიულია, მისი წარმოშობის შესახებ — არც სპინოზასთან და, მით უმეტეს, არც მარქსისტულ ფილოსოფიაში — საკითხი არ ისმის. სპინოზა ჯერ კიდევ ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებდა მიზეზსა და საფუძველს („Causa sive ratio“ — „მიზეზი ანუ საფუძველი“). ამრიგად, უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ მატერიალური სუბსტანციის თვითმიზეზობრიობის ცნებით მარქსისტული ფილოსოფია მარტოოდენ იმას ვულისხმობს, რომ მატერია, როგორც ერთადერთი სუბსტანცია, თავისი თავის არსებობის საფუძველია, თავისთავადია, არაფერზე არ არის დამოკიდებული ანუ თვითსაფუძვლის მქონეა; სხვაგვარად ეს ნიშნავს, რომ იგი არის **სუბსტანცია**. ეს ცნება თავისთავად არაფრის მთქმელი არ არის; იგი ახსნას მოითხოვს; ის, რაც სუბსტანციას ახსნის, მის ბუნებას გამოხატავს, არის **ატრიბუტი**. სპინოზა მართალია, როდესაც მას ატრიბუტად ესმის ის, რაც სუბსტანციაში წარმოიდგინება, როგორც მისი არსების გამომთქმელი. ზოგჯერ ატრიბუტს განმარტავენ როგორც რაიმეს აუცილებელ, არსებით, განუყრელ თვისებას, რომლის გარეშე საგანი არ შეიძლება არსებობდეს<sup>14</sup>. ეს განსაზღვრება ზუსტი არ არის: ატრიბუტი მართლაც არსებითი, აუცილებელი, განუყრელი თვისებაა, მაგრამ ყოველგვარი აუცილებელი, განუყრელი თვისება ატრიბუტი როდია. ადამიანისათვის აუცილებელია, მაგალითად, გული, კუჭი და ა. შ., მაგრამ ადამიანის არსებას ეს ორგანოები არ წარმოადგენენ. **ატრიბუტი არის არა მხოლოდ აუცილებელი, არსებითი, განუყრელი თვისება, არამედ იგი არსების გამოვლენა ანუ, უფრო ზუსტად, სუბსტანციის გამოთქმა, მისი გამოხატულება, მისი სპეციფიკის გამოვლენა.**

რა არის მატერიალური სუბსტანციის ატრიბუტი? რაში გამოიხატება მატერიის არსება, მისი სპეციფიკა? ყველაფერი, რაც არსებობს როგორც ბუნებასა და საზოგადოებაში, ისე — ჩვენს შინაგან სულიერ სამყაროში, რეალობას ანუ სინამდვილეს წარმოადგენს; ამ გაგებით სინამდვილეა არა მხოლოდ მთები, ზღვები, პლანეტები, სახელმწიფო, სოციალური კლასები, პოლიტიკური პარტიები და ა. შ. არამედ — ჩვენი განცდებიც, აზრებიცა და, საერთოდ, სულიერი სამყარო. ჰეგელი და მასთან ერთად მთელი მეტაფიზიკური აზროვნება ცდებოდა, როდესაც სინამდვილის პრედიკატს მარტოოდენ აბსოლუტურსა და აუცილებლობით არსებულს მიაწერდა, ხოლო რელატიურსა და შემთხვევითს

<sup>13</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, გვ. 176.

<sup>14</sup> Философская энциклопедия, т. I, М., 1960, стр. 117.



მოჩვენებითად თვლიდა. რელატიური და შემთხვევითი ნამდვილობის (რეალობის) თვალსაზრისით აბსოლუტურისა და აუცილებელისაგან არაფრით განსხვავდება. როდესაც ჰეგელი სინამდვილის პრედიკატს მარტოოდენ აუცილებლობით არსებულს მიაწერდა, მაშინ იგი იმ მეტაფიზიკური ტრადიციით იყო დამძიმებული, რომელიც ერთადერთ სინამდვილედ აბსოლუტურს თვლიდა, ხოლო რელატიურს — მოჩვენებითად, ე. ი. არანამდვილად აცხადებდა. ფაქტობრივად კი არსებობის ცნება უზოგადესია, რომელიც სინამდვილეს ემთხვევა; რაც **არსებობს**, ის, იმავე დროს, **ნამდვილია** (რეალურია) და პირიქით, რაც ნამდვილია (რეალურია), ის კიდევ არსებობს. ამდენად არსებობისა და სინამდვილის ცნებებს ერთი და იგივე შინაარსი აქვთ. მაგრამ სინამდვილე, რომელიც ყოველგვარ არსებულს მოიცავს, პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: 1) სუბიექტური სინამდვილე ანუ ჩვენი შინაგანი სამყარო, რომელშიც შედის ყველაფერი, რაც ჩვენი სულიერი ცხოვრების — ცნობიერებისა და ფსიქიკის — შინაარსს შეადგენს და 2) ობიექტური სინამდვილე ანუ გარეგანი სამყარო, რომელშიც იფულისხმება ყველაფერი, რაც სუბიექტურ სინამდვილეს არ მიეკუთვნება. პირველი იდეალური სინამდვილეა, ხოლო მეორე — მატერიალური. ამრიგად ერთმანეთს უპირისპირდება არა იდეალური და რეალური, არამედ იდეალური და მატერიალური; იდეალური სინამდვილეც რეალურია, მაგრამ მატერიალური არ არის; მეორე მხრივ მატერიალური სინამდვილე რეალურია, მაგრამ იდეალური არ არის. ამრიგად, **გარკვეული ზრით არსებობს ორგვარი სინამდვილე: მატერიალური და იდეალური. იდეალურია ყველაფერი, რაც ჩვენს შინაგან სამყაროს მიეკუთვნება, ხოლო ყველა დანარჩენი მატერიალურ სინამდვილეს შეადგენს.** მატერიალურისა და იდეალურის ამ დაპირისპირებას, რაც არსებითად მატერიისა და ცნობიერების დაპირისპირებას ნიშნავს, დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიის ცნების გასაგებად, ვინაიდან, ამ კონცეფციის მიხედვით, მატერიას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც ცნობიერების (ფართო აზრით) გარეთ იმყოფება ანუ, ზოგადად რომ ვთქვათ, **მატერია არის გარეგანი სამყარო.**

იდეალურისა და მატერიალურის დაპირისპირებაზე ლაპარაკი, ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ გნოსეოლოგიური ზრით შეიძლება; ონტოლოგიურად კი არავითარი ასეთი დაპირისპირება არ არსებობს, ვინაიდან ცნობიერება (იდეალური) მატერიის პროდუქტია, მისი (კერძოდ, უმაღლესად განვითარებული მატერიის — ტვინის) ფუნქციაა და, მაშასადამე, მით არის განსაზღვრული. ცნობიერება, მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით, მატერიის საპირისპირო პოლუსს კი არ წარმოადგენს, არამედ ყოფიერების ასახვაა, მისი სურათია და, მაშასადამე, უცხო კი არ არის მისთვის, არამედ ისინი ერთსა და იმავე უზოგადეს კანონებს ექვემდებარებიან<sup>15</sup>. ამაზეა დაფუძნებული შემეცნების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, მატერიისა და ცნობიერების გნოსეოლოგიურ დაპირისპირებას მხოლოდ გამართლება კი არა აქვს, არამედ აუცილებელიცაა როგორც მატერიის, ასევე ცნობიერების ბუნების გასაგებად.

იდეალურისა და მატერიალურის დაპირისპირებას იმიტომ შეევეხეთ, რომ სინამდვილიდან გამოგვეყო ის სფერო, რომელიც მატერიას მიეკუთვნება და რომლის მიხედვით მატერიის ცნება უნდა განისაზღვროს. **ყველაფერი, რაც არსებობს, ან მატერიალურია და ან იდეალური; მესამე გამორიცხულია. ამას-**

<sup>15</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 280.

თანავე მატერიალურია ყველაფერი, რაც იდეალური არ არის და, პირიქით, იდეალურია ყველაფერი, რაც მატერიალური არ არის. არამატერიალური და იდეალური, ერთი მხრივ, ხოლო არაიდეალური და მატერიალური, მეორე მხრივ, სინონიმური ცნებებია. ამ დებულებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მატერიის ცნების გასაგებად.

ახლა საჭიროა ვაჩვენოთ თუ რა არის მატერიის, მატერიალური სუბსტანციის ატრიბუტი, მისი უძირითადესი, უარსებობის ნიშანი, რომელიც ყველა მატერიალურზე გამოითქმის, ყველა მატერიალურს აერთიანებს მატერიის ცნებაში. ეს ნიშანი — ატრიბუტი — იქნება სწორედ მატერიის არსების, მისი სპეციფიკის გამოთქმა, ვინაიდან, როგორც ჯერ კიდევ სპინოზა მიუთითებდა, ატრიბუტი სუბსტანციის ბუნების, მისი არსების გამოხატულებაა, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს სუბსტანციის, კერძოდ, მატერიალური სუბსტანციის ცნების განსაზღვრება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალი საუკუნის მანძილზე მატერიასა და ნივთიერებას ერთმანეთთან აიგივებდნენ. ამ თვალსაზრისს ახლაც ჰყავს დამცველები, რომლებიც არანივთიერი მატერიის არსებობის დაშვებას იდეალიზმად თვლიან და გადაჭრით უარყოფენ<sup>16</sup>. ეს თვალსაზრისი არა მხოლოდ თანამედროვე მეცნიერების მონაპოვრებს ეწინააღმდეგება, არამედ ლოგიკურადაც უსაფუძვლოა. დავუშვათ, რომ ნივთიერება და მატერია ერთი და იგივეა, ე. ი. არ არსებობს არანივთიერი მატერია. მაგრამ ფაქტია, რომ გარეგან სამყაროში — როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში — არსებობს ბევრი რამ, რაც ნივთიერი არ არის და, მაშასადამე, ნივთიერებას არ მიეკუთვნება, მაგალითად, ძალა, ენერჯია, ელექტრომაგნიტური ველი, სოციალური კლასები და პოლიტიკური პარტიები, ბუნებისა და საზოგადოების კანონები და ა. შ. თუ ნივთიერებასა და მატერიას ერთმანეთთან ვავაიგივებთ, მაშინ შეუძლებელი იქნება ზემოაღნიშნული (და სხვა მრავალი) არანივთიერი სინამდვილის მატერიალურად ჩათვლა; ამავე დროს, როგორც ითქვა, ყოველგვარი არსებული ან მატერიალურია და ან იდეალური, მესამე გამორიცხებულია; სწორედ ამიტომ ზემოაღნიშნული არანივთიერი სინამდვილის ობიექტების მატერიალურობის უარყოფა მათი იდეალურობის მტკიცებას ნიშნავს, რაც არა მარტო პრინციპულად მიუღებელია დიალექტიკური მატერიალიზმისათვის (და, საერთოდ, მატერიალიზმისათვის), არამედ საერთოდ უაზრობასაც წარმოადგენს. იდეალური სინამდვილე ხომ ჩვენი შინაგანი სამყაროა, ცნობიერების, ფსიქიკის სფეროა და როგორ შეიძლება, რომ იდეალური, მატერიალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით, გარეგან სამყაროში არსებობდეს? გარდა ამისა, თუ, მაგალითად, ბუნების კანონები, რომლებიც არანივთიერია, არამატერიალურად, ე. ი. იდეალურად გამოვაცხადეთ, მაშინ მთელი სინამდვილე თავისი არსებით იდეალური იქნება (ანუ იდეალური სინამდვილე იქნება ერთადერთი სინამდვილე) და, მაშასადამე, მატერიალიზმი ხელიდან გაგვიქრება. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ იმას ვიტყვი, რომ არანივთიერი, გარეგანი სინამდვილე არც მატერიალურია და არც იდეალური, მაშინ მისი ბუნება სრულიად გაურკვეველი იქნება, ვინაიდან მესამე არ არსებობს. ის, რაც არ არის იდეალური, უნდა იყოს მატერიალური და პირიქით. აი, რა შეცდომამდე მივყავართ მატერიისა და ნივთიერების ერთმანეთთან გაიგივებას. ამრიგად, მატერიისა და ნივთიერების ერთმანეთთან გაიგივება შეუძლებელია.

<sup>16</sup> V. Stern. Es gibt keine nichtstoffliche Materie, «Deutsche Zeitschrift für Philosophie», 1956, № 3.

ელექტრომაგნიტური ველის აღმოჩენამ გასულ საუკუნეში მეცნიერულად დასაბუთა მატერიისა და ნივთიერების გაიგივების კონცეფციის სიყალბე. ელექტრომაგნიტურ ველს სულ სხვა თვისებები აქვს, ვიდრე ნივთიერებას. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი მატერიის ორ ფორმაზე: ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზე. „არსებული მატერიალური სამყარო — წერს აკად. ს. ი. ვავილოვი — მოძრავი მატერია, ორ ძირითად ფორმაში წარმოგვიდგება — როგორც ნივთიერება და როგორც სინათლე“<sup>17</sup>. ეს თვალსაზრისი ამჟამად ყველაზე უფრო გავრცელებულ თვალსაზრისს წარმოადგენს. მაგრამ მატერიის ორი ფორმის კონცეფცია არსებითად ისევე ნაკლოვანია, როგორც მატერიისა და ნივთიერების ერთმანეთთან გაიგივების თვალსაზრისი; მატერია არ დაიყვანება ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზე, ე. ი. **შეუძლებელია ლაპარაკი მატერიის მხოლოდ ორ ფორმაზე: ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზე.** წინააღმდეგ შემთხვევაში არამატერიალურად, ე. ი. იდეალურად უნდა გამოვაცხადოთ ყველაფერი, რაც ნივთიერებას ან ელექტრომაგნიტურ ველს არ მიეკუთვნება. გარეგან სამყაროში არსებობს ბევრი რამ, რაც არც ნივთიერებაა და არც ელექტრომაგნიტური ველი. თუ მატერიის ორი ფორმის კონცეფციას მივიღებთ, რაც ამჟამად ესოდენ გავრცელებულია, ე. ი. თუ დავუშვებთ, რომ მატერია ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზე დაიყვანება, მაშინ უნდა უარვყოთ ზემოაღნიშნული მოვლენების მატერიალურობა და, მაშასადამე, ისინი იდეალურად გამოვაცხადოთ (ვინაიდან ყოველი არსებული ან მატერიალურია და ან იდეალური; მესამე გამორიცხულია); მაგრამ ეს თვალსაზრისი პრინციპულად შეუთავსებადია მატერიალისტურ მსოფლმხედველობასთან, კერძოდ, მარქსისტულ მატერიალიზმთან, ვინაიდან იდეალური, მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით, მატერიალურის ასახვაა და. მაშასადამე, ადამიანის შინაგანი სამყაროს კუთვნილებაა. შეუძლებელია იდეალურის არსებობა ცნობიერების გარეშე; იგი შეიძლება არსებობდეს ჩვენი ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად (მაგალითად, ქეშმარიტება არის ცნობიერების გარეშე არსებული მატერიალური სინამდვილის ასახვა, მაგრამ ადამიანის ნებისყოფისაგან დამოუკიდებელია და, ამდენად, ობიექტურია), თუმცა არა მის გარეშე. ეს გარემოება ადასტურებს მატერიის ორი ფორმის კონცეფციის სიყალბეს და აჩვენებს, რომ გარეგანი სამყარო — მატერიალური სინამდვილე — ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზე არ დაიყვანება.

გარდა ამისა, თუნდაც არაფერი ვთქვათ მთელ რიგ ბუნებრივ მოვლენებზე (მაგალითად, ძალა, სიჩქარე, აჩქარება, ტემპერატურა, სივრცითი მიმართულებანი, ბუნების კანონები და ა. შ.), რომელთაც არც ნივთიერებისა და არც ველის თვისებები არ მიეწერება, მატერიის ორი ფორმის კონცეფციის უსაფუძვლობა ცხადი ხდება საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზის პროცესშიც. წარმოების წესი, წარმოებითი ურთიერთობანი, ისტორიული კანონზომიერება, იურიდიული და მორალური კანონები და ა. შ. — არც ნივთიერებაა და არც ველი და, მაშასადამე, მათ არა აქვთ არც მატერიის ამ ორი ფორმისათვის დამახასიათებელი თვისებები; მათ არა აქვთ არც მასა, არც განფენილობა, არც სივრცითი მიმართულებანი, არ აღიწერებიან მაქსველის განტოლებებით და ა. შ. მიუხედავად ამისა, ისინი მატერიალური ობიექტების რიცხვს მიეკუთვნებიან და არა იდეალურს (მესამე კი შეუძლებელია). ამრიგად, მატერიის დაყვანა ნი-

<sup>17</sup> С. И. Вавилов, Собр. соч., т. IV, М., 1956, стр. 190.



თიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველზე შეცდომაა; იგი ავიწროვებს მატერიის ცნების შინაარსს და გაუგებარს ხდის მთელი რიგი ისეთი მატერიალური ობიექტების არსებობას, რომლებიც მატერიის ამ ორ ფორმას არ მიეკუთვნებიან. არსებითად რომ ვთქვათ, მატერიის ორი ფორმის კონცეფცია იმეორებს იმ შეცდომას, რასაც კლასიკური მატერიალისტური თვალსაზრისი უშვებდა, როდესაც მატერიასა და ნივთიერებას ერთმანეთთან აიგივებდა.

შეიძლება გვითხრან, რომ მართალია, მთელი გარეგანი სინამდვილე ნივთიერებასა და ველზე არ დაიყვანება, მაგრამ მათთან აუცილებელ კავშირშია და სწორედ ამის გამო, თითქოს შეიძლება ვილაპარაკოთ მატერიის მხოლოდ ორ ფორმაზე: ნივთიერებასა და ველზე; ყველა დანარჩენი მათთან არის დაკავშირებული. ეს მოსაზრება უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან კავშირში ყოფნა იმავე ბუნებისად ყოფნას არ ნიშნავს. თვითონ ნივთიერებისა და ველის კანონები, ცხადია, კავშირშია იმასთან, რის კანონებსაც ისინი წარმოადგენენ, მაგრამ ისინი ერთი და იგივე ბუნებისა როდია; ნივთიერების კანონები არ არიან ნივთიერნი, მიზიდულების კანონი არაფერს არ იზიდავს, ისევე როგორც ელექტრომაგნიტური ველის კანონები ველს არ ქმნის. გარდა ამისა, თვითონ ნივთიერება და ელექტრომაგნიტური ველიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, მაგრამ ისინი მატერიის სხვადასხვა ფორმებს წარმოადგენენ და მათი ერთმანეთზე დაყვანა შეუძლებელია. ამავე უფლებით შეუძლებელია, რომ ყველაფერი, რაც გარეგან სამყაროში არსებობს, მაგრამ ნივთიერებასა და ელექტრომაგნიტურ ველს არ მიეკუთვნება, მატერიის ამ ორ ფორმაზე დაიყვანოთ, ხოლო სხვა ფორმების არსებობა უარყვოთ. მატერიის ცნებამ უნდა მოიცავს ყოველგვარი მატერიალური; ამიტომ შეუძლებელია, რომ მატერიას ისეთი ნიშანი მივაწეროთ, რაც ყველა მატერიალურს არ ახასიათებს. რეალურად და ლოგიკურად მცდარი იქნება მატერიის ცნების ისეთი განსაზღვრება, რომლის გარეთ შეიძლება დარჩეს რაიმე მატერიალური. ასეთი შეცდომაა დამუშავებული მატერიის ორი ფორმის კონცეფციაში, რაც, არსებითად (ლოგიკური შინაარსით), მატერიისა და ნივთიერების იგივეობის კონცეფციის შეცდომის განმეორებას წარმოადგენს. სინამდვილეში არსებობს მატერიის არა მხოლოდ ორი ფორმა: ნივთიერება და ველი, არამედ — მრავალგვარი ფორმა. ერთი სიტყვით, არსებობს მატერიის ფორმების მრავალგვარობა.

19.306

4. მატერიალური სუბსტანციის ატრიბუტის პრობლემა. ახლა საჭიროა გავარკვიოთ, თუ რა არის ის ნიშანი, რომელიც ყველა მატერიალურს თანაბრად მიეწერება, ყველა მატერიალურს მოიცავს, და, მაშასადამე, მატერიის ბუნებას გამოხატავს, მის სპეციფიკას აჩვენებს, მის ატრიბუტს წარმოადგენს? ასეთი ნიშნის პოვნის გარეშე მატერიის ცნების განსაზღვრება შეუძლებელია, ვინაიდან ყოველგვარი განსაზღვრება განსაზღვრების ობიექტის არსების გამოთქმას წარმოადგენს. მატერიის ატრიბუტად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვლიდნენ განფენილობას; კიდევ მეტიც, დეკარტი მატერიასა და განფენილობას ერთმანეთთან აიგივებდა. ამ თვალსაზრისის საფუძვლად ედო ნივთიერებისა და მატერიის იგივეობის მცდარი კონცეფცია. თუ მატერია და ნივთიერება ერთი და იგივეა (ე. ი. თუ მატერია არის სხეული), მაშინ, ცხადია, განფენილობა მისი ატრიბუტი იქნება, ვინაიდან განუფენელი ნივთიერების (სხეულის) ცნება უაზრობას წარმოადგენს; სხეული განფენილია ანუ ნივთიერება განფენილია. მაგრამ ეს თვალსაზრისიც ზემოაღნიშნული მოსაზრებების გამო შეცდომად უნდა

2. „მაცნე“, ფილოსოფიის, ... სერია, 1973, № 1

ქ. მარქსის ს.ხ. ს.ს.რ.  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
ბიბლიოთეკა



ჩაითვალოს. გარეგან სამყაროში (ბუნებასა და საზოგადოებაში) არსებობს ბევრი რამ, რაც არ არის განფენილი, მაგრამ მატერიალურია (ძალა, სიჩქარე, აჩქარება, სხეულთა თვისებები, ბუნებისა და საზოგადოების კანონები და ა. შ.). ამრიგად, **განფენილობა არ შეიძლება მატერიის ატრიბუტად ჩაითვალოს.** იგი ნივთიერების ატრიბუტია, მისი განუყრელი თვისებაა, მაგრამ მატერია ნივთიერებაზე არ დიყვანება; არსებობენ მატერიის ისეთი ფორმებიც, რომლებიც ნივთიერებას არ მიეკუთვნებიან და, მაშასადამე, არაგანფენილია.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ **მატერიის ატრიბუტად არ შეიძლება ჩაითვალოს არც სივრცესა და დროში არსებობა.** თუ არსებობს ისეთი მატერიალური, რომელიც განფენილი არ არის, მაშინ, ცხადია, მის სივრცეში არსებობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ნივთიერება, ცხადია, სივრცესა და დროში არსებობს, ე. ი. განფენილია, მაგრამ ძალა, ენერგია, ბუნებისა და საზოგადოების კანონები, წარმოებითი ურთიერთობანი და ა. შ. არც განფენილია და, მაშასადამე, არც სივრცეში არსებობენ. მაშასადამე, **სივრცის ცნება ვერ მოიცავს ყველა მატერიალურს და, ცხადია, მატერიის ატრიბუტად არ გამოდგება.** მეორე მხრივ, შეუძლებელია ლაპარაკი რეალური კანონზომიერების და სხვა მრავალი მარადიული ობიექტის დროში არსებობის შესახებ, ვინაიდან დროში არსებობა ქმნადობის (წარმოშობა-მოსპობის) მდგომარეობაში ყოფნას ნიშნავს, ხოლო მარადიული სწორედ იმიტომ არის მარადიული, რომ მისი წარმოშობისა და მოსპობის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია.

სივრცე და დრო რომ საერთოდ მატერიალურის სპეციფიკას, მის არსებას არ გამოხატავს იქიდანაც ჩანს, რომ დროში არამატერიალურიც, ე. ი. იდეალურიც არსებობს. ასეთია, მაგალითად, ფსიქიკური განცდები. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით ზოგიერთი მკვლევარი ფსიქიკურს რეალურის სფეროს მიაკუთვნებს და მისგან განასხვავებს ლოგიკურს, რომელიც დროის გარეშეა და, მათი აზრით, იდეალურია. როგორც ვხედავთ, ეს თვალსაზრისი ერთმანეთს უპირისპირებს იდეალურსა და რეალურს. ასეთი დაყოფის საფუძვლად აღებულია დროსა და სივრცეში (განსაკუთრებით დროში) არსებობა. ის, რაც დროში არსებობს (ასეთია არა მხოლოდ გარეგანი საგნები და მოვლენები, არამედ ფსიქიკური მოვლენებიც, რეალურია, ხოლო რაც დროის გარეშეა (ლოგიკურის სფერო) იდეალურია. ამ თვალსაზრისის მთავარი შეცდომა იდეალურისა და რეალურის ერთმანეთისადმი დაპირისპირებაში მდგომარეობს; ნამდვილად კი ერთმანეთს უპირისპირდება არა იდეალური და რეალური, არამედ იდეალური და მატერიალური. ამასთანავე იდეალურს მიეკუთვნება არა მხოლოდ ლოგიკური, როგორც დროის გარეშე არსებული, არამედ ყველაფერი, რაც ჩვენს შინაგან (სულიერ) სამყაროს ეკუთვნის. ამ გაგებით, იდეალურ მოვლენებს მიეკუთვნება ფსიქიკური მოვლენებიც, მიუხედავად მათი დროში დენადობისა. რეალურის (სინამდვილის) ცნება უფრო ფართოა, ვიდრე იდეალურისა და მატერიალურისა, ვინაიდან იგი ორივე მათგანს მოიცავს. რეალურია (ნამდვილია) არა მხოლოდ მატერიალური საგნები და მოვლენები, არამედ — ფსიქიკური განცდებიცა და ლოგიკური ობიექტებიც. ამრიგად, დროში არსებობის საფუძველზე წარმოებული კლასიფიკაცია არაღამაკმაყოფილებელია. **დრო არ არის მატერიალურის სპეციფიკა და, მაშასადამე, მატერიის ატრიბუტად არ გამოდგება.** თვითონ ის ფაქტიც, რომ დროში არსებობს არა მხოლოდ მატერიალური (უფრო ზუსტად — ნივთებრივი), არამედ იდეალურიც (კერძოდ, ფსიქიკური განცდები), იმას ადასტურებს, რომ სივრცესა და დროში არსებობა მატერია-

ლურის არსებას, მის სპეციფიკას არ გამოხატავს; იგი არ არის ის უზოგადესი, უარსებითესი ნიშანი, რომელიც მატერიის ცნების განსაზღვრებისას უნდა გამოიყენებოდეს. როდესაც ამბობენ, რომ სივრცე და დრო არის მატერიის არსებობის ძირითადი ფორმები, მაშინ მატერიის ცნებაში მარტოდენ ნივთიერებას, ან, მასთან ერთად, ველსაც გულისხმობენ და, მაშასადამე, მატერიის ცნებას ავიწროებენ. სივრცე და დრო მართლაც არის ამგვარად გაგებული მატერიის ატრიბუტი, მაგრამ მატერიად ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ნივთიერება (ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნივთიერება და ელექტრომაგნიტური ველი) იგულისხმება, რაც, ცხადია, ზუსტი არ არის.

ზემოთქმული, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნივთიერ მატერიას შეეძლოს სივრცესა და დროის გარეშე არსებობა. ამის მტკიცება გაუგონარი აბსურდი იქნებოდა; ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ მატერიალურია არა მხოლოდ ნივთიერება და ველი, არამედ მთელი რიგი სხვა მოვლენებისა, რომელთაც სივრცის ნიშანი არ მიეწერებათ, ხოლო დროში არსებობენ ისეთი მოვლენებიც, რომლებიც მატერიალური არ არიან. ეს ნიშნავს, რომ სივრცე და დრო მატერიის ატრიბუტად არ გამოდგება; მატერიის ცნების განსაზღვრებამ მატერიის მხოლოდ ესა თუ ის ფორმა (თუნდაც ძირითადი) კი არ უნდა მოიცავს, არამედ ყოველგვარი მატერიალურის ბუნება უნდა გამოხატოს, ყოველგვარი მატერიალურის უზოგადესი და ამასთანავე სპეციფიკური ნიშანი უნდა აჩვენოს; ასეთ ფუნქციებს კი სივრცისა და დროის ცნებები ვერ ასრულებენ.

იგივე შეიძლება ითქვას მასაზე, რომელსაც ხშირად მატერიის ატრიბუტად თვლიდნენ. მასა, თანამედროვე გაგებით, მატერიის ინერციული და გრავიტაციული თვისებების ზომაა; მაგრამ იქ, სადაც ასეთი თვისებები არა გვაქვს, მასაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ერთი სიტყვით, მასა ყველა მატერიალურს არ ახასიათებს. სწორედ ამიტომ მისი ჩათვლა საერთოდ მატერიალურის ატრიბუტად შეუძლებელია. მით უფრო დაუშვებელია მატერიის ატრიბუტად აზროვნებისა და ცნობიერების გამოცხადება; ცნობიერება, მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით, არ არის მატერიის თანდაყოლილი თვისება, არამედ იგი მატერიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვა; ეს ნიშნავს, რომ მატერია არსებობდა ცნობიერების წარმოშობამდეც ანუ მას შეუძლია არსებობა ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. სწორედ ამიტომ მისი ჩათვლა მატერიის ატრიბუტად შეუძლებელია; ამდენად სპინოზა შეცდომას უშვებდა, როდესაც იგი აზროვნებას სუბსტანციის ატრიბუტად აცხადებდა.

ყველაზე მეტად მატერიის ატრიბუტად არსებობის უფლება აქვს მოძრაობას, ვინაიდან იგი ისევე მარადიულია, როგორც მატერია; მოძრაობა მატერიის არსებობის წესია, ე. ი. მატერიას არსებობა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მოძრაობის მდგომარეობაში; აბსოლუტურად უძრავი მატერია არ არსებობს. ამ გაგებით მოძრაობა მართლაც წარმოადგენს მატერიის ატრიბუტს. „მოძრაობა — წერს ფ. ენგელსი — სრულიად ზოგადი აზრით გაგებული ე. ი. გაგებული როგორც მატერიის არსებობის ფორმა, როგორც მატერიის შინაგანად დამახასიათებელი ატრიბუტი, მოიცავს სამყაროში არსებულ ყველა ცვლილებასა და პროცესს, უბრალო ადგილგადანაცვლებიდან დაწყებული აზროვნებამდე“<sup>18</sup>. ამდენად, XVIII საუკუნის ფრანგ მატერიალისტებს გარკვეული საფუძ-

<sup>18</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 60.

ველი ჰქონდათ, როდესაც მოძრაობას მატერიის ატრიბუტად აცხადებდნენ.

მაგრამ თუ ატრიბუტის ცნებას მისი საკუთარი (ვიწრო) მნიშვნელობით ავიღებთ, მაშინ ვნახავთ, რომ **მატერიის ატრიბუტად არც მოძრაობის ჩათვლა შეიძლება**. ატრიბუტი ხომ მატერიის არსების, მისი სპეციფიკის გამოხატველია? ამიტომ მის გარეშე მატერიას არავითარი ფორმით არ უნდა შეეძლოს არსებობა. მაგრამ მოძრაობა ასეთი არ არის. მართალია, აბსოლუტური უძრაობა არ არსებობს (მოძრაობა და უძრაობა ყოველთვის რელატიურია), მაგრამ გარკვეულ მიმართებაში სხეულის უძრაობაზე ლაპარაკი არა მარტო შეიძლება, არამედ აუცილებელიც კია. ერთი სიტყვით, შეიძლება ვილაპარაკოთ მატერიალური სხეულის გარკვეულ მიმართებაში უძრაობის შესახებ. გარდა ამისა, მოძრაობა (ცვალებადობა) მატერიის სპეციფიკას არ გამოხატავს; მოძრაობს (იცვლება) არა მხოლოდ ის, რაც გარეგან სამყაროში იმყოფება, არამედ ცნობიერებისა და ფსიქიკის მოვლენებიც. ეს ნიშნავს, რომ მოძრაობის (ცვალებადობის) მიხედვით მატერიალურსა და არამატერიალურს ერთმანეთისაგან ვერ განვასხვავებთ. ზემოთქმულიდან კი ის გამომდინარეობს, რომ მოძრაობა არ არის მატერიის ატრიბუტი; ეს უკანასკნელი რაღაც სხვაში უნდა ვეძიოთ. მატერიის ატრიბუტი არა მხოლოდ თან უნდა ახლდეს მატერიალურს მის ყოველ მდგომარეობაში, არამედ აგრეთვე მის არსებას, მის სპეციფიკას უნდა გამოხატავდეს; რაც ასეთი არ არის, მისი ჩათვლა ატრიბუტად არ შეიძლება.

ამრიგად, მატერიალური სუბსტანციის ატრიბუტი არ აღმოჩნდა არც განუფენილობა, არც სივრცეა და დროში არსებობა, არც მასა და ა. შ. მაშ, რა არის მატერიის ატრიბუტი, რომელიც თან ახლავს ყოველგვარ მატერიალურს მის ყოველ მდგომარეობაში და მის არსებას, სპეციფიკას გამოხატავს? თუ ასეთი რამ ვერ მოიძებნა, მაშინ მატერიალურ სუბსტანციაზე ლაპარაკი შეუძლებელია და ეს იქნება სწორედ ის, რასაც თანამედროვე იდეალისტები „მატერიის დესუბსტანციალობაცია“ უწოდებენ და რაც, არსებითად, მატერიალისტური მსოფლმხედველობის უფლებამოსილების უარყოფას ნიშნავს. ამ სიძნელიდან გამოსავალს გვიჩვენებს ვ. ი. ლენინის მიერ მატერიის კატეგორიის განსაზღვრება, რომელშიც დასახელებულია მატერიის ატრიბუტი, მისი უარსებითესი ნიშანი, ე. ი. ის, რაც ყოველგვარ მატერიალურს მიეწერება და მის არსებას გამოხატავს. ვ. ი. ლენინი წერს: „მატერია არის ფილოსოფიური კატეგორია იმ ობიექტური რეალობის აღსანიშნავად, რომელიც ადამიანს მოცემული აქვს მის შეგრძნებებში, რომლის ასლს, ფოტოგრაფიას, ანარეკლს ჩვენი შეგრძნებანი იძლევა, რომელიც არსებობს მათ დამოუკიდებლად“. უფრო ქვემოთ ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ „მატერია არის ობიექტური რეალობა, რომელიც შეგრძნებებში გვეძლევა“. ამ განსაზღვრებაში დასახელებულია ორი ნიშანი: ობიექტურობა და შეგრძნებებში მოცემულობა ანუ შეგრძნებადობა. თუ რას ნიშნავს შეგრძნებებში მოცემულობა, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი; ამჟამად კი შევეხებით მატერიის პირველ ნიშანს — ობიექტურობას — რომელსაც ვ. ი. ლენინი აშკარა უპირატესობას ანიჭებს შეგრძნებებში მოცემულობის ნიშანთან შედარებით და მას მატერიის არსებად, მის ყველაზე ფუნდამენტურ ნიშნად თვლის. სწორედ ამიტომ მატერიის ცნების განსაზღვრებას ვ. ი. ლენინი ძირითადად ობიექტურობის ნიშნის მიხედვით აწარმოებს. ეს დასტურდება იმით, რომ ვ. ი. ლენინი არაერთხელ უბრუნდება მატერიის ცნებას და თითქმის ყოველთვის მატერიის ფუნდამენტურ (ზოგჯერ ერთად-



ერთ) ნიშნად ობიექტურობას — ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობას — ასახელებს. „მატერიის ერთადერთი თვისება — ხაზგასმით აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — რომლის აღიარებასთან დაკავშირებულია ფილოსოფიური მატერიალიზმი, არის მისი თვისება ობიექტურ რეალობად ყოფნისა, ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობისა“. სხვა ადგილზე ვ. ი. ლენინი ლაპარაკობს „ობიექტური რეალობის, ე. ი. მოძრავი მატერიის“ შესახებ, რაც არსებითად მატერიისა და ობიექტური რეალობის გაიგივებას ნიშნავს. „მატერიის ცნება — ამბობს ვ. ი. ლენინი — გნოსეოლოგიურად სხვაას არაფერს ნიშნავს, თუ არა ობიექტურ რეალობას, რომელიც ადამიანის ცნობიერების დამოუკიდებლად არსებობს და რომელსაც ეს ცნობიერება ასახავს“<sup>19</sup>. იგივე აზრი გამოთქმულია ყველგან, სადაც ვ. ი. ლენინი მატერიის ცნებას ეხება.

ობიექტურის ცნების ქვეშ სხვადასხვა შინაარსი იგულისხმება. არსებობს ისეთი ობიექტური, რომელიც სუბიექტისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ მის გარეშე არ არსებობს. ასეთია ჭეშმარიტება, რომელიც აზრია, იდეალურია, მატერიალური სინამდვილის ასახვაა. ამ გაგებით ობიექტური შეიძლება იყოს იდეალურიც. მაგრამ არსებობს ისეთი ობიექტური, რომელიც არა მხოლოდ დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, არამედ აგრეთვე მის გარეშეც არსებობს. ასეთი კი მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური შეიძლება იყოს. იდეალურის არსებობა ცნობიერების გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან იგი მატერიალურის ცნობიერის ასახვაა. ასახვა შეიძლება მატერიალურიც იყოს (მაგ., ფოტოსურათი, სარკე და სხვ.), მაგრამ იდეალური ცნობიერებაში არსებული ასახვა ანუ ცნობიერებისეული ასახვაა და, მამასადამე, იგი ცნობიერების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს. როდესაც ვ. ი. ლენინი მატერიასთან დაკავშირებით ობიექტურობაზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს ობიექტურობის სწორედ ეს მეორეგვარი გაგება. ე. ი. ობიექტურობა, როგორც ცნობიერების გარეშე არსებობა. ამ აზრით **ობიექტურობა მატერიის ატრიბუტად, მის ფუნდამენტურ ნიშნად ცხადდება.**

ამრიგად, მოინახა ის ნიშანი, რომელიც ყოველგვარ მატერიალურს აერთიანებს; ეს ნიშანი არ არის არც ნივთიერება და არც განფენილობა, არც მასა და არც მოძრაობა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურად — ცნობიერების გარეშე არსებობა. ვ. ი. ლენინი მატერიის ცნების განსაზღვრების პროცესში არ ასახელებს არც ერთ ტრადიციულად ცნობილ ატრიბუტს (განფენილობა, სივრცესა და დროში არსებობა, მასა, მოძრაობა, აზროვნება და სხვ.), არამედ მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურობას, როგორც ცნობიერების გარეშე არსებობას, რომელიც შეგრძნებებში მოცემულობასთან ერთად, მატერიის ცნების განსაზღვრების საშუალებას იძლევა.

ობიექტურად, ე. ი. ცნობიერების გარეშე არსებობა უშუალოდ დაკავშირებულია ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მატერიალისტურად გადაწყვეტასთან: ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ობიექტურობის ცნების სხვადასხვაგვარი გაგება არსებობს; მაგრამ მატერიის კატეგორიის ლენინურ განსაზღვრებაში ლაპარაკია ობიექტურობაზე ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად არსებობის აზრით. ამგვარად გაგებული ობიექტურობა იდეალურისა და მატერიალურის ფუნდამენტური განმასხვავებელი ნიშანია. იდეალური, მარქსისტული მატერიალიზმის მიხედვით, შეუძლებელია იყოს ამ გაგებით ობიექტუ-

<sup>19</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, გვ. 155, 176, 215, 330—331.

რი, ე. ი. ცნობიერების გარეშე არსებული. იდეალური ცნობიერებაში (ანუ თვითონ ცნობიერებაა იდეალური) და როდესაც მის ობიექტურობაზე ლაპარაკობენ, მაშინ ობიექტურობის ცნებას სულ სხვა აზრით ხმარობენ. მაგალითად, ქვეშაობების ობიექტურობის ქვეშ იგულისხმება არა ცნობიერების გარეშე არსებობა, არამედ ცნობიერების ისეთი შინაარსი, რომელიც სუბიექტის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებელია. ობიექტური როგორც ცნობიერების გარეშე არსებული, მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური შეიძლება იყოს. ამგვარად გაგებული ობიექტურობა იდეალურისა და მატერიალურის ზღვარგამყოფია, მატერიალურის სპეციფიკაა, მისი უარსებითესი ნიშანია, მისი არსია. სწორედ ამიტომ ფილოსოფიის ძირითადი საკითხის (არსისა და აზრის, მატერიისა და ცნობიერების ურთიერთობის საკითხის) მატერიალისტურად გადაწყვეტა მატერიალურის უძირითადეს ნიშნად იმთავითვე ობიექტურობას მიიჩნევს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ყველა მატერიალისტი მატერიის ფუნდამენტურ ნიშნად ობიექტურობას თვლიდა. კიდევ მეტიც, როდესაც ბერკლი მატერიის ცნებას უარყოფდა, მაშინ მის ქვეშ ობიექტურ რეალობას გულისხმობდა. სწორედ ამიტომ ვ. ი. ლენინი ობიექტურ რეალობად ყოფნის თვისებას „ერთადერთ თვისებად“ თვლის, რომლის აღიარებასთან დაკავშირებულია ფილოსოფიური მატერიალიზმი<sup>20</sup>. ობიექტურობა, როგორც ცნობიერების გარეშე არსებობა, მატერიისა და მატერიალურის ყველაზე ფუნდამენტური ნიშანია, მისი ატრიბუტია.

ჩვეულებრივად, მატერიალურის ქვეშ ნივთიერებას გულისხმობენ, მსგავსად იმისა, როგორც მატერიის ქვეშ ნივთიერება ესმით. ეს არის თანამედროვე მეცნიერებით გაუმართლებელი მეტაფიზიკური შეხედულება. თუ ამ ტრადიციულ შეცდომას დავძლევეთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ მატერიასა და მატერიალურში სხვა არაფერი იგულისხმება, თუ არა ობიექტურობა, ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობა. ამდენად მატერიალურობა და ობიექტურობა, ამ შემთხვევაში, ერთმანეთს ემთხვევა. ზემოაქმულიდან გამომდინარეობს, რომ მატერიალურია ყველაფერი, რაც ჩვენი ცნობიერების გარეშე, ე. ი. ობიექტურად არსებობს. ამ გაგებით ძალა, სიჩქარე, აჩქარება, წარმოების წესი, ბუნებისა და საზოგადოების კანონები და ა. შ. ისევე ობიექტურია (ე. ი. ცნობიერების გარეშე არსებობენ) და, მასასადამე, მატერიალურია, როგორც, მაგალითად, მთები, ზღვები, მზე, მთვარე და ა. შ. ამგვარად, **ობიექტურად არსებობა არის ის ნიშანი, რომელიც მატერიის ცნებაში აერთიანებს ყველაფერს, რაც გარეგან სამყაროში იმყოფება.**

მატერიის ცნების ამგვარი გაგება ააშკარავებს იმ იდეალისტური დასკვნების სიყალბეს, რომელთა მიხანს „მატერიის გაქრობის“ დამტკიცება, ე. ი. მატერიის მარადიულობის იდეის უარყოფა წარმოადგენს. ფიზიკაში ცნობილია, რომ პოზიტრონის შეჭახება ელექტრონთან იწვევს ორივე მიკრონაწილაკის გაქრობას და სხივადი ენერჯის (ფოტონების) წარმოშობას. ამ ფაქტს იდეალისტები ხსნიან, როგორც მატერიის ანპილაციას, მის გაქრობას, რაც თითქოს ბოლოს უღებს მატერიის მარადიულობის კანონს. ზემოხსენებული ფიზიკური ფაქტების საფუძველზე „მატერიის გაქრობის“ მტკიცება მხოლოდ და მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც ნივთიერებას მატერიის ერთადერთ ფორმად თვლის. ნამდვილად კი ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთგარდაქმნადობის თვისები-

<sup>20</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, გვ. 330.

დან ასეთი დასკვნები არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარებენ. ფოტონები (სინათლის ქვანტები) ისევე მატერიალურია, ობიექტურად (ცნობიერების გარეშე) არსებობენ, როგორც ელექტრონი ან პოზიტრონი. ეს ნიშნავს, რომ მატერიალურობის ნიშნის მიხედვით მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. სწორედ ამიტომ თუნდაც მართლა აღმოჩნდეს ნივთიერების გადაქცევა ენერგიად და პირიქით, როგორც ამას თანამედროვე იდეალისტები აინშტაინის მასისა და ენერჯის პროპორციულობის კანონის ( $E=mc^2$ ) საფუძველზე ამტკიცებენ, იგი ოდნავადაც კი ვერ დაასაბუთებდა „მატერიის გაქრობის“ იდეას, ვინაიდან ენერგია ისევე მატერიალურია, როგორც ნივთიერება; უფრო ზუსტად, ისინი მატერიის სხვადასხვა ფორმებს წარმოადგენენ.

შეიძლება თქვან, რომ ობიექტურობის ნიშანი მატერიალურსა და იდეალურს ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებს, ვინაიდან ობიექტური იდეალისტები (მაგ. ჰეგელი) იდეალურსაც ობიექტურობის ნიშანს მიაწერენ. ამის შესახებ ის უნდა ითქვას, რომ ამ (ობიექტურობის) ნიშანს გადაწყვეტი ძალა აქვს მატერიალისტური მსოფლმხედველობის ფარგლებში. როდესაც მატერიალიზმის პოზიციებზე ვდგავართ და ვცდილობთ მატერიალურისა და იდეალურის ერთმანეთისაგან განსხვავებას, მაშინ ობიექტურობის, როგორც ცნობიერების გარეშე არსებობის ნიშანი ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს და მატერიალურისა და იდეალურის ერთმანეთისაგან განმასხვავებელ კრიტერიუმად გვევლინება. იდეალიზმსა და მატერიალიზმს კი ერთმანეთისაგან, როგორც ცნობილია, ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაწყვეტის ხასიათი განსაზღვრავს.

სრულიად ყალბად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი თანამედროვე იდეალისტის (მაგ., ი. დე ფროზის) მტკიცება, თითქოს მატერიალიზმის ძირითადი თეზისი მდგომარეობდეს სივრცესა და დროში არარსებული რეალობის უარყოფაში<sup>21</sup>. თანამედროვე მატერიალიზმის (კერძოდ, დიალექტიკური მატერიალიზმის) ამგვარი ინტერპრეტაცია მის სრულ გაყალბებას, მისი ძირითადი არსის გაუგებრობას ნიშნავს. ზედმეტია იმისი მტკიცება, რომ დიალექტიკურ მატერიალიზმს სრულიად არ დაჰყავს მთელი სინამდვილე სივრცესა და დროში არსებულზე. არც ისაა მართალი, რომ თითქოს დიალექტიკური მატერიალიზმი სივრცეში არსებობას მატერიის სპეციფიკად თვლის, ხოლო სივრცეში არარსებულს არამატერიალურად (ე. ი. იდეალურად) თვლის. ეს არის მატერიალიზმის დამახინჯება, მისი ვულგარიზაცია, დაყვანა ვულგარულ მატერიალიზმზე.

მატერია გრძნობად-კონკრეტული საგნებისაგან მატერიალურობის ნიშნის აბსტრაქციას წარმოადგენს და ამდენად იგი ზოგადია, კონკრეტული სახით არ არსებობს. „მატერია, როგორც ასეთი, — წერს ფ. ენგელსი, — აზრის წმინდა ქმნილება და აბსტრაქცია. ჩვენ განვაცენებთ ნივთიერების თვისებრივ განსხვავებებს, როდესაც ჩვენ მათ, როგორც სხეულებრივად არსებულთ, გავაერთიანებთ მატერიის ცნებაში. მამასადამე, მატერია, როგორც ასეთი, გარკვეულთ, არსებული მატერიებისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს რაღაც გრძნობად არსებულს“<sup>22</sup>. მატერია არ არსებობს ცალკეული მატერიალური სხეულების გარეშე: „მატერია როგორც ასეთი და მოძრაობა როგორც ასეთი ჯერ კიდევ არავის არ უნახავს და არავის განუცდია რაღაც სხვა გრძნობადის სახით... ნივთიერება, მატერია სხვა არა არის რა, თუ არა ნივთიერებათა ერთობ-

<sup>21</sup> I. De Vries, *Materie und Geist*, München-Salzburg, 1970.

<sup>22</sup> ფ. ენგელსი, *ანტი-დუიერიზმი*, გვ. 454.



ლიობა, რომლიდანაც აბსტრაქტიზებულია ეს ცნება... ისეთი სიტყვები როგორცაა „მატერია“ და „მოძრაობა“ სხვა არაფერია, თუ არა შე მოკლე ბანი, რომლითაც ჩვენ მოვიცავთ სხვადასხვა გრძობად აღქმად უამრავ ნივთებს მათი საერთო თვისებების შესაბამისად. მატერია და მოძრაობა სხვანაირად არ შეიძლება შემეცნებულ იქნას, თუ არა ცალკეულ ნივთიერებათა და მოძრაობის ფორმათა გამოკვლევის გზით და რამდენადაც ჩვენ ამ უკანასკნელთ შევიწყნებთ, ამდენადვე შევიმეცნებთ აგრეთვე მატერიასაც და მოძრაობასაც როგორც ასეთებს<sup>23</sup>.

სწორედ ამიტომ პოზიტივისტები და ყველა ტიპის სუბიექტური იდეალისტები (მაგ., ბერკლი) ღრმა შეცდომას უშვებენ, როდესაც მატერიას იმის გამო უარყოფენ, რომ იგი შეგრძნებაში არ გვეძლევა, გრძობად-კონკრეტული სახით არ არსებობს. კონკრეტულ ფორმაში მატერიის არსებობას არაფერ არ ამტკიცებს. მატერია, როგორც აბსტრაქცია, არ შეიძლება გრძობადი იყოს.

მაგრამ მატერია, მიუხედავად ზოგადობისა, მაინც გრძობადია, რაღაცდაგვარად (თუმცა არა უშუალოდ) შეგრძნებებში გვეძლევა. „მატერია, — ამბობს ვ. ი. ლენინი, — არის ობიექტური რეალობა, რომელიც შეგრძნებებში გვეძლევა“<sup>24</sup>. შეგრძნებებში მოცემულობა მატერიის აუცილებელი ნიშანია, ვინაიდან მის გარეშე მატერიის შემეცნებადობაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. ვ. ი. ლენინი მატერიის ამ ნიშანს ხაზს უსვამს სწორედ აგნოსტიციზმის წინააღმდეგ. მატერია შემეცნებადია, მისაწვდომია ჩვენი ცნობიერებისათვის. მაგრამ ეს, ცხადია, სრულიადაც არ უარყოფს მატერიის ზოგადობას, რომლის შესახებ ფ. ენგელსი მიუთითებს და არაფითარ შემთხვევაში არ ამტკიცებს მის გრძობად-კონკრეტულ არსებობას. როდესაც ვ. ი. ლენინი მატერიის შეგრძნებებში მოცემულობის შესახებ ლაპარაკობს, ამ შემთხვევაში მას მხედველობაში აქვს კონკრეტული საგნებისა და მოვლენების შეგრძნებადობა და არა „მატერია, როგორც ასეთი“, ვ. ი. მატერია როგორც აბსტრაქცია, რომელიც, ცხადია, არ შეიძლება უშუალოდ გრძობადი იყოს. მატერია მატერიალური საგნებისა და მოვლენების სახით გრძობადია, შეგრძნებებში გვეძლევა, რომლის ასლს, სურათს, ანარეკლს ჩვენი შეგრძნებანი იძლევა.

მართალია, ყველაფერი ის, რაც ობიექტურად არსებობს და, მაშასადამე, რასაც მატერიალურობის ნიშანი მიეწერება (მაგ., ბუნებისა და საზოგადოების კანონები, წარმოების წესი, წარმოებითი ურთიერთობანი და ა. შ.) უშუალოდ შეგრძნებებში არ გვეძლევა, მაგრამ ამის საფუძველზე შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ თითქოს ისინი პრინციპულად ზეგრძობადია, მიუწვდომელია გრძობადი დაკვირვებისათვის. უშუალოდ შეგრძნებებში მხოლოდ და მხოლოდ მოვლენები გვეძლევა და არა მათ საფუძველად მდებარე კანონებიც. კანონის შემეცნება ზოგადის შემეცნებაა, რომელიც აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე ხორციელდება, აზროვნება კი „ცოცხალი განჭვრეტის“, ვ. ი. გრძობადი შემეცნების ბაზაზე მუშაობს. ვ. ი. ლენინი შემეცნების გზას ახასიათებს როგორც გზას „ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე და მისგან პრაქტიკაზე“<sup>25</sup>. აზროვნებას არა აქვს აპრიორული პრინციპები, არამედ მთელი მისი შინაარსი ემპირიული წარმოშობისაა. რეალური ზოგადის (მაგ.,

<sup>23</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 246.

<sup>24</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, გვ. 176.

<sup>25</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 38, გვ. 167.

ბუნების კანონების) შემეცნება აზროვნების საშუალებით სრულდება შეგრძნებებში მოცემული მასალის ლოგიკური გადამუშავების საფუძველზე და ამდენად მთელ ჩვენს ცოდნას ემპირიული წარმოშობა აქვს. შეგრძნებებში გვეძლევა არა კანონები (ან, საერთოდ, ზოგადი), არამედ მხოლოდ და მხოლოდ მოვლენები, რომლებიც გრძნობად-კონკრეტულობით ხასიათდებიან; მაგრამ კანონის შემეცნება შეგრძნებებში მოცემული მასალის საფუძველზე ხორციელდება და ამდენად კანონიც (ცხადია, გაშუალებით) დაკვირვებადია, შეგრძნებადია<sup>26</sup>. მაშასადამე, შეგრძნებებში მოცემულობა პრინციპულად ყოველგვარი მატერიალურის ძირითადი ნიშანია.

ასე უნდა გვესმოდეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მატერიის, როგორც სუბსტანციის, შესახებ.

С. Ш. АВАЛИАНИ

## ЧТО ТАКОЕ МАТЕРИЯ КАК СУБСТАНЦИЯ?

(Резюме)

В работе доказывается, что: 1. Концепция двух форм материи несостоятельна; 2. Материальными являются не только вещество и поле, но все, что находится вне сознания, т. е. объективно; 3. Поэтому существует множество форм материи; 4. Протяженность, пространство и время, движение и т. д. не являются атрибутами материальной субстанции; таким атрибутом следует считать лишь объективность, как существование вне и независимо от сознания; 5. Объективность есть «единственное свойство материи, с признанием которой связан философский материализм» (В. И. Ленин).

<sup>26</sup> ამის შესახებ ვრცლად იხ. С. Ш. Авалиани, Очерки философии естествознания, Тб., 1968; гл. VI; იხ. აგრეთვე—С. Ш. Авалиани, Предмет марксистской онтологии, კრებულში: О предмете философии, Тб., 1973,

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

## გილა სხარულიძე

## ობიექტური ჭეშმარიტების ფარდობითობის, აბსოლუტურობისა და კონკრეტულობის საკითხისათვის

როგორც ცნობილია, ობიექტური ჭეშმარიტება ხასიათდება კონკრეტულობით, აბსოლუტურობითა და ფარდობითობით. ეს თვისებები ავლენენ ჭეშმარიტების სხვადასხვა მხარეს და გვიჩვენებენ შესამეცნებელი ობიექტისაკენ აზრის მოძრაობის პროცესის ძირითად მომენტებს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ აზრი არ უნდა წარმოადგენდეს მკვდარ უძრავობას! წინამდებარე სტატია ეძღვნება ამ რთული პროცესის — ტრანსცენდენტური სინამდვილის შემეცნების პროცესის — ანალიზს, რომლის დროსაც ადგილი აქვს ობიექტურ სინამდვილესთან აზრის უსასრულო მიახლოებას.

თავის დროზე არისტოტელე წერდა — „იმიტომ კი არა ხარ შენ თეთრი, რომ ჩვენ სწორად გვგონია შენ თეთრად, არამედ — იმიტომ, რომ შენ თეთრი ხარ, ჩვენ, ამის მამტიკელები, სწორნი ვართ“<sup>1</sup>. მას შემდეგ ჭეშმარიტება ან მცდარობა ითვლებიან აზრის თვისებებად, ისინი გამოხატავენ ჩვენი წარმოდგენების სინამდვილესთან ურთიერთობის ხასიათს; მაგრამ, რადგანაც ჭეშმარიტების ასეთი გაცემა მოიცავს განუსაზღვრელობის გარკვეულ მომენტს, ამის გამო სხვადასხვა დროს ყალიბდებოდა ესა თუ ის ფილოსოფიური მიმართულება, — იმისაგან დამოკიდებულად, თუ რა აზრით იყო გაცემალი ყოფიერება და რა იგულისხმებოდა ჩვენს წარმოდგენებში. მაგალითად, კანტის ფილოსოფიაში ჭეშმარიტება ნიშნავს აზროვნების თავის თავთან თანხედენას. კანტს მსჯელობა ჭეშმარიტად მიაჩნია იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელს ახასიათებს აუცილებლობა და საყოველთაოობა. მაგრამ ამ აუცილებლობასა და საყოველთაოობას გააჩნია ემპირიული განზოგადებისაგან სრულიად განსხვავებული საფუძველი, ორივენი ეყრდნობიან აპრიორიზმს; ასე რომ, თუ მსჯელობა ვაიაზრება მკაცრი საყოველთაოობით, მაშინ იგი ცდიდან კი არ გამოიყვანება, არამედ მას აბსოლუტურად a priori ძალა აქვს<sup>2</sup>. კანტის აზრით, ამ აპრიორულობას საფუძველად უდევს ტრანსცენდენტალური ცნობიერების ფორმალური ორგანიზაციის სპეციფიკურობა. ჭეშმარიტების მსგავს სუბიექტივისტურ გაგებას შემდგომ ეხედებით მახთან და ავენარისთან, რომლებთანაც ჭეშმარიტება გამოიხატება შეგრძნებათა ყველაზე მარტვ, ეკონომიურ ურთიერთშეთანხმებაში, ისინი თავიანთ გნოსეოლოგიას წარმოადგენენ როგორც გარემოსადმი ეკონომიურ-ბიოლოგიურ შეგუებას.

ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფის ფორმები მრავალნაირია, მაგალითად: კონვენციონალიზმის ტიპის (პუანკარე, კარნაპი) მიაჩნიათ, რომ ჭეშმარიტება არის ერთი ცოდნის მეორესთან შეთანხმება წინააღმდეგობის გამორიცხვის კანონის საფუძველზე, ისინი ჭეშმარიტებას აიგივებენ ფორმალურ-ლოგიკურ სისწორესთან; თუმცა, — როგორც ვიცით, — ფორმალურ-ლოგიკური სისწორე წარმოადგენს ჭეშმარიტების აუცილებელ, მაგრამ არა საკმარის პირობას; მიუხედავად ამისა, თანამედროვე ლოგიკური პოზიტივიზმის ფუძემდებელი ვიტგენშტეინი, პუანკარეს პოზიციის უკიდურეს

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 176—177.

<sup>2</sup> Аристотель, Метафизика, М.Л., 1934, стр. 162.

<sup>3</sup> Кант И. Критика чистого разума, СПб, 1907, стр. 26.



სუბიექტივიზმამდე დაყვანისას აცხადებს, რომ „სამყარო არის ფაქტებისა და არა ნივთების ერთობლიობა“, რომ „ფაქტები ლოგიკურ სივრცეში წარმოადგენენ სამყაროს“.

აიგივეებს რა ლოგიკურ კონსტრუქციებში იდეალურსა და მატერიალურს, პოზიტივისტები ამით შლიან ყოველგვარ ზღვარს მათ შორის. რაც შეეხება ტრანსცენდენტური სამყაროს არსის პრობლემას, — ვიტგენშტეინი წერს: „ჩვენ საერთოდ არ შეგვიძლია ვუპასუხოთ ასეთი ხასიათის კითხვებს, ისინი მცდარნი კი არა, უაზრობი არიან და ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მათი უაზრობის დადგენა“. პოზიტივიზმში სრულიად უგულებელყოფის საზოგადოებრივ პრაქტიკას, რომელიც კეჰმარტივების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს, გრანობადი მოვლენები (რომლებზედაც დამყარებულია ემპირიზმისა და ვერიფიკაციის პრინციპები) და აზრები განსაზღვრავენ მეცნიერული თეორიის კეჰმარტივებას. პოზიტივისტებისათვის ფილოსოფიის ერთადერთი არსი წარმოადგენს ენათა ლოგიკური ანალიზი და მეცნიერული წინადადებების ფორმალური გარდაქმნები. ისინი ამტკიცებენ, რომ ფილოსოფოსი აღარ უნდა „გავიდეს“ გარე სამყაროში, მათი აზრით, ყოველი საკითხი სამყაროს არსის შესახებ (ე. ი. ყოფიერების თეორია) წარმოადგენს მეტაფიზიკას. ვიტგენშტეინი წერს, რომ, მართალია, სექსტიციზმში არ უარყოფა, მაგრამ აშკარად უაზრობაა, რადგან იგი ეჭვს გამოხატავს იქ, სადა კითხვის დასმაც კი შეუძლებელია, „როდესაც არ შეიძლება ლაპარაკი, უნდა გავჩუმდეთ“ — ამბობს იგი. ამ აკრძალულ არეში ზედება მთელი ონტოლოგიური პრობლემატიკა, რაც შეეხება გნოსეოლოგიას, ძნელი არაა დანახვა, რომ მთელი პოზიტივისტური ფილოსოფია, რომელიც გვთავაზობს ფარდობითობის წმინდა სუბიექტივისტურ ვაგებას და ამის გამო მიღის აბსოლუტურ რელატივიზმამდე, — ეს არის ჩვენთვის კარგად ცნობილი „სასარგებლო ორიენტირება სინამდვილეში“, „გარემოსთან ეკონომიური შეგუება“, ბუნების „გასაღებების“ ძიება; ეს არის სწრაფვა — ვიცოდეთ, რათა ვიწინასწარმეტყველოთ ობიექტური კანონზომიერების არსებობისა და მისი შეშეცნების შესაძლებლობის ყოველგვარი რწმენის გარეშე, — რაც გვხვდებოდა კონტან, მახთან, ადენარისტთან, ჯემსთან, დიუსთან და სხვა. პირველადია არა საგანთა სამყარო, არამედ ენა და ყოველ ადამიანს შეუძლია აირჩიოს ისეთი ენა, რომელიც მას მოსწონს, — ამტკიცებს კარნაპი, რომლისთვისაც საგანთა სამყაროს აღიარება ნიშნავს მხოლოდ გარკვეული ფორმის ენის მიღებას; მაგრამ, თუ კი რომელიმე ადამიანი აირჩევს საგანთა ენას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მან იწამა ამ საგანთა რეალურობა ონტოლოგიური აზრით. საგანთა რეალურობის ერთადერთი ვაგება, კარნაპის აზრით, მდგომარეობს შესაძლებლობაში, რომ აღებული საგანი კარკასის ფაქტების მიხედვით ჩაირთოს საგანთა სიმრავლის სისტემაში ამ საგნებთან გარკვეული დროულ-სივრცული მიმართებობა: „ფიზიკოსი, რომელიც სარგებლობს აბსტრაქტული ცნებებით, მაგრამ ერიდება მათ თავისი ფილოსოფიური ნომინალისტური შეხედულებების გამო, ილაპარაკებს ყველა ამ საკითხზე შეწყუებული სინდისით როგორც ადამიანი, რომელიც თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში სინდისის ქეჩნით აკეთებს ბევრ ისეთ რამეს, რაც არ შეესაბამება მალა მორალურ პრინციპებს, რომლებსაც იგი აღიარებს კვირის წირვაზე“.

ლოგიკურ-მათემატიკური მსჯელობა, ერთადერთი, რომელსაც პოზიტივიზმი მკაცრ აუცილებლობასა და საყოველთაოობას მიაწერს, განისაზღვრება მათი აზრით, არა ჩვენს გარეშე არსებული ობიექტური სიტუაციებით, არამედ — მეცნიერთა შორის ცნებებისა და მათი მნიშვნელობების შეთანხმებით მიღების საფუძველზე. ემპირიული მსჯელობა, რომელიც ეყრდნობა ვერიფიკაციის პრინციპს და რომლის კეჰმარტივების საკითხს წყვეტს ფაქტ-ვერიფიკატორის არსებობა<sup>4</sup>, საბოლოო ჯამში, თავისი არსებით, კონვენციონალური ხასიათისა აღმოჩნდა. შემდგომ, ვერიფიკაციის პრინციპის წინაშე შექმნილ უხერხულობათა დასაფარავად, კ. პოპერმა შემოიღო ფალსიფიკაციის ცნება და ჩამოაყალი-

<sup>4</sup> Витгенштейн Л., Логико-философский трактат, М., 1958, 1, 2, 19. 4. 112. 6. 51. 7.

<sup>5</sup> Карнап Р., Значение и необходимость, М., 1959, стр. 287—304, 320.

<sup>6</sup> Рассел, Человеческое познание, ИЛ, М., 1957, стр. 178—183.

ბა ახალი პრინციპი ამავე სახელწოდებით<sup>7</sup>. დარჩა რა აბსოლუტური რელატივიზმის პოზიციაზე, პოპერმა განაცხადა, რომ ფაქტთა ნებისმიერ აღწერას საბოლოო ჯამში მივყავართ მცდარობისაკენ, ასე, რომ თვით საყოველთაო, მეცნიერული მსჯელობაც კი, ამ აზრით, წარმოადგენს სიმცდარეს. ძნელია დაუჭიროთ, რომ აბსოლუტური რელატიურობა, რომელსაც გვათავაზობს პოზიტივიზმი, აგნოსტიციზმის სრულიად ახალ ფორმას წარმოადგენს.

„მატერიალიზმი რომ განვაფიქროთ, უნდა შეგვეძლოს დიალექტიკურად დავსვათ და გადავწყვიტოთ საკითხი აბსოლუტური და ფარდობითი ქეშმარიტების ურთიერთობის შესახებ“, — წერდა ლენინი<sup>8</sup>. პოზიტივიზმი არა ცდილა ამ ურთიერთობის დიალექტიკის გარკვევას; აღიარეს რა ფარდობითობის მთლიანი სუბიექტურობა, პოზიტივისტებმა სრულიად უგულვებელყვეს ჩვენი ცოდნის ობიექტური სტატუსი. ეს პოზიცია თავისებურად აქვს გამოთქმული ინგლისელ ფიზიკოსსა და „ფიზიკური იდეალიზმის“ მნიშვნელოვან წარმომადგენელს ა. ს. ედინგტონს: „უცნობის“ ნაპირებზე ჩვენ წააწყვდით სრულიად უჩვეულო ნაკვალევს; იმისათვის, რომ აგვეხსნა მისი წარმოშობა, ზედიზედ შევექმენით უამრავი რთული თეორია და საბოლოოდ, როდესაც შევეძელით იმ არსების რეკონსტრუირება, რომელსაც ეკუთვნოდა ნაკვალევი, აღმოჩნდა, რომ ეს ჩვენ თვითონ ვართ<sup>9</sup>. ჩვენი აზრით კი, ის, რაც მეცნიერებმა მიიღეს რეკონსტრუქციის შემდეგ, არის ობიექტური, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილე, რომელიც გვეძლევა ჩვენ არა მხოლოდ პასიური ჰერეტიკის ობიექტის სახით, არამედ როგორც კაცობრიობის გრძნობადი მოქმედება და საზოგადოებრივი სუბიექტის პრაქტიკა. ობიექტის განხილვა სუბიექტის მოქმედებებისაგან სრულიად დამოუკიდებლად წარმოადგენს მარქსამდელი მატერიალიზმის ერთ-ერთ ძირითად ნაკლს. აქედან შემდგომ წარმოდგა ის, რომ ქმედითი მხარე, მატერიალიზმის საპირისპიროდ, განვითარდა იდეალიზმში<sup>10</sup>.

იდეალიზმმა, მოახდინა რა სუბიექტის აქტივობის იდეის აბსოლუტიზაცია, წარმოიდგინა იგი მხოლოდ როგორც ცნობიერების შემოქმედებითი ქმედება. მატერიალისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე კი სუბიექტის აქტივობის საკითხის სწორი ანალიზი პირველად მოგვცა მარქსმა. ამ საკითხის შემდგომ განვითარებას ვხვდებით ვ. ი. ლენინის შრომებში. ჩვენი შეგრძნებები, ჩვენი ცნობიერება არის ობიექტური სამყაროს სუბიექტური სახე. ხოლო ადამიანთა საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკული მოქმედება, რომლის დროსაც ადამიანი სახეს უცვლის ჩვენს ირგვლივ არსებულ სინამდვილეს, წარმოადგენს ჩვენი ცოდნის ობიექტურობის ძირითად კრიტერიუმს. სუბიექტის პრაქტიკული მოქმედების დროს საგანთა თვისებები არა მარტო აისახებიან ცნობიერებაში, არამედ იცვლებიან, გარდაიქმნებიან და მატერიალური სინამდვილე თანდათან იქცევა ადამიანურ გარემოდ. ადამიანს ინტერესებს არა ბუნება თვითონ, როგორც ასეთი, არამედ ბუნება, როგორც ადამიანის გრძნობად-მატერიალური პრაქტიკული მოქმედების ობიექტი<sup>11</sup>. საზოგადოებრივი

<sup>7</sup> Popper K. — Philosophy of Science, British Philosophy in the Mid-Century. A. Cambridge Symposium, London, 1957.

<sup>8</sup> Л е н и н В. И., Материализм и эмпириокритицизм, 1963, стр. 117—118.

<sup>9</sup> Семеновский С. Ю., Диалектический материализм и принципы относительности, М., 1959, стр. 61.

<sup>10</sup> Маркс, Тезисы о Фейербахе, К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. 9, стр. 1.

<sup>11</sup> Маркс К. Энгельс Ф., Немецкая идеология, соч. т. 3, стр. 42.

ყოფიერების საზოგადოებრივ ცნობიერებაში ასახვა წარმოადგენს ყველაზე რთული სახის ურთიერთქმედების შედეგს, რომელიც საზოგადოების ბუნებასთან ურთიერთმოქმედებაში გამოიხატება. შემეცნების პროცესი ორგანული ნაწილია ისეთი რთული და თავისებური პროცესისა, როგორცაა შრომითი პროცესი, შემეცნების პროცესი იზადება უშუალოდ პრაქტიკულ მოთხოვნილებათა სფეროში და, წარმოადგენს რა მიზანდასახულ პროცესს, აღნიშნული მიზნის მიხედვით აღიქვამს არსებულ სინამდვილეს.

იდეალურისა და მატერიალურის დიალექტიკური ურთიერთობის საკითხის გარკვევა მარქსისტული ფილოსოფიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. დღეისათვის თანამედროვე მეცნიერული შემეცნების თეორიებისა და მეთოდების შესწავლას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იდეალისტური და მეტაფიზიკური კონცეფციები არაერთგზის ეწეოდნენ სპეკულაციას მეცნიერული ცოდნის დამახინჯებელი სახით წარმოადგენის საფუძველზე. აგნოსტიკოსები, გამოდიოდნენ რა აბსოლუტური რელატივიზმის პოზიციებიდან, ახდენდნენ უახლესი მეცნიერული მიღწევების თავიანთ სასარგებლო ინტერპრეტირებას, რის დროსაც უარყოფდნენ კეშმარიტების ობიექტურ ხასიათს. ყოველი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ბუნებისმეტყველებაში წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი დებულებების დადასტურებას, მაგრამ „ყოველი ეპოქალური აღმოჩენის დროს მატერიალიზმმა აუცილებლად უნდა შეიცვალოს ფორმა“<sup>12</sup>. „ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ამ აღმოჩენებიდან გამომდინარე გნოსეოლოგიური დასკვნები“<sup>13</sup>, — წერდა ვ. ი. ლენინი.

ჩვენს დროში, რევოლუცია შეეხო მეცნიერების ყველა სფეროს, მატერიალისტური დიალექტიკის შემოქმედებითი განვითარების პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა. მატერიალიზმის ფორმის შეცვლა — მისი ძირითადი დებულებების შენარჩუნებით, კატეგორიათა შინაარსობრივი მხარის გადასინჯვა — მათი მნიშვნელობათა დაზუსტების მიზნით, არის მთავარი, რაც საჭიროა ბუნებისმეტყველებაში პოზიტივისტური აზრების გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად. მხოლოდ ფილოსოფოსთა და ბუნებისმეტყველთა მჭიდრო კავშირის საფუძველზეა შესაძლებელი მეცნიერული თეორიების სინამდვილესთან მიმართების საკითხის სერიოზული ანალიზი. ამ საკითხის გარკვევა ხელს შეუწყობს შემეცნებელი სუბიექტის აქტივობის როლის ზრდის სწორ გაგებას და დაეხმარება მეცნიერებს თავი დააღწიონ პოზიტივიზმის გავლენას.

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად მეცნიერული ცოდნა ბუნების მოვლენათა შესახებ გამუდმებით იცვლება. ადამიანს არ შეუძლია ერთბაშად დაინახოს დასაკვირვებელი ობიექტის ყველა მნიშვნელოვანი მხარე და მოგვეცეს მასზე ერთიანი, აბსოლუტური წარმოდგენა. მაგრამ დროთა განმავლობაში შემთხვევითი, არაარსებითი, მოჩვენებითი მომენტები ქრებიან და ჩვენი ცოდნა იღებს უფრო და უფრო სრულყოფილ ფორმებს. ასე, მაგალითად: დროსა და სივრცეზე ევკლიდურ წარმოდგენათა ან მოძრაობის კლასიკური გაგების ფორმირება ხდებოდა საუკუნეების მანძილზე თაობათა მიერ. ადრეულმა ექსპერიმენტულმა მასალამ შექმნა საფუძველი კლასიკურ თეორიათა აბსოლუტიზმისათვის, შექმნა აზრი მათი უზადო სრულყოფილების შესახებ, მეორე მხრივ, მეცნიერული პროგრესი ნიშნავს ძველი ცოდნის ახალ მოვლენებზე

<sup>12</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. т. 21, стр. 286.

<sup>13</sup> Ленин В. И., Собр. соч. т. 18, стр. 266.



გავრცობას, მეცნიერება ცდილობს ჰქონდეს წინხედვის უნარი, შექმნას წარმოდგენები სინამდვილის ჭერ შეუსწავლელ სფეროებზე. ძველი ცოდნის ასეთი განზოგადებების შედეგად აღმოჩნდა, რომ ისეთი კანონებიც კი, რომელნიც ძალიან დიდხანს სწორ, ჭეშმარიტ კანონებად ითვლებოდნენ, გარკვეული მომენტიდან აღარ არიან ტრანსცენდენტური სინამდვილის ამა თუ იმ არის. კანონზომიერების ადექვატურნი, ასე გამოჩნდა პირველად ნიუტონის ფიზიკისა და ევკლიდეს გეომეტრიის გამოყენების საზღვრები. ამრიგად, ტრანსცენდენტური სინამდვილის იდეალური სახე შეიძლება, ერთი მხრივ, მოიცავდეს თავის თავში მცდარობის მომენტს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი განსაზღვრული იყოს ჩვენს ირგვლივ არსებული ობიექტური ფარდობითობის სპეციფიკით. მართალია, მცდარობის მომენტი ბუნების მოვლენათა შესწავლის პროცესში თანდათანობით იხსნება და ადგილს უთმობს შესასწავლი კანონზომიერების ადექვატურ ასახვას, მაგრამ შემეცნებას არ შეუძლია აბსოლუტურად გამორიცხოს ობიექტური ჭეშმარიტების ძიების გზაზე მცდარობის მომენტის პერიოდული გამოვლენა, რადგან ცნობიერებაში სინამდვილის ასახვა არა ხდება ერთბაშად, ეს პროცესი რთული და წინააღმდეგობრივია. რაც შეეხება შემეცნების პროცესში ობიექტური ფარდობითობის გამოვლენას, ამ საკითხს ჩვენ შევხვებით უფრო დეტალურად. უკვე დიდი ხნიდან შეიმჩნევა, რომ ობიექტური ფარდობითობა წარმოადგენს ტრანსცენდენტური სამყაროს განსაკუთრებულ სპეციფიკურობას, ე. ი. შეიმჩნევა, რომ არსებული ობიექტური პირობებისაგან დამოკიდებულებით ხდება მატერიის არსებობის ამა თუ იმ ფორმის სისტემურ-სტრუქტურული თავისებურების ფორმირება.

სინამდვილის შემეცნების კლასიკურ ეტაპზე უჩვეულო იყო ბუნებაში ობიექტური ფარდობითობის არსებობის აღიარება. მეცნიერები ყოველნაირად ცდილობდნენ აბსოლუტების არსებობის რწმენის შენარჩუნებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკვე ნიუტონი გრძნობდა სიძნელებს აბსოლუტური დროისა და სივრცის განსაზღვრებაში. მართლაც არავის შეეძლო წარმოედგინა, თუ რას უნდა ნიშნავდეს თანაბარი მოძრაობა თავისთავად სხვა რომელიმე პროცესთან მისი შედარების გარეშე. ასე, რომ უკვე კლასიკურ ფიზიკაში შეუძლებელია არ ვიგრძნოთ, რომ აბსოლუტურად თანაბარი მოძრაობის ცნება არის რაღაც მეტაფიზიკური და სარგებლობის ნაკლებად მომტანი. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად და დროისა და სივრცის აბსოლუტურობისათვის რაიმე მნიშვნელობის მისაცემად ნიუტონმა გამოიყენა არისტოტელეს ფიზიკის ზოგიერთი მომენტი, მაგრამ დღეისათვის უკვე კარგადაა ცნობილი, რომ ნიუტონმა თავის თეორიაში თეოლოგიური მომენტის შეტანით მხოლოდ დროებით დაფარა კლასიკური მექანიკის გამოყენების საზღვრები და ბოლომდე დარჩა მეტაფიზიკურ პოზიციებზე.

პირველად მახმა აღნიშნა ყოველგვარი აბსოლუტის არსებობის დაშვების უსაფუძვლობა. მაგრამ ეცადა რა თავი დაეღწია ნიუტონისეული მეტაფიზიკურობისათვის, მათი გადავიდა მეორე უკიდურესობაში: აღიარა შემეცნების აბსოლუტური ფარდობითობა და დარჩა ავსოსტიკოსად გნოსოლოგიაში. ამრიგად, ნიუტონისათვის დრო და სივრცე ობიექტურად აბსოლუტური იყო, კანტმა ისინი წარმოიდგინა როგორც ცნობიერების აბსოლუტური აპრიორული ფორმები ანუ ვადაიტანა „აბსოლუტთა“ არსებობა ტრანსცენდენტალურ არეში, ხოლო მახმა დრო და სივრცე ფიქციებად გამოაცხადა, რითაც დაკარგა ყოველგვარი რაციონალური კლასიკური მექანიკის მეტაფიზიკური გაგების კრიტიკის პროცესში და ამით საფუძველი მოუშადა თანამედროვე პოზიტივიზმს. ეს უკანასკნელი ფიქრობს, რომ გარეშე სამყაროს მიერ რელატიურობის ნებისმიერი გამოვლენა არის მიღწევა მხოლოდ სემანტიკის სფეროში.

კლასიკური ფიზიკა აღწერს სხეულთა მექანიკურ მოძრაობას, მასში პირველად იღებენ მკაცრ რაოდენობრივსა და თვისებრივ ფორმებს ობიექტურ კანონთა ბუნდოვანი თვისებრივი წარმოდგენები. ნიუტონის ფიზიკის საფუძველს წარმოადგენს ინერციის კანონი, იგი გვეუბნება, რომ ნებისმიერი სხეული, თუ მასზე არ მოქმედებენ გარეშე ძალები, იმოძრაევენ თანაბრად და სწორხაზოვნად. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს კანონი თავისთავად ცხადია: ისეთი ცნებები როგორცაა — „სწორხაზოვანი მოძრაობა“, „მოძრაობა მუდმივი სიჩქარით“ ან „სხეული, რომელზედაც გარეშე ძალები არ მოქმედებენ“ — მოითხოვენ სპეციალურ განსაზღვრებებს, რომელთა გარეშეც კანონი ყველას უაზრობად მოეჩვენება.

ამრიგად, ნიუტონი დადგა დროსა და სივრცეზე გარკვეული წარმოდგენების შემუშავების აუცილებლობის წინაშე. აშკარა იყო, რომ ინერციის კანონი (და ე. ი. ნიუტონის ფიზიკის ყველა კანონი) არ სრულდება ემპირიული ათვლის სისტემებში, ე. ი. არც ერთი სისტემა, რომელიც მატერიალურ სხეულებთან იქნება დაკავშირებული, არ დააკმაყოფილებს ინერციული სისტემის მოთხოვნებს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მივუთითოთ ისეთ ფიზიკურ სხეულზე, რომლის მიმართაც ნიუტონის კანონები დაცული იქნება აბსოლუტური სიზუსტით. ამ გარემოებამ აიძულა ნიუტონი ყურადღება გადაეტანა ემპირიული სფეროს გარეთ და ელიარებინა, რომ იქ — მატერიალური ობიექტებისაგან სრულიად დამოუკიდებლად, როგორც რაღაც სრულიად დაუკვირვებელი — არსებობს აბსოლუტური დრო და სივრცე, რომელთა მიმართაც სრულდება ინერციის პრინციპი. მაგრამ აზრი დროისა და სივრცის აბსოლუტურობის შესახებ უკვე დიდი ხანია უგულვებელყოფილია. ამასთან დაკავშირებით, პოზიტივიზმმა დაიწყო მტკიცება, რომ ინერციული სისტემის ცნებას არ გააჩნია არავითარი კორელატი ობიექტურ სინამდვილეში. აქედან, ნიუტონის ფიზიკა არაფერს გვეუბნება სინამდვილის შესახებ, იგი არის მხოლოდ წმინდა ლოგიკური სტრუქტურა, ხოლო ნიუტონის კანონები წარმოადგენენ ენობრივ შეთანხმებებს. ჩვენ კი ვამბობთ, რომ კლასიკური ფიზიკა ჭეშმარიტია, ჭეშმარიტია იმ აზრით, რომ ამ თეორიას გააჩნია ობიექტური სტატუსი, იგი ასახავს ჩვენს გარეშე, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ კანონზომიერებას და არ წარმოადგენს ნებისმიერად არჩეულ ლოგიკურ სისტემას. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ემპირიულ სისტემებს მართლაც არ შეუძლიათ ინერციის კანონის საფუძვლის შექმნა, თუ ამ კანონის შესრულებაში მკაცრ სიზუსტეს მოვითხოვთ. ინერციული სისტემის ცნება ისეთივე ცნებაა, როგორც მყარი სხეულის ცნება: ასე, რომ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ინერციის კანონი მჭიდრო კავშირშია ევკლიდეს გეომეტრიასთან: ბუნებაში არ არსებობენ აბსოლუტურად მყარი სხეულები, მაგრამ არიან მატერიალური ობიექტები, რომელნიც გარკვეულ ობიექტურ სიტუაციაში ამჟღავნებენ ევკლიდური გეომეტრიის თვისებებს: ბუნებაში არ არიან აბსოლუტურად ინერციული სისტემები, მაგრამ არსებობენ ფიზიკური სხეულები; რომელნიც ასრულებენ ერთმანეთის მიმართ გადატანის მოძრაობას, მათში ყველა მექანიკური მოვლენა ხდება ისე, როგორადაც იგი მოხდება ინერციულ სისტემაში და არავითარი დაკვირვება ამ მოვლენებზე არ მოგვცემს შესაძლებლობას, რომ განვასხვავოთ ინერციული სისტემები არაინერციულისაგან. სწორედ ეს მატერიალუ-

რი პროცესები წარმოადგენენ ნიუტონის ფიზიკის ობიექტურ სტატუსს.

ყოველივე ზემოთქმული ფაქტურად წარმოადგენს კლასიკური ფარდობითობის პრინციპის არსს, რაც ნიშნავს; რომ ერთი სისტემის ნაცვლად არსებობს ეკვივალენტურ სისტემათა სიმრავლე და მატერიალური ბუნების მოვლენები ორგანულ კავშირში არიან სივრცულ-დროულ პარამეტრებთან. ნიუტონი ცდებოდა, როდესაც თვლიდა, რომ არსებობს აბსოლუტური დრო და სივრცე, რომელიც, თავის მხრივ, აღბეჭდავენ თავიანთ ფორმებს ფიზიკურ პროცესებში. აბსოლუტურად ინერციული სისტემა არ არსებობს, ხოლო მექანიკის ისეთი ენებები, როგორიცაა: „სწორხაზოვანი მოძრაობა“, „მოძრაობა მუდმივი სიჩქარით“ ან „სხეული, რომელზედაც გარეშე ძალები არ მოქმედებენ“ — ტარებენ ფარდობითის ხასიათს ანუ მათზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში და, რაც მთავარია, ეს საზღვრები დადგენილია თვითონ ბუნების მიერ.

ბუნებაში ადგილი აქვს კანონთა პარამონიული ტრანსფორმაციის პროცესს და ამ ობიექტური პროცესის სპეციფიკა თავს ავლენს სინამდვილის იდეალურ სურათში. ამასთან დაკავშირებით, აშკარად შეუძლებელი ხდება ყოველგვარი ისეთი ფიქსირებული, შემოსაზღვრული სქემის აგება, რომელსაც პრეტენზია ექნება დასაკვირვებელი ობიექტის ამომწურავ, აბსოლუტურ დახასიათებაზე. ბუნებაში რაიმე აბსოლუტური, უცვლელი თვისებების არსებობის დაშვება წარმოადგენს არამეცნიერულ მიდგომას და მეტაფიზიკური ხასიათის მატარებელია. მეორე მხრივ, ესარგებლობთ რა სინამდვილის ახალი არის შესწავლის დროს ძველი კანონებით, შეუძლებელია წინასწარ განვსაზღვროთ, თუ რამდენად გვაქვს ამის უფლება. მეცნიერულ კანონთა გამოყენების საზღვრების თავიდანვე დადგენის ეს შეუძლებლობა უსიამოვნო ფაქტს წარმოადგენს: „ჩვენ ყოველთვის კისერწაგრძელებულები დავდივართ; — წერს ფეინმანი, — ეს საშიშია და მოუხერხებელი, მაგრამ მეტი გამოსავალი არ არსებობს“<sup>14</sup>. მეცნიერება ყოველთვის ცდილობს გავიდეს გრძობადობის სფეროს გარეთ, გასცდეს უშუალო ცდის ფარგლებს, ამ დროს ამა თუ იმ მეცნიერული თეორიის გამოყენების ზუსტი საზღვრების დადგენის შეუძლებლობა ხშირად ხდება შეცდომის საფუძველი და იწვევს პარადოქსული სიტუაციების შექმნას. ზოგჯერ ახალი თეორიის ჩამოყალიბების წინ ხდება გარკვეული რაოდენობის პარადოქსების დაგროვება. პარადოქსალური მომენტის გამოჩენა ჩვენ მიერ გნოსეოლოგიური ხასიათის შეცდომის დაშვებაზე მიუთითებს, ხოლო წინააღმდეგობის მოხსნით ყოველთვის მკლავდება იმ აბსტრაქციათა ობიექტური სტატუსი, რომელსაც ეყრდნობა მოცემული თეორია; ამ დროს ხდება თეორიის შინაარსობრივი მხარის რაფინირება, რაც თავისთავად სამყაროს ფიზიკური სურათის დაფუძნების საფუძველს ჰქმნის. მაგალითად, აინშტაინის მიერ კლასიკურ თეორიასა და ექსპერიმენტულ მონაცემებს შორის არსებული პარადოქსული სიტუაციის მოხსნამ მოგვცა არა მხოლოდ დაკვირვებადი ფაქტების ახლის შესაძლებლობა, არამედ გამოამჟღავნა აგრეთვე მაკროსკოპული არის თვისებრივი სპეციფიკურობა და შექმნა კლასიკური ფიზიკის დაფუძნების შესაძლებლობა.

<sup>14</sup> P. Фейнман, Характер физических законов, М., 1968, стр. 77.



ნიუტონის კანონები გამართლებული იყო მექანიკურ მოვლენათა მთელ არეზე. ისინი ხასიათდებოდნენ სიმარტივეთა და სრულყოფილებით და ითვლებოდა, რომ ობიექტური სინამდვილის ყველა მოვლენა უნდა დამორჩილებოდა მათ. ძნელი იყო წარმოდგენა იმისა, რომ ოდესმე ისინი დაკარგავდნენ ადექვატურობას, მაგრამ როდესაც აღმოჩენილია ობიექტური მოვლენები, მდგომარეობა შევეთრად შეიცვალა. გაირკვა, რომ ობიექტური პროცესების მექანიკის პოზიციებიდან ინტერპრეტირება და გალილეის ფარდობითობის პრინციპი ურთიერთგამომრიცხველია. მართლაც, თუ კი სინათლე წარმოდგენს ეთერის რხევას, რაც ერთადერთი ბუნებრივი დასკვნაა კლასიკური ტრადიციების საფუძველზე და ამავე დროს, ემპირიულად დაკვირვებადია აბერაციის მოვლენა, მაშინ ლოგიკურად აუცილებელია, რომ ირღვეოდეს ელექტრომაგნიტური პროცესების ინვარიანტულობა; მაგრამ აღმოჩნდა, რომ ინვარიანტულობა ექსპერიმენტულად ინახება. ამრიგად, ექსპერიმენტსა და თეორიას შორის შეიქმნა პარადოქსული მიმართება: ერთი მხრივ, თეორიული მოსაზრებებიდან გამომდინარეობდა, რომ გალილეის ფარდობითობის პრინციპი უნდა ირღვეოდეს ობიექტური მოვლენებისათვის; ხოლო, მეორე მხრივ, ექსპერიმენტული მონაცემები უჩვენებდნენ ელექტრომაგნიტურ პროცესთა ინვარიანტულობას. აინშტაინმა, რომელმაც იპოვა ამ პრობლემის ახსნა, განაცხადა, რომ სინათლე არის თვისებრივად ახალი მოვლენა და იგი პრინციპულად განსხვავებულია ყველა იმ მექანიკური პროცესებისაგან, რომელთანაც საქმე ჰქონდა კლასიკურ ფიზიკას. ასე, რომ ურთიერთგამომრიცხავი არიან არა ფარდობითობის პრინციპი და ელექტრომაგნიტური ველის კანონები, არამედ ნიუტონის მექანიკურ მოვლენებზე შეხედულებანი და ინვარიანტობის პრინციპი. სინათლის ქცევა სრულიად განსხვავებულია იმისაგან, რასაც წინასწარმეტყველებდნენ ტრადიციული თეორიის კანონები. გამოჩნდა კლასიკური ფიზიკის კანონთა გამოყენების საზღვრები და მექანიციზმის უსაფუძვლობა. აღმოჩნდა, რომ სივრცულ-დროული მეტრიკა დამოკიდებულია მატერიალური პროცესების ხასიათზე. ყოველივე ამის შედეგად, ჩვენ დავინახეთ არა მხოლოდ სიჩქარეთა შეკრების ძველი ფორმულისა და შორი ქმედების პრინციპის უფარგისობა ახალ არეში, არამედ გამოჩნდა კლასიკურ არეში მათი გამოყენების ობიექტური საფუძველიც.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ შემეცნების პროცესში შექმნილ პარადოქსულ სიტუაციას, — ე. ი. იმ პარადოქსს, რომ ობიექტური მოვლენები ხასიათდებიან და არ ხასიათდებიან ინვარიანტულობით, — არ გააჩნია პირდაპირი ობიექტური სტატუსი. ინვარიანტობის ცნება მოითხოვს დაზუსტებას თითოეული ცალკეული შემთხვევისათვის. ამ პარადოქსის მოხსნა ნიშნავს, რომ ელექტრომაგნიტური მოვლენები ინვარიანტულნი არიან ლორენცის გარდაქმნების მიმართ, მაგრამ არ არიან ინვარიანტულნი გალილეის გარდაქმნების მიმართ. ამავე დროს, გარდაქმნათა ეს ჯგუფები რაიმე წმინდა მათემატიკური კონსტრუქციის ჯგუფებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ისინი გამოხატავენ ობიექტური სინამდვილის მოვლენებს შორის არსებულ ზოგად კავშირს და იძლევიან ობიექტურ კანონთა სისტემის შინაგან სტრუქტურას, რითაც ხელს უწყობენ ქვეშარიტების კონკრეტიზაციას. საერთოდ, ფორმალურებული სისტემის უეჭველობა საგრძნობლად მცირდება, როდესაც იგი გადაიტანება ობიექტურ სამყაროზე და იქცევა ფიზიკურ თეორიად. ამის გამო, მათემატიკური სისტემებისაგან განსხვავებით, ფიზიკური თეორია არ შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ ლოგიკურ უეჭველობას, იგი უეჭველობას იძენს მხოლოდ თავისი განვითარებისა და შემო-

3. „მაცნე“, ფილოსოფიის, ... სერია, 1973, № 1

საზღვრულობის ფარგლების დადგენის შემდეგ, ობიექტური კეშმარიტების კონკრეტინაციის ამ რთულ პროცესში უდიდეს როლს ასრულებენ პარადოქსული სიტუაციები, — ძირითადად მათი მოხსნის საფუძველზე ხდება ფიზიკური თეორიის დაფუძნება. მაგალითად, მას შემდეგ რაც აღმოჩნდა, რომ, თუკი ვისარგებლებთ აბსოლუტური ენტროპიის ცნებით, ბოლცმანის სტატისტიკისათვის გარდუვალი იქნება გიბსის პარადოქსი, წარმოიშვა აზრი სტატისტიკაზე კლასიკური წარმოდგენების სიმცდარის შესახებ, ამ უკანასკნელზე იყო აგებული აბსოლუტური ენტროპიის ცნება, რომელიც, თავის მხრივ, ემყარებოდა მოლეკულათა კონფიგურაციის აბსოლუტური რიცხვის ცნების ობიექტური სტატუსის არსებობის რწმენას. ამრიგად, აბსოლუტური ენტროპიის ცნებას არ გააჩნია ფიზიკური აზრი და თერმოდინამიკა მთლიანად არ დაიყვანება სტატისტიკაზე.

პარადოქსები განსაკუთრებით მოხერხებულად ამსხვრევენ „სალი აზრის“ წარმოდგენებს და უბიძგებენ მეცნიერებს ობიექტური ბუნების ახალი თვისებრიობის შესწავლისაკენ, ამ შემთხვევაში გიბსის პარადოქსმა „აბსოლუტური ენტროპიის“ ცნების გამორიცხვით მეცნიერთა ყურადღება მიაპყრო სტატისტიკური მექანიკის ალბათური გამოთვლების არსს. ეს გამოთვლები ემყარებოდნენ საწყის ალბათობათა მეტრიკის ვარაუდს, რაც ემპირიულად გამართლებული იყო. ხელმძღვანელობდნენ რა ტრადიციული ფიზიკის წარმოდგენებით, მეცნიერები ყოველნაირად ცდილობდნენ გამოეყვანათ ეს მეტრიკა ფიზიკის მკაცრი მიზეზობრივი კანონებიდან. მხოლოდ კვანტური მექანიკის აღმოჩენის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ალბათობრივი პროცესები წარმოადგენენ სინამდვილის თვისებრივად ახალ სფეროს. აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გიბსის პარადოქსი აღრიდანვე მიგვანიშნებდა ამ სიახლეზე და ვარაუდობდა დინამური კავშირის გვერდით სტატისტიკური კანონზომიერების ობიექტურ საფუძველსაც. პარადოქსები ყოველთვის ორგანულ კავშირშია ობიექტურ ფარდობითობასთან. სწორედ ამიტომაცაა, რომ ისინი საოცარი ძალით გვიბიძგებს თეორიის შინაარსობრივი მხარის დასახვეწად და მივყავართ მეცნიერებაში ახალი აღმოჩენებისაკენ.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ აზროვნებაში ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების თანაობა არ გულისხმობს სინამდვილეში პირდაპირ შესაბამისი ობიექტური წინააღმდეგობის არსებობას. ბუნების მოვლენებში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების თანაობა ობიექტური სამყაროს ძირითადი თვისებაა და მატერიალისტური დიალექტიკის ბირთვს წარმოადგენს, მაგრამ პარადოქსები ასახავენ არა ტრანსცენდენტურ სინამდვილეში არსებულ ამ წინააღმდეგობას, არამედ — გარე სამყაროს ობიექტური ფარდობითობის თვისებას. ასე, რომ პარადოქსების მოხსნის შემდეგ იშლება ობიექტურ მოვლენათა თვისებრივად ახალი მხარეები. გამოსახვენ რა მკაფიოდ ძველი კანონებისა და ცნებების გამოყენებადობის საზღვრებს, პარადოქსები ათავისუფლებენ აზროვნებას ყოველგვარი მეტაფიზიკური გადახრისაგან. ამიტომ ბუნებრივია, რომ მეცნიერების განვითარების პროცესში ყოველივე პარადოქსული განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მაგალითად, საყოველთაო გაცემა გამოიწვია მე-17—20 საუკუნეების მიჯნაზე მათემატიკაში ანტინომიების გამოჩენამ. ნათელი გახდა, რომ მიუხედავად მათემატიკურ მტკიცებათა საოცარი სიმკაცრისა, მათემატიკას მაინც სჭირდება დასაბუთება. მას შემდეგ მათემატიკურ პარადოქსებს მეცნი-

ერები სწავლობენ ფორმალიზებული თეორიის დასაბუთების პრობლემის გამოკვლევის მიზნით. ჰილბერტის იმედი, — აეგო არაწინააღმდეგობრივი აბსოლუტურად უეჭველი ფორმალიზებული სისტემა, — ილუზიად გადაიქცა გიოდელის თეორემის გამოჩენის შემდეგ. წარმოიშვა აუცილებლობა ყოველგვარი წანამძღვრების უფრო დეტალური ანალიზისა, წანამძღვრებისა, რომლებზეც იყო დაფუძნებული მათემატიკური დასკვნები. ნათელი გახდა, რომ მსჯელობათა ფორმალურ მეთოდებს ესაჭიროებოდათ რაღაც უეზღუდვები, რომელთაც, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კორელატები ობიექტურ სინამდვილეში.

ამრიგად, პარადოქსალურ სიტუაციებს მიყვავართ სემანტიკურ პრობლემებამდე. ისინი თხოულობენ თეორიული სისტემის შინაარსობრივი მხარის ანალიზს და ადგენენ მისი წანამძღვრების გამოყენებადობის ფარგლებს. აქ ვლინდება მნიშვნელოვანი გნოსეოლოგიური კანონზომიერება: ძირითადი პრინციპებისა და ცნებების გამოყენებადობის საზღვრების დადგენის პროცესში ხდება ცოდნის დაკონკრეტება, ვლინდება აბსტრაქციის ობიექტური სტატუსი და ხორციელდება კონკრეტულისკენ გადასვლა; აგრეთვე აღვნიშნავთ, რომ წინააღმდეგობა აზროვნებაში, რაც პარადოქსალურ მსჯელობებში ობიექტური ფარდობითობის გამოვლენაა, არ დაიყვანება ლოგიკურ წინააღმდეგობამდე; ეს უკანასკნელი თეორიული სისტემის შიგნით დაშვებულ შეცდომას წარმოადგენს და ატარებს სინტაქსურ ხასიათს. ეს წინააღმდეგობა ნიშნავს იმას, რომ ფორმალიზებული სისტემის შემადგენლობაში გაიპარა ისეთი მსჯელობა, რომელიც არც პირდაპირ და არც ირიბად არ გამომდინარეობს თეორიის წანამძღვრებიდან და ეწინააღმდეგება მათ, დიალექტიკური წინააღმდეგობა კი ატარებს მხოლოდ სემანტიკურ ხასიათს, მისი გადაჭრა ადგენს ძველ თეორიის წანამძღვრების გამოყენებადობის საზღვრებს, რითაც აფუძნებს აღნიშნულ თეორიას და შემოჰყავს აქსიომათა ახალი ჯგუფი, ახალი ფორმალიზებული სისტემის ასაგებად, როგორც ეს ჩატარებული იყო მაგალითად — ფარდობითობის თეორიის შექმნისას.

სემანტიკასა და სინტაქსს შორის მკვეთრი ზღვრის გავლება არც თუ ისე ადვილია, ეს მოითხოვს თეორიის შინაარსობრივი მხარის დეტალურ ანალიზს. ასე, რომ ლოგიკური წინააღმდეგობის დიალექტიკურისაგან განსხვავება შეუძლიათ მხოლოდ აღნიშნული დარგის მეცნიერებს. გამოუცდელი თვალისათვის აქ არავითარი განსხვავება არ არის, რადგან დიალექტიკურ წინააღმდეგობათა გარეგანი ფორმა ძალიან ჰვავს ლოგიკური წინააღმდეგობის ფორმას<sup>15</sup>, ამიტომ პარადოქსები მხოლოდ სპეციალისტებისთვის წარმოადგენენ პრობლემას.

ამრიგად, ყოველგვარი ჭეშმარიტება ობიექტურია იმ გაგებით, რომ ცნობიერების შინაარსი განპირობებულია მატერიალური სამყაროთი; მაგრამ ჭეშმარიტება აგრეთვე ატარებს კონკრეტულ და ფარდობით ხასიათს, რადგან სინამდვილის სხვადასხვა ნაწილების არსებობის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, ასე, რომ ერთი რომელიმე ობიექტური გარემოების ადეკვატური ცოდნა შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი რომელიღაც სხვა ობიექტური პირობე-

<sup>15</sup> ეს საკითხი დაწვრილებით არის განხილული ი. ს. ნარსის ნაშრომებში: *Диалектическое противоречие и логика познания*, М., 1969; *Проблема противоречия в диалектической логике*, М., 1969.



ბისათვის. ობიექტური ჭეშმარიტების კონკრეტულობისა და ფარდობითობის თვისებები ასახავენ ჩვენი ცნობიერების გარეთ არსებულ ბუნების კანონთა ტრანსფორმაციის პროცესის სპეციფიკურობას.

რაც შეეხება ჭეშმარიტების აბსოლუტურობას, იგი მიგვიითებს ჩვენგან დამოუკიდებელ იმ გარემოებაზე, რომ მატერიის არსებობის გარკვეული სახის მოცემული სისტემურ-სტრუქტურული აგებულებისათვის ხორციელდება მკაცრად შესაბამისი კანონზომიერება. სწორედ ამ გაგებით, მეცნიერული თეორიები წარმოადგენენ ობიექტურ ჭეშმარიტებას, ისინი ერთდროულად არიან როგორც აბსოლუტური ასევე კონკრეტული და ფარდობითი.

**Г. И. СИХАРУЛИДЗЕ**

**К ВОПРОСУ ОБ ОТНОСИТЕЛЬНОСТИ, АБСОЛЮТНОСТИ И  
КОНКРЕТНОСТИ ОБЪЕКТИВНОЙ ИСТИНЫ**

**Резюме**

Данная статья посвящается анализу процесса познания мира, при котором происходит бесконечное приближение мысли к познаваемому объекту. Идеальный образ трансцендентного мира, с одной стороны, может содержать в себе момент заблуждения, а с другой — определяется спецификой объективной относительности окружающей нас природы. Хотя заблуждение в процессе исследования природных явлений постепенно исчезает, уступая место правильному пониманию исследуемой закономерности, но все же познание не может полностью освободиться от их периодического появления на пути достижения объективной истины, ибо отражение действительности в сознание происходит не сразу, процесс этот является сложным и противоречивым. Что же касается объективной относительности, то она является особенной специфичностью трансцендентного мира; т. е. в зависимости от существующих объективных условий происходит формирование системно-структурной своеобразности той или другой формы существования материи.

В окружающем нас мире происходит гармоничная трансформация законов и характер этого объективного процесса постепенно вырисовывается в идеальном образе действительности. Невозможность установления точных границ применения той или другой научной теории, часто способствует допущению ошибок и вызывает возникновение парадоксальных ситуаций. Разрешение противоречий выявляет объективный статус тех научных абстракций, на которых опирается научная теория, она рафинирует содержательную сторону последней и способствует обоснованию физической картины мира.

Итак, всякая истина объективна, в том смысле, что содержание мысли обосновано материальным миром; но она носит еще конкретный и относительный характер, ибо формы существования различных частей действительности отличаются друг от друга.

Так что знание, истинное для одного объективного обстоятельства, может быть ложным при каких-нибудь других объективных условиях; следовательно, свойства конкретности и относительности объективной истины отражают специфичность существующего вне нас процесса трансформации законов природы. Что же касается абсолютности истины, то она

указывает на то не зависящее от нас обстоятельство, что для данного системноструктурного строения определенного вида существования материи осуществляется строго соответствующая закономерность. Именно в этом смысле научные теории представляют собой объективную истину; они одновременно и абсолютны, и конкретны и относительны.

GILDA SIKHARULIDZE

THE PROBLEM OF RELATIVITY, ABSCLUTENESS  
AND CONCRETENESS OF THE OBJECTIVE TRUTH

Summary

The paradoxal moments play a great role in the problem of establishment of physical theory. By means of discharge of contadictions a concretisation of knowledge and its sapidit refining occurs and an objective status of scientific abstraction displays. The paradoxes are in organic connection with relativity existent in objectivereality. Therefore an establishment of the limits of application of existent laws and notions closely connected with them. In this sense paradoxes defence mentality from the metaphysical deviations of all kind.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

---



პიტილი კაკაბაძე

ფსიქიკის ონტოლოგიური პრობლემის შესახებ

(შენიშვნები)

1. ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემატიკიდან ერთ-ერთი პირველი და ძირითადია ფსიქიკის არსებობის ფორმისა და საზღვრების თემა. ფსიქოლოგიამ როგორც მეცნიერებამ ფსიქიკის შესახებ უნდა იზრუნოს ფსიქიკის რაობის დადგენისათვის, აღნიშნულის ლოგიკურ წინაპირობას წარმოადგენს ცოდნა ფსიქიკის არსებობის ფორმის შესახებ. ფსიქიკის არსებობის ფორმის სადავო პრობლემა ეხება ორი ინსტანციის — ფსიქიკისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების ბუნების ცხადყოფას. ცნობიერებისადმი ფსიქიკის დამოკიდებულება სხვადასხვაგვარად წყდება: ერთ შემთხვევაში, ფსიქიკა და ცნობიერება წარმოდგენილია იგივეობრივად, — ფსიქიკა დაყვანილია ცნობიერებაზე და იმავითვეა გამოიხატული აზრი ფსიქიკის სხვაგვარად, — თუ არა ცნობიერად, — არსებობისა; სხვა შემთხვევაში, მართალია, ფსიქიკა და ცნობიერება გათიშულია ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი ურთიერთდამოკიდებულება ორგვარად იაზრება: ა) ცნობიერებისა და ფსიქიკის სხვადასხვაობა საკმაო საფუძვლადაა ჩათვლილი იმისათვის, რომ ფსიქიკა წარმოდგენილი იქნას ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ბ) თვითონ გათიშვა ფსიქიკისა და ცნობიერებისა საკმაო პირობად არ წარმოიღვივება ფსიქიკის არაცნობიერად არსებობისათვის, ფსიქიკა არ არსებობს ცნობიერების გარეშე, ვინაიდან ფსიქიკა არსობრივადაა დაკავშირებული ცნობიერებასთან. სადაც ლაპარაკია ფსიქიკისა და ცნობიერების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ არსებობაზე, იქ დაშვებულია ფსიქიკურის არაცნობიერი ფორმით არსებობა; ე. ი. შეწყნარებულია ისეთი ფსიქიკის შესაძლებლობა, რომელიც მოაზრებულა ცნობიერებასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე, ცნობიერების ფარგლებს გარეთ მყოფად. არაცნობიერი ფსიქიკის ცნების ის შინაარსი, როცა მასში იგულისხმება აღნიშნულისაგან განსხვავებული რამ, მაგალითად, ფსიქიკური შინაარსი პირველადი (პრიმარული, ატრიბუტული) ცნობიერებით, ცნობიერი ფსიქიკური შინაარსის გამომწვევი ვითარების გაუცნობიერებლობა, არარეპრეზენტირებულობა, არასაგნობრივი ცნობიერება და ა. შ. — არაცნობიერი ფსიქიკის ფილოსოფიურ პრობლემას არ ეხება.

აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზეც, თუ როგორ უნდა წარმოიღვივებოდეს (არაცნობიერი ფსიქიკის შეწყნარების ან უკუგდების შემთხვევაში) თვითონ არაცნობიერი ფსიქიკის შინაგანი ონტიური ბუნება, სახე, მასალითი გარკვეულობა. არაცნობიერი ფსიქიკა ხან მოაზრებულა ჩვენთვის კარგად ცნობილი ცნობიერი ფსიქიკური შინაარსების ცნობიერების ფარგლებს გარეთ არსებულად, ხან კი იგი წარმოდგენილია აღნიშნულისაგან განსხვავებულად, რა-



ლაც პროცესის ან ენერჯის სახით, რომლის შინაგანი ბუნება გამოცდილებაში დადასტურებადი არაა და, ამდენად, ამ შემთხვევაში არაცნობიერი ფსიქიკის ცნების თეორიულ (ჰიპოთეზურ) მნიშვნელობაზე ლაპარაკობენ.

არაცნობიერ ფსიქიკაზე მსჯელობის დროს, ზოგჯერ, არაა გაცნობიერებულ თვითონ არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემის ბუნება. ამის გამოა, რომ არაცნობიერის ფსიქოლოგიური პრობლემის გადაჭრისათვის ხშირად მიმართავენ ფაქტებზე, ექსპერიმენტულ შედეგებზე მითითებას მაშინ, როცა არგუმენტად მოტანილ ემპირიულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში, პრინციპულად არ შეუძლია რაიმეს თქმა არაცნობიერი ფსიქიკის ფილოსოფიური პრობლემის გადაწყვეტაზე; ეს იმიტომ, რომ მითითებული ფაქტობრივი მონაცემები, ერთი მხრივ, ონტოლოგიური ასპექტით თვითონ წარმოადგენენ პრობლემას, მეორე მხრივ, ესენი მოითხოვენ თავისი უშუალო საფუძვლის არსებობის ფორმის გარკვევას. ერთი სიტყვით, ე. წ. არგუმენტად მოტანილი ვითარება საკუთრივ მოითხოვს ონტოლოგიური კუთხით დასაბუთებას და ამდენად ის არ გამოადგება პრობლემის გადასაჭრელად. არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემის გადაწყვეტა არსებითადაა დაკავშირებული ონტოლოგიურის პრობლემასთან, მისი მონისტური (მატერიალისტური, იდეალისტური) თუ დუალისტური თვალსაზრისის დაცვასთან. აღნიშნულთაგან რომელიმე თვალსაზრისზე დგომა მისგან გამომდინარე ლოგიკური შედეგებითურთ განაპირობებს არაცნობიერი ფსიქიკის რეალობის დაცვას ან უკუგდებას.

არაცნობიერი ფსიქიკის თეზისის დაცვას ფსიქოლოგიაში ცდილობენ განსხვავებული ასპექტით: ერთ შემთხვევაში, არაცნობიერი ფსიქიკა რეალურ გარკვეულობადაა წარმოდგენილი და აღიარებულია იმანენტური რეალიზმის თვალსაზრისი; მეორე შემთხვევაში, არაცნობიერ ფსიქიკას ეკისრება სამუშაო ჰიპოთეზის ფუნქცია, იგი გამოცხადებულია მეცნიერებაში გნოსეოლოგიური ამოცანის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად, მეთოდოლოგიურ ზერხად. აქ არც დაისმის საკითხი არაცნობიერი ფსიქიკის რეალური არსებობის თაობაზე.

2. არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემა იქ შეიძლება დადგეს, სადაც ერთმანეთისაგანაა გათიშული ცნობიერება და ფსიქიკა. ცნობიერებისა და ფსიქიკის გამოიჯანა შესაძლებელი ხდება ცნების ფუნქციონალური თეორიის გამოყენებით<sup>1</sup>. ვაირკვა, რომ ცნობიერების ფუნქციაა ცნობიერობა (Bewusstheit), — რაც იგივე სპეციფიკური ინტენციონალური მიმართებაა ობიექტისადმი. ცნობიერება-ინტენციას საკუთარი შინაარსი არ გააჩნია, ცნობიერების საგანი შეიძლება იყოს ის, რაც მისგან ონტიურად დამოუკიდებელია და მას ლოგიკურად წინ უსწრებს. ცნობიერების შინაარსი საგნის ასახვაა, გნოსეოლოგიური აქტია. ცნობიერება-ასახვა იმით ვანსხვავდება ასახვის სხვა ფორმებისაგან, რომ იგი ასახავს საგანს წარმოგვიდგენს საკუთარი ნიშანთვისებებით. ცნობიერება ასახვის საგნისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებაშია, — თვითონ საკუთარი შინაარსად არმქონეს, — თვითონ არ შეუძლია შინაარსობრივად შეცვალოს ასახავი გაჯერობა.

<sup>1</sup> ცნობიერებისა და ფსიქიკის გათიშვის შესახებ იხ. ა. ბოკორიშვილი, Проблема бессознательного в психологии, Тбилиси, 1961; Психика как предмет психологии, საქ. სსრ მეც. აკად. საზოგ. მეც. განყ. „მომავლ“, 1961, № 3; Основное объективное условие адекватного познания, Сосщшения АНГр. ССР, XI, 1, 1965.

ფუნქციურად ფსიქიკა ცნობიერება-ინტენციის ერთ-ერთი შესაძლო საგანი სხვების (ფიზიკური, იდეალური, ბიოლოგიური, სოციალური და ა. შ.) გვერდით; ფსიქიკა შემეცნების ობიექტია და ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს გნოსეოლოგიური აქტი (ცნობიერება). ფსიქიკა თვითონ ცოდნა კი არ არის, არამედ ცოდნის (ცნობიერების) ობიექტია, ფსიქიკა კი არ იმეცნებს, არამედ იგი თვითონ შეიმეცნება. ფსიქიკა რეალური სინამდვილის შემადგენელი ნაწილია, ბუნებრივი პროცესია, ცოცხალი არსების სუბიექტური მდგომარეობაა. ფსიქიკა აკუტური ბუნებისაა; ფსიქიკა არსებობს ცნობიერების ერთ აქტში, მომენტში, — იგი აღმოცენებისთანავე ქრება და აღარასოდეს მეორდება. ფსიქიკის როგორც სუბიექტური შინაარსის მიითებული თავისებურების საპირისპიროდ, ცნობიერება როგორც სუბიექტური ფორმა, რაც იგივე ასახვა-შემეცნებაა, ერთია ცნობიერების განსხვავებულ აქტებში და განსხვავებულ პიროვნებათა ცნობიერების აქტში.

ფსიქიკაზე ცნობიერების დაყვანა ფსიქოლოგიზმის დაფუძნებაა<sup>2</sup>; ამ შემთხვევაში ფსიქიკის ასახვა და, საერთოდ, ყოველი ასახვა, — სუბიექტურ ვითარებად წარმოდგინება და, ამდენად, შეუძლებელი ხდება ობიექტური შემეცნება. მეორე მხრივ, ცნობიერებასთან ფსიქიკის გაიგივება ნიშნავს ფსიქიკური რეალობის გაუქმებას, წაშლას და ამით ფსიქოლოგიის როგორც ფსიქიკის შესახებ ემპირიული მეცნიერების უარყოფას.

3. არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემაზე მსჯელობა პრინციპულადაა დაკავშირებული არაცნობიერი ფსიქიკის შინაგანი გარკვეულობის, მისი მასალითი სახის, შედგენილობის საკითხთან. არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის მიღება ან უარყოფა გულისხმობს არაცნობიერი ფსიქიკის მასალითი გარკვეულობის შესახებ საკვებით კონკრეტულ ცოდნას. კამათი შეიძლება გაიშალოს ონტოლოგიური ასპექტით კონკრეტულად წარმოდგენილი ფსიქიკის ცნობიერებასთან მიმართების, დამოკიდებულების შესახებ. არაცნობიერი ფსიქიკის მხოლოდ ფუნქციონაზე მითითება, სახელდობრ, რომ არაცნობიერ ფსიქიკად წოდებულ სინამდვილეს (რეობას) შეუძლია ცნობიერი ფსიქიკის წარმოქმნა და მისი წარმართვა, პოზიტიურს არაფერს ამბობს არაცნობიერი ფსიქიკის შინაგანი გარკვეულობის თაობაზე და, ამ ასპექტით, ონტოლოგიურ პრობლემას გვერდს უვლის. მეორე მხრივ, არაცნობიერი ფსიქიკის ფუნქციად ცნობიერი ფსიქიკის წარმოშობის გამოცხადება ცნობიერი ფსიქიკის უშუალო საფუძვლის შესახებ პრობლემის ერთ-ერთი ჰიპოთეზური პასუხია, რომელიც ფილოსოფიური ასპექტით მოითხოვს დასაბუთებას.

როგორც აღინიშნა, ერთი გავების მიხედვით, არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემა უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ ფსიქიკის არაცნობიერების საკითხს, რომელიც ჩვენთვის გამოცდილებაშია მოცემული ფსიქიკური შინაარსებისა და პროცესების სახით. მაშასადამე, ლაპარაკია განცდის (ცნობიერი ფსიქიკის) ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობაზე. სხვა თვალსაზრისის მიხედვით, ფსიქიკის არაცნობიერებაზე მსჯელობა სრულიად არ უნდა ნიშნავდეს იმას, თითქოს არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემა, როგორც ამბობენ ხოლმე, ცნობიერების შუქს მოკლებული ფსიქიკური პროცესებისა და შინაარსების არსებობას ეხებოდეს. არაცნობიერ ფსიქიკაზე მსჯელობა არის ისეთ გარკვეულობაზე მსჯელობა, რომელიც, მართალია, თავისი ონტიური მასალითი ბუნებით გამოცდილებაში პირდაპირ, უშუალოდ დამასტურებადი არაა, — ამიტომ არც დაისმის საკითხი მის რეალურ თვისებათა შესახებ, — მაგრამ მისი რეალური არსებობა ამისდა მიუხედავად აღიარებული უნდა იქნეს, რადგანაც ამას მოითხოვს მეცნიერების ინტერესები — დამყარებული თეო-

<sup>2</sup> ფსიქოლოგიზმის შესახებ ფსიქოლოგიაში იხ. ა. ბოკორიშვილი, „ფსიქოლოგიზმი და ლოგიკიზმი ფსიქოლოგიაში“ წიგნში — ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში, თბილისი, 1965.

რიულ წანამძღვრებზე. განცდის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობის თვისს უკანასკნელ ხანს სერიოზულად აღარ იცავენ<sup>3</sup>. ცნობიერი ფსიქიკური შინაარსების ანალიზი ცხადყოფს, რომ ფსიქიკური შინაარსი არსებობისათვის მოითხოვს ცნობიერების ფონზე მის მიმდინარეობას, ცნობიერების მომენტის მისადმი მიმართვას, — ესაა ფსიქიკური შინაარსის პრინციპული კავშირი ცნობიერებასთან, რომლის გარეშეც ფსიქიკური შინაარსი არ არსებობს<sup>4</sup>; მაგრამ ცნობიერი ფსიქიკური შინაარსის ანალიზი იმასაც ცხადყოფს, რომ თვითონ მას არაფრის თქმა არ შეუძლია მისგან განსხვავებული ფსიქიკური რომელიმე შესაძლო არსებობის თაობაზე.

სადავოდა ჩათვლილი თვითონ არაცნობიერი ფსიქიკის ცნების იმ შინაარსის კანონიერება, რომელსაც უწოდებენ არაცნობიერი ფსიქიკის თეორიულ, ჰიპოთეზურ ან მეტაფიზიკურ მნიშვნელობას. არაცნობიერი ფსიქიკის ამ შინაარსის მიუღებლობის საფუძველად, ერთი მხრივ, ცხადდება მისი ონტოლოგიური სახის, გარკვეულობის ჩვენ მიერ პრინციპული შეუმეცნებლობა, ის, რომ ჩვენ კონკრეტულად არ ვიცნობთ იმის შინაგან ბუნებას, რასაც არსებობა ენიჭება. არაცნობიერი ფსიქიკის ცნების აღნიშნული შინაარსის შესახებ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მისი გამართლებისა და ვარჯისიანობის პირობა ემყარება ზოგად ფილოსოფიურ წანამძღვრებს, იმ ონტოლოგიურ და გნოსეოლოგიურ პრინციპებსა და პოსტულატებს, რაც გამოიყენება მეთოდოლოგიურ ასპექტად სინამდვილის (ფსიქიკის) შეუმეცნების საქმეში. არაცნობიერი ფსიქიკის ჰიპოთეზური ანდა, როგორც მას უწოდებენ, მეტაფიზიკური ცნების უკუგდება იმ მოტივით, რომ იგი გამოცდილებაში პრინციპულად დადასტურებადი არ არის, არ უნდა იყოს გამართლებული იმ საფუძველით, რომ მეცნიერებაში გამოყენებული მთელი რიგი პოსტულატებისა ემპირიულად მოცემული არაა (მაგ., ტენის მიერ ცნობიერების წარმოქმნა, მატერიის პირველადობა ცნობიერებასთან მიმართებაში და ა. შ.). არაცნობიერი ფსიქიკის ე. წ. მეტაფიზიკური ცნების უარყოფას უნდა მოეძებნოს სხვა საფუძველი.

4. არაცნობიერი ფსიქიკის შეწყნარება ან უარყოფა ფილოსოფიური თვალსაზრისითაა მხოლოდ შესაძლებელი, რადგანაც პრობლემა ფილოსოფიურია, თეორიულია. ხოლო „თეორიულ სფეროში... უკვე უძღურო ა ემპირიული მეთოდები, აქ მხოლოდ თეორიული აზროვნება დაგვეხმარება“<sup>5</sup>. ამიტომ საფუძველსაა მოკლებული არაცნობიერი ფსიქიკის პირდაპირი, ემპირიული გზით დასაბუთების ყოველგვარი ცდა. არაცნობიერი ფსიქიკის ექსპერიმენტულ დადასტურებაზე ლაპარაკი გაუგებრობის შედეგია. საქმე ისაა, რომ არაცნობიერი ფსიქიკა — როგორც ასეთი — პრინციპულად შეუძლებელია მოგვეცეს ცნობიერების უშუალო ობიექტად, საგნად, რადგანაც ის, თავისი შინაარსის მიხედვით, წარმოადგენს სწორედ ისეთ რაიმეს, რაც ცნობიერებას არ უკავშირდება და ვერც დაუკავშირდება; წინააღმდეგ შემთხვევაში ფსიქიკის არაცნობიერებაზე მსჯელობა გაუმართლებელი იქნება. ამიტომაც მიუთითებენ არაცნობიერი ფსიქიკის პირდაპირი გზით დასაბუთების შინაგან წინააღმდეგობაზე: პირ-

<sup>3</sup> აღნიშნულ თვისს არ იცავს არც სიღრმის ფსიქოლოგია, ფსიქოლოგია არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ.

<sup>4</sup> აღნიშნულის შესახებ დაწვრილებით იხ. А. Т. Бочоршвили, Может ли психика (перезживание) существовать вне сознания? Проблемы сознания, Москва, 1966.

<sup>5</sup> ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბილისი, 1950, გვ. 32.



დაპირი დასაბუთება არაცნობიერი ფსიქიკის არსებობისა მოითხოვს ცნობიერებაში მის არსებობას, ხოლო არაცნობიერი ფსიქიკის ცნება ამ პირობას გამორიცხავს. მაშასადამე, ზედმეტია ლაპარაკი არაცნობიერი ფსიქიკის ფაქტის შესახებ, ე. ი. გამოცდილებაში დადასტურებადი ისეთი ემპირიული ვითარების შესახებ, რომელიც იქნებოდა არაცნობიერი ფსიქიკა. ის, რაც უშუალოდ გვეძლევა ცნობიერებაში ფსიქიკის სახით, ესაა ფსიქიკური შინაარსები; მაგრამ ის, თუ რას წარმოადგენს არსებობის ფორმის მხრივ ცნობიერი ფსიქიკური შინაარსების გამომწვევი პირობები, ჯერ ერთი, გამოცდილებებაში უშუალოდ ხილვადი არაა და, მეორეც, მას არ ჩვენებს თვითონ ცნობიერი ფსიქიკის ანალიზიც. ცნობიერი ფსიქიკის უშუალო მიზეზის, საფუძვლის გარკვევა არაპირდაპირი გზითაა მხოლოდ შესაძლებელი, ეს არაპირდაპირი გზა ფილოსოფიური წანამძღვრებია.

მაგალითად, სპირიტუალისტური, დუალისტური და პანფსიქისტური მსოფლმხედველობებისათვის აუცილებელია ცნობიერი ფსიქიკის გამომწვევ უშუალო საფუძვლად არაცნობიერი ფსიქიკის მიჩნევა, რადგანაც აქ აღიარებულია ფსიქიკის უწყვეტი რეალობის სახით არსებობის თეზისი, ფსიქიკისაგან განსხვავებულ რეალობას (ფიზიოლოგიურს) წართმეული აქვს უნარი ცნობიერი ფსიქიკის წარმოქმნისა. საპირისპირო პოზიცია უჭირავს მატერიალისტურ ფილოსოფიას, რომელიც აღიარებს ფსიქიკის წყვეტილ ბუნებას. მატერიალისტური თვალსაზრისი იცავს ტენის (ფიზიოლოგიურის) მიერ ცნობიერი ფსიქიკის დიალექტიკურად წარმოქმნის აზრს; ყოველი ცნობიერი ფსიქიკის გამომწვევად ცხადდება უმაღლესი ნერვული მოქმედება, ცნობიერი ფსიქიკა ტენის თვისება და პროდუქტია, ამიტომ არ შეიძლება ის ნაწარმოები იყოს სხვა რამისაგან (არაცნობიერი ფსიქიკისაგან).

ზემოაღნიშნული ვითარება არაა გაცნობიერებული ავტორებთან, რომლებიც იცავენ აზრს არაცნობიერი ფსიქიკის ფაქტის სახით მოცემულობის შესახებ. არაცნობიერი ფსიქიკის ფაქტად ჩათვლილია, მაგალითად: აზრი, რომელიც ვერ გაგვიხსენებია, მაგრამ გვაქვს განცდა, რომ იგი ჩვენ ვიცით (დავიწყებული: სახელი, ტელეფონის ნომერი და მისთანები); შემდეგ — მესხიერების ვითარება, როდესაც ვერ ხერხდება კონკრეტული სიტყვიერი გამოთქმა (ის, რაც იგულისხმება გამოთქმაში „ენაზე მადგია და ვერ მითქვამს“); ავტომატური აქტები ქცევისა: წამოცდენები მეტყველებაში, მოქმედება, რომელსაც გარკვეულ სიტუაციაში არ გააჩნია თვალსაჩინო საბაბი, პოსტპიზნოზური ქცევის მიმდინარეობა და მსგავსი შემთხვევები<sup>6</sup>. როდესაც აღნიშნავენ, რომ ჩამოთვლილი შემთხვევები არ წარმოადგენენ არაცნობიერი ფსიქიკის ფაქტებსო, ამით, რატომ უნდა, უარყოფილი არაა სინამდვილის აღნიშნული ვითარებების რეალური არსებობა. ისინი მართლაც რომ ფაქტებია, მაგრამ ისეთი, რომლებიც არ წარმოადგენენ არც თვითონ არაცნობიერი ფსიქიკის და არც არგუმენტს არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის დასაბუთების საქმეში. მესხიერების ფაქტი, — მაგალითად, — აზრი, რომელიც ვერ მოგვიგონებია, არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რა ფორმით — ფსიქიკური თუ ფიზიოლოგიური სახით — არსებობს ის გახსენებამდე. ზემოჩამოთვლილი ფაქტიური ვითარებანი მეცნიერების წინაშე

<sup>6</sup> არაცნობიერი ფსიქიკის ემპირიული დასაბუთების შესაძლებლობის შესახებ იხ. ი. თ. ბჟაღავა, Некоторые замечания по поводу книги А. Т. Бочоришвили «Проблема бессознательного в психологии», ფსიქოლოგია, XIII, თბილისი, 1962; А. Е. Шеролия, К проблеме сознания и бессознательного психического, Тбилиси, 1969.

წამოაყენებენ პრობლემებს მათი ონტოლოგიური ბუნების შესახებ. დავის საგანია სწორედ ის საფუძველი, უშუალო მიზეზი, რაც განაპირობებს მითითებულ შედეგებს; თუ რა ბუნების მოვლენად უნდა იქნეს ის მოაზრებული — არაცნობიერ ფსიქიკად თუ უმაღლეს ნერვულ მოქმედებად, ფიზიოლოგიურად — ამ საკითხის გადაჭრა, ცხადია, არ ძალუძთ იმ ფაქტებს, რომლებიც თვითონ აყენებენ ონტოლოგიურ პრობლემას<sup>7</sup>.

არსებითად იგივე ითქმის იმ თვალსაზრისის შესახებაც, რომელიც, მართალია, უარყოფს აზრს არაცნობიერი ფსიქიკის უშუალოდ ფაქტის სახით მოცემულობისას, მაგრამ გარკვეული ემპირიული ვითარების ანალიზის გზით ცდილობს აჩვენოს, რომ ცნობიერი ფსიქიკის გენეზისის, შინაგანი ბუნების გაგება, სულიერი ცხოვრების მიმდინარეობისა და სტრუქტურის შემეცნება აუცილებლობით მოითხოვს არაცნობიერი ფსიქიკის დაშვებას. მოყავთ შემდეგი მაგალითი: წინადადება და მასში ჩადებული აზრი თავის სტრუქტურას ღებულობს ცნობიერების გარეთ მანამ, სანამ ჩვენ მას წარმოეთქვამთ; უკვე პირველი სიტყვის წარმოთქმის მომენტში განსაზღვრულია, თუ რა სიტყვები უნდა ითქვას შემდეგ, რომ დაწყებული წინადადება დამთავრდეს. ცნობიერებამ კი ამ მომენტში ამის შესახებ არაფერი იცის. ჩვენ ზოგჯერ ვიწყებთ გრძელ წინადადებას იმ სიტყვით, რომელსაც მოითხოვს დაწყებული წინადადების უკანასკნელი სიტყვა ისე, რომ ეს უკანასკნელი სიტყვა წინადადების დასაწყისში სრულიადაც არ ცნობიერდება. ხშირად ჩვენი ცნობიერების შინაარსი გაუგებარი დარჩებოდა, რომ არ შედიოდეს ფართო სულიერ სტრუქტურაში, რომლის დიდი ნაწილი ცნობიერების ფარგლებს გარეთ რჩება; ჩვენი ცნობიერების მოცულობა იმდენად ვიწროა, რომ მას არ შეუძლია მთლიანად მოიცვას ერთი გრძელი წინადადებაც კი. ყოველი წაკითხული წინადადების მნაშენლობა, აზრი გადაღის არაცნობიერში და ცნობიერებაში ადვილს უთმობს იმ აზრებს, რომლებიც ახალ სტრიქონებშია, არ წყვეტს რა მასთან კავშირს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, აზრი, გადასული არაცნობიერში არ წყდება აბსოლუტურად ცნობიერების საშუალოს. ზოგჯერ ერთი მთლიანი ლოგიკური წყობა იშლება წიგნის რამდენიმე გვერდზე. უკანასკნელ გვერდზე წაკითხული წინადადების აზრის გასაგებად საჭიროა ცნობიერებაში ასევე იყვნენ წინა გვერდებზე ამოკითხული აზრები. მაგრამ ცნობიერების მოცულობის შეზღუდულობა გამოიციხავს ასეთ შესაძლებლობას. მნიშვნელობა ადრე წაკითხული წინადადებისა უერთდება იმ ცოდნას, რომელიც გვაქვს მოცემულ მომენტში წაკითხულისაგან და გასაგებს ხდის უკანასკნელის აზრს თვითონ გაუცნობიერებელიც კი რჩება. ფაქტიური ვითარების ანალიზიდან გამოჰყავთ დანასკვი: მოყვანილი მაგალითები გვარწმუნებენ იმაში, რომ ფსიქიკური სინამდვილე არ შეიძლება შემოიფარგლოს ცნობიერების საზღვრებით, არ შეიძლება მისი წარმოშობისა და ხასიათის ახსნა და გაგება ფიზიკური კანონზომიერების ბაზაზე.

აღწერილი ფაქტები იძულებულს გვხდის, ვიფიქროთ, რომ ცნობიერების საფუძველში ძვეს მთლიანობითი დინამიკური ბუნების მქონე წარმონაქმნი, რომელიც ისე ასახავს და წინდაწინ ხვდება მოცემული სიტუაციის ძირითად თავისებურებებსა და მომავალი ქცევის სტრუქტურას, რომ შეუძლებელია ის ჩაითვალოს წმინდა ფიზიკური, არაფსიქიკური რიგის მოვლენად. მსგავსი ვითარების გათვალისწინების საფუძველზე საერთოდ ლაბარაკობენ დისპოზიციის — მის შექმნილ და თანშობილ წარმონაქმნებზე სტატიკური (ნიჭიერება, ტემპერამენტი, ლტოლვები, მიდრეკილებები) და დინამიკური (ხასიათი, ნებისყოფა, მორალური პრინციპები, მოთხოვნილებები, ცოდნისა და ჩვევის მარაგი) სახეებით — ფსიქიკური ბუნების შესახებ<sup>8</sup>.

<sup>7</sup> სიღრმის ფსიქოლოგიაში არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთების შესახებ იხ. ვ. კავაბაძე, არაცნობიერი ფსიქიკის ცნება ზ. ფრიდის ფსიქოანალიზის თეორიაში, მაცნე, 1968, № 4; არაცნობიერი ფსიქიკის ცნება კ. გ. იუნგის ანალიზურ ფსიქოლოგიაში, მაცნე, 1969, № 4.

<sup>8</sup> III. H. Ч х а р т и ш в и л и, Проблема бессознательного в Советской психологии, Тбилиси, 1966.

რა იქმის ზემომოყვანილი მსჯელობების შესახებ? ერთი რამ უდავოა, სახელდობრ, რომ ცნობიერების ფსიქიკური შინაარსების მიმდინარეობას საფუძვლად ედება მთლიანობითი დინამიკური ბუნების მქონე გარკვეულობა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ თვითონ ამ მთლიანობითი დინამიკური ბუნების მქონე გარკვეულობის მასალითს შედგენილობაზე, მის ონტიურ სახეზე საკუთრივ ცნობიერების ფსიქიკურ შინაარსებს არაფრის თქმა არ შეუძლიათ. სწორია, რომ ფიზიკურ კანონზომიერებას არ შეუძლია აგვიხსნას და გავვაგებინოს ფსიქიკური პროცესის მიმდინარეობა და შინაგანი ბუნება. ფსიქიკას მართავენ ფსიქიკის კანონები, ფსიქიკური პროცესები ფსიქიკის კანონის მიხედვით ხორციელდებიან. ფიზიოლოგიური რეალობა (ტვინის უმაღლესი ნერვული მოქმედება) აუცილებელი პირობაა ფსიქიკური კანონების მოქმედების ასპარეზის წარმოქმნისათვის. პასუხი კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს არსებობის ფორმის მხრივ აღნიშნული მთლიანობითი დინამიკური გარკვეულობა — ფსიქიკურს, უმაღლეს ნერვულ მოქმედებას, თუ სხვა რაიმეს — განპირობებულია მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით. გარკვეული ფილოსოფიური პოზიცია, ნებისთი თუ უნებლიეთ, გვაიძულებს ცნობიერი ფსიქიკის სუბსტრატად, საფუძვლად ვაღიაროთ ან უმაღლესი ნერვული მოქმედება, ან არაცნობიერი ფსიქიკა. თუ ვაზიარებულია აზრი მატერიიდან ცნობიერი ფსიქიკის გენეზისის შესახებ, მაშინ ცნობიერი ფსიქიკის დისპოზიცია მატერიალურ (უმაღლესი ნერვული მოქმედებად) უნდა გამოვაცხადოთ; ხოლო თუ უარყოფილია ტვინის მიერ ცნობიერი ფსიქიკის წარმოშობის აზრი, მაშინ ასეთი ფსიქიკის უშუალო მიზეზად არამატერიალური პროცესი (არაცნობიერი ფსიქიკა) უნდა ჩაითვალოს. მაგრამ იმით, რომ დავსახელებთ ცნობიერი ფსიქიკის უშუალო საფუძველი, საკითხი ამოწურული არ არის; დაისმის კითხვა, თუ როგორ წარმოშობს ცნობიერ ფსიქიკას, — პირველი პასუხის მიხედვით, — უმაღლესი ნერვული მოქმედება და მეორეს მიხედვით კი, — არაცნობიერი ფსიქიკა? არაცნობიერი ფსიქიკისადმი ცნობიერი ფსიქიკის წარმოქმნის უნარის მიწერა შემეცნებითი გონებისათვის უფრო ვასაგები არაა, ვიდრე ამ როლის დაკისრება ტვინისათვის (ფიზიოლოგიურისათვის) მითუმეტეს, რომ არაცნობიერი ფსიქიკა, როგორც ასეთი, ამ შემთხვევაში მხოლოდ ფუნქციითაა ცნობილი; მაშინ, როცა უმაღლესი ნერვული მოქმედების სუბსტრატი აღნიშნულის გარდა გამოცდილებაში საკუთარი არსებობის სახითაც გვეძლევა. დადასტურებადს, რეალობას წარმოადგენს.

არაცნობიერი ფსიქიკის ონტოლოგიურისა და გნოსეოლოგიურ საკითხს გარკვეული ასპექტით უკავშირდება საერთოდ ფსიქიკის ობიექტურად მოცემულობის საკითხი. ლაპარაკია სხვისი ფსიქიკის ობიექტურად ჩვენთვის მოცემულობისა და აღნიშნულის უშუალოდ წვდომის შესახებ; ამავე დროს ფსიქიკის ობიექტურად მოცემულობის დებულებიდან გამოჰყავთ აზრი ფსიქიკის არაცნობიერად არსებობის შესახებ. ამ შემთხვევაში, ფსიქიკის ობიექტურ მოცემულობაზე იმიტომ მიუთითებენ, რომ უნდათ ფსიქიკის არსებობის ფორმა არ გაივიგონ და ამოწურონ ცნობიერებაში ფსიქიკის დადასტურების მომენტით, რომ ფსიქიკის დადასტურების ერთადერთ საშუალებად არ გამოცხადდეს თვითდაკვირვება (ცნობიერებაში განცდის კონსტატაცია). მაშასადამე, ფსიქიკა თუ არ ამოიწურება ფსიქიკურის სუბიექტური მოცემულობით, ფსიქიკური ცხოვრების სფეროდან არ უნდა გამოირიცხოს ყველაფერი ის, რაც არ დასტურდება თვითდაკვირვების გზით. არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთების საქმეში ფსიქიკის მეთოდისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობის მინი-



ქების შესახებ გადაჭრით ის ითქმის, რომ მეთოდოლოგიურ ასპექტს ონტოლოგიურ პრობლემამატკაში მტკიცების საფუძველი არ გააჩნია, ვინაიდან იგი თვითონ ემყარება და განსაზღვრულია ონტოლოგიურით. ფსიქიკის არსებობის ფორმას განსაზღვრავს არა ის, თუ რა მეთოდი იქნება გამოყენებული მის მიმართ, არამედ, პირიქით, ფსიქიკის არსებობის ფორმა ამოსავალია მის მიმართ შესატყვისი მეთოდის დაფუძნების საქმეში. ჯერ უნდა გაირკვეს ფსიქიკის არაცნობიერი ფორმით არსებობის შესაძლებლობა, რომ შემდეგ დაისვას საკითხი მასთან მისასვლელი გზის თაობაზე.

როცა ლაპარაკობენ საერთოდ ფსიქიკის ობიექტურ მოცემულობაზე, ხშირად, ფსიქიკად მიიჩნევენ ქცევის ფენომენს. მაგრამ ქცევის ფენომენის ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ ქცევა, როგორც ასეთი, არ შეიძლება გაივიდეს ფსიქიკასთან. ქცევის შემთხვევაში საქმე გვაქვს რთულ მთლიანობით მოვლენასთან, რომლის მიმართაც ფსიქიკა მარტივად შეიძლება ჩავთვალოთ იმ საფუძვლის გამო, რომ ფსიქიკა ქცევის სტრუქტურის, მართალია, მთავარ, მაგრამ მაინც ერთ-ერთ კომპონენტს შეადგენს. ქცევა, როგორც ორიგინალური დარკვეულობა, ონტოლოგიურად არ შეიძლება გაუგვიდეს არც ფიზიკურს და არც ფსიქიკურს, რადგანაც ის წარმოადგენს იმ ახალ სპეციფიკას, იმ რომელობას, რასაც იძლევა ფსიქიკურისა და ფიზიკურის მთლიანობითი კავშირი. სწორედ აღნიშნულია მიღებული მხედველობაში, როცა ერთმანეთისაგან თიშავენ ფსიქიკასა და ქცევას და ლაპარაკობენ მათი ცალ-ცალკე შემეცნების ობიექტებად დასახვაზე, ფსიქოლოგიისა და ქცევის მეცნიერების კანონიერების შესახებ<sup>9</sup>. თვითონ ქცევის არაფსიქიკური ფენომენის ემპირიული მიმდინარეობა, რაც ჩვენთვის უდავოდ ობიექტურ მოცემულობას წარმოადგენს, არაფერს გვეუბნება არაცნობიერი ფსიქიკის შესაძლო არსებობაზე. არის თუ არა შესაძლებელი ქცევის მთლიანობითი ფენომენის სტრუქტურის შემადგენელი მომენტი — ფსიქიკა — არაცნობიერი ფორმით არსებობდეს, — ამას საკითხისადმი თეორიული მიდგომა გადაწყვეტს მხოლოდ.

კ. მარქსის თეზისი ადამიანის ფსიქოლოგიის თვითონ ადამიანის მოქმედებიდან გაგების შესახებ, — რომ ადამიანის მოქმედება... გრანობადად მოცემული ადამიანის ფსიქოლოგია<sup>10</sup>, — არ ეხება არაცნობიერი ფსიქიკის საგნობრივ-ობიექტურ მოცემულობას. შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ კ. მარქსის ზემოაღნიშნულ დებულებას აქვს მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ფსიქოლოგიური მეცნიერებისათვის. «ფსიქიკა, რომელიც სხეულთან ერთადერთ მთლიანს წარმოადგენს, შეუძლებელია, ამ სხეულის ობიექტურად გამოვლენილ პროცესებსა და აქტებშიც არ ჩანდეს და, მაშასადამე, ობიექტური დაკვირვების შესაძლებლობას არ გვაძლევდეს. განსაკუთრებით ადამიანის მოქმედების შესახებ უნდა ითქვას, რომ მასთან ფსიქიკური განცდების განუყრელი კავშირი ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ერთიანობა, ყოველ ეჭვს გარეშეა<sup>11</sup>. მაგრამ, როცა ლაპარაკობენ ფსიქიკის მიმართ ობიექტური დაკვირვების შესაძლებლობის შესახებ, გულუბრყვილობა იქნებოდა, გვეფიქრა ცნობიერი ფსიქიკური პრო-

<sup>9</sup> აღნიშნული საკითხის ანალიზის შესახებ იხ. ო. ტაბიძე, ბიქვიორისტული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები, თბილისი, 1968.

<sup>10</sup> «...История промышленности и возникшее предметное бытие промышленности является раскрытой книгой человеческих сущностных сил, чувственно предлежащей перед нами человеческой психологией». К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, Москва, 1956, гл. 594.

<sup>11</sup> ი. უ. ნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. III—IV, თბილისი, 1964, გვ. 19.

ცესების იმგვარ მოცულობაზე, როგორც გვეძლევიან გამოცდილებაში ფიზიკური ობიექტები. რა თქმა უნდა, სხვისი განცდები (ცნობიერი ფსიქიკური შინაარსები და პროცესები) ჩვენი ცნობიერების შინაარსი ვერ იქნება და, ამ აზრით, ისინი ჩვენთვის თვალსაჩინონი არ იქნებიან. ჩვენ თვალსაჩინოდ, ობიექტურად გვეძლევიან განცდებთან არსებითად დაკავშირებული ობიექტური მოვლენები და პროცესები. ამ გზით ჩვენ მოვიპოვებთ ცოდნას, მივალწევთ გაგებას სხვისი სულიერი ვითარების შესახებ, რომელიც ისევ დაკავშირებულია ჩემს განცდილასა და გაგებობის შესაძლებლობებთან.

კ. მარქსის დებულებაში პირდაპირაა მითითება იმაზე, რომ ობიექტურში გრძნობადი და მოცემული ადამიანის ფსიქოლოგია და არა ფსიქიკა. მაშასადამე, მასში ამოვიკითხავთ მნიშვნელობას, მოვიპოვებთ ცოდნას ობიექტურის განმარტობებელი ფსიქიკის შესახებ. ამ აზრითაა ფსიქიკა ჩვენთვის „გრძნობადი“ მოცემული ობიექტურში.

5. არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემაზე განსხვავებული ასპექტებით ცდილობენ პასუხის გაცემას. რეალიზმის თვალსაზრისი არაცნობიერი ფსიქიკის სინამდვილეზე ლაპარაკობს, ამისაგან განსხვავებით, ფიქციონალიზმის თვალსაზრისიდან ამოსული თეორიები, განსაკუთრებით ეს ითქმის სიღრმის ფსიქოლოგიურ თეორიებზე, არ სვამენ საკითხს არაცნობიერი ფსიქიკის რეალურ არსებობაზე. არაცნობიერი ფსიქიკა აქ ჰიპოთეზაა მხოლოდ, რომელიც საჭიროა ფსიქოლოგიური მეცნიერების შემეცნებითი ინტერესისათვის და იმის გამო, რომ ამოსავლადაა გამოცხადებული გნოსეოლოგიური პოსტულატი — შემეცნებელ გონებას არ ძალუძს ცნობიერების ფარგლებს გარეთ არსებულზე ჭეშმარიტი მსჯელობის გამოთქმა, არც დაისმის საკითხი ამ ჰიპოთეზის გამართლებაზე, სინამდვილის სფეროში მისი რეალური შესატყვისის შესახებ. სიღრმის ფსიქოლოგიაში ამგვარადვე დგას საკითხი არაცნობიერი ფსიქიკის ონტიური დახასიათების შემთხვევაში. არაცნობიერი ფსიქიკის სფეროზე ცნობიერი ფსიქიკური შინაარსების ნიშან-თვისებების გავრცელება პირობითია. რადგანაც შეგნებულა ვითარება, რომ „ჩვენ არ შეგვიძლია გვექონდეს არავითარი ვარაუდი იმის შესახებ, თუ რა ფორმით არსებობს წარმოდგენა სულში, როცა ის ცნობიერებისათვის ლატენტურია იმავდროულად“ (ფრაილი), — ამდენად შეუცნობელი არაცნობიერის აღწერა ცნობიერი ფსიქიკური ფენომენების მეშვეობით წარმოდგენს მხოლოდ დაშვებას, თითქოს ეს ასეა, და მას რეალურის მტკიცებასთან არა ესაქმება რა.

6. საბჭოთა ფსიქოლოგიაში არის ცდები არაცნობიერი ფსიქიკის დაფუნებისა, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ვითარება, რომ არაცნობიერი ფსიქიკის ცნება ერთმნიშვნელოვნად არაა გაგებული. ამიტომ, ზოგ შემთხვევაში, არაცნობიერ ფსიქიკაზე მსჯელობა ფაქტიურად არაა ისეთი ფსიქიკის შესახებ მსჯელობა, რომელიც მოაზრებულია ცნობიერებასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე. არც ისაა ყველას მიერ შეგნებული, რომ ცნობიერებასთან კავშირის გარეშე და მის ფარგლებს გარეთ შესაძლო არსებობის მქონე ფსიქიკა ფილოსოფიურ ანალიზს მოითხოვს, მხოლოდ თეორიული არგუმენტაციის ასპექტით შეიძლება მის მიმართ საბოლოო განაჩენის გამოტანა ონტოლოგიურ საკითხში.

ცდილობენ მარქსისტული ფილოსოფიის კლასიკოსების — კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმული ცალკეული დებულებების გამოყენებას არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთებისათვის. მოჰყავთ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მსჯელობა „გერმანული იდეოლოგიადან“, რომელიც ეხება ცნობიერებისა და ენის ბუნებას, მათს ურთიერთკავშირს.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიხედვით, ადამიანის განვითარების ადრეულ საფეხურზე ცნობიერება აღმოცენდა ენასთან ერთად საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, რომ ცნობიერება იმთავითვე წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტს. აქედან გამომდინარეობს განსხვავება ადამიანისა და ცხოველის ფსიქიკას შორის, რასაც აფუძნებს ადამიანის ფსიქიკისადმი ცნობიერების ნიშნის მიწერა. კ. მარქსთან და ფ. ენგელსთან ცნობიერების ცნება აღნიშნულ კონტექსტში ფსიქოლოგიური მნიშვნელობით იხმარება და არა საზოგადოებრივი ცნობიერების (შეგნება) მნიშვნელობით. ამაზე მეტყველებს ადამიანის ცნობიერების ის დახასიათება, რომელიც ეხება არსებობის ცხოველური საფეხურისაგან მის გათიშვას: „ეს დასაწყისი ისევე ცხოველურია, როგორც თვით საზოგადოებრივი ცხოვრება ამ საფეხურზე, იგი წმინდა ჯოგური ცნობიერებაა და ადამიანი განსხვავდება აქ ცვრისაგან მხოლოდ იმით, რომ ცნობიერება მას ინსტინქტის მაგივრობას უწყევს, ანდა მისი ინსტინქტი შეცნობილია“<sup>12</sup>. მაშასადამე, აქ ლაპარაკია ისეთ ცნობიერებაზე, რომლის შინაარსია საკუთარი ინსტინქტური ქცევა (ქცევის მიზანი და საშუალებები). ეს ის ცნობიერებაა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა გააღამიანების ვაზზე მდგომ არსებას, გამოეყო საკუთარი თავი, მოთხოვნილებები და მის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საგნები და მოვლენები გარე საწყაროს ნივთთა ერთიანობიდან და ერთმანეთისადმი დაეპირისპირებინა ისინი.

კ. მარქსთან და ფ. ენგელსთან მართლაც რომ მსჯელობაა, გარკვეული ასპექტით, ცნობიერების ფსიქოლოგიურ შინაარსზე, მაგრამ აქედან აუცილებლობით არ გამომდინარეობს, რომ იქ, სადაც საკითხი ეხება გაუცნობიერებელი ინსტინქტური ქცევის ფაქტებს, აუცილებლობით იგულისხმება ინსტინქტური ქცევის აქტის განმაპირობებელი არაცნობიერი ფსიქიკის არსებობა. ტერმინი ინსტინქტის გაცნობიერება ნიშნავს, — როგორც ეს ნათლად ჩანს იმ ფაქტობრივი ვითარების ანალიზიდან, რომელიც მოყვანილია ავტორებთან, — ინსტინქტის ცნობიერების (აზროვნების) საგნად გახდომა, სუბიექტის მიერ ინსტინქტის შესახებ ცოდნის ფლობას. აღნიშნულის საპირისპირო ვითარება, როცა ცხოველთან ინსტინქტი გაცნობიერებული არაა, უნდა ნიშნავდეს სწორედ საგნობრივი ცნობიერების არარსებობას, ცნობიერების რეფლექტორული აქტის განუხორციელებლობას. „ცხოველი არაფერთან არაა „ურთიერთობაში“ და საერთოდ მოკლებულია „ურთიერთობას“. ცხოველისათვის მისი ურთიერთობა სხვასთან არ არსებობს როგორც ურთიერთობა“<sup>13</sup>. რეფლექტორული ცნობიერებით განსხვავდება ადამიანი ცხოველისაგან, ხოლო რეფლექტორული ცნობიერების თვისების უქონლობა არ უნდა ნიშნავდეს ცხოველთან ცნობიერების დაბალი სახის ე. წ. ატრიბუტული, ანუ პრიმარული ცნობიერების საფეხურის არარსებობას. ცხოველებს უნდა ჰქონდეთ ფსიქიკა პრიმარული ცნობიერებით. ცხოველი შეიგრძნობს ტკივილს (აქვს ტკივილის განცდა), ე. ი. აქვს ფსიქიკა პრიმარული ცნობიერებით, მაგრამ მას არ შესწევს უნარი ტკივილი აქციოს მიმართების ობიექტად, საგნად, გამოჰყოს რა იგი მისი ბუნებრივი არსებობის მიმდინარეობიდან. მაშასადამე, როცა კ. მარქსთან და ფ. ენგელსთან საკითხი ისმის ადამიანისა და ცხოველის განსხვავებაზე გაცნობიერების ნიშნის მიხედვით, ეს არ უნდა ნიშნავდეს არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის დაშვებას, ე. ი. ისეთი ფსიქიკის არსებობის აღიარებას, რომელიც იარსებებდა საერთოდ ცნობიერებასთან კავშირის გარეშე. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ზემომოყვანილ აზრთა მსჯელობიდან არ უნდა გამომდინარეობდეს ამგვარი არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის დაცვა.

<sup>12</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგიიდან“, თბილისი, 1948, გვ. 32.  
<sup>13</sup> იქვე, გვ. 31.



მოჰყავთ ადგილი ფ. მერინგისადმი მიწერილი ფ. ენგელსის წერილიდან, სადაც ლაპარაკია იდეოლოგიური წარმოდგენების აღმოცენების წესსა და გზაზე ინდივიდში. ეს ისეთი პროცესია, როცა „ნამდვილი მამოძრავებელი ძალები, რომელნიც მას (ინდივიდს — ვ. კ.) ამოძრავებენ, მისთვის უცნობი რჩებიან... ის მარტოოდენ სააზროვნო მასალით მუშაობს, რომელიც მას პირდაპირ მიაჩნია როგორც აზროვნებით წარმოშობილი და მეტს არ იკვლევს უფრო დაშორებულს, აზროვნებისაგან დამოუკიდებელი პროცესის მიხედვით. ეს მას თავისთავად გასაგებად მიაჩნია, ვინაიდან მას ჰგონია, რომ ყოველგვარი ადამიანური მოქმედება საბოლოო ანგარიშით აზროვნებაზე და ფუნქციონირებით, იმიტომ რომ აზროვნების საშუალებით ხდება“<sup>14</sup>. მაშასადამე, ფ. ენგელსი ადასტურებს ისეთი აზროვნების პროცესის ფაქტს, რომლის ნამდვილი მამოძრავებელი მოტივები თვითონ ადამიანისათვის უცნობია, გაუცნობიერებელია. ყურადღებას ამახვილებენ აგრეთვე კ. მარქსის მიერ საქონლის ფეტიშიზმის ანალიზზე, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასაქონლო წარმოების პირობებში, რომლის საფუძველია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, საქონლის მწარმოებელთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი იქცევიან ნივთთა შორის ურთიერთობის ფორმად ისე, რომ ეს ვითარება მათ მიერ გაუცნობიერებული არაა.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მსჯელობები, რომ ადამიანში არის მისთვის უცნობი აზროვნების მამოძრავებელი მოტივები და რომ ადამიანები ვერ აცნობიერებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ჩათვლილია არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის დამადასტურებლად. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მითითებები ფაქტიურ ვითარებებზე არ ეხებიან არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის პრობლემას, რადგანაც აქ საკითხი არ დგას არც აზროვნების არაცნობიერი მოტივის, მამოძრავებელი ძალის მასალითი შედგენილობის რაობის თაობაზე, როცა ის ცნობიერებასთან არაა დაკავშირებული, და არც საზოგადოებრივი ურთიერთობის ფსიქიკური სახით არსებობაზე, როცა მის შესახებ ადამიანს არა აქვს ცნობიერება, ცოდნა. ამიტომ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მსჯელობების მოყვანა იმ მიზნით, თითქოს აქ პირდაპირი მითითება იყოს ფსიქიკის არაცნობიერად არსებობისა, რეალურ ვითარებას არ უნდა ასახავდეს.

უთითებენ ვ. ი. ლენინის აზრზე ნაშრომიდან „რა ვაკეთოთ?“ რომელშიც მსჯელობაა აბსოლუტიზმის აუტანლობის შეგნებაზე. ვ. ი. ლენინი წერს: „უკმაყოფილოები... მზად არიან შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყონ ბრძოლას აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, რის აუტანლობა ჯერ კიდევ ყველას არა აქვს შეგნებული, მაგრამ თანდათან უფრო საგრძნობი ხდება ფართო მასისათვის“<sup>15</sup>. მითითებული მსჯელობა — აბსოლუტიზმის აუტანლობა რომ თანდათან სულ უფრო მწვავედ საგრძნობი ხდება („все острее ощущается“) ფართო მასისთვის, მაგრამ რომ იგი ჯერ კიდევ ყველას მიერ არაა შეგნებული („еще не всеми сознается“), — რა თქმა უნდა, არაცნობიერის ფსიქოლოგიურ პრობლემას არ ეხება, ვინაიდან ვ. ი. ლენინი აქ ლაპარაკობს არა ფსიქიკური ფენომენის — შეგრძნების — არაცნობიერებაზე, არამედ იდეოლოგიურ საკითხებზე, სოციალური ფაქტის შეუგნებლობაზე, ე. ი. სოციალური ვითარების არაზუსტ ასახვაზე.

სვამენ საკითხს ფსიქიკის განვითარების შესახებ, რისგანაც გამოჰყავთ აზრი ცნობიერი ფსიქიკის წინა საფეხურის — არაცნობიერი ფსიქიკის — აღიარებისა და აღნიშნულის სასარგებლო არგუმენტად იყენებენ ვ. ი. ლენინის მსჯელობას „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმიდან“. ვ. ი. ლენინი წერს: „მატერიალიზმი სრულიად ეთანხმება ბუნებისმეტყველებას და პირველად

<sup>14</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949, გვ. 509—510.

<sup>15</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 5, თბილისი, 1949, გვ. 594.

მოცემულად მატერიას თვლის, ხოლო მეორადად — ცნობიერებას, აზროვნებას, შეგრძნებას, ვინაიდან ნათლად გამოხატული ფორმით შეგრძნება მხოლოდ მატერიის უმაღლეს ფორმებთან (ორგანულ მატერიასთან) არის დაკავშირებული და „თვით მატერიის შენობის საძირკველში“ შეიძლება მხოლოდ ვიკულუსნობით უნარის არსებობა, რომელიც შეგრძნებას ჰგავს<sup>15</sup>. მატერიის საძირკველში ნავთლისხმევი შეგრძნების მსგავსი უნარი რომ არ შეიძლება გააზრებული იქნეს სწორედ არაცნობიერ ფსიქიკად, ამაზე მეტყველებს ვ. ი. ლენინის მიერ „შეგრძნების მსგავსი უნარის“ ცნების დახასიათება როგორც ასახვისა, რაც წარმოადგენს მთელი მატერიის თვისებას: „... ლოგიკურია იმის ვარაუდი, რომ მთელ მატერიას აქვს თვისება, რომელიც არსებითად ენათესავება შეგრძნებას, ასახვის თვისება...“<sup>16</sup>. თუკი შეგრძნების მსგავსი უნარი გაგებული იქნება არაცნობიერ ფსიქიკად, მაშინ მატერიის საერთო ნიშნად გამოცხადდებოდა არაცნობიერი ფსიქიკა და ეს გაგება, როგორც პანფსიქიზმი, დაუპირისპირდებოდა განვითარების დიალექტიკას. მატერიის ზოგად, უნივერსალურ ნიშნად, ვ. ი. ლენინთან ცხადდება არა არაცნობიერი ფსიქიკა, (შეგრძნების მსგავსი უნარი), არამედ ასახვის თვისება. მატერიის მოძრაობის განსხვავებული ფორმებისათვის (არაორგანული, ორგანული, ფსიქიკური, გონითი) საერთოა ის, რომ ისინი ყველა ფლობს ასახვის თვისებას. სხვა საკითხია, კონკრეტულად როგორ წარმოიდგინება თვითონ ასახვა, რომელიც სპეციფიკურ სურათს ქმნის მატერიის მოძრაობის ცალკეულ ფორმასთან დაკავშირებით. შეიძლება თუ არა ფსიქიკური ასახვა არ იყოს დაკავშირებული ცნობიერებასთან, ფსიქიკური ასახვა განხორციელდეს ცნობიერების ფარგლებს გარეთ? ვ. ი. ლენინთან შეგრძნების როგორც ასახვის, გნოსეოლოგიური აქტის ცნება გამორიცხავს ასეთ გაგებას. შეგრძნება-ასახვა, ანუ შემეცნება, ცნობიერების ფაქტია<sup>17</sup>.

განვითარების ასპექტით ცნობიერი ფსიქიკის წინა საფეხურის დაშვებას არაცნობიერი ფსიქიკის სახით ეწინააღმდეგება დიალექტიკური პროცესის ლენინისეული გაგება. ვ. ი. ლენინი თვლის, რომ ცნობიერების წინა საფეხური მატერიაა (მატერიის განვითარების უმაღლესი პროდუქტი, უმაღლესი ნერგული მოქმედება) და რომ დიალექტიკური ნახტომი მატერიიდან ცნობიერებაზე (ცნობიერ ფსიქიკაზე) არ საჭიროებს შუალედურ საფეხურს არაცნობიერი ფსიქიკის სახით. ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში“ მიუთითებს: „დიალექტიკის მომხრემ, ჰეგელმა, ვერ შეძლო გაეგო დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი გადასვლა მატერიიდან მოძრაობაზე, მატერიიდან ცნობიერებაზე — მეორე განსაკუთრებით. მარქსმა გაასწორა მისტაკოსის შეცდომა (თუ სისუსტე?)“. შემდეგ, „დიალექტიკურია არა მხოლოდ გადასვლა მატერიიდან ცნობიერებაზე, არამედ შეგრძნებიდანაც აზრზე etc.“<sup>18</sup>.

7. საბჭოთა ფსიქოლოგიაში არის ცდა არაცნობიერება ფსიქიკისა დასაბუთდეს ადამიანის, პიროვნების ცნების გამოყენებით. ამ შემთხვევაში ამოსავალ დებულებადაა ჩათვლილი პიროვნების ფსიქიკასთან გაიგივების აზრი. და

<sup>15</sup> ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 14, თბილისი, 1950, გვ. 43.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>17</sup> იხ. Тодор Павлов, Теория отражения, кн. I, Избранные философск. произв. т. III, Москва, 1962; შეად. გ. ცინცაძე, ცნობიერების ვენეზისის პრობლემა ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 1963, ტ. 2.

<sup>18</sup> ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 38, თბილისი, 1963, გვ. 288.

4. „მაცნე“, ფილოსოფიის, ... სერია, 1973, № 1

რადგანაც უარყოფილია პიროვნების დაყვანა ცნობიერების მომენტზე, ამდენად გამართლებულად მიაჩნიათ პიროვნების ის სფერო, რომელიც ცნობიერებასთან არაა დაკავშირებული, გამოცხადდეს არაცნობიერ ფსიქიკად.

როცა წამოყენებულია თუხის „პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური პრობლემის“ შესახებ უპირველეს ყოვლისა გასარკვევია პიროვნების რაობის ონტოლოგიური ასპექტი. როგორ უნდა იქნეს მოახრებელი პიროვნება, როგორც ასეთი, ფსიქიკურ რეალობად თუ არაფსიქიკურ გარკვეულობად? პიროვნება ფსიქიკაზე დაიყვანება, თუ ფსიქიკა წარმოადგენს პიროვნების სტრუქტურის ერთ-ერთ მომენტს? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ამოსავალია ფსიქოლოგიის პრობლემასთან პიროვნების ცნების მიმართების საკითხის გარკვევისათვის — რა ადგილი უნდა დაიკავოს და რა როლი უნდა ითამაშოს პიროვნების ცნებამ ფსიქიკის შესახებ მეცნიერების სისტემაში. იმ შემთხვევაში, თუკი აღმოჩნდებოდა, რომ პიროვნება ეს იგივე ფსიქიკაა, მაშინ თავისთავად იგულისხმება ფსიქოლოგიის პრობლემის არსებითი კავშირი პიროვნებასთან, ფსიქოლოგიამ უნდა შეიმეცნოს პიროვნება. მაგრამ სხვაგვარი პასუხიც — პიროვნება არაა ფსიქიკა — არ გამორიცხავს ფსიქოლოგიისათვის პიროვნების ცნების მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში მყოფითებენ ფსიქოლოგიური მეცნიერებისათვის პიროვნების ცნების მეთოდოლოგიური ასპექტი გამოყენების აუცილებლობაზე, რომ პიროვნებამ, როგორც უფრო მაღალმა და რთულმა, უნდა გავავებინოს მისი შემადგენელი სტრუქტურული ელემენტის, მასთან შედარებით მარტივის — ფსიქიკის — საზრისი, რომ პიროვნება აუცილებელი საშუალებაა ფსიქიკის შემეცნებაში.

გაუმართლებელი ჩანს „პიროვნების ფსიქიკის ცნებისა“ და „პიროვნების ფსიქოლოგიური ცნების“ გაიგივება. პიროვნების (ადამიანის) ონტიურ გარკვეულობად ფსიქიკის გამოცხადება, რომელიც იგულისხმება პიროვნების ფსიქოლოგიურ ცნებაში, ეწინააღმდეგება პიროვნების მთლიანობის ცნების შინაარსს. პიროვნების მთლიანობა, რომელიც მოიცავს პიროვნების მრავალმხრივი სინამდვილის შინაარსს, არაა იგივე, რაც ფსიქიკის მთლიანობა. ეს უკანასკნელი პიროვნებიდან, როგორც სხვაზე დაუყვანადიდან, ანალიზური თვალსაზრისით გამოყოფილი მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია, სპეციფიკაციაა, რომელიც, თავის მხრივ, საკუთარ მთლიანობით ბუნებას ამჟღავნებს. (ასევე ანალიზური მიდგომა ფსიქიკა — მთლიანში ადასტურებს ცალკეულ სტრუქტურულ მთლიანობებს და ა. შ.). „პიროვნების ფსიქიკისა“ და „პიროვნების ფსიქოლოგიის“ ცნებები საცხებით კანონიერია (მსგავსად ცხრველის ფსიქიკისა და ზოოფსიქოლოგიისა), იგულისხმება, რომ პიროვნების მხოლოდ ერთ-ერთი სტრუქტურული მომენტი — ფსიქიკა — წარმოადგენს სპეციალური მეცნიერების, ფსიქოლოგიის ასახვის საგანს. ხოლო პიროვნების ფსიქოლოგიური ცნება (პიროვნების ფსიქიკად გამოცხადება, ფსიქიკაზე დაყვანა) და პიროვნების დასახვა ფსიქოლოგიის კვლევა-ძიების ობიექტად გაუმართლებელია, ვინაიდან ფსიქიკადაა ჩათვლილი ისეთი რამ, რაც (პიროვნება) ფსიქიკა არაა.

საბჭოთა ფსიქოლოგიაში დ. უზნაძის განწყობის თეორიამ ერთ-ერთმა პირველმა უკუაგლო აზრი პიროვნების იმ გაგებისა, რომელსაც პიროვნება მიაჩნია ცნობიერი ფსიქიკის ერთობლიობად. განწყობის თეორიის პრინციპული პოზიციაა ისიც, რომ პიროვნება არ შეიძლება დაყვანილი იქნეს ფსიქიკაზე საერთოდ. „ადამიანი, როგორც მთელი, ფსიქიკისა და სხეულის, ფსიქიკურისა და ფიზიოლოგიურის ჯამს როლი წარმოადგენს, მათს შენაერთს, ასე ვთქვათ, ფსიქოფიზიკურ არსებას, არამედ დამოუკიდებელს თავისებურ რეალობას, რო-



მელსაც თავისი სპეციფიკური რომელობა და თავისი სპეციფიკური კანონზომიერება აქვს<sup>19</sup>.

თუკი აღამიანი, პიროვნება, როგორც ამაზე გარკვევით მიუთითებს დ. უზნაძე, წარმოადგენს „დამოუკიდებელს თავისებურ რეალობას“, რომელსაც „თავისი სპეციფიკური რომელობა“ აქვს, რაც განსხვავებულია ფსიქიკისაგანაც და ფიზიოლოგიურისგანაც, მაშინ ამ თავისებური რეალობის, სპეციფიკური რომელობის ე. ი. აღამიანის მთლიანობითი მდგომარეობა, მოდიფიკაცია, მოდუსი შეუძლებელია ონტოლოგიურად განსხვავებული რაიმე იყოს იმისაგან, რისი მთლიანობითი მდგომარეობა, მოდუსი, მოდიფიკაცია ისაა. პიროვნების მთლიანობითი მოდიფიკაცია, აქტიური მდგომარეობა ანუ განწყობა, როგორც სპეციფიკური რომელობა საფუძვლად ედება პიროვნების ქცევას, მთელი ფსიქიკური ცხოვრების მიმდინარეობას<sup>20</sup>. ამიტომ განწყობამ, როგორც პიროვნების (ე. ი. არაფსიქიკურის) მთლიანობითმა. სპეციფიკურმა რომელობამ, მდგომარეობამ, უნდა გავავაგებინოს სუბიექტის ცნობიერების მოღვაწეობა, რომელიც მისითაა განპირობებული.

განწყობის არაცნობიერი ფსიქიკურობის არგუმენტად მოყვანილი მოსაზრებები: რაკი განწყობა სწორედ რომ ფსიქიკური აქტივობისათვის მზაობას წარმოადგენს, ამიტომ იგი ფსიქიკური კატეგორიის ფაქტად უნდა იქნეს აღიარებული, და რომ განწყობა მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთმოქმედებას გამოხატავს — ასახავს „სიტუაციის საზრისს“ და წარმართავს მოქმედების მიმართულებას, ცნობიერების პროცესებს — ამიტომ იგი ფსიქიკურის არაცნობიერ სფეროს უნდა განეკუთვნებოდეს<sup>21</sup>, ვერ უნდა ასაბუთებდნენ განწყობის ფსიქიკურობას და, მით უმეტეს, მის ფსიქიკურ არაცნობიერობას. დებულებიდან, რომ განწყობა ფსიქიკური აქტივობისათვის მზაობაა, არ გამომდინარეობს დანასკვი — ის, რაც განაპირობებს ცნობიერ ფსიქიკურ აქტივობას, აუცილებლად ისევ ფსიქიკა (resp. არაცნობიერი ფსიქიკა) უნდა იყოს. არგუმენტაცია ემყარება დასაბუთებულად ნაფულისხმებ ზოგად დებულებას — ცნობიერი ფსიქიკური აქტივობა — შედეგი წარმოიშობა მხოლოდ არაცნობიერი ფსიქიკური საფუძვლიდან. აღნიშნული ზოგადი დებულება არ ეთანხმება მატერიალისტური დიალექტიკის მტკიცებას: „გადასვლა მატერიიდან ცნობიერებაზე დიალექტიკურია“. თუ უკანასკნელი თეზისი სწორია, მაშინ ცნობიერი ფსიქიკური აქტივობის უშუალო საფუძვლად აღიარებული უნდა იქნეს არა არაცნობიერი ფსიქიკა, არამედ არაფსიქიკური გარკვეულობა, ფიზიოლოგიური სუბსტრატი.

არსებითად იგივე ითქმის მეორე არგუმენტზეც. დებულება — განწყობა მოთხოვნილებისა (სუბიექტური ფაქტორისა) და სიტუაციის (ობიექტური ფაქტორის) ურთიერთობის შედეგია — არ გამოდგება განწყობის ონტიური ბუნების ცხადსაყოფად, რადგანაც ესაა განწყობის აღმოცენების საჭირო პირობებზე მითითება, რომელიც ვერ წყვეტს თვითონ განწყობის არსებობის ფორმის საკითხს. განწყობის ფუნქციაზე მითითებიდან, რომ ის წარმართავს

<sup>19</sup> დ. უზნაძე, განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 19, 1941, გვ. 25. შეად. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. III—IV, თბილისი, 1964, გვ. 29—53.

<sup>20</sup> დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქოლოგია, ტ. VI, თბილისი, 1949, გვ. 112.

<sup>21</sup> ზ. ხოჯავა, განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი დ. უზნაძის განწყობის თეორიაში, თბილისი, 1964, გვ. 13. А. С. Прангишвили, Исследования по психологии установки, Тбилиси, 1967, გვ. 95.

ადამიანის მოქმედების მიმართულებას და ცნობიერების პროცესებს. ლოგიკურად არ გამომდინარეობს განწყობის არაცნობიერი ფსიქიკურობა. ასევე წინასწარ დასაბუთებას მოითხოვს, სანამ ის იქნებოდეს გამოყენებული საბუთად განწყობის არსებობის ფორმის ვასარკვევად, სიტუაციის (მოთხოვნის შესატყვისი ობიექტური სინამდვილის) საზრისის (მნიშვნელობის) ასახვის არაცნობიერების შესაძლებლობა, ე. ი. დაშვება არსებულის მნიშვნელობის, არსის ისეთი ასახვისა (გნოსეოლოგიური აქტისა), რომელიც ფსიქიკური იქნება. მაგრამ ცნობიერების ჩარევას არ დაისაჯიროებს, გამოირიცხავს.

განწყობის ცნებასთან დაკავშირებით გამოითქვა შეხედულება. არაცნობიერ ფსიქიკად ჩათვალოს ისეთი ვითარება, რომელიც წარმოადგენს ფსიქოფიზიურ ერთიანობას. ეს უკანასკნელი თავისი შინაგანი ბუნებით ფიზიოლოგიურისა და ფსიქიკურის უბრალო დაკავშირება არაა. საკუთრივ ფიზიკური და ფსიქიკური უმაღლესი მთლიანობის გამოვლენის ფორმებია. ამ ორიგინალური მოვლენის, როგორც ერთის, არსებობის ბუნება, ჯერ ერთი, არ შეიძლება დახასიათდეს მისი ერთ-ერთი გამოვლენილი ნაწილის, ამ შემთხვევაში ფსიქიკის, გარკვეულობით. შემდეგ, რაც მთავარია გარკვევას მოითხოვს აღნიშნული მთლიანი ერთის სტრუქტურული კომპონენტის — ფსიქიკის — მასალითი შემადგენლობა: იგი ცნობიერი ფსიქიკაა თუ ჩვენთვის ემპირიულად უცნობი, თეორიული შინაარსის მქონე არაცნობიერი ფსიქიკა. თუკი ფსიქოფიზიკური ერთიანობის ფსიქიკური კომპონენტი არაცნობიერ ფსიქიკადაა მოაზრებულა, მაშინ ამ უკანასკნელის არსებობის შესაძლებლობა წინდაწინვე დასაბუთებას მოითხოვს. ეს ვითარება საფუძველს არ უნდა იძლეოდეს ზემოაღნიშნული დაუნაწევრებელი მთლიანი ერთი კვალიფიცირებული იქნეს ფსიქიკურად.

8. არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემას უკავშირდება ფსიქიკის კანონის არსებობის ფორმისა და ბუნების საკითხი. ცნობიერი ფსიქიკის კანონის მასალითი შედგენილობის ცხადყოფამ გარკვეული ასპექტით, შეიძლება, ერთგვარი პასუხი გასცეს არაცნობიერი ფსიქიკის რაობის საკითხს.

სიღრმის ფსიქოლოგიაში, კერძოდ, კ. გ. იუნგის ანალიზურ ფსიქოლოგიაში არის ცდა არაცნობიერი ფსიქიკის რაობისა და არსებობის საკითხის გარკვევა დაკავშირდეს ფსიქიკის კანონის ბუნებასთან, არაცნობიერ ფსიქიკად გამოცხადდეს ფსიქიკის კანონი. მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ ანალიზური ფსიქოლოგიის ფილოსოფიურ წინამძღვრებს, განსაკუთრებით გნოსეოლოგიურ ასპექტს, მაშინ ნათელი გახდება, რომ აქ ფსიქიკის კანონზე მსჯელობა ეს იგივე შემეცნებითი გონის აპრიორულ ფორმაზე მსჯელობაა, რომ ფსიქიკის კანონი რეალურად, ობიექტურად არსებული ვითარება კი არაა, არამედ გონის მიერ ფსიქიკურ მოვლენებში შეტანილი წესრიგი. მაშასადამე, მეცნიერება-ფსიქოლოგიის კანონები ობიექტურად არსებულის ასახვას კი არ წარმოადგენენ, არამედ ისეთ იდეალურს, რომელიც შემეცნებელმა გონმა მოიმარჯვა როგორც საკუთარი იარაღი სუბიექტური სინამდვილის შემეცნებისათვის. გასაგებია, რომ ანალიზური ფსიქოლოგიის ფარგლებში არაცნობიერი ფსიქიკა არ წარმოადგენს რეალობის სახით, იგი ცნობიერი ფსიქიკის ე. წ. გაგების საქმეს ემსახურება და ფიქციის კატეგორიას განეკუთვნება. ფსიქიკის კანონი, არაცნობიერი ფსიქიკა ეს ის ცნებებია, რომელთაც არ გააჩნიათ შესატყვისი რეალურ სინამდვილეში.

პრინციპულად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას კანონის გაგების საკითხში მარქსისტული ფილოსოფია. მარქსიზმის მიხედვით, მეცნიერების კანონი

ობიექტურად არსებული კანონის ასახვადა წარმოდგენილი. ფსიქოლოგიის კანონები ფსიქიკური სინამდვილის სფეროში რეალურად არსებული და მოქმედი კანონების ასახვაა. ისმის კითხვა — რას წარმოადგენენ შინაგანი ბუნების მიხედვით ფსიქიკური სინამდვილის სფეროში მოქმედი კანონები? მათი მასალითი შედგენილობა ფსიქიკაა? იგივე კითხვა ზოგადად ასე შეიძლება დასმულიყო — ონტოლოგიური გარკვეულობის კანონი არის თუ არა შესატყვისი ამ გარკვეულობისა ონტოლოგიურად? დადებითი პასუხის შემთხვევაში ფსიქიკურის მიმართ ასეთი მსჯელობა უნდა გაგვევითარებინა: თუ ფსიქიკის კანონის მასალითი ბუნება ფსიქიკურია, ამავე დროს ფაქტია, რომ ფსიქიკის კანონი ცნობიერი ფენომენი არაა, მაშინ საფუძველი იარსებებს, ვილაპარაკოთ ფსიქიკის კანონის, როგორც არაცნობიერი ფსიქიკური გარკვეულობის, რეალურად არსებობის შესახებ.

ფსიქიკის კანონის ონტოლოგიური ბუნების ანალიზი, ცხადყოფა, დაფუძნებული მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე, უნდა გახდეს აქტუალური ამოცანა არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის გარკვევის საკითხში<sup>22</sup>.

9. სიღრმის ფსიქოლოგიის ამოსავალი ონტოლოგიური აქსიომაა ფსიქიკის არაცნობიერად არსებობის აზრი. სიღრმის ფსიქოლოგია ამოცანად სახავს არაცნობიერად, ე. ი. ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად ნაგულისხმევი ფსიქიკური რეალობის შემეცნებას, იმ მეთოდოლოგიური ასპექტის დამუშავებას, რომელიც შესაძლებელს გახდის არაცნობიერი ფორმით არსებული ფსიქიკის თავისებურებათა და კანონზომიერებათა დადგენას. მაგრამ სიღრმის ფსიქოლოგიის, როგორც ემპირიული მეცნიერების, კანონიერება, არსებობის პრეტენზია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს გამართლებული, თუკი დასაბუთდება არაცნობიერი ფსიქიკის რეალური არსებობა, რომელიც მეცნიერული კვლევის ობიექტად წარმოიდგინება. ამას მოითხოვს შემეცნების ლოგიკა. მეცნიერება შეიძლება მხოლოდ რეალურად არსებულზე<sup>23</sup>.

რადგანაც, დიალექტიკურ-მატერიალისტური ფილოსოფიის მიხედვით, გაუმართლებელი ჩანს არაცნობიერი ფსიქიკის არსებობა, ამიტომ მიუღებელია როგორც არაცნობიერი ფსიქიკის შემეცნების ობიექტად დასახვა, ისე მისი (დიალექტიკის) გამოყენება ცნობიერი ფსიქიკისა და ქცევის რეალურ ამხსნელ საშუალებად. თუკი ტენია (უმაღლესი ნერვული მოქმედება) უშუალო მიზეზია და წარმოშობს ცნობიერ ფსიქიკას — „დიალექტიკურია გადასვლა მატერიიდან ცნობიერებაზე“ (ლენინი), — მაშინ გაუმართლებელი ჩანს ცნობიერი ფსიქიკის საფუძვლის ძიება არაცნობიერ ფსიქიკაში, ვინაიდან ეს უკანასკნელი არარსებულა.

მაშასადამე, მარქსისტული მსოფლმხედველობის მიხედვით, სიღრმის ფსიქოლოგია ოდითხუთი ცნებაა იმ შემთხვევაში, როცა ფსიქიკის სიღრმეში ნა-

<sup>22</sup> ფსიქიკის კანონის ონტოლოგიურ ბუნებას ვერ უნდა წყვეტდეს ფსიქიკის არსებობის ფორმად ფენომენალური არსებობის გამოცხადება რა აქედან გამომდინარე ფსიქიკის კანონისადმი ფენომენალური არსებობის შესატყვისი გარკვეულობის მიწერა. ისევ დგება საკითხი ფენომენალური არსებობის მქონე გარკვეულობის კანონის მასალითი შედგენილობის თაობაზე. ფსიქიკის კანონის ბუნების შესახებ. იხ. ა. ბოკორიშვილი, ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის, თბილისი, 1966, თავი IV, კანონზომიერება ფსიქიკურ მოვლენებში.

<sup>23</sup> «Чувственность... должна быть основой всякой науки. Наука является действительной наукой лишь в том случае, если она исходит из чувственности». К. Маркс и Ф. Энгельс. Из ранних произведений, Москва, 1956, гл. 596.



გულისხმევია ფსიქიკის არაცნობიერი არსებობა, როგორც ესაა, მაგალითად, ფსიქონალიზში, ანალიზურ ფსიქოლოგიაში<sup>24</sup>. სხვაგვარი დამოკიდებულება სიღრმის ფსიქოლოგიის იმ შინაარსისადმი, სადაც სიღრმისეულობა ფსიქიკის დაკავშირებულია ცნობიერი ფსიქიკის ახსნისა და გავების საკითხთან იმ აზრით, რომ აქ ლაპარაკია ცნობიერი ფსიქიკური მოქმედების პიროვნების ე. წ. სიღრმისეული ფენებით, რაც ფსიქიკას არ წარმოადგენს, განპირობებულობაზე ან პიროვნების, როგორც არაფსიქიკური გარკვეულობის, მთლიანი სტრუქტურით ცნობიერი ფსიქიკის როგორც ნაწილის, გავებაზე. სიღრმის ფსიქოლოგიის უკანასკნელი მეთოდოლოგიური შინაარსი ფსიქოლოგიისათვის აუცილებელი ჩანს.

КАКАБАДЗЕ В. Л.

## ОБ ОНТОЛОГИЧЕСКОЙ ПРОБЛЕМЕ ПСИХИКИ

### Резюме

Принципиальный вопрос психологии о сущности психики существенным образом связан с уяснением формы существования психики. Спорная проблема формы существования психики касается взаимоотношения психики и сознания, выяснения природы их связи. Принятие или отрицание бессознательной психики, т. е. психики, существующей независимо и вне сознания предопределено известной философской позицией.

Вопрос о существовании бессознательной психики, которая была введена в психологию с целью объяснения сознательных психических процессов, является философским и для его решения в качестве аргумента непригодны эмпирические данные. Наоборот, интерпретация самых фактических результатов основывается на теоретических предположениях.

С точки зрения диалектико-материалистической философии, исходным положением которой является скачкообразный переход от мозга к сознанию — «Диалектичен переход от материи к сознанию» (Ленин) — вкорме отрицается мысль о допущении бессознательной психики. Если мозг в самом деле производит сознательную психику, то естественно объяснить ее не бессознательной психикой, а высшей нервной деятельностью; понять сознательные психические процессы возможно включением их в несводимую к психике целостную структуру личности.

Поэтому не имеет реального оправдания то содержание т. н. «глубинной психологии», под которым подразумевается наука — психология о бессознательной психической действительности.

<sup>24</sup> სიღრმის ფსიქოლოგიის რაობის შესახებ იხ. ვ. კაკაბაძე, სიღრმის ფსიქოლოგიის პრობლემა, მაცნე, 1970, № 4; აღამიანის პრობლემა სიღრმის ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, ნაწ. II, თბილისი, 1971.



გიზო ცინცაძე

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია და მისი მიზანდასახულება

კაცობრიობა შევიდა თავისი განვითარების ახალ ეტაპში, რომლის ძირითად შინაარსს, როგორც აღნიშნულია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1957 წლის თათბირის დეკლარაციაში, „წარმომადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რომელსაც დასაბამი მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ“<sup>1</sup>. ამ ისტორიულ პროცესს თან სდევს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია რომელსაც ადგილი აქვს როგორც სოციალისტურ, ასევე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის დაჩქარებაზე, როგორც სკკპ XXIV ყრილობის მასალებშია აღნიშნული, ბევრადაა დამოკიდებული კომუნისტური საზოგადოების წარმატებითი მშენებლობა. იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და სოციოლოგიის სპეკულატური შეხედულებების კრიტიკა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგებზე. თანამედროვე ეპოქა ნათლად ააშკარავებს კაპიტალისტური სისტემის ჩრდილოვან მხარეებს. კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, რომელიც თავისი განვითარების ახალ, მესამე ეტაპში შევიდა, თანდათან ღრმავდება. მსოფლიო კაპიტალისტური სამყაროს დაშლის უტყუარი დადასტურებაა თვით კოლონიური სისტემის დაშლა და ის თვალსაჩინო ფაქტი, რომ კაცობრიობის მესამედმა ნაწილმა თავი დააღწია კაპიტალიზმის უღელს.

კაპიტალიზმის რიგ აბოლოგეტა შრომებში კაპიტალიზმის საერთო კრიზისი წარმოდგენილია კაცობრიობის კრიზისად. გამოსავალი ამ კრიზისიდან, მათი აზრით, არის არა სოციალიზმი, არამედ — „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოება“, რომელიც განსხვავდება არა მარტო კაპიტალიზმისაგან, არამედ — სოციალიზმისგანაც.

„დასავლეთის საზოგადოების ცხოვრების, ორგანიზაციისა და კულტურის თითოეული მნიშვნელოვანი მხარე, — წერს ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი პ. სოროკინი, — განიცდის ღრმა კრიზისს... მისი სხეული და გონება დასნეულებულია... ვგონებ ჩვენ ვიმყოფებით ორი ეპოქის მომაკვდავი მაღალი საზოგადოების, ბრწყინვალე წარსულისა და ახლადშობილი შემოქმედებითი ხვალისდელი დღის კულტურის მიჯნაზე. ჩვენ ვცხოვრობთ, ვფიქრობთ და ვმოქმედებთ 600 წლის ხანგრძლივობის ბრწყინვალე დღის დასასრულს. მზის სუსტი სხივები ჯერ კიდევ ანათებენ მიმავალი ეპოქის დიდებას. მაგრამ სინათლე ქრება და ჩამოწოლილი ბინდის შემჭიდროებულ ჩრდილებში სულ უფრო ძნელი ხდება ხილვადობა და სწორი ორიენტაცია. ჩვენს წინაშე ემხოზა გარდა-

<sup>1</sup> მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საპროგრამო დოკუმენტები, თბ., 1961, გვ. 5.

მავალი პერიოდის დამე თავისი კომპარებით, შემამფოთებელი ჩრდილებითა და გულისგამყინავი საშინელებით<sup>2</sup>. ამ ძირითადი პროცესის პარალელურად მიმდინარეობს პოლარიზაცია იმ ქვეყნების განვითარებაში, რომელთა მეურნეობაც ვითარდება კაპიტალისტურ საფუძველზე. დიდმა იმპერიალისტურმა ქვეყნებმა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით ათჯერ, ხოლო ზოგიერთ დარგში ასჯერ გადააჭარბეს ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. აქ შეიმჩნევა სახელმწიფოების უშუალო ჩარევა კაპიტალისტური კვლავარმოების პროცესში. ამის საფუძველზე აშშ-ში, გფრ-ში, იტალიაში, ინგლისში და საფრანგეთში შეიქმნა (ეკონომიკური საფუძვლის შეცვლის გარეშე) საზოგადოების წარმატებითი განვითარების მოჩვენებითობა.

წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში წინააღმდეგობებს აწყდება, მაგრამ იგი, სხვა ფაქტორებთან ერთად, მაინც განსაზღვრავს ცვლილებებს როგორც ეკონომიკაში, ისე — სოციალურ ურთიერთობებში. ეს მოვლენები საფუძველს უქმნიან ზოგიერთ ბურჟუაზიულ სოციოლოგს, განვითარებული იმპერიალისტური ქვეყნების რიგი სოციალური მოვლენების აბსოლუტიზაციის გზით შექმნან „მასიური საზოგადოების“, „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოებისა“ და სხვა თეორიები.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია — ეს არის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესების არა მარტო ბურჟუაზიული ინტერპრეტაცია, არამედ — „საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის ეკონომიკისა და სოციალური ორგანიზაციების შედარება“<sup>3</sup>. მსოფლიო სოციალისტური სისტემის მიღწევები ეკონომიკის, პოლიტიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში იმდენად დიდია, რომ ბურჟუაზიული სოციოლოგები, რომლებსაც სურთ მისცენ თავიანთ კონცეპციებს მეცნიერული ხასიათი იძულებულნი არიან გაითვალისწინონ ეს. ისინი უკვე აშკარად აღიარებენ მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობას, მის თბიქტურ მდგომარეობას. მაგალითად ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი უოლტ უიტმენ როსტოუ წერს: „კომუნისმი როგორც ისტორიის უდიდესი მოვლენა არ შეიძლება უარყოფილ იქნას... ფაქტი ფაქტად რჩება, რომ კომუნისმი როგორც ტექნიკური ძლიერება ძნელი დასაძლევია; ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნისმმა თავისი ადგილი მონახა ისტორიაში“<sup>4</sup>. კიდევ მეტიც, ბურჟუაზიული სოციოლოგები, რომლებიც თავდაპირველად სოციალიზმს მოკლე სიცოცხლეს უწინასწარმეტყველებდნენ, ახლა უკვე აშკარად აღიარებენ მის დაწინაურებულ მდგომარეობას: „თუ არ გაჩაღდა ახალი მსოფლიო ომი, — აღნიშნავს პ. სოროკინი, — ექვი არ უნდა შევიტანოთ მასში, რომ საბჭოთა კავშირს, რომელსაც სათავეში უდგას რუსი ერი, შეუძლია სიამაყით შეპყროს მომავალს. რუსმა ერმა, რომელმაც დაძლია სამოქალაქო და მსოფლიო ომების მიერ მიყენებული „ნგრევანი“ გახდა ლიდერი ეროვნებათა შორის, რასაც მომავალ ასწლეულშიც შეინარჩუნებს“<sup>5</sup>.

მართალია, „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორეტიკოსები აღიარებენ სოციალიზმს და მის გარკვეულ მიღწევებს, მაგრამ ისინი არ ცნო-

<sup>2</sup> P. Sorokin, Crisis of Our Age, N. y., 1957, p. 13..

<sup>3</sup> R. Aron, Ideology and Development, «Encounters», London, 1964, p. 1.

<sup>4</sup> W. W. Rostow, The stages of Economic Growth, Cambridge, 1960, p. 162—163.

<sup>5</sup> P. A. Sorokin, The Basic Trends of Our Time, p. 85.



ბენ იმას, რომ მომავალი სოციალიზმს ეკუთვნის. ბურჟუაზიული სოციოლოგები სოციალიზმის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს ადარებენ კაპიტალიზმისას, რათა დაამტკიცონ, თითქოსდა ფორმაციების კანონზომიერი მონაცვლეობა „უბრალო მოძრაობაა“ და ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, სოციალიზმი ეხლა შეცვლილია „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოებით“, რომელიც შეიძლება იყოს კაპიტალისტური ან რალაცა საშუალო.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის მომხრეებს მიეკუთვნებიან ბურჟუაზიული იდეოლოგიის ის წარმომადგენლები, რომლებმაც სხვა მის დამცველებთან შედარებით უკეთ შენიშნეს სოციალიზმის გავლენის ფაქტი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ცდილობენ რადიკალური ზომები დაუპირისპირონ მას. „იმისათვის, რომ ამოვიჩიოთ ახალი საზოგადოება და არ ვიყოთ ამორჩეული მის მიერ, — წერს ამერიკელი სოციოლოგი ჰარინგტონი, — დასავლეთმა უნდა გარდაქმნას თანამედროვე ასწლედი საღად მოაზროვნე, ნამდვილ დემოკრატიულად“<sup>6</sup>. ბურჟუაზიული იდეოლოგიების ეს ჭკუთე მოითხოვს კაპიტალიზმის რეფორმას ისე, რომ არ შეიცვალოს მისი არსი. ისინი ცნობენ კაპიტალიზმის სოციალიზაციის აუცილებლობას, მაგრამ — კერძოდ საკუთრების შენარჩუნებით, სადაც იმპქმედებს კორპორაციული სექტორი და „შეთანხმებული ინტერესებით“ გამოყენებული ფინანსები და პოლტიკა. მსოფლიო სოციალისტური სისტემის მიღწევებმა აიძულეს ბურჟუაზიული სოციოლოგები არა მარტო ახლებურად შეხედონ და ახსნან კაპიტალიზმისა და სოციალიზმის განვითარების პრობლემები, არამედ სულ სხვა დამოკიდებულება გამოიჩინონ მარქსიზმისა და თანამედროვე საზოგადოების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ბურჟუაზიული სოციოლოგები მარქსიზმის უარყოფიდან გადავიდნენ მის ყურადღებით შესწავლაზე და არა მარტო აღიარებენ მარქსისტულ სოციოლოგიას, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების შეფასებისას თავისებურად იყენებს მის ცალკეულ დებულებებს. „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია“ ბურჟუაზიული სოციოლოგების რეაქციაა თანამედროვე მსოფლიოში მომხდარ სოციალურ ცვლილებებზე. იგი ბურჟუაზიული სოციოლოგების ცდაა, რომ ექსპლოატატორთა კლასის პოზიციებიდან დაახასიათონ თანამედროვეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენები, როგორცაა: დედამიწის მესამე სამყაროში კაპიტალიზმის კრაზი; კაპიტალიზმის შესვლა კრიზისის ახალ ეტაპში; აზიისა და აფრიკის სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რომლებიც განვითარების არაკაპიტალისტური გზით მიდიან და ა. შ.

განვიხილოთ „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორეტიკოსების პრეტენზიები და მათი საფუძვლიანობა. „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია წარმოიქმნა 50-იანი წლების შუა ხანებში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მარქსისტი არ იზიარებს ამ თეორიის წარმოქმნას აღნიშნულ დროში. დიტერ ნოკე (გდრ) თავის დამოკიდებულებას გამოთქვამს მ. ბ. მიტინისა და ვ. ს. სემიონოვის სტატიასთან (კაცობრიობის წინსვლა კომუნიზმისაკენ და „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ ბურჟუაზიული კონცეფცია, Вопросы философии, 1965, № 5) დაკავშირებით და ამბობს, რომ ეს თეორია „ნამდვილად წარმოიქმნა და გახდა ცნობილი გაცილებით ადრე“<sup>7</sup>.

<sup>6</sup> M. Harrington, The Accidental Century, London, 1965, p. 277.

<sup>7</sup> ეტრ. «Deutsche Zeitschrift für Philosophie», Berlin, 1966, № 2, s. 179.

დიტერ ნოკე ამტკიცებს, რომ იდეები „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების შესახებ“ გვხვდება ამერიკელი სწავლულების — მარგარეტ ჰიდის (1943), დ. რისმენისა (1950) და სხვათა შრომებში. დიტერ ნოკეს განსხვავებული თვალსაზრისი „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების თეორიის წარმოშობის დროის შესახებ გამომდინარეობს ძირითადად მცდარი წანამძღვრებისაგან, რომლებითაც უარიყოფა დამოუკიდებელი თეორია „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოებისა“. „არ შეიძლება ლაპარაკი, — წერს ნოკე, — „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ შესახებ. ასეთი თეორია არ არსებობს. მთავარი ამოსავალი „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიისა გაფანტულია სხვადასხვა თეორიებში“<sup>8</sup>. მართალია, აღნიშნული თეორიის წყაროები საკმაოდ ადრეულ პერიოდში, მაგრამ ერთი წანამძღვრები და მეორეა სისტემის სახით მოცემული თეორია.

„ინდუსტრიული საზოგადოების“ ცალკეული დებულებანი გამოთქმულია 40—50-იან წლებში. მათ შეიძლება შევხვდეთ ჰ. სპენსერის, მ. ვებერის, ე. დურკჰაიმისა და სხვა ბურჟუაზიული სოციოლოგების შრომებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში; მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მაშინ უკვე არსებობდა თეორია „ინდუსტრიული საზოგადოებისა“, მით უმეტეს „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოებისა“.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის დასკვნები გამოტანილია ორი ურთიერთსაპირისპირო მსოფლიო სისტემის — კაპიტალიზმისა და სოციალიზმის — ანალიზის საფუძველზე. მხოლოდ 50-იანი წლების მეორე ნახევრისა და 60-იანი წლების დასაწყისში, ადრე გამოთქმული ცალკეული იდეებიდან, ჩამოყალიბდა საკმაოდ მწყობრი, მოქნილი ბურჟუაზიული თეორია „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოებისა“. როგორც დამოუკიდებელი თეორია ის გადმოცემულია ფრანგი ბურჟუაზიული სოციოლოგის რაიმონ არონის ორტომიან ნაშრომში — „ინდუსტრიული საზოგადოების განვითარება და სტრატეფიკაცია“ (1957-1958). „ინდუსტრიული საზოგადოების“ ცნების წამოყენება. — წერს რ. არონი, — ჩემთვის წარმოადგენს ხერხს, თავიდან ავიცილოთ კონფლიქტი სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის და ჩავთვალოთ სოციალიზმი და კაპიტალიზმი ერთი სახის ორ მოდალობად... მე არ ვიძლევი კითხვას, როგორია კაპიტალისტური წყობილების სოციალური შედეგები, არამედ მიანტერესებს ის, თუ როგორია მთლიანად „ინდუსტრიული საზოგადოების შედეგები“<sup>9</sup>. შემდეგ წლებში ამ თეორიას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა, მათ შორის — ამერიკელი ბურჟუაზიული სოციოლოგები: ენჯელი, ს. ლი-პესტი, უ. მური, ა. ფელდმანი, დ. ბელი, ეკონომისტი და სოციოლოგი უ. როსტოუ; ფრანგი კლოდ გრუზონი და სხვა. ამ კონცეფციას ხელი ჩასჭიდეს რეფორმისტულ და რევოლუციონისტულ თეორეტიკოსებმა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რაოდენ სულიერ კავშირში არიან ერთმანეთთან რეფორმიზმი, რევოლუციონიზმი და საერთოდ ბურჟუაზიული იდეოლოგია. „ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიას აქტიურად ქადაგებს მრავალი ბურჟუაზიული პოლიტიკოსი, პარტიის ლიდერი, დიპლომატი, სამხედრო მოსამსახურე და ა. შ.

<sup>8</sup> ეურნ. «Deutsche Zeitschrift für Philosophie, Berlin, 1966, № 2, s. 180.

<sup>9</sup> В. С. Семенов, Марксистская и буржуазная социология о путях Современного общественного развития, стр. 61.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია გახდა შემადგენელი ნაწილი იმ დოქტრინისა, რომელსაც მიმართავენ დასავლეთის მმართველი წრეები.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია არ შეიძლებოდა უფრო ადრე წარმოშობილიყო, კიდევ იმიტომ, რომ ის უშუალოდაა დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასთან, რომელიც დაიწყო ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში. როგორც შემდეგ დავინახავთ, აღნიშნული თეორია სპეკულაციას ეწევა იმ ცვლილებებზე, რომლებიც წარმოებს მრეწველობასა და წარმოების მართვაში და დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ისტორიულ პროცესთან. შეიძლება ითქვას, რომ „ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია ბურჟუაზიული სოციოლოგიური ინტერპრეტაციაა ჩვენი დროის ახალი სოციალური მოვლენებისა. განსაკუთრებით — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგებისა.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ავტორები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ არსებობს „ინდუსტრიული საზოგადოების“ ორი ტიპი: **დემოკრატიული** და **ტოტალიტარული**. თითოეული მათგანის განსაზღვრისათვის მათ წამოაყენეს მთელი რიგი კრიტერიუმები. ამერიკელი სოციოლოგის ტ. პარსონსის აზრით, ორი ძირითადი ტიპი ინდუსტრიული საზოგადოებისა ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ **დემოკრატიული** ესაა ისეთი სახის ინდუსტრიული საზოგადოება, სადაც მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად სახელმწიფო კონტროლზე დამოკიდებული „თავისუფალი წამოწყება“ გვევლინება, ხოლო რაც შეეხება **ტოტალიტარულს**, აქ გადამწყვეტი სიტყვა სახელმწიფოს ეკუთვნის. ფრანგი სოციოლოგი რ. არონი საზოგადოების ამ ორი მოდელის დახასიათებისას გაუმართლებლად აიგივებს გამოთქმებს „ტიპი“ და „მოდელი“, იგი ლაპარაკობს ინდუსტრიული საზოგადოების „საბჭოთა“ და „ამერიკული“, „სოციალისტურ“ და „კაპიტალისტურ“ ტიპებზე, და ამას მიუძღვნა თავისი წიგნის — „18 ლექცია ინდუსტრიული საზოგადოების შესახებ“ — ძირითადი ნაწილი. ტერმინების: „საბჭოთა“ და „ამერიკული“ დახმარებით, არონი ცდილობს, გვერი აღუაროს სინამდვილეში არსებული საზოგადოების ძირითად ტიპებს — კაპიტალისტურსა და სოციალისტურს.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორეტიკოსები თავიანთი შეხედულებების დასაბუთებისათვის არგუმენტებს სესხულობენ სხვადასხვა ბურჟუაზიული მოძღვრების იდეური საუნჯიდან. ამაზე ნათლად მეტყველებს „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის უ. როსტოუს „ეკონომიური სტადიების თეორია“, რომელიც გადმოცემულია წიგნში — „ეკონომიკური ზრდის სტადიები“ (1960). ავტორმა მიზნად დაისახა დიდების შარავანდედი აეხადა მეცნიერული სოციალიზმის იდეისათვის. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კანონზომიერი შეცვლის მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებისათვის და დაეპირისპირებინა მისთვის ეგრეთ წოდებული „ადამიანთა საზოგადოების სტადიები“. უ. როსტოუ თვითონვე აცხადებს, რომ განვითარების ეს თეორია, თავისი არსით, წარმოადგენს თანამედროვე ისტორიის მარქსისტული ინტერპრეტაციის საწინააღმდეგო მოძღვრებას, ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ამ შრომის სათაურია „არაკომუნისტური მანიფესტი“.

სტადიების თეორია კაპიტალიზმის გაიდვალეზასთან ერთად მიზნად ისახავს განვითარების კომუნისტური გზის დისკრედიტაციას. საზოგადოებრივი განვითარების მთელ ისტორიას უ. როსტოუ ხუთ ნაწილად ყოფს:



„ტრადიციული საზოგადოება“ ეკონომიკური ზრდის პირველ სტადიას წარმოადგენს და ხასიათდება მანქანური წარმოების განვითარებლობით, — აქედან გამომდინარე — შრომის ნაყოფიერების მინიმალური დონით; უ. როსტოუს სქემის მიხედვით, ეს სტადია მოიცავს კაცობრიობის მთელ ისტორიას XVII საუკუნემდე. „ტრადიციული საზოგადოება“, როსტოუს კონცეფციით, არის პირველყოფილთემური, მონათმფლობელური, ფეოდალური საზოგადოებანი, აგრეთვე თანამედროვე კოლონიალური და სუსტადგანვითარებული ქვეყნების საზოგადოება. განვითარების ამ სტადიას იგი „ნიუტონამდელს“ უწოდებს, ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის შეზღუდული დონის გამო. „ტრადიციული საზოგადოების“ სტადიის ქვეშ უ. როსტოუ გულისხმობს აგრარულ საზოგადოებას, სადაც უპირატესად სოფლის მეურნეობაა განვითარებული და მიწის მფლობელთა ხელშია ძალაუფლება. კაცობრიობის მთელი ისტორია კაპიტალიზმამდე, როსტოუს აზრით, მოკლებული იყო ქვეშარტ განვითარებას და წარმოადგენდა დამდგარ კაობს, „ტრადიციულ საზოგადოებად“ წოდებულს;

ეკონომიკური ზრდის მეორე სტადიას წარმოადგენს გარდამავალი საზოგადოება, რომლის წინამძღვრები ჩაისახა „ტრადიციული საზოგადოების“ წიაღში. განვითარების ამ სტადიაზე თავს იჩენენ მეცნიერული აღმოჩენები და გამოგონებები, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოების სწრაფ განვითარებას. ჩნდება თაოსანი ადამიანები, რომლებიც მზად არიან, გამოიყენონ ეს სიახლენი მაქსიმალური მოგებისათვის. გაბედული და ინიციატივიანი უმცირესობა, როსტოუს აზრით, გვევლინება მთავარ მამოძრავებელ ძალად, რომელსაც „ტრადიციული საზოგადოება“ ვადაპყავს სამრეწველო განვითარების რელსებზე. განვითარების ამ სტადიისათვის დამახასიათებელია „ნაციონალიზმი“, რომლის ქვეშ ავტორი გულისხმობს უცხოური შემოჭრისაგან ქვეყნის დასაცავად მტკიცე ტექნიკურ-ეკონომიკური ფუნდამენტის შექმნას. როსტოუ არ იძლევა სტადიათა შორის არსებული პერიოდების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს „გარდამავალ პერიოდს“ ის აკუთვნებს როგორც XVIII—XIX საუკუნეების ბურჟუაზიულ რევოლუციებს, ასევე XX საუკუნეებში მომხდარ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, სახალხო-დემოკრატიული და სოციალისტურ რევოლუციებს. ასეთი დაუსაბუთებელი დებულების წამოყენებას იწვევს ის, რომ როსტოუ უგულვებელყოფს საზოგადოებრივი პროცესების სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს და ძირითად ყურადღებას ამახვილებს არა საწარმოო დამოკიდებულებებზე, არამედ — მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციაზე;

ზრდის მესამე სტადია ანუ „სამრეწველო რევოლუცია ხასიათდება კაპიტალის დაგროვების მაღალი დონითა და მრეწველობის მთავარი დარგების სწრაფი განვითარებით. როსტოუს წარმოდგენით, განვითარების ამ სტადიაზე ინგლისი იმყოფებოდა XVIII საუკუნეში, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები — XIX საუკუნის შუა ხანებში, გერმანია — XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთი — 1890-1914 წლებში, ინდოეთი და ჩინეთი — XX საუკუნის 50-იან წლებში. აქ როსტოუ ხელოვნურად აერთიანებს განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ქვეყნებს; მაგალითად მას ავიწყდება, რომ რუსეთში სამრეწველო გადატრიალება მოხდა გაცილებით ადრე, ხოლო მის მიერ მითითებულ პერიოდში რუსეთი შევიდა იმპერიალიზმის სტადიაში.

ზრდის მეოთხე სტადია, როსტოუს მიხედვით, წარმოადგენს „მომწიფების პერიოდს“: იზრდება ეროვნული შემოსავალი, სწრაფად ვითარდება მრეწ-

ველობა. ჩნდება მრეწველობის აქამდე უცნობი დარგები. მომწიფების დონის მიღწევისათვის, როსტოუს აზრით, აუცილებელია გარდამავალი პერიოდის 50-60 წელი. მისი მტკიცებით, განვითარების ამ საფეხურს ინგლისმა 1850 წელს მიაღწია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — 1900 წელს, გერმანიამ და საფრანგეთმა — 1910 წელს, იაპონიამ — 1940 წელს, საბჭოთა კავშირმა — 1950 წელს; აქ იგი გულისხმობს მძიმე ინდუსტრიის განვითარებას. როსტოუ თვითნებურად ამახინჯებს ისტორიულ ფაქტებს, კვლავ ურევს კაპიტალისტურ და სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას შორის არსებულ ძირეულ განსხვავებას, განყენებულად წარმოსახავს საზოგადოებრივი წყობილების სოციალურ-ეკონომიკურ ბუნებას.

ეკონომიკური ზრდის მეხუთე სტადიას წარმოადგენს მასობრივი მოხმარების საზოგადოება. განვითარების ამ სტადიაზე საზოგადოების ყურადღების ცენტრში დგება მოსახლეობის კეთილდღეობის პრობლემა. ტექნიკური სიმწიფის ბაზაზე წარმოიშევა „საყოველთაო კეთილდღეობის“ საზოგადოება, რომლისთვისაც დამახასიათებელია მასიური მოხმარების საქონლის ფართო განსაზოგადოებრიობა: პირველად განვითარების ამ საფეხურს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაწია, ხოლო შემდეგ — დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა; რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ამერიკელი სოციოლოგის აზრით, იგი ამ ეპოქის ზღურბლზე დგას. საბჭოთა საზოგადოების მიერ მიღწეული მოხმარების მაღალი დონე, როსტოუს მტკიცებით, მიგვიყვანს სოციალისტური წყობის გადაგვარებამდე. „კომუნისმს მიდრეკილება აქვს „დაჭყენს“ მასიური მოხმარების ეპოქაში“<sup>10</sup>, — აცხადებს უ. როსტოუ.

უ. როსტოუს „ეკონომიკური ზრდის სტადიათა თეორია“ ემყარება ვულგარულ ეკონომიზმს. მასში უგულვებელყოფილია ძირფესვიანი განსხვავება, რომელიც არსებობს მეურნეობის კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის. როსტოუს კონცეფცია წარმოადგენს „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ დოქტრინის დამატებასა და შევსებას. კლასობრივი არსი როსტოუს „სტადიათა თეორიისა“ მოწოდებულია იმისათვის, რომ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ქვეყნებს შორის განსხვავების წაშლის გზით დაამტკიცოს, რომ როგორც სოციალისტურ, ასევე კაპიტალისტურ ქვეყნებსაც აქვს პროგრესიული განვითარების პერსპექტივა და მათსადავამე კაპიტალიზმი არ წარმოადგენს დრომოჭმულ სოციალურ სისტემას<sup>11</sup>.

უ. როსტოუს კონცეფცია გამონაკლისი არ არის. ამ თეორიის მიხედვით, იქმნება მრავალი ანტიმეცნიერული სქემა, სადაც კაპიტალიზმი წარმოდგენილია თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების მეთაურად; მაგალითად, ცნობილი შვეიცარიელი სოციოლოგის რ. ბერენდტის წიგნში — „დინამიკური საზოგადოება“ — მოცემულია მტკიცება, თითქოს კაცობრიობამ თავის განვითარებაში გაიარა სამი სტადია, რომელთაგან უმაღლესი და უკანასკნელი სტადია არის „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოება“, — რომელიც რაღაც ჰიბრიდის მსგავსია კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის, — ბურჟუაზიულის საფუძველზე. როგორც ბერენდტი ამტკიცებს, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აღრეული კაპიტალისტური პერიოდის მეწარმეთა „უკიდურესი ინდივიდუა-

<sup>10</sup> W. W. Rostow, The stages of Economic Growth, A Non-Communist Manifesto, Cambridge, 1960, p. 133.

<sup>11</sup> ვ. დ. ქანუყვაძე, „ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“, 1969, გვ. 262.

ლიზმი და აბსოლუტიზმი არსებითად გადახლართულია... საბჭოების ბატონობის სფეროში. მეორე მხრივ, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მაღალი ნაყოფიერების მიღწევის მიზნით შეუთავსებელი აღმოჩნდა კოლექტივიზმი და ცენტრალიზმი. ალბათ, ორივე ურთიერთსაპირისპირო სოციალურ-პოლიტიკური კონცეფციები მიემართებიან ზოგად საერთო მნიშვნელისაკენ<sup>12</sup>.

როგორ ცდილობენ ბურჟუაზიის თეორეტიკოსები „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ ნამდვილობის დასაბუთებას? განა სოციალისტურმა საზოგადოებამ არ აჩვენა კაპიტალიზმის განუქურნებელი წყლულები? დღეს კაპიტალიზმის აპოლოგეტები აღარ მალავენ (უფრო ზუსტად, ვეღარ მალავენ) კაპიტალისტური საზოგადოების ჩრდილოვან მხარეებს, მაგრამ ცდილობენ კომპენსაცია გააკეთონ იმით, რომ მიუთითონ, თითქოს სოციალიზმისათვის დამახასიათებელი იყოს მეორე უკიდურესობა და ამ ცალმხრივობის დაძლევის მისია მიაწერონ „ერთიანი ინდუსტრიულ საზოგადოებას“. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მათი შეხედულება საკუთრების ფორმებზე.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ინდუსტრიალიზაციას, მასობრივი წარმოების განხორციელებას, თავისთავად, სოციალისტური რევოლუციის გარეშე მოსდევს კერძო, კაპიტალისტური საკუთრების გაქრობა, ადამიანთა შორის მყარდება ახალი ურთიერთობანი. „ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ წარმოება, მათი აზრით, კარგავს კაპიტალისტურ ხასიათს, რადგან წარმოების მიზანი თითქოს ხდება არა იმდენად მოგება, რამდენადაც წარმოების ზრდა, მასობრივი წარმოების უზრუნველყოფა. ამავდროს მასობრივი წარმოება მოითხოვს მეურნეობაში წარმოების კონცენტრაციასა და სპეციალიზაციას, იქმნება სპეციალიზებული დიდი საწარმოები. ხელმძღვანელობისათვის აქ იქმნება რთული აპარატები, რომელთა სათავეში არიან მმართველები ანუ, როგორც მათ თანამედროვე დასავლეთში უწოდებენ — მენაჯერები. ეს პროცესი, ბურჟუაზიული სოციოლოგების მიხედვით, იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტები წარმოებაში კარგავენ ხელმძღვანელ როლს, ხდება ე. წ. მენაჯერული რევოლუცია. პ. დრაკერი, რ. არონი, რ. დარენდორფი და ბევრი სხვა სოციოლოგი ირწმუნება, რომ თანამედროვე დასავლეთის საზოგადოებაში ერთიმეორეს დამორდა საკუთრება წარმოების საშუალებებზე და კონტროლი. „საკუთრებისა და წარმოების ფაქტიური მმართველობის გაყოფის გამო მოხდა სტრუქტურული ცვლილება, რომლის შედეგადაც აღარა გვაქვს კაპიტალისტური საზოგადოება. ეს ფორმალურ-იურიდიული საკუთრებაც დარენდორფის მტკიცებით, თანდათან ქრება, რამდენადაც კაპიტალისტური საწარმოები აქციონერთა ხელში გადადის“<sup>13</sup>. „ინდუსტრიული საზოგადოება“, როგორც ბურჟუაზიული სოციოლოგები ირწმუნებიან, ისეთი საზოგადოებრივი წყობაა, რომელშიც დაქირავებული მუშები ხდებიან საწარმოო საშუალებათა მესაკუთრენი, სადაც ეკონომიკის განვითარება მიმართულია საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ასეთ საზოგადოებაში ანტიგონიზმმა ადგილი დაუთმო სოციალურ პარტნიორობას და კლასობრივ სიმშვიდეს; ამიტომაც თანამედროვე კაპიტალიზმი გადაიქცა „სახალხო კაპიტალიზმად“. ბურჟუაზიული იდეოლოგიები და პროპაგანდისტები ამტკიცებენ, რომ განვითარებულმა კაპიტალიზმმა თვითონვე შეძლო მისთვის დამახასიათებელი

<sup>12</sup> R. Behrendt, Dynamische Gesellschaft, Bern, 1963, s. 74.

<sup>13</sup> Dalrendorf R, Gesellschaft und Freiheit. s. 21.



წინააღმდეგობების გადალახვა. მომხდარი „რევოლუციების“ შედეგად ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ თითქოს დაპყარა ის ძირეული ნიშან-თვისება, რაც დამახასიათებელია ტრადიციული კაპიტალიზმისათვის. კაპიტალიზმის სასწაულებრივი გარდაქმნა, მისი ტრანსფორმაცია ახალ საზოგადოებრივ წყობად აიხსნება ტექნიკური პროგრესის გავლენით, კონცენტრაციის განვითარებით, კაპიტალისა და წარმოების ცენტრალიზაციით, შრომის ეფექტიანობის გადიდებით. განსაკუთრებულ ადგილს კაპიტალიზმის გარდაქმნაში მიაკუთვნებენ აქციონერთა საზოგადოების რიცხობრივ ზრდას, აქციათა ფართო გავრცელებას მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის.

ბურჟუაზიულ იდეოლოგია აზრით, წარმოების საშუალებებზე კაპიტალისტთა მონოპოლია გაქრა, საკუთრება კაპიტალზე თითქოს იფანტება მოსახლეობის ფართო მასებში და დაკარგა თავისი კერძო ხასიათი, რისთვისაც იგი გადაიქცა „კოლექტიურ კაპიტალისტურ საკუთრებად“.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ აბოლოგეტიური თეორიის თანახმად, სოციალიზმი და კაპიტალიზმი, მიუხედავად მათი ძირეული განსხვავებისა, თითქოს ერთი და იგივე მიმართულებით ვითარდებიან და გაივლიან ერთნაირ ფაზებს (სტადიებს); საბოლოოდ კი — აცხადებენ ისინი, — უნდა მოხდეს ამ ორი სისტემის „სინთეზი“, „შეუღლება“, „შეჯვარება“, „ამალგაცია“, და ერთიანი ჰიბრიდული საზოგადოების ჩამოყალიბება“. სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ქვეყნების შერწყმის პირობად ბურჟუაზიულ სოციოლოგებს ამ ორი სისტემის თანაარსებობა მიაჩნიათ. „ინდუსტრიული საზოგადოების“ ცნება, — წერს დარენდორფი, — გამოდის მეგობრული საყოველთაობის ცნებიდან. ამ ცნებაში ითქვიფება ყოველგვარი განსაკუთრებულება-განსხვავება ცალკეულ საზოგადოებებს შორის: ინგლისური, ამერიკული, გერმანული, ფრანგული და, უწინარეს ყოვლისა, რუსული საზოგადოებანი გათქვეფილია ერთ საყოველთაო მოდელში, რომელიც ყველა ქვეყანას თანაბარ პერსპექტივას უქმნის. მაგრამ არიან თუ არა ეს საზოგადოებანი ერთიმეორეს მსგავსნი? ხომ არ შეიცავს „ინდუსტრიული საზოგადოების“ ცნება საექვო არასიზუსტეს? ხომ არ არის იგი ცდა, უგულვებელყოფილ იქნას ცალკეულ საზოგადოებათა ნიშნები და თავისებურებანი? როგორ უნდა მოერგოს ეს აბსტრაქცია ცალკეულ ქვეყნების სინამდვილეს?“<sup>14</sup>.

საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი სისტემა რომელს შეეზრდება, „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის მომხრენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ასე, მაგალითად, ამ თეორიის ფუძემდებლის ფრანგი ბურჟუაზიული სოციოლოგის რ. არონის მტკიცებით, „ვინაიდან კაპიტალიზმი უფრო სიცოცხლისუნარიანია უფრო სწორი იქნება ვივარაუდოთ, რომ სოციალიზმი შეეზრდება კაპიტალიზმს და წარმოიშობა ერთი „მაღალი“ ტიპის საზოგადოებაო.

ადვილი გასაგებია, რომ საზოგადოების ახალი მოდელი, „რომელიც კაპიტალიზმისაგან ღებულობს რაღაცას“ და „სოციალიზმიდან ღებულობს რაღაცას“, წარმოადგენს დემაგოგიურ სპეკულაციას მშრომელი მოსახლეობის მისწრაფებებზე შეცვალონ არსებული წყობილება. მსგავსს მოდელს არავითარი საერთო არა აქვს სოციალიზმთან, არც თანასწორობის მაღალი დონე „არც მუშათა კონტროლი“ არც ეკონომიური გეგმიანობა“ — მათი განხორციელება შე-

<sup>14</sup> Dahrendorf R., Gesellschaft und Freiheit, 523—24.

საძლბელიც რომ იყოს კაპიტალიზმის ბაზაზე, თავისთავად არ წარმოადგენენ „სოციალიზმის ელემენტებს“. მათ არც შეიძლება ჰქონდეთ ადგილი კაპიტალიზმის დროს“<sup>15</sup>.

ეს თეორია, ისევე, როგორც ბევრი სხვა შექმნილია კაპიტალისტური საზოგადოების არსებობის „გაზანგრძლივების“ მიზნით და მას სხვა სოციალური დანიშნულება არა აქვს; მაგრამ ყოველი იდეალისტური მოძღვრება, როგორც სამართლიანად ამბობდა ვ. ი. ლენინი, წარმოშობილია შემეცნების ჯანსაღ ხეზე, წარმოადგენს შემეცნების პროცესის ცალკეული მხარეების გაზვიადებასა და გააბსოლუტებას; ამიტომაც არ იქნება სრული ზემოთ აღნიშნული თეორიის კრიტიკა, თუ არ მივეუთითეთ მის გნოსეოლოგიურ ფესვებზე.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ერთ-ერთი თავისებურებაა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი მოვლენების შეცნობა და ასწნა, კაცობრიობის მიერ დასმულ საჭირობოტო საკითხებზე კაპიტალიზმისათვის მისაღები პასუხის გაცემა. ამ თეორიის ავტორებმა ყურადღება მიაქციეს ბურჟუაზიული სოციოლოგების მიერ წინათ შეუმჩნეველ ან უგულვებელყოფილ მრავალ პრობლემას. უნდა ვალიაოთ, რომ მათ მიერ წამოყენებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროცესის შესწავლის ამოცანები, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მისი გავლენა, აგრეთვე ახალ სოციალურ პრობლემათა დასმა ყურადღებას იმსახურებს. მეცნიერულმა სოციოლოგიამ უნდა შეისწავლოს ეს მოვლენები და მას ღრმა თეორიული განზოგადოება უნდა მისცეს.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის წარმომადგენლები ამჩნევენ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ მოვლენებს, მაგრამ საჭიროა ამ მოვლენების სწორი ანალიზი და მეცნიერული დასკვნების გაკეთება, ეს კი ბურჟუაზიულ სოციოლოგთა ძალეზს აღემატება. პროგრესიული კაცობრიობა არ გაიზიარებს იმ შეხედულებებსა და დასკვნებს, რომლებსაც ქადაგებენ „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ავტორები, ეს შეხედულებები წარმოადგენენ სინამდვილის ზოგიერთი მოვლენის გაზვიადებასა და აბსოლუტიზაციას.

ბურჟუაზიულ სოციოლოგთა მიერ საზოგადოებრივ მოვლენათა შემეცნება ხორციელდება მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გავლენით, რასაც მივეყვართ სინამდვილის დამახინჯებულ, სუბიექტივისტურ ასახვამდე. შემეცნების პროცესის შედეგებს თავის დაღს ასვამს მკვლევარის კლასობრივი მდგომარეობა, გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობანი, პოლიტიკური და იდეოლოგიური სფეროები, თუმცა არც უფლებრივ, ზნეობრივ ურთიერთობათა დავიწყება შეიძლება. ადამიანის მიერ სამყაროს წარმოსახვის ყოველ აქტში ერთგებიან საზოგადოებრივი ინტერესები: მოვალეობის შეგრძნება, ღირსება, აღზრდის გავლენა, ტრადიცია და ა. შ. უკანასკნელი გამოწვეულია იმით, რომ ადამიანი ასახავს გარე სამყაროს არა თავისთავად, არამედ — როგორც საზოგადოების წევრი და რთული სოციალური ურთიერთობის პროდუქტი. საზოგადოებრივ ინტერესთა მომენტი მკაფიოდ მკლავნდება მაშინ, როდესაც საუბარი ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების შეცნობას, ვინაიდან სოციალურ მოვლენათა გამოკვლევისას მკვლევარი უნდა დადგეს ამა თუ იმ კლასის მხარეზე. ეს სოციალური მომენტი ერთნაირ როლს არ თამაშობს სხვა-

<sup>15</sup> ა. ნუცუბიძე, კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის ანტიმარქსისტული თეორიების კრიტიკა, 1967, გვ. 111.

დასხვა სოციოლოგებთან. მარქსისტებს ის არ უქმნის დაბრკოლებას საზოგადოებრივი ცხოვრების სწორად შეცნობაში, ვინაიდან მარქსისტები იცავენ მოწინავე კლასს — პროლეტარიატს; ამავე დროს, პროლეტარიატის ინტერესები ემთხვევათ ობიექტურ კანონთა ტენდენციებს.

იმპერიალიზმის სოციოლოგები იცავენ რეაქციულ ბურჟუაზიას, მომაკვდავ კლასს, მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესები ეწინააღმდეგებიან მთელი ერის ინტერესებს; ამიტომაც ბურჟუაზიული კლასი იძულებულია იმოქმედოს ხალხის სურვილის წინააღმდეგ, ხოლო ეს მოქმედება ეწინააღმდეგება საზოგადოების ობიექტურ მსვლელობას. ბურჟუაზიული სოციოლოგები საზოგადოებრივ ცხოვრებას განიხილავენ არა ისე, როგორც იგი სინამდვილეში არის, არამედ „გარდატეხენ“ თავიანთი კლასობრივი ინტერესების პრიზმაში. ისინი გამოყოფენ სასარგებლოსა და გამოსადეგს მონოპოლისტებისათვის და ცდილობენ მათ ჭეშმარიტად გამოცხადებას; ხოლო იმას, რაც ეწინააღმდეგება მონოპოლისტურ გაერთიანებათა მიზნებს, ბურჟუაზიული სოციოლოგები აცხადებენ „შემთხვევითად“, „კომუნისტურ უტოპიად“. ეს რკინის ჯაჭვი ზღუდავს „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ავტორთა შეხედულებებსა და მოქმედებას, ისინი ასრულებენ ბურჟუაზიის დაკვეთას და, სურთ თუ არა, ობიექტურად იცავენ მათ ინტერესებს. ამის გამო „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორეტიკოსებმა ვერ შეძლეს ობიექტურად ეჩვენებინათ თანამედროვე საზოგადოების განვითარება და პერსპექტივები, ისინი აწყოსა და მომავლის სურათს ხატავენ ისე, როგორც ეს გამოსადეგია ბურჟუაზიისათვის. მაგრამ ეს არ გამოხატავს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს. ბურჟუაზიულმა სოციოლოგებმა ვერ მოგვეცეს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის განვითარების ობიექტური კანონების ანალიზი.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ავტორები არ მალავენ კაპიტალისტური წარმოების ქრონიკული დაუტვირთაობის მიზეზებს, საწარმოო ძალების გიგანტურ ზრდას: „თუმცა „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ზოგიერთი მომხრე ინდუსტრიალიზმს განსაზღვრავს როგორც წარმოების საშუალებას“<sup>16</sup> მაგრამ, მიუხედავად ამისა, ობიექტურ კანონთა მოქმედება, წარმოების კაპიტალისტური წესის წინააღმდეგობრივი ხასიათი, წარმოების ანარქია და მაქსიმალური მოგება მათი შემეცნების გარეშე დარჩა, ამავე დროს, „ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ზოგიერთი ავტორი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ კლასიკური კაპიტალიზმის კანონები აღარ მოქმედებენ „დასავლეთის ტიპის“ ინდუსტრიულ ქვეყნებში.

რაიმონ არონი ამტკიცებს, „თითქოს მოგება ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ აღარ წარმოადგენს მამოძრავებელ მოტივს“<sup>17</sup>, ვინაიდან ულტრამილიონერები: ფორდი, მორგანი, მელონი და სხვები გიგანტურ საწარმოებს აშენებენ ერის ინტერესებისათვის. მაგრამ თუ რატომ ავროვებენ ეს კეთილმოსურენი მოგებას თავიანთ სეიფებში და არ ხარჯავენ მის ნაწილს სკოლების, საავადმყოფოების და ა. შ. მშენებლობისათვის ამაზე ბურჟუაზიული სოციოლოგი დუმს.

პ. სოროკინი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კაპიტალიზმის კანონებზე ლაბარაკი თანამედროვე პირობებში უაზრობაა. რამდენადაც წმინდა სახის კა-

<sup>16</sup> B. Seidel, «Industrialismus und Demokratie», Berlin, 1954, s. 60.

<sup>17</sup> R. Aron, Dik-huit Lecons sur la Societe industrielle, Paris, 1962, p. 127.



პიტალიზმი არ არსებობს. დღეს, სწერდა იგი — „წმინდა სახის კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა ან თავისუფალი საქმიანობა მხოლოდ ერთ-ერთი სექტორი გახდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების საერთო ეკონომიკის“<sup>18</sup>. სოციალისტური წარმოების პროპორციული გეგმაზომიერი განვითარების ნაცვლად, „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ავტორები დეტალურად აღწერენ საბჭოთა საგეგმო ორგანოების „შეცდომებს“, და ახდენენ ზოგიერთი გარეგნულად მსგავსი მოვლენის აბსოლუტიზაციას, რომლებსაც ადგილი აქვს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დროს. ასე, მაგალითად, სოროკინი აღნიშნავს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეთი მსგავსი მოვლენების არსებობას, როგორცაა: სახელმწიფოებრივი დარგობრივი მეურნეობების არსებობა, გიგანტური მეტალურგიული კომბინატების, ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, სამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის კოლექტიური ხასიათი, მმართველობის ცენტრალიზაციის ზრდა, წარმოების განაწილებასა და მოხმარებაზე, ფასების რეგულირებასა და ხელფასზე, ექსპორტსა და იმპორტზე, მუშათა და მენაჯერთა შორის ურთიერთობის რეგულირებაზე სახელმწიფოს როლის ზრდა. კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებში ხდება მანქანათამშენებლობის, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგების განვითარების დაჩქარება, იზრდება ქალაქების მოსახლეობა. ინდუსტრიალიზაციისა და ტექნიკური პროგრესის მაღალ ტემპებს თან სდევს მეცნიერებისა და ტექნიკის როლის ამაღლება, ეკონომიკაში ცენტრალიზაციის ელემენტების ზრდა.

ამგვარად, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ქვეყნებში მიმდინარე ზოგიერთი ცვლილებების აბსოლუტიზაცია, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის განვითარების ობიექტური კანონების როლის უგულვებელყოფა შეადგენს „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის გნოსეოლოგიურ წყაროს. ყველაზე უფრო გარკვევით ამაზე რ. არონი ლაპარაკობს: „დასავლეთში, კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის განსხვავების ცნებამ უნდა დაკარგოს თავისი ეფექტური მნიშვნელობა, რამდენადაც სოციალიზმს ავიგებენ საბჭოთა კავშირთან. ამ სახით ის არ სვამს კაპიტალიზმის გამორკვევის ამოცანას, არამედ ცდილობს თავისი საწარმოო ძალების უზრუნველყოფას. არაფერი არ ამართლებს ვარაუდს, რომ სოციალიზმს უნდა მოჰყვეს პირადი საკუთრების რეჟიმის შეცვლა. ფაზებს შორის სამეურნეო ზრდისა და ერთი რეჟიმის მეორეთი შეცვლის პარალელობის იდეა უარიყოფა მთელი რიგი მოვლენებით“<sup>19</sup>.

საზოგადოების ობიექტურ განვითარებასა და კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის გარდუვალობას უარყოფს რ. არონი და ცდილობს, დაამტკიცოს, თითქოს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული რეჟიმები მცირდებათ და წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში საკუთრების ფორმა ისეთივე სახისაა, როგორც სოციალისტურ ქვეყნებში: „რაც უფრო მეტად ვითარდება თანამედროვე ინდუსტრია, მით უფრო მცირდება კერძომესაკუთრული ურთიერთობა, არავინ პერსონალურად არ ფლობს კიროვის ან ჯენერალ მოტორსის ქარხნებს. განსხვავება ორ საზოგადოებას შორის გამოიხატება მენაჯერთა სოციალურ წარმოშობასა და ხელისუფლების განაწილებაში“<sup>20</sup>.

<sup>18</sup> P. A. Sorokin, *The Basic Trends of Our Times*, New Haven, 1964, p. 81.

<sup>19</sup> R. Aron, *opium für intellektuelle ader die Sucht nach welt anschauung*, Köln-Berlin, 1957, s. 288.

<sup>20</sup> Ebenda, s. 120.

იგივე არგუმენტები, მხოლოდ უფრო ფართო გაგებით, წამოაყენა პ. სოროკინმა: „... არსებითი განსხვავება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ სისტემებს შორის უფრო მცირეა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და ორივე ქვეყანა ისწრაფვის შერეული ეკონომიკის შექმნისათვის... საბჭოთა კავშირში ისე როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, — წერს იგი, — არსებობს საზოგადოებრივი და კერძო საკუთრება (უკანასკნელს პ. სოროკინი აკუთვნებს საბჭოთა მოქალაქეების პირად საკუთრებას)... ფორმალურად რუსეთში კორპორაციული ეკონომიკა არ არსებობს, მაგრამ სინამდვილეში ამერიკული კორპორაციული ეკონომიკა გვევლინება რუსეთის ნაციონალიზებული მრეწველობის შესაბამისი ქვედანაყოფის ღვიძლ ძმად. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე რუსეთის ნაციონალიზებული მრეწველობა დაყოფილია მეტალურგიულ, ნავთობის, მშენებლობის და სხვა დარგებად, რომელთა ხელმძღვანელობას ახორციელებს სახელმწიფო ღირექტორთა კოლეგია, ხოლო ამერიკაში მსხვილ კორპორაციათა საბჭო. ამ საბჭოების არც ერთი წევრი არა ფლობს კორპორაციას და მის საკუთრებას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საბჭოთა კავშირში ღირექტორები ინიშნებიან მთავრობის მიერ და ისინი პასუხისმგებელნი არიან ხალხის წინაშე, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ღირექტორები ინიშნებიან აქციონერთა საზოგადოების მიერ და ისინი პასუხისმგებელნი არიან აქციების მფლობელთა წინაშე“<sup>21</sup>. საკუთრების კოლექტიური ხასიათისადმი გარეგნული მსგავსების ხაზგასმით, „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ავტორები რატომღაც სდუმან, რომ ფიატისა და სხვა ფირმების მფლობელთა კოლექტიური საკუთრება ეს არის ექსპლოატატორთა ჯგუფის საკუთრება და არა სახალხო საკუთრება; პრობლემის ამ მხარის ჩვენება მათთვის არახელსაყრელია, ამიტომაც ისინი ამ საკითხის გარეგან მხარეს იხილავენ, სოციალისტურ და კაპიტალისტურ საწარმოთა მოჩვენებით მსგავსებას ემყარებიან. რ. არონი და მისი მიმდევრები იმედოვნებენ სოციალისტური ქვეყნის ჰემსმარტი სახალხო ხასიათის დაფარვას. ხელისუფლებისა და მმართველობის ანალიზის ნაცვლად ისინი ყურადღებას აჩერებენ ამ ხელისუფლების აღსრულების ფორმაზე, ვარაუდს ამყარებენ ბურჟუაზიის პარლამენტურ დემოკრატიაზე და ცდილობენ კაპიტალისტური წყობილება წარმოადგინონ როგორც „სავსებით დემოკრატიული“, „სრულიად განახლებული“. კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის ისტორიული კანონზომიერების უარყოფის ცდისას „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის მიმდევრები ცდილობენ, წარმოადგინონ სოციალიზმი არა როგორც საზოგადოებრივი განვითარების ისტორიული ეტაპი, არამედ — როგორც ეკონომიკის ცენტრალიზებული მმართველობის ფორმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა საზოგადოებრივი რეჟიმის დროს.

პ. სოროკინის აზრით, ეს ეკონომიკური სისტემა ადრე აღმოცენდა და მრავალჯერ გამოქვდავებული კაცობრიობის ისტორიაში, განსაკუთრებით — ძველ სპარტასა და რომში, შემდეგ — ბიზანტიის იმპერიაში; აგრეთვე — ძველ პერუში, ჩინეთში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში. სოციალიზმს ბურჟუაზიული სოციოლოგები განიხილავენ როგორც ცენტრალიზებული მმართველობის ფორმას და უგულუბელყოფენ მისი როგორც საზოგადოების განსაზღვრული ტიპის — კომუნისმის პირველი ფაზის ყველა ძირითად ნიშანს.

<sup>21</sup> P. A. Sorokin, The Basic Trends of our Times, p. 115—117.

კაპიტალისტური და სოციალისტური სინამდვილის ანალიზის დროს, „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ავტორები, უწინარეს ყოვლისა, ეყრდნობიან ჩვენი ეპოქის სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას. მაგრამ არ უჩვენებენ, თუ როგორ საზოგადოებრივ პირობებში, როგორ წარმოებით ურთიერთობათა ზემოქმედებით ხდება ეს, და ცდილობენ მეტაფიზიკურად მოწყვიტონ საწარმოო ძალები, წარმოებით ურთიერთობებს. ამ თეორიის მომხრენი, არა მარტო წყვეტენ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს წარმოებით ურთიერთობებს, არამედ ტექნიკას განიხილავენ ადამიანის საქმიანობის მიღმა; საწარმოო ძალთა განვითარების დონეზე ლაპარაკისას ისინი უთითებენ მხოლოდ ტექნიკის დონეს, მაგრამ როგორია ადამიანის როლი საწარმოო ძალთა სისტემაში, ამაზე ისინი არაფერს ამბობენ.

ამგვარად, „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია საწარმოო ძალებს განიხილავს მისი მთავარი შემადგენელი ნაწილის გარეშე.

გ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ შრომის ჩვევებს დაუფლებული ადამიანი, ძირითადი საწარმოო ძალაა, სწორედ ადამიანმა უნდა უხელმძღვანელოს საწარმოო საშუალებათა სისტემას უწყვეტი საწარმოო ციკლის განხორციელებისათვის; რაც შეეხება მანქანებს, ტექნიკასა და სხვას, ისინი, მართალია, თავის მხრივ კოლოსალურ ზეგავლენას ახდენენ ადამიანზე, მაგრამ ამ დიალექტიკურ ურთიერთკავშირში ადამიანია ძირითადი და საზოგადოებრივი პროცესის მაპროფილზელი. შესაბამისად არსებობს საწარმოო ძალთა საკმაოდ რთული დიალექტიკა, რომელსაც „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ავტორები უარყოფენ ან განიხილავენ ცალმხრივად, რაც ამ თეორიის კიდევ ერთი გნოსეოლოგიური ნაკლია.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიას საფუძვლად დაედო ბურჟუაზიული სოციოლოგების მიერ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ინდუსტრიულ განვითარებაში ზოგიერთი გარეგნული მსგავსების აბსოლუტიზაცია, ეს ბურჟუაზიულ სოციოლოგებს საშუალებას აძლევს, რათა გააკეთონ დასკვნა, თითქოს ალტერნატივა კაპიტალიზმში და სოციალიზმში არ არსებობს და ორი სისტემა უახლოვდება ერთმანეთს; საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა, მათი მტკიცებით, „სწრაფად მოძრაობენ“, შერეული ეკონომიკისაკენ და სულ უფრო „ემსგავსებიან ერთმანეთს“<sup>22</sup>. „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ერთ-ერთი გნოსეოლოგიური წყაროა საზოგადოების განვითარების ევოლუციური ფორმის აბსოლუტიზაცია, ისტორიული კანონების უგულებელყოფა: „ვიცი, წერს არონი — რა უნდა იყოს კაცობრიობის მომავალი, მაგრამ როგორია იგი — ჩვენ ეს არ ვიცით და ვინც განაცხადებს, რომ იცის, ფალსიფიკატორია. ჩვენ შეგვიძლია ვიმედოვნებდეთ, რომ მომავალი შესაბამისობაში იქნება ადამიანის მისწრაფებებთან, — ჩვენ არ უნდა დავეყრდნოთ ჩვენს იმედებს; ვენდოთ ისტორიის კანონებს, რომელმე კლასს, რომელმაც უნდა განახორციელოს ეს იმედი“<sup>23</sup>. არონის გულახდილი განცხადება გამოხატავს ბურჟუაზიული იდეოლოგიების დაბნეულობასა და მათს ზერელე დამოკიდებულებას საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებთან, რომლებიც რევოლუციური გზით წარმოიქმნებიან. ეს გამოხატავს რეაქციული კლასის ინტერესებს, — იმპერიალიზმის იდეოლო-

<sup>22</sup> P. A. Sorokin, *The Basic Trends of our Times*, p. 119.

<sup>23</sup> «Preuves», Paris, Mars, № 169, p. 25.



გებს არ ძალუძთ, რომ აღიარონ ისტორიაში ხალხთა მასების გადამწყვეტი როლი, საზოგადოების განვითარების ობიექტური პროცესი, რომელსაც აუცილებლად მივყავართ კაპიტალისტური წყობის დაღუპვასთან. საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის შიში აიძულებთ მათ, რომ უარყონ ისტორიის კანონები.

კლასობრივი ბრძოლის გადამწყვეტი როლის უგულველყოფას საზოგადოების განვითარებაში, ისტორიულისა და ლოგიკურის დიალექტიკის უარყოფას მიჰყავს „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის ავტორები საზოგადოების განვითარების მიმართულებასა და ფორმის განსაზღვრის არასწორ არჩევასთან. ისტორიის კანონებისადმი უნდობლობამ საზოგადოების განვითარებაში მუშათა კლასის გადამწყვეტი როლის უარყოფამ მიიყვანა ისინი „ბრტყელ ევოლუციონიზმთან“, საზოგადოების განვითარების რევოლუციური გზის უარყოფასთან.

„ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის მომხრეები ცდილობენ დამტკიცებას, რომ ყველა ქვეყნის განვითარება თითქოს ინდუსტრიული საზოგადოებისაკენ მიიმართება ევოლუციური გზით. „დასავლეთის სამყაროში, — ამტკიცებს არონი, — რევოლუციები დარჩნენ ჩვენს უკან და არა წინ, თვით იტალიაში და საფრანგეთში არ არის ბასტილები, რომ ისინი იერიშით ავიდნენ, აღარ არიან არისტოკრატები, რომლებიც ფანარზე უნდა ჩამოვიდნენ“<sup>24</sup>. მოხსენებაში — „ინდუსტრიალიზმი და ინდუსტრიალიზაცია, მსგავსება და განსხვავება“, რომელიც წაკითხულია მსოფლიო სოციოლოგიურ კონგრესზე, ამერიკელი სოციოლოგები ა. ფელდმანი და ე. მური ცდილობდნენ თეორიულად დაესაბუთებინათ რევოლუციის უარყოფა და ევოლუციური გარდაქმნების აუცილებლობა. მათი აზრით, „თვით ტექნიკას“ მივყევართ სოციალური გარდაქმნებისაკენ, ამის გამო აუცილებლობას არ წარმოადგენს მოვხდინოთ ჩვენს დროში „ისეთი რევოლუციები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ინდუსტრიული ქვეყნების ისტორიაში“<sup>25</sup>.

ბურჟუაზიის აპოლოგეტები ცდილობენ, „გააუქმონ“ მარქსისტული მოძღვრება კლასებზე, რომელიც მდიდარი ფაქტობრივი მასალის განზოგადების საფუძველზე მიუთითებს კლასებს შორის წინააღმდეგობის მოსპობის იარაღზე — კლასთა ბრძოლაზე და ამ ბრძოლის შედეგზე — პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაზე; ეს უკანასკნელი კი, კ. მარქსის თქმით, სხვა არაფერია, თუ არა უკლასო საზოგადოებაზე გადასვლის საშუალება. წინააღმდეგ მარქსიზმისა, ისინი ამტკიცებენ, რომ კლასობრივი ბრძოლა დასავლეთის სამყაროში (განსხვავებით თითქოს, რუსეთისაგან) მშვიდობიანი რეგულირების მეთოდებით შეცვალა.

„დასავლეთის ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ კლასობრივი ბრძოლა და რევოლუციისაკენ მოწოდება კლასთა დაპირისპირების რეგულირების ფორმებითაა შეცვლილი. კოლექტიურ შრომებში; „ინდუსტრიალიზმი და საზოგადოება“, „ახალი ერი“ — ამერიკელი სოციოლოგები ცდილობენ, დაარწმუნონ განვითარებადი ქვეყნები, რომ მოახდინონ „თანდათანობითი“, „ზომიერი“ გარდაქმნები. ისინი ცდილობენ დამტკიცონ, რომ აჩქარებულ რევოლუციურ გარდაქმნებს შეუძლიათ მიგვიყვანონ „ხალხთა შორის კონფლიქტამდე“. ბურჟუა-

<sup>24</sup> R. Aron, Opium für intellektuelle oder die Sucht nach weltanschauung, s. 118  
<sup>25</sup> «Translations of the Fifth World Congress of sociology, vol», 1962.

ზიული სოციოლოგების თხზულებებში ტარდება ძველი აპარატის შენარჩუნების, ტრადიციებისა და ყველაფერ შექმნილთან „მოთმინებით“ დამოკიდებულების იდეა. ყველა ამ დარეგებაში იმალება იმპერიალისტური არსი: არ დაუშვან განვითარებად ქვეყნებში სოციალური გადატრიალებანი, რომლებსაც მივყავართ სოციალისტურ გარდაქმნებთან და შეინარჩუნონ ძველი ტრადიციები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ ქვეყნების განვითარებას კაპიტალისტური გზით. „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების თეორიას აქვს ღრმა კლასობრივი საფუძველი, რომელიც მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავს. ამრიგად, „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ ვნოსეოლოგიური ფესვებია: 1. საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების უარყოფა; 2. სუბიექტური სიბრმავე, რომელიც მქდავანდება კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის ობიექტური გარდაუვალობის უარყოფასა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების საწარმოო მაჩვენებლებისაგან მოწყვეტაში; 3. ტექნიკის როლის აბსოლუტიზაცია, ადამიანის როლის და წარმოებითი ურთიერთობების შეუფასებლობა საზოგადოების განვითარებაში; 4. კაპიტალისტური და სოციალისტური საზოგადოებების განვითარების ზოგიერთი გარეგანი მსგავსების ყალბი გაგება.

(წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

У. И. РИЖИНАШВИЛИ

## ЯЗЫК НАУКИ, ЯЗЫК ИСКУССТВА И ПРОБЛЕМЫ ЛИТЕРАТУРОВОЕДЧЕСКОГО АНАЛИЗА

1. В последнее время много говорят о возможностях и даже необходимости применения формализации в гуманитарных науках и, в частности, в литературоведении. Однако рассуждения о применении формализации получают смысл только тогда, когда уточнено, что понимается под формализацией. Дело в том, что употребление слова «формализация» не является однозначным. В собственном специальном смысле понятие формализации используется по отношению к формализованным логико-математическим теориям и формальным системам где вывод или иного предложения заменяется выводом соответствующей формулы («правильно построенного знакового выражения») при полном отвлечении от смысла выводимой формулы, смысла формул, участвующих в процессе вывода, от смысла используемых при этом правил.

Полностью формализованные системы являются эпизодом даже в математике. В подавляющем большинстве абстрактных математических дисциплин правила логики не выявляются и не формализуются. В более широком смысле под формализацией понимают метод изучения данных опыта посредством отображения его инвариантов, структур в знаковой форме на основе вспомогательных «искусственных» языков; формализация в таком случае позволяет формулировку правил по отношению к изучаемым объектам заменять формулировкой правил по отношению к символическим выражениям их заменяющим (в этом отношении весьма показателен идеографический язык, используемый в химии). Наконец, под формализацией в самом широком гносеологическом смысле понимается метод упрощения, схематизации изучаемой ситуации, в том числе и некоторого фрагмента опыта, знания, с целью выявления строгих дистинкций между объектами и соответствующими им значениями знаковых выражений, метод выявления и формулирования в недвусмысленной форме всех подразумеваемых предпосылок и допущений.

Что касается формализации в гносеологическом смысле, то она является условием любого научного анализа, в том числе и литературоведческого, и используется не только, например, в математическом естествознании, но давным давно и в классическом литературоведении: с выделения инвариантов, структур началась эстетика, в том числе и литературоведение (см. трактаты Аристотеля «Поэтика» и «Риторика»). Речь поэтому может идти лишь о более совершенных способах применения этого метода в литературоведении.

2. Само требование точности варьирует в зависимости от характера изучаемых объектов и от цели исследования. Так, если требуется гнуть на стол скатерть, то мы должны знать площадь поверхности стола. Однако ясно, что измерение этой площади с точностью до миллиметра не имеет смысла. В других же случаях требуется несравненно большая



точность. Но точность определенного сорта нужна любой науке: это точный смысл используемых в ней терминов и употребляемых в ней понятий. Диалектика же развития познания свидетельствует о том, что менее точное и строгое сменяется более точным и строгим. Этот процесс уточнения требует часто огромных усилий со стороны ученых, в том числе и математиков, занимающихся изучением сравнительно простых абстрактных, жестких объектов (какими, например, являются числа). Так, в течение многих веков математики занимались изучением алгоритмов решения различных задач, и понимали, что алгоритм есть некоторый общий прием, позволяющий решать некоторый класс однотипных задач. Однако, точный ответ на вопрос о том, что же представляет собой алгоритм, был дан лишь в XX веке.

3. Нам представляется, что применения аппарата, используемого в теории информации, возможны и могут принести пользу, но вряд ли их применение в той форме, в какой они используются в иных гуманитарных науках, может привести к каким-то революционным изменениям в литературоведении. Поясним свою мысль.

Условием возникновения, формирования и прогресса любой науки является овладение некоторыми методами, приемами анализа изучаемых объектов, их классификация; формулируются законы. На базе этих достижений возможно затем приступить к созданию теорий, на основе которых уже можно, не прибегая к непосредственному эмпирическому исследованию, выводить ранее полученные законы из ограниченного числа исходных начал теорий, заменять измерения вычислениями, строить предсказания и т. п. Однако в той части, в которой литературовед занимается специфической для него задачей, предметом его изучения является художественное произведение и творческий процесс его создания писателем или поэтом (разумеется, что решение этой специфической задачи заставляет литературоведов выходить за рамки своего непосредственного объекта изучения и обращаться к изучению эпохи, личной жизни писателя, его окружения и т. п.). Вполне естественно, что, в первую очередь, литературоведа и должны интересовать методы, позволяющие раскрыть свойства произведения, как художественного произведения, реализующего при этом известные замыслы, идеи, мировоззренческие установки его создателя. Следовательно, эти методы должны быть в первую очередь методами анализа эстетической (а не научной, интересующей субъективной) информации. Это очень хорошо понимает Моль<sup>1</sup> и стремится применить методы статистической шенноновской теории информации именно к эстетической информации. Интерпретируя эстетическую информацию как меру оригинальности, уникальности, индивидуальности, связанную с неожиданностью восприятия, он предлагает уже известные методы ее измерения. Эта информация была им сведена к последовательностям материальных знаков (линейная упорядоченность их при этом не обязательна), отвлеченных от их смысла, значения. Без такого отвлечения невозможно было бы пользоваться математическим аппаратом. Такой подход приводит, однако, к тому, что природа эстетического утрачивается, что к числу эстетических художественных явлений должны быть причислены такие, которые заведомо не являются таковыми (если, например, в тексте напечатанной книги нам встретится буква слишком жирно напечатанная, то оказывается, согласно теории Моля, что она несет огромное количество эстетической информации).

<sup>1</sup> А. Моль, Теория информации и эстетическое восприятие М., «Мир», 1966.

4. Если бы художественное произведение обладало хотя бы некоторыми существенными свойствами научного знания, то мы могли бы с большой внутренней уверенностью и на основе самых различных аргументаций обосновывать применимость к анализу специфики художественных произведений и процесса их создания художником всех точных методов, которые применяются во всех естественных и технических науках. Эти методы разрабатывались бы литературоведением и результаты их применения обобщались бы этой наукой.

Если бы литературоведение было знанием о назначении человека, его месте в мире, в истории и т. д., то оно никому не было бы нужно. Оно стало бы бесполезным, поскольку этими вопросами и с большим успехом занимаются иные науки. Если бы ценность произведения художественной литературы измерялась бы по тем же параметрам, что и научное знание (в том числе и науки, занимающиеся изучением человека, его назначением в обществе, в истории), тогда многие научные трактаты по истории, философии, социологии и т. п. должны были бы признаваться шедеврами художественного творчества и оплачиваться соответствующим образом. Однако всем ясно, что это не так.

Объектом литературоведения непосредственно является не сама действительность, а художественные произведения, художественное творчество.

Нам представляется, что точные методы, способные отобразить специфику изучаемого литературоведением объекта, должны быть прежде всего методами и принципами семиотики (они будут включать как свой компонент и методы структурно-системного анализа). В дальнейшем при обосновании своего тезиса мы будем в значительной мере опираться на идеи и методы семиотики.

5. В чем же специфика объекта исследования литературоведения и какие методы, используемые для изучения именно этой специфики, являются методами литературоведения?

Специфика художественного произведения заключается в том, что она несет эстетическую информацию. Основное же назначение этой информации<sup>2</sup> состоит в том, чтобы пробуждать у адресата целую гамму сложных долговременных чувств, являющихся важнейшим регулятором отношений субъекта с окружающей его внешней общественной средой, активизирующих его волевые и интеллектуальные качества на решение тех или иных проблем, формирующих у него определенные отношения и установки по отношению к тем или иным явлениям общественной жизни. Эти чувства в психологии отличаются от кратковременных чувств, вызываемых, например, голодом, жаждой, страхом перед непосредственно надвигающейся опасностью, способной оборвать жизнь человека или животного. Эти чувства, называемые эмоциями, являются защитными свойствами, средствами выживания организма как биологического существа.

Охарактеризованные выше долговременные чувства вызываются, однако, не только художественными произведениями, но и другими

<sup>2</sup> Речь здесь идет о произведениях искусства, в которых знаки используются **неавтономно**, т. е. знаки выступают как представители, заместители некоторых объектов и потому обладают значением (таковы произведения художественной литературы, поэзии, живописи). К произведениям с **автономным** использованием знаков (некоторые материальные объекты в таком случае используются как знаки самих себя) относится, например, музыка, архитектура. В некоторых видах искусства используются оба вида знаков (например, скульптура).

факторами (общественными событиями, событиями личной жизни, природными явлениями и т. п.). Следовательно, из совокупности охарактеризованных нами долговременных чувств следует выделить те, которые вызываются у адресата произведениями искусства и обычно характеризуются как эстетические переживания.

Сообщение в художественном произведении литературы некоторой объективной информации не может быть источником эстетических переживаний, поскольку таковые не возникают при чтении той научной литературы, целью которой и является сообщение такой информации.

Описание индивидуальных, уникальных событий, ситуаций также не является специфическим признаком эстетической информации, а следовательно, и эстетических переживаний, поскольку и многие науки занимаются выяснением специфики уникального, индивидуального (ср. описание индивидуальных, уникальных событий и ситуаций в научных трудах по истории, в науках о Земле).

С нашей точки зрения эстетические переживания связаны именно с эстетической, художественной информацией, которую мы и определим по отношению к произведениям искусства с неавтоматичным употреблением терминов.

Эстетическая информация есть информация: 1) обеспечиваемая различными уровнями знаков, используемых в художественном произведении; 2) обеспечиваемая некоторым единством формального (знакового) и содержательного (идейного).

Приведенное определение эстетической информации нуждается в пояснениях.

а) Если объекты, изучаемые естественными и техническими науками, существуют прежде всего как материальные объекты, которые воздействуют на наши органы чувств и вызывают у субъекта определенные ощущения и восприятия, на основе которых затем и формируются понятия, то объекты изучения литературоведения существуют лишь в их знаковой форме. Реальность существования ситуации, описанной в романе, рассказе, стихотворении — это материализация ее в материальных знаках произведения. Без этой знаковой формы не существует основного объекта, изучаемого литературоведением. В отличие от опытных наук спецификация, индивидуализация объектов литературоведения (персонажей, ситуаций), осуществляется не по их объективно существующим свойствам (описываемых в романах персонажей и ситуаций, как правило, и не существует в том смысле, в каком существуют металлы, животные и растения, в том смысле в каком существуют объекты исторического исследования), а существенным образом осуществляется знаковыми средствами.

Созданная таким путем индивидуальная ситуация, индивидуальный характер (то, что называется художественным образом) и воздействуют на нашу психику. Можно предположить, что любые чувства (в том числе и прежде всего эстетические) возникают у человека на основе восприятия индивидуального, обеспечивающего интимную связь субъекта и объекта. Эта индивидуализация в художественном творчестве и осуществляется на основе особого рода знаков. Если знаки художественного произведения заменяются обычными знаками или знаками, используемыми в науке (как это имеет место в учебниках





литературы, где пересказывается «Анна Каренина», «Мертвые души» и т. п.) — эстетическая информация утрачивается<sup>3</sup>.

б) В литературном художественном произведении следует различать два уровня знаков: во-первых, знаки самой художественной, поэтической речи; во-вторых, создаваемые на основе этой речи индивидуальные ситуации (образы), которые в известном аспекте выступают в качестве знаков некоторого идейного замысла художника, мироощущения, мировоззрения писателя, его отношений к описываемой эпохе.

в) Видимо, для всякого большого писателя идейно-содержательный план является основным и определяющим в выборе знаковых средств обоих уровней: он обуславливает в первую очередь выбор сюжетных ситуаций и характеров. План содержания и план сюжетных ситуаций и характеров детерминируют, в свою очередь, выбор средств поэтической, художественной речи. Обсуждение вопроса об адекватности, гармоничности этих трех уровней художественного произведения (т. е. вопрос о форме и содержании художественного произведения), выходит за рамки настоящей статьи. Вопрос же о специфике знаков, используемых в художественном произведении, мы осветим в следующем параграфе на примере сопоставления научного и художественного языка.

б. В процессе развития познания, развития культуры произошло разведение по крайней мере языков двойного вида: языка науки и языка искусства (имеются в виду художественная литература и поэзия), Базой для языка науки, — с одной стороны, — и поэтической художественной речи, — с другой, является естественный язык. Разведение и формирование этих двух видов языков осуществлялось следующим образом.

Формирование научного языка было связано прежде всего с уточнением той части лексики естественного языка, которая включалась в языки различных наук. Кроме того лексика научного языка существенным образом обогащалась за счет заимствований слов и выражений из иностранных языков (преимущественно мертвых). Словам и словосочетаниям научного языка придавалось однозначное значение путем определений и тем самым изгонялось явление омонимии. Слова и словосочетания естественного языка, используемые в науке, возводились в ранг научных терминов. Значение терминов становилось независимым от их контекстуального употребления. В высшей степени важной вехой в формировании научного языка было его расширение за счет введения некоторых знаков идеографического характера. Такие знаки вводились для обозначения индивидуумов (ср. цифры для обозначения чисел, знаки для отношений и операций с объектами). Были введены переменные в функции пустых мест в формулах и в функции переменных величин. Это давало возможность записывать обнаруживаемые зависимости в общей форме в виде формул. Фиксирование зависимостей в виде формул позволяло отобразить некоторый результат познания и путь, ведущий к получению этого результата [ср.  $(a + b)^2 = a^2 + 2ab + b^2$ ;  $CaO + H_2O = Ca(OH)_2$ ]. Широко используются в науке графические способы отображения зависимостей, а также различного рода схемы, карты, чертежи и т. п.

<sup>3</sup> Впрочем, учащиеся очень высоко ценят такие пересказы, поскольку они освобождают их от чтения произведений и одновременно убеждают их в бесполезности чтения художественной литературы; эти пересказы лишены эстетической ценности и это их свойство они переносят и на пересказываемые произведения.

В целях построения теорий в науку вводятся имена для ряда теоретических конструктов (абстракций высокого уровня и идеализаций), выделяется минимальный словарь теории для некоторых первичных, неопределяемых объектов, соотношения между которыми иногда описываются в виде аксиом, а иные более сложные объекты и соответствующие им имена вводятся посредством явных определений. Новый этап в развитии научного языка связан с введением формализованных языков. В интересующей нас связи важно подчеркнуть следующее.

Научный язык формировался в направлении преодоления некоторых недостатков естественного языка, обусловленных его универсальностью как средства общения, и усиления, уточнения тех его элементов, которые связаны с интеллектуальной компонентой значения, с выделением и преобразованием некоторых логических структур, заключенных в естественном языке. В результате мы получаем некоторый расширенный в указанном выше смысле язык, отличающийся однозначностью значений в пределах каждой науки, независимостью значений терминов от их употребления в различных контекстах, усиленный за счет идеограмм, простейших логико-математических структур и чисто формальных средств, абстрагированный от субъективного, эмоционального и других элементов, встречающихся в обычном языке.

По отношению к научным, чисто интересубъективным языкам удается наметить подходы к решению проблемы значения, применять предикаты истинный и ложный к предложениям этого языка на основе использования научных средств их проверки, вводить правила удаления для абстрактных и идеализированных объектов, добиваться применения теорий на практике в целях непосредственного изменения материальной действительности.

7. Язык художественной, поэтической речи также возник на базе естественного языка и по всем параметрам, которые были перечислены по отношению к научному языку, существенным образом отличается от последнего. Можно даже сказать, что в определенном смысле он развивался в противоположном направлении. Это свидетельствует о том, что он приспособлялся людьми для фиксации результатов деятельности иных сторон и компонентов как индивидуального, так и общественного сознания, связанных с внутренними и внешними детерминациями, отличными от детерминаций интеллектуальной деятельности.

Формирование художественного языка не было связано с уточнением значений знаменательной лексики естественного языка. Наоборот, в ходе развития художественного языка одно и то же слово приобретало новые дополнительные значения. Такие способы переносов значения как метафора, метонимия, синекдоха, используемые как средства развития естественного языка применяются и как средства переноса значений в художественной речи: здесь они выступают как тропы, образные выражения. Это означает, что значения слов в художественном языке не только не являются независимыми от контекста как в научном языке, не просто выявляются в контексте, как это имеет место в естественном языке, а **создаются** в контекстах. Часто для выражения абстракций и общих понятий в поэзии используются аллегории. Этим достигается образная индивидуализация общего и абстрактного (любви, справедливости, коварства, добра, хитрости, славы, войны, мира и т. п.), вследствие чего абстракции способны вызывать у адресата столь же сильные эмоциональные реакции, как и индивидуальные материальные предметы через соответствующие им знаки.



Эта индивидуализация и образность достигаются на отрезках текста различной длины (если, например, идею трусости можно представить через образ зайца, то идейный замысел художника обычно реализуется на протяжении всего художественного произведения). Заметим, что Гегель, создавший гениальный труд по эстетике, тем не менее недооценивал художественные языковые средства произведений искусства. Он указывал, что «в подлинно художественных произведениях такого рода формы могут лишь соответствовать их основному ядру, как нечто аксессуарное»<sup>4</sup>. Гегель недооценивал, кстати, и значение научного языка. В этой связи весьма показательными являются его высказывания о математических символах в связи с анализом математических рядов.

Как мы уже отмечали, предложения, формулируемые в точных науках, лежат в русле классической логики и оцениваются как истинные или ложные. К предложениям подлинно художественного поэтического языка не применимы непосредственно не только варианты эмпирической теории проверяемости, но и многие другие теории значения.

Допустим у нас имеется предложение поэтического языка: «У него в душе нет ни одного седого волоса» (имеется в виду, что голова у него седая и ему много лет). Определяя осмысленность или бессмысленность этого предложения на основе эмпирической теории значения (если слова, входящие в него, будут рассматриваться в русле значений знаменательной лексики естественного языка), мы обязаны сказать, что оно бессмысленно. В самом деле. Для проверки этого предложения мы должны у человека, о котором идет речь, обнаружить такую часть тела как душа, найти волосы на этой части тела и путем их перебора определить есть ли среди них седые или нет. Осуществить такую процедуру в принципе невозможно, как невозможно измерить абсолютное время.

Допустим, мы осуществили перевод данного предложения на естественный язык: «Несмотря на то, что ему много лет, он душой еще очень молод». Если речь идет о реально существующем лице, мы можем применить эмпирическую теорию проверяемости (кстати, в медицине часто возникает необходимость давать заключение о трудоспособности лиц преклонного возраста). Однако такой перевод будет связан с **утратой** свойства поэтической речи, целью которой является достижение эмоционального воздействия на чувства, настроения, мироощущение адресата. Это означает, что эмоциональное состояние нашей психики является функцией не любой информации, а именно информации эстетической. Более того, видимо, можно утверждать, что наличие известных эмоциональных состояний нашей психики, нашего сознания детерминируется воздействием на наши органы чувств материальных объектов особого рода в том числе и знаков особого рода. Это явствует хотя бы уже из того, что в искусствах с автономным употреблением знаков (например, в музыке) эмоциональное состояние адресата является функцией воздействия на него звуковых сочетаний, лишенных семантики.

Если же в приведенном выше предложении речь идет о некотором вымышленном писателе персонаже, то при применении указанной теории значения возникнут трудности, аналогичные тем, которые обсуждались еще В. Расселом в „Principia Mathematica“ на примере анализа предложения: «Настоящий (т. е. ныне здравствующий) король Франции является лысым». Нужно заметить, что правила удаления для слов, выражений, целых контекстов поэтического языка совсем

<sup>4</sup> Гегель. Соч. т. XII, 1938, стр. 404.



нные, чем в науке. Введение в науку терминов для абстракций высокого уровня может быть оправдано, если их удается свести к объектам, если не нулевого уровня (к материальным объектам), то во всяком случае к объектам 1-го уровня абстракции. В поэтическом, художественном языке этот критерий значимости употребляемых знаковых выражений не применим. Мы уже убедились в этом, осуществив перевод предложения поэтического языка: «У него в душе нет ни одного седого волоса» на обычный естественный язык: оно при этом перестало быть художественным, перестало выполнять те цели, ради которых оно создавалось. Видимо, знаки и их сочетания художественного языка удаляются тогда, когда они вызывают у адресата эстетическое наслаждение, вызывают соответствующие стремления, намерения, оценки, мироощущения.

Заметим, что структура, иерархия языков художественного произведения сложна и в корне отлична от иерархии языков науки. Это выражается хотя бы в том, что идейный замысел художника реализуется обычно на протяжении всего художественного произведения и предполагает отбор ситуаций, их композицию, которые являются, в свою очередь, новыми знаковыми средствами осуществления идеи автора (1-ый уровень языка). Эти ситуации описываются средствами художественного языка 2-го уровня. Русский поэт А. Вознесенский, выражая идею протеста против войны, описывает некоторую ситуацию, связанную с человеческими жертвами и разрушениями. В соответствии с этим им используются и художественные средства, придающие описанию огромное эмоциональное воздействие, хотя предложения, употребляемые при этом и рассмотренные на уровне естественного или научного языка, выглядят малоосмысленными.

« Я — Гойя  
 Глазницы воронок мне выклевал ворог,  
 слетая на поле нагсе.  
 Я — горе.  
 Я — голос  
 Войны, городов головни  
 на сгегу сорок первого года»

**Подведем итог.** Видимо в сознании человека имеются структуры, обеспечивающие не только познание интерсубъективного, общего, абстрактного, т. е. того, что может быть отнесено к интеллектуальной компоненте сознания, но и структуры, обеспечивающие восприятие прекрасного, которые при этом функционируют независимо от структур интеллекта. Эти структуры складываются у человека в процессе воспитания и обучения. Повидимому можно было бы указать и на другие структуры, связанные с выработкой предложений, которые не могут быть непосредственно оценены как истинные или ложные. Взаимодействие между этими структурами, очевидно, очень сложны. С нашей точки зрения подготовка подрастающего поколения к восприятию прекрасного является не менее сложной, чем подготовка учащегося к решению сложных математических задач. Серьезным препятствием к «пониманию» учащимся прекрасного является давным давно устаревшая практика анализа произведений лишь на чисто интеллектуальной основе. Препятствием к серьезному анализу сферы прекрасного являются и работы философов, рассматривающие произведение искусства только лишь как некоторый несовершенный вид познания. Гегелевские

установки в отношении лишь естественного языка являются глубокими и плодотворными. Но они должны быть распространены *mutatis mutandis* на семиозис в целом. Мы полагаем, что семиотике будет принадлежать отнюдь не последнее место в анализе сознания, выявлении его структур, их взаимодействий и детерминаций.

RIZINASHVILI U.

LANGUAGE OF SCIENCE, LANGUAGE OF ART AND THE PROBLEMS  
OF THE LITERARY CRITICISM ANALYSIS.

Summary

The paper specifies the conception of formalization which can be used in several meanings. It turns out that formalization in a gnosiological sense has been used not only in mathematical natural science, but also in the classic literary criticism for a long time. One can vary the exactness depending upon the nature of the objects one studies and the research aim. The application of the methods used in the theory of information is possible in some Humanities, but not in the form they are used in them now. It results from the specific difference between a work of art and scientific knowledge. The specific character of a work of art lies in the fact that it contains the aesthetic information. The latter is the information ensured by different sign levels of a work of art and also by some unity of form (sign aspect) and content (idea aspect). The specific character of signs in a work of art can be illustrated through the comparison of the science language and the poetic language which were developed on the basis of the natural language. The meanings of words in the poetic language not only depend on a context (compare with the language of science where the meanings of words are independent of a context), are not simply revealed in a context (as it takes place in the natural language), but **are created** in contexts. The languages of works of art have a complicated structure and hierarchy; their hierarchy radically differs from that of the science languages.

(Представлена Институтом философии АН Грузинской ССР)

---

## ფსიქოლოგია

ჰემალ კუარაშვილი

### მოტორულ კომპონენტთა როლი აღქმის ნორმალურ და შეცვლილ ვიზუალურ ველში

როდესაც ადამიანი აღქმულ გარემოსთან გარკვეულ მოქმედებითს კონტაქტს ამყარებს, იგი თავისი აქტივობის პროცესში მუდმივ ინფორმაციას იღებს თავისივე მოქმედების შესახებ, რაც საშუალებას აძლევს მუდმივი კორექციის ქვეშ მოაქციოს მოქმედების რეგულირების პროცესი და მას კოორდინირებული სახე მისცეს. სუბიექტის მიერ თავისივე მოქმედების შესახებ ინფორმაციის მიღება, რაც მეორად აფერენტაციას (უკუაფერენტაცია — Обратная афферентация — ანოხინი) ემყარება, წარმოადგენს აუცილებელ კომპონენტს მიზანშეწონილი ქცევის აგებისათვის. გადავადებისა და უკუაფერენტაციის ეფექტები განწყობის თეორიის საფუძველზე გამოვიკვლიეთ საქ. სსრ მეცნ. აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის საინჟინრო ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში (ხელმძღვ. პროფ. შ. ნადირაშვილი).

თვალის კონვერგენციული, ფუზიონური და აკომოდაციური პროცესები, რომლებიც ხორციელდება თვალის კაკლის მამოძრავებელი კუნთების, ბროლისა და გუგის რეაქციებით, ერთიანდებიან მიერო და მაკრომოძრაობათა ჩგუფებად და ემსახურებიან თვალის ძებნიოს (поисковые), გაყოლებითსა (проследживающие) და გნოსტიკურ მოძრაობებს. ეს აუცილებელია, რათა თვალმა შესასრულოს ხატის აგების, ცნობის, გაზომვის, კონტროლისა და კორექციის ფუნქციები<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, მხედველობის შეგრძნების აღქვებურ აღმგზნებად გვევლინება ბადურაზე დაცემული სხივური ენერჯის სივრცისეული და დროითი კონფიგურაცია, რომელიც საფუძვლად ედება ბადურაზე გამოსახულების კონტურისა და აღქმის მთლიანი ხატის აგებას. მაგ., სინათლის წერტილოვანი წყარო, როგორც აღქმის ობიექტი, წერტილის სახით არ აღიბეჭდება ბადურაზე. ს. გებტმა და ე. მინცმა აღნიშნეს, რომ სწორი ხაზი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს აღქმული ველში, როცა იგი იქცევა 0,5" (სეკ) კუთხის ხედვის ობიექტად<sup>2</sup>. მაგ., თუ წვრილი ძაფის სიდიდე რეალურად, შეესატყვისება ერთი კოლების სიდიდეზე ნაკლები ხედვის კუთხეს იმის გამო, რომ ბადურაზე ძაფის გამოსახულება მოიცავს რეცეპტორთა არა მხოლოდ ერთ, არამედ სინათლის სხვადასხვა ინტენსიობით წარმოდგენილ რამდენიმე რიგს, ბადურის მოძრაობა ამ რეცეპტორთა სხვადასხვა რიგების ურთიერთგანსხვავებულ რეაგირებას იძლევა, რაც საფუძვლად ედება წვრილი ძაფის გამოსახულების კონტურის აღქმას.

<sup>1</sup> Запорожец А. В., Венгер Л. А. и др., Восприятие и действие. Москва, 1967, стр. 70—113; Стивенс С., Экспериментальная психология, т. II, 1963, стр. 508—521.

<sup>2</sup> Стивенс С., Экспериментальная психология, стр. 519.



ამრიგად, ვიზუალური აღქმის ისეთ კორელატთა ცვა-  
ლებადობა, როგორცაა ბადურაზე მოხვედრილი სხი-  
ვური ენერგიის სივრცითი და დროითი კონფიგურა-  
ცია, სინათლის ინტენსიობა, ხედვის კუთხე და სხვ., —  
მთლიანად ემყარება ოპტიკურ მექანიზმთა აქტივო-  
ბას და ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონი-  
რების ფონზე განაპირობებს ვიზუალური ხატის აგე-  
ბის პროცესს.

ვიზუალური აღქმის პროცესებში მოტორულ კომპონენტთა მნიშვნელობა-  
ზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათი გამორიცხვა იწვევს აღქმის აქტის აღკვე-  
თას; რაც მტკიცდება ფ. რატლიფისა და რ. რიგისის<sup>3</sup>; მ. კლავესის, რ. დიხბორ-  
ნისა და რ. პრინარდის<sup>4</sup>; ე. ჰეკენმიულერისა<sup>5</sup> და ა. იარბუსის<sup>6</sup> ექსპერიმენტე-  
ბით ბადურისადმი სტაბილიზირებულ გამოსახულებათა აღქმის შესახებ. ამ  
ექსპერიმენტებიდან გამომდინარე ძირითადი ფაქტი მდგომარეობს იმაში, რომ  
ბადურისადმი უძრავი აღქმის ხატი ვიზუალურ ველში ქრება 1—3 წმ-ის გან-  
მავლობაში<sup>7</sup>.

საგულისხმოა, რომ მით უფრო სრულყოფილი და ოპტიმალურია ობიექ-  
ტისა თუ მოვლენის აღქმა, რაც უფრო ინტერმოდალურადაა მოცემული ის  
სენსორული მასალა, რომელზეც იგი აიგება, — ე. ი. რაც უფრო მეტი შეგარძნე-  
ბის ორგანო და, ამდენად, მეტი მოტორული კომპონენტია მასში ჩართული. ამ  
თვალსაზრისით, აღსანიშნავია, ერთის მხრივ, ვიზუალური და მეორეს მხრივ,  
კინესთეტკურ-მოტორული ინფორმაციის სიზუსტე და დიპაზონი, რომელიც  
დომინირებს აღქმით მიღებული ინფორმაციის სხვა არხებთან შედარებით<sup>8</sup>.

ამრიგად, ისევე შეუძლებელია აღქმა მოქმედების გარეშე, როგორც —  
მოქმედება აღქმის გამორიცხვით; ამდენად ჩვენს წინაშე დგება საკითხი აღქმის  
მოტორული ბუნების როგორც მისი აუცილებელი და შემადგენელი ნაწილის  
შესახებ. ამაზე მეტყველებენ ის მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტები, რომელ-  
თა მიხედვით, აღქმის უნარის ჩამოყალიბება ინდივიდში არსებითადაა განპი-  
რობებული მოტორული აქტივობით.

ა. ჰოლსტი და ჰ. მიტელშტედტი აღნიშნავენ ორგანიზმში ორი სახის იმ-  
პულსური გზის არსებობას: ა) ექსტრააფერენტულ არხს (გარედან მიღებული  
სტიმულის მიმღებ-გამტარი გზა) და ბ) რეაფერენტულ არხს (საკუთარი მოძ-  
რაობის შესახებ ინფორმაციის მიმღები სტიმულები), რასაც ამტკიცებენ მწე-  
რებზე და, კერძოდ ბუზებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით. ისინი გვთავაზო-  
ბენ ე. წ. **ოკულო-მოტორული რეფლექსის** ცნებას, რომელშიც გაერთიანებუ-  
ლია როგორც სტიმულთა სენსორული მონაცემები, ასევე —

<sup>3</sup> Ratliff E., Riggs L. A., Involuntary motions of the eye during monocular fixation, «J. Exp. Psychology», 1950.

<sup>4</sup> Clavess M. F., Ditchburn R. W., Pritchard R. M., Stabilized interference image on the retina, «J. Nature», & 177, 1956.

<sup>5</sup> Hekenuelmer E. G., The stabilized retinal image, J. «Psych. Bull.», & 3, 1956.

<sup>6</sup> Я р б у с А. Л., Роль движений глаз в процессе зрения, Изд. «Наука», 1965.


<sup>7</sup> მოტორიკის გამორიცხვით აღქმის შეუძლებლობის ფაქტი სხვა მოდალობაშიცაა შენიშნული; მაგ., როდესაც უძრავ თითს არ შეუძლია ზედაპირის რეალური მოცემულობის აღქმა (სიგლუჟე, ხორკლიანობა და ა. შ.), ეს ფენომენი შეამჩნია დ. კაცმა 1925 წ. იხ. P. Вудворტ, Экспериментальная психология, 1950, стр. 51.

<sup>8</sup> დ. უ ზ ნ ა ძ ე, მნიშვნელობის წედომის პრობლემათათვის, შრ-ბი, ტ. I, 1956, გვ. 30.

6. „მაცნე“, ფილოსოფიის, ... სერია, 1973, № 1

ორგანიზმის მოტორული მდგომარეობა. მათი აზრით, აფერენტულ-ეფერენტული სტიმულირების უნარი ბუზებს თანდაყოლილი აქვთ და, ამდენად, მოკლებულნი არიან ამ უკუკავშირთა დაუფლება-შესწავლას. მაღალი განვითარების ორგანიზმებში ეს კავშირები არაა თანშობილი და მათი შექმნა-შესწავლა ხდება ინდივიდუალური გამოცდილების საფუძველზე, როდესაც ყალიბდება კავშირთა რთული სისტემა აქტიური მოქმედების, ცდისა და შეცდომის, ცდისა და სინჯვის პირობებში<sup>9</sup>.

რ. ჰელმა და ა. ჰეინმა ჩაატარეს კლასიკური ექსპერიმენტები კატის კნუტებზე<sup>10</sup>. ექსპერიმენტის I ეტაპზე, ცალთვალახვეულ კნუტებს ატარებდნენ ბილიკზე და უქმნიდნენ მოქმედების აქტიურ პირობებს, II ეტაპზე კნუტებს ხსნიდნენ ამ თვალის სახვევს და უხვევდნენ მეორე თვალს, ამჯერად მათ უკვე ხელის ურიკით ატარებდნენ იმავე ბილიკზე, და დროის იმავე მონაკვეთით, მაგრამ მთლიანად პასიურობის მდგომარეობაში. რამდენიმე თვის შემდეგ გამოირკვა, რომ კნუტებს გარემოში ორიენტირება შეეძლოთ მხოლოდ იმ თვალით, რომლითაც ვარჯიშობდნენ აქტიურ პირობებში, როდესაც წარმოებდა მათი მოქმედების ნორმალური ვიზუალური მართვა, მეორე თვალი კი, რომელიც ანატომურ-ფიზიოლოგიურად ჩანმრთელი იყო, ფუნქციონალური სიბრმავეთ დარჩა. მართალია, იგი იღებდა საგანთა ნორმალურ, სენსორულ, რეტინალურ გამოსახულებებს, მაგრამ ეს სენსორული მოცემულობანი მოკლებულნი იყვნენ საგნობრივ მნიშვნელობას და, ამდენად, კნუტები ამ თვალთა ყურებისას აწყდებოდნენ რა საგნებს, მოკლებულნი იყვნენ უნარს, შეეფარდებინათ თავისი მოძრაობა ამ საგნებისადმი.



ანალოგიური შედეგები მიიღეს მათ სხვა ექსპერიმენტებშიც: კნუტებს დაბადებიდანვე სიბნელეში ზრდიდნენ და გამოჰყავდათ სინათლეზე მხოლოდ არაჩვეულებრივ სიტუაციაში: ორი კნუტი თავსდებოდა კალათებში, რომელნიც მბრუნავი ღერძის აქეთ-იქით იყვნენ ჩამოკიდებულნი. ღერძს შეეძლო წრიული

<sup>9</sup> Миттельштетт Х., Управление и регулирование при ориентации живых существ, сб. «Процессы регулирования в биологии», 1960.

<sup>10</sup> Held R. and Hein A., Movement produced stimulation in the development of visual guided behaviour, «J. Comp. and Phys. Psychol.» & 56, 1963, p. 872.

ტრიალი, ასევე — ერთი კალათის ტრიალი იწვევდა მეორის ტრიალსაც, რადგან ისინი ერთმანეთს ღვედით უერთდებოდნენ. ამრიგად, ორივე კნუტს შეეძლო ერთსა და იმავე ღროს მიედო მხოლოდ ერთნაირი მხედველობითი შთაბეჭდილებანი. ერთი მათგანი კალათში გადაადგილდებოდა პასიურად, მაშინ, როცა მეორის კიდურები თავისუფალი იყო და თავისუფლად შეეძლო საკუთარი კალათისა და მთელი ტრიალს ამოძრავება (იხ. სურათი). აღმოჩნდა, რომ ვიზუალური აღქმა განუვითარდა მხოლოდ აქტიურ კნუტს მაშინ, როცა პასიური ფაქტიურად ბრმად დარჩა.

ამრიგად, აქტივობამ ხელახლა იჩინა თავი არსებით ფაქტორად მხედველობითი აღქმის განვითარების პროცესში. რ. ჰელდის მიხედვით, ყოველგვარი კავშირი აფერენტულსა და რეაფერენტულ სისტემებს შორის ტვინში, საფუძვლად ედება აღქმის ჩამოყალიბებას ინდივიდში. ყოველი ეფერენტული სიგნალის გაჩენისას, შესატყვისი რეაფერენტული სიგნალები იგზავნებიან ე. წ. **შემნახველი სისტემიდან** (მეხსიერებიდან) — **შემადარებელ სისტემაში**, რის საფუძველზე ყალიბდება მთლიანი ორგანიზმის პასუხი გამიღიზიანებელზე (რაზეც მიუთითებდნენ ა. ჰოლსტი და ჰ. მიტელშტედტი). ელ. გიბსონის მიერ ექსპერიმენტალურად დადგინდა, რომ სიღრმის აღქმა უვითარდებოდა მხოლოდ იმ ცხოველებს, რომელნიც აქტივობდნენ სიტუაციის შესაბამისი ნებისმიერი მოძრაობებით, ამის გარეშე, სიღრმის აღუქმელობის გამო „უფსკრულში ცვივდებოდნენ“.

იმ ფაქტზე, რომ მხედველობითი აღქმის ფუნქციის განვითარება არაა დამოკიდებული ასაკზე და ქერქული რეაქციების განვითარებაზე, მიუთითებდნენ დ. ჰიუბელისა და ტ. ვაიზელის ცდები კატის კნუტებზე, რომელნიც სიბნელეში იზრდებოდნენ 8, 16 და 20 დღის განმავლობაში და ამრიგად, ქერქის განვითარების მიუხედავად, გარემოსთან აქტიური კონტაქტის გარეშე, ამ ცხოველთა ვიზუალობის უნარი ერთნაირ დაბალ დონეზე დარჩა<sup>11</sup>.

ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით, გ. გიბსონი ვიზუალურ აღქმად მიიჩნევდა არა მხოლოდ ბაღურაში მიმდინარე, არამედ მთელი ვიზუალური სისტემის მომცველ პროცესს, რომელიც გულისხმობდა, როგორც ცენტრალურ-ნერვული, ასევე ვიზუალური აღქმის მოტორული ბუნების განმსაზღვრელ მთელ კინესთეტიკურ, პროპრიოცეპტულ სისტემას (თვალების, თავის, მხრების, სხეულის კორპუსის მოძრაობას და ა. შ.) იგი მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ რეცეპტორი არ წარმოადგენს მხოლოდ შეგრძნების მიმღებ ორგანოს, იგი ძებნის, სინჯვის, სელექციის, არჩევისა და ცნობის სისტემაცაა და ამდენად, აღქმის ორგანოდ გვევლინება, რომელიც ყურადღების, როგორც გრძნობადი აქტივობის მოქმედებასაც გულისხმობს.

ობიექტი, სივრცე, მოძრაობა და სხვა გ. გიბსონის აზრით, წარმოადგენს მაღალი რანგის იმ ინვარიანტებს, რომელნიც მიიღებიან აღქმულ ინდივიდის მიერ აღქმის მოტორული აპარატის გარკვეულ აქტივობაში მოყვანის გზით. ორგანიზმის აღქმით ფუნქციაში იგულისხმება, — მოსძებნოს და გამოპყოს აღქმის ველიდან ის ინვარიანტული ნიშნები, რომელთაც საარსებო მნიშვნელობა აქვთ თვით ორგანიზმისათვის. ინვარიანტთა ფორმირება, რაც მოტორულ აქტივობას ემყარება, გულისხმობს რამოდენიმე მონაცემის ინტეგრაციას, ამ-

<sup>11</sup> Hubel D. H. and Wiesel T. N., Receptive fields, binocular interaction and functional architectura in the cat's visual cortex» J. Physiology», & 106, 1962, p. 160.



გვარ ინვარიანტთა ერთობლიობა კი წარმოადგენს საფუძველს აღქმის ხატის ჩამოყალიბება — ფორმირებისათვის, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება აღქმის ველის რეორგანიზაციისათვის<sup>12</sup>.

მიუხედავად მოტორიკის დიდი როლის აღნიშვნისა აღქმის პროცესებში, გ. გიბსონს მაინც ყურადღების გარეშე დარჩა კინესთეტიკური და პროპრიო-ცეპტული უწყუკავშირების მნიშვნელობა პერცეპტულ-მოტორულ ორგანიზაციაში. მოტორიკა მისთვის მხოლოდ — სენსორულ მასალაში ინვარიანტების გამოყოფის საშუალებად დარჩა.

გ. გიბსონისაგან განსხვავებით, დ. ჰები აუცილებლად სთვლიდა პერცეპტულ და მოტორულ მონაცემთა ინტერგაციას, რის შემდეგაც მიიჩნევდა შესაძლებელად სავნის ინვარიანტულ თვისებათა აღქმას<sup>13</sup>.

აღამიანი სენსო-მოტორულ აქტივობაში მოტორულ კომპონენტთა ფართო მონაწილეობა განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს სუბიექტის მოქმედებისას შეცვლილი ვიზუალური ველის ფირობებში.

XIX საუკუნის ბოლოს სპეციალური, პრიზმული სათვალეების გამოყენებით ჯ. სტრეტონი აკვირდებოდა გამრუდებული აღქმის განორმალება-გასწორების გზით — გარემოსადმი ადაპტაციის ფაქტებს ინვერსიული, რევერსიული, სხვადასხვა გრადუსიანი კუთხით გადაადგილებულ და „სარკისებური“ მეთოდით შებრუნებულ ვიზუალურ ველში<sup>14</sup>. ექსპერიმენტების ინტერპრეტაციისას ავტორი აღნიშნავდა, რომ ადაპტაცია მიიღწეოდა ახალ ვიზუალურ მიმართებათა შესწავლით, როდესაც ფორმირდებოდნენ სწორი ვიზუალური წარმოდგენები. ადექვატური აღქმა მიიღწევა შეხებისა და მხედველობის ჰარმონიის საფუძველზე, რაც სწავლებადი ბუნებისაა, რამდენადაც ადაპტირდებოდნენ და გარკვეული კოორდინირების უნარს იძენდნენ სხეულის — ტრანსპორტის (გადატანის), პოსტურალური (პოზირების) და მანიპულატორული მოძრაობები.

... ყოველ მოცემულ ტაქტილურ პოზიციას შეიძლება ველში მოექნებოს თავისი ვიზუალური ადგილი, როგორც მისი კორელატი ყოველი მიმართულე-ბითა და ყოველგვარ მანძილზე<sup>15</sup>.

ამრიგად, სტრეტონის მიხედვით, აღამიანის ვიზუალური და მოტორულ-კინესთეტიკური აქტები ორგანიზდებიან ერთ მთლიან სივრცით სისტემაში, რის საფუძველზეც ხდება შეცვლილი ველისადმი ადაპტაცია. წინამდებარე შრომაში ჩვენს მიზანს არ წარმოადგენდა და ამიტომაც არ შევეხებით აღქმის უნარის ფორმირების საკითხებს, როგორც ეს განსაზღვრა ჯ. სტრეტონი.

<sup>12</sup> Gibson J. J., Adaptation after-effect and contrast in the perception of curved lines, «J. Exp. Psychol.», & 16, p. 3—31, 1933; Gibson J. J., The perception of the visual world, Allen and Unwin (Houghton-Mifflin), 1950.

<sup>13</sup> Hebb D. O., The organisation of behaviour, Chapman and Hall/Wiley, 1949.

<sup>14</sup> Stratton G. M., Same preliminary experiments on vision, J. «Psychol. Rev.» & 3, 1896; Stratton G. M., Vision without inversion of the retinal image, (Univ. of California), J. «Psych. Rev.», & 4, 1897, p. 341—481;

<sup>15</sup> Stratton G. M., The spatial harmony of touch and sight, 1899, p. 492.

ტონმა, აღნიშნავთ მხოლოდ, რომ შემდგომმა გამოკვლევებმა (მ. ვუუსტერი, ა. ევერტი, ჯ. ბრაუნი და სხვ.) დაადასტურეს სტრეტონის მიერ მოპოვებული ექსპერიმენტული ფაქტები, თუმცა ამ უკანასკნელმა, ამ ავტორთა მიხედვით, რამდენადმე გადააჭარბა ადაპტაციის სიდიდის შეფასება<sup>16</sup>.

შეცვლილი ვიზუალური ველის კვლევისას, აღქმაში მოტორულ კომპონენტთა დიდ როლზე მიუთითებდა ივო კელერი, როდესაც აღნიშნავდა, რომ აღქმის ფორმირება ხდებოდა რეტინალურ-სენსორული მონაცემებისა და გარკვეული მოძრაობების ერთიანობის საფუძველზე. პრიზმატული სათვალეების გამოყენებით, ადაპტაციის პროცესის შესწავლის ცდებს იგი განიხილავდა, როგორც საშუალებას მთლიანი პერსპექტივის განვითარების ბუნების გამოკვლევასათვის. ფსიქოფიზიკას, კელერის აზრით, არ შეუძლია აღწეროს აღქმის პროცესი ისე, როგორც ეს ნამდვილად ხორციელდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხოლო ორგანიზაციის აქტის მოთავსება სტიმულაცია-პერსპექტივის შორის, როგორც ამას გეშტალტთეორია მოითხოვდა არა აუცილებელი. ადაპტაციის მექანიზმი და მოცემული სიტუაციის თავისებურებათა მოთხოვნების შესაბამისად ადაპტაციის გამოყენების მექანიზმები წარმოადგენენ იმ საშუალებებს, რომელიც აუცილებელია პერსპექტივის განვითარების სტაბილიზებისათვის. ამ განვითარების პროცესში ერთზე მეტი მოდალობის გრადუალური სტიმულაციის დროს ხდება ამ სტიმულთა გაერთიანება გარკვეულ კავშირში, რის საფუძველზეც მიიღება მაღალი რანგის ერთიანი ახალი სტიმული. ამ ნიმუშებზე და მოდელზე დაყრდნობით აღქმა ადაპტირდება ახალ ვიზუალურ ველში — (მაგ. მყარდება ასოციაციები მოძრაობის მიმართულებისა და დანახულ მიმართულებას შორის და ა. შ.) ახალი პერსპექტული ეფექტების მონაცვლეობით, იმის მიხედვით თუ რა მონაცემი იცვლება; განისაზღვრება საგნის სიღრმე, სიშორე, სიდიდე და ა. შ. ამრიგად, ორგანიზმი სიტუაციაში გამოჰყოფს ინვარიანტებს და ეგუება მათ. ამავე დროს ძველი გამოცდილებაც ახდენს გავლენას სტიმულთა ნიმუშებზე და შედარებით მაღალი რანგის სახით გაფორმებული არეგულირებს გრძნობად მოცემულობას, რაც მთლიანად ემყარება სხვადასხვა მოდალობის შეგრძნებებს, მოტორულ-კინესთეტიკურ აქტივობასა და გრძნობად მოცემულობებს შორის გარკვეული შესატყვისობის განმტკიცებას ადაპტაციის პროცესში<sup>17</sup>.

კ. უ. სმიტის აზრით, ი. კელერის კონცეპცია წარმოადგენს პერსპექტივის განვითარების საერთო პროცესის მხოლოდ ერთ მონაკვეთს, სპეციფიკურ მონენტს, რომელიც არ იმეორებს მთლიანი დიდი პროცესის ზოგად კონფიგურაციებს და სრულიადაც არაა მაჩვენებელი ზოგადად აღქმის განვითარების სურათისა, როგორც ეს მის ავტორს ესმოდა<sup>18</sup>. ინდივიდის განვითარებაში კ. სმიტის თვალსაზრისით, მოქმედებაში ჯერ აღმოცენდება და ყალიბდება ადაპტაციის ზოგადი ფორმა და შემდგომი მისი განვითარება მის დიფერენციაციაში მდგომარეობს, ჯერ ბავშვი პასუხობს ზოგად რეაქციებს, ხოლო შემდგომ ხდება

<sup>16</sup> Wooster M., Certain factors in the development of a new spatial co-ordination. 1909; Ewert A., A study of the effect of inverted retinal stimulation upon spatially coordinated behaviour», «Genet. Psychol. Monog.» & 7, 1930; Ewert A., Factors in space localization during inverted vision, J. «Psychol. Rev.» & 43 and 44, 1936—37.

<sup>17</sup> Köhler I., Experiments with prolonged optical distortion, (University of Innsbruck), 1955.

<sup>18</sup> Smith K. U. and Smith W. M., Perception and Motion, (Philadelphia-London), 1962.

სპეციფიურ მოქმედებათა გამოყოფა და სპეციალიზირება. ი. კელერთან კი სუბიექტი პირველად (ინდუქციური გზით) ცალკეული მანიპულაციური მოძრაობებით იწყებს და თანდათან მერე აღწევს ზოგად, ვაზომოტორულ კოორდინაციას.

**კ. უ. სმიტის ნეიროგომეტრიული თეორია.** ნეიროგომეტრიულმა თეორიამ მიზნად დაისახა შეეცვალა ქცევის ორგანიზაციის ინტერპრეტაცია, რაც ემყარებოდა რეფლექსური რკალის, ასოციაციისა და განმტკიცების ცნებებს, რადგან ქცევის ორგანიზაციის სწავლის თეორია ვერ ხსნიდა თუ როგორ ახერხებს ორგანიზმი თავის, ხელის, სხეულის გაყოლებას მხედველობის ველის გასწვრივ მოძრავი ობიექტისადმი და გარდა ამისა, ცხოველთა სწავლის საფუძველზე შექმნილი თეორია არაადექვატური იყო ადამიანის ქცევის ორგანიზაციის გასაგებად.

ადამიანის მოძრაობათა და ქცევათა სისტემა თავისი სირთულითა და მრავალგანზომილებიანობით პრინციპულად განსხვავდება ცხოველის მოქმედებისაგან და დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, — აღნიშნავს კ. სმიტი, — რომ ინდივიდის ქცევათა ეს მრავალგანზომილებიანობა მიღწეული იქნა ნაბიჯ-ნაბიჯ, სწავლა-განმტკიცების გზით; სინამდვილეში იგი მიდის მთლიან, დიფუზური, პირველადი ორგანიზაციიდან დანაწევრებისა და დიფერენციისაკენ. სწორედ ამიტომაა გაგებული ადამიანის მოძრაობათა სისტემა, როგორც დიფერენცირებულად სპეციფიზირებული გარემოს მოთხოვნათა შესაბამისად და დებულება მოძრაობათა შესახებ არ იქნება სრული, თუ არ იქნება ნაჩვენები ქცევის კავშირი ტვინის ასოციაციური მოქმედების მექანიზმთან, რომელიც მართავს სენსო-მოტორული აქტივობის სისტემას იმ პირველადი ორგანიზაციით, რომელიც შემდგომ რეორგანიზდება და ინტეგრირდება.

ამ ზოგადი მოსაზრების საფუძველზე სმიტს მოყავს რამოდენიმე ძირითადი დებულება, რომელიც უშუალოდ ფენს მის მიერ წამოყენებულ ნეიროგომეტრიული თეორიის საფუძველებს:

1. მოძრაობის სივრცითი ორგანიზაცია განპირობებულია ცოცხალი სისტემის უნარით — დიფერენციალურად უპასუხოს გარემოს სტიმულაციას;
2. მოძრაობის დროითი ორგანიზაცია დამოკიდებულია იმ შეფერხებასა და დაბრკოლებაზე, რომელიც ჩნდება სხეულის სხვადასხვა რეცეპტორიდან მომდინარე სენსორული უკუკავშირების გადავადების სახით, ეს ადარებს მოძრაობითს აქტს — გარემოს სტიმულის ნიმუშს. უკუკავშირთა ეს მონიტორული ფუნქცია შეიცავს თვითორგანიზაციის ელემენტებს მოძრაობის ორგანიზაციაში, რაც განსაზღვრავს, როგორც მის სიადვილეს, ისე — მის სიზუსტეს;
3. ადამიანის მოქმედება მრავალგანზომილებიანია და ემყარება სამ ძირითად, პირველად, მოძრაობითს კომპონენტს: პოსტურალურ, ტრანსპორტისა და მანიპულატორულ მოძრაობებს, რომელნიც ინტეგრირებულნი არიან კომპლექსურ-მოქმედებითს ნიმუშებში. ეს კომპონენტები დიფერენცირებულად არიან კონტროლირებულნი ნერვული სისტემის სხვადასხვა დონეებით, სტიმულთა ასევე დიფერენცირებულ ტიპებთან მიმართებაში: ა) პოსტურალური (პოზირებითი) მოძრაობანი რეგულირდებიან გრავიტაციული სტიმულებით; ბ) ტრანსპორტის (გადაადგილების) მოძრაობები — სხეულის ორივე მხარის სტიმულაციით; გ) მანიპულატორული მოძრაობანი კოორდინირდებიან — სხეულებით შევსებულ სივრცითი გამიზიანებლებით და ა. შ. ადამიანის ქცევის



სივრცითი ორგანიზაცია, კ. სმიტის აზრით, ამ კომპონენტთა ინტეგრაციით იქმნება;

4. ადამიანში სხეულის მოხმარებითი ქცევა ახდენს მოქმედებათა ფართო სისტემის რეპრეზენტაციას და მისი რეგულირება განპირობებულია იმ ნეიროგეომეტრიული დეტექტორების ფუნქციონირებით, რომელნიც უკუკავშირების მექანიზმებს ეყრდნობიან;

5. ტვინის ნეიროგეომეტრიული დეტექტორები წარმოადგენენ იმ მეგვიდრეობით თანდაყოლილ ანატომიურ ერთეულებს, რომელნიც გენეტიკურად განსაზღვრავენ დეტერმინირებულ ქცევას. ორგანიზმი ვითარდება იმ მიმართულებით, რომ დიდ პროგრესს განიცდის მისი უნარი — მონახოს სხეულის განსხვავებული მოძრაობანი სივრცეში, ოპტიმალურად შეუთანხმოს ისინი გარემოს სტიმულთა ნიმუშებს და მოახდინოს მათი ადაპტაცია. ქცევის ამგვარი ინტეგრირებული ნიმუშები, რომელიც მხოლოდ ადამიანისათვისაა დამახასიათებელი, დამოკიდებულია არა რეცეპტორულ, არამედ ურთიერთდაკავშირებულ ნეირო-მოტორული სისტემის განვითარებასთან. ვიზუალურ ველში გამოსახულების სივრცესა (ინვერსიულად — ვერტიკალური შებრუნება, რვევრსიულად — ჰორიზონტალური შებრუნება, სხვადასხვა გრადუსიანი კუთხით გააადგილებული) და დროში გადაადგილებით, რაც სატელევიზიო სისტემის გამოყენებით მიიღწეოდა<sup>19</sup>, კ. სმიტმა შეისწავლა სივრცესა და დროში ქცევის ორგანიზაციის, ქცევის ორგანიზებული ნიმუშების მიღება — კონტროლისა და სხვა პრობლემები.

ავტორთა აზრით, ქცევა შეიცავს ორ მხარეს პერცეპციასა და მოძრაობას<sup>20</sup>. აქედან თვითული იყენებს რა მეორეს იგება მასზე. ამდენად ქცევა პერცეპტულ-მოტორული აქტივობის ინტეგრირებულ ნიმუშს წარმოადგენს. როგორც ექსპერიმენტალურად ირკვევა, იმდენად დიდია აღქმის ათვის მოტორული კომპონენტთა ღირებულების საკითხი, რომ მოქმედება არ სრულდება და ირღვევა თუ მასში აღქმა არ არის ჩართული და პირიქით, აღქმა არ სრულდება თუ მოქმედება არ არის ჩართული მასში. (მაგ. ისე დიდია მოტორიკის როლი აღქმის განორმალებსათვის, რომ შეცვლილ ვიზუალურ ველში აღქმის მოტორული მხარე და სუბიექტის მოქმედებითი აქტივობა ასწორებს მას).

კ. სმიტის კონცეფციის მიხედვით, ვიზუალური ველის მაკონტროლორებული მოქმედება ძირითადად, სამი მიმართულებით ხასიათდება:

I — მოძრაობისა და აღქმის რეგულაცია დაფუძნებულია სტიმულთა დიფერენციალური გზებით მიღებაზე, ორი თვალთ ან ხელთ, ხელთ და თვალთ (ინტრა ან ინტეროცეპტულად), რაც ხელს უწყობს აღქმა-მოქმედების შეთანხმება-რეგულაციას. მაგ. ერთი კორესპონდული ორგანო აკონტროლებს მეორის მოქმედებას და საერთო მონაცემთა და მოძრაობების მიხედვით ფასდება ობიექტი. ამ პროცესში ძირითადად, მოქმედების 8 ნიმუში იღებს მონაწილეობას: ლატერალური, კონვერგენცია, დივერგენცია, ვერტიკალური, ფიქსაცია, სკადიური, მიდევნება-გაყოლების და ბრუნვითი;

<sup>19</sup> Smith K. U., Delayed sensory feedback and behaviour, (University of Wisconsin), 1962; კ. უ. სმიტის ტელემედიცინის აღწერა იხ. იქვე, გვ. 38—42.

<sup>20</sup> Smith K. U. and Smith W. M., Perception and Motion, 1962.

II — არსებობენ ველის მონაცემთა ნორმალური ზომის დარღვევები (მაგ. როცა ეფექტის გადავადება 0,52 სეკ-ს არ აღემატება), რომელიც არ არღვევს სუბიექტის პერცეპტულ მოქმედებით რეგულაციას და კომპენსირდება ნეიროგეომეტრიული აქტივობის საფუძველზე — ხელის, თვალის და სხეულის საკომპენსაციო მოძრაობათა საშუალებით;

III — არსებობენ დამრღვევი კატეგორიის გადაადგილებანი, რომლებიც მოძრაობებისა და მათი უკუკავშირების რეგულაციას ახდენენ, რომლის დროსაც ორგანიზმი საჭირო აქტივობას მიმართავს ადაპტაციისათვის. ნორმალურ და დამრღვეველ გადაადგილებათა ზღვარი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული მაგ. გადაადგილების დამოკიდებულება ინდივიდის მოძრაობის ღერძის მიმართულებასთან, გამოყენებული კომპენსატორული მოძრაობები და სხვ.

ნეიროგეომეტრიული თეორიის მიხედვით, მოძრაობის სივრცითი ორგანიზაცია დამოკიდებულია ე. წ. ც. ნ. სისტემის ნეირონთა ანუ დეტექტორთა აქტივობის თავისებურებაზე, რომელიც სტიმულირების ორ განსხვავებულ წერტილს შორის ცვლილების ფიქსირებაში გამოიხატება.

ამ ნეირონთა I ტიპი აფიქსირებს განსხვავებას ერთი აფერენტული სისტემის ორ წერტილს შორის — ბაღურაზე, კანზე და ა. შ. (ინტრაცეპტული ნეიროდეტექტორები), II ტიპი იჭერს ცვლილებას სხვადასხვა აფერენტული სისტემის ორ მასტიმულირებელ წერტილს შორის კანზე, რეტინაზე და ა. შ. (ინტეროცეპტული ნეიროდეტექტორები), III ტიპი აფიქსირებს ცვლილებას აფერენტულ-ეფერენტულ სიგნალებს შორის, მაგ., მოქმედების პროცესში (პროპრიოცეპტული ნეიროდეტექტორები) და ა. შ.

დეტექტორები არ რეაგირებენ მხოლოდ მაშინ, როცა ხდება ერთი რომელიმე წერტილის, ან ორის ერთდროული სტიმულაცია. ე. ი. უნდა არსებობდეს აუცილებელი თანამიმდევრობა დროში, რათა დეტექტორი ამუშავდეს. მოძრაობის სივრცით და დროით ორგანიზაციაში ინტრაცეპტული დეტექტორები (I ტიპი) არეგულირებენ მუდმივ თვალისდევნებასა და გაყოლებას, რითაც ემსახურებიან პოსტურალურ მოძრაობებს, ინტეროცეპტული დეტექტორები (II ტიპი) ადარებენ ხედვით და კინესთეტიკური სტიმულაციის სიგნალებს, არეგულირებენ გაყოლების მიმართულებასა და სიჩქარეს, აზუსტებენ პოსტურალურსა და ტრანსპორტის მოძრაობებს, აფერენტულ-ეფერენტული დეტექტორები (III ტიპი) არეგულირებენ ტრანსპორტისა და მანიპულაციის მოძრაობებს და ა. შ. ამდენად, მუდმივ კონტროლირებული მოძრაობანი რეგულირდებიან დეტექტორთა I ტიპით, წყვეტილი II და III ტიპით.

ამრიგად, ორგანიზმში ადაპტაციისა და გადავადებული სენსორული უკუკავშირის მაფიქსირებელ, გამასწორებელ მექანიზმებს ნეიროგეომეტრიული დეტექტორები წარმოადგენენ, რომელნიც მხოლოდ მაღალი განვითარების ინდივიდებისთვის არის დამახასიათებელი. ასეთია ნეიროგეომეტრიული თეორიის ზოგადი დებულებანი.

როგორც აღვნიშნეთ, აფერენტულ სისტემათა როლის კვლევისას ზუსტი მოძრაობებით მართვის სისტემაში, დიდი როლი ენიჭება მხედველობით უკუკავშირს. ზუსტ მოძრაობებად ცნობილი არიან ისეთი მოძრაობები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან სივრცეში ობიექტის ფიქსაციასა და მანიპულაციასთან, აქვთ მიზანდასახული, ფიქსირებული ტრაექტორია ან საბოლოო — ფიქსირებული წერტილი. ცნობილია რიგი გამოკვლევებისა, როდესაც ამოცანა სრულდებოდა მხედველობის მთლიანი ან ნაწილობრივი გაორიცივით, მხო-

ლოდ მოტორულ აქტივობაზე დაყრდნობით<sup>21</sup>. შედარებით გვიანდელი მონაცემებით აღინიშნა, რომ ც/პირის მიერ მოძრაობათა სერიის შესრულებისას მხედველობის ფუნქცია მდგომარეობდა არა ხელის მიყოლებას (ხელის კონტროლში), არამედ ინფორმაციის მიწოდებაში — ხელის მოძრაობის წინასწარი მარშრუტის შესახებ (თითქოს მიზნის წინასწარ ინფორმირებაში ხელის გადატანის ყოველგვარი აქტისათვის), თუმცა ამ დროს მთლიანად არ გამოირიცხებოდა ვიზუალური უკუკავშირი რამდენადაც ფოვეალური მხედველობით (fovea — ბადურის ცენტრალური არე) მიზნის ფიქსაციისას, ც/პირს შეეძლო ხელის კონტროლი პერიფერიული მხედველობის დახმარებით ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესს იმსახურებდა საკითხი — როგორი იქნებოდა ც/პირის მიერ მიზნის ფიქსაციის სიზუსტე, ხელზე მხედველობის კონტროლის მთლიანად გამორიცხვის შემთხვევაში<sup>22</sup>.

ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ რ. ვუდვორტის (1899), პ. ფრესისა და ე. პიაჟეს (1963), ფიტსისა და რადფორდის (1966) გამოკვლევებით — ცნობილია ვიზუალური კონტროლის გარეშე არსებულ აქტივობის სიზუსტეზე მოქმედი რამოდენიმე ისეთი ფაქტორი, როგორცაა მოძრაობის სისწორე და მიმართულება, სენსორული კონტროლის სახე და სხვ.

მიტელშტედტის<sup>23</sup>, ორბახისა და ტრაუბეს<sup>24</sup> მონაცემებით, ობიექტისადმი ხელის სწორი მიმართულებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს თვით ობიექტის, მიზნის ორიენტაციას სხეულისადმი. „... შეიძლება ითქვას, რომ სივრცეში გარკვეულ წერტილების ლოკალიზებისას, ადამიანი ათავსებს მათ კოორდინატთა სისტემაში, რომელიც მას შემუშავებული აქვს გარკვეული შინაგანი ორიენტირების ან სხეულის განზომილებების საფუძველზე...“, „... ამგვარ კოორდინატთა სისტემის არსებობა ადამიანში დასაშვებია, თუ ამოვალთ იმ დებულებიდან, რომ მას გააჩნია საკმაოდ ნათელი წარმოდგენა სხეულის სხვადასხვა ნაწილთა განლაგებისა სივრცეში და მათი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით... თავი და მხრები წარმოადგენენ იმ ძირითად ჩარჩოს, რომლის მიმართაც დასდებიან სხეულის სხვა ნაწილები... აქედან გამომდინარე შესაძლებელია, რომ სივრცეში არსებულ გარეგან წერტილთა ლოკალიზაციაც ამ ჩარჩოს მიმართულებით ხდება. ვიზუალური უკუკავშირის როლის გარკვევისათვის ოპერატორის ზუსტ მოძრაობებში, ჩატარდა კვლევა შემდეგი ძირითადი ასპექტებით: განსხვავებული ლოკალიზაციის უნარის შესწავლა ც/პირისათვის სივრცეში მისგან მარცხნივ თუ მარჯვნივ, სხვადასხვა ხელით აქტივობის კვლევა ვიზუალური კონტროლის ჩარევით თუ მისი გამორიცხვით, აქტივობაში ხელოვნური შეცდომების გამოწვევა პრიზმატული სათვალეების დახმარებით, რომელიც გამოსახულებას სივრცეში 15-20 სმ-ით გადაადგილებდა და ბოლოს მიზნის მიმართ თავის განსხვავებული ორიენტაციის შესწავლა<sup>25</sup>. მიღებულმა შედეგებმა აჩვენეს შემდეგი:

<sup>21</sup> Гатев А. В., О взаимодействии зрительного и двигательного анализаторов при регулировании двигательных реакций, Жур. «Высш. нерв. деят.», № 14, 1964.

<sup>22</sup> Бережная Е. К., О роли зрительной обратной связи и точностных движениях, «Управление движениями», Изд. «Наука», Ленинград, 1970, стр. 71.

<sup>23</sup> Миттельштетт Х., Управление и регулирование при ориентации живых существ, сб. «Процессы регулирования в биологии», 1960.

<sup>24</sup> Orbach J., Traub A., Psychophysical studies of body-image, XVIII Intern. Congress of Psychology, Moskva, 1966.

<sup>25</sup> Бережная Е. К., О роли зрительной обратной связи и точностных движениях, стр. 71—72; იხ. მეთოდი და შედეგების აღწერა იქვე, გვ. 71—82.



აქტივობის პროცესში ზუსტ მოძრაობათა წარმოებისათვის, მნიშვნელობა აქვს მიზნის ლოკალიზაციას მარჯვნივ თუ მარცხნივ, ასევე კიდურების განლაგებას მარჯვნივ და მარცხნივ და ა. შ. იმის გამო, რომ არ ყოფილა შემჩნეული პრინციპული განსხვავება გარეგანი და შინაგანი კოორდინატების მოძებნაში, ამან უფლება მისცა ავტორებს დაეშვათ ზემოაღნიშნული შინაგანი შკალების არსებობა ადამიანში, რომელიც ემყარება შინაგან და გარეგან ორიენტირებას (მედიალურ სიბრტყეს, მხრების ხაზს) და ა. შ. ასეთ კოორდინატთა სისტემის გამოყენებით ერთნაირი წარმატებით ხდებოდა სწორი ორიენტირება, როგორც ვიზუალური, ასევე „პოზიციის განცდის“ ანუ პროპრიოცეპტული ინფორმაციის გამოყენებით. გამოირკვა, რომ სივრცეში მოძრაობათა სწორი ორიენტაციისათვის აუცილებელია უძრავი თავის მიმართ თვალების მოძრაობით მიღებული ინფორმაცია, რომლის საფუძველზე, სავარაუდოა, რომ ხდება სივრცისა და მასში ლოკალიზებულ საგანთა დაყოფა მარჯვნივ თუ მარცხნივ. როგორც ჩანს ზუსტ მოძრაობათა რეგულირებისას საკმარისი არაა მხოლოდ ვიზუალური ან პროპრიოცეპტული უკუკავშირების გამოყენება, აქ ერთდროულად მოქმედებს რამოდენიმე სახის უკუკავშირის რგოლი.

საბოლოოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ მოძრაობათა რეგულირებისას, გამოვლინდა ორი დამოუკიდებელი პროცესის არსებობა: ერთი დაკავშირებულია საჭირო მიზნის, როგორც წერტილის მოძებნასთან კოორდინატთა შინაგან სისტემაში, რაც მუდმივი სტატისტიკური შეცდომებით ხასიათდება; მეორე კი მიმართულია ხელისადმი გარკვეული კუნთური ძალის მიწოდებასა და ამ ძალის შეძლებისდაგვარად მუდმივ დონეზე შეჩერებისაკენ, რომელიც ცვლადი შეცდომებით ხასიათდება. ჩვენ მიერ ზემოჩამოთვლილი დებულებანი ნათლად მიუთითებენ იმაზე, რომ სუბიექტის მოტორულ-კინესთეტიკური აქტივობა არსებით როლს ასრულებს ალემის პროცესებში.

ამრიგად, ადამიანის სენსო-მოტორული აქტივობა ემყარება ვიზუალური და პროპრიოცეპტული უკუკავშირების ინტეგრირებულ სისტემას და გულისხმობს მოტორულ კომპონენტთა ფართო მონაწილეობას პერცეპტულ პროცესებში.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა)

ნოდარ ბარამიძე

## შორეული მოტივაციური ქმედის ფსიქოლოგიური თავისებურებანი

ზოგიერთი საბჭოთა ფსიქოლოგი (ა. ნ. ლეონტიევი, ა. კოვალევი, მ. ნეი-მარკი) ლაპარაკობს შორეული მოტივაციის შესახებ, მაგრამ ამ მოვლენის ფსიქოლოგიური ბუნება, მისი მექანიზმი საგანგებო მსჯელობის საგნად ჯერ კიდევ არაა გაუხდია. წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად ვუჩვენოთ, თუ როგორაა შესაძლებელი შორეული მოტივაცია, რა სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება ამ რიგის ქცევა, რა უღევს მას საფუძვლად. ვიდრე საკუთრივ შორეულ მოტივაციაზე ვიმჯელებდეთ, აუცილებელია წინასწარ შევთანხმდეთ, თუ რას ვგულისხმობთ „მოტივის“ ტერმინის ქვეშ. ეს მით უფრო აუცილებელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტერმინი „მოტივი“ მრავალი განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, და იმის მიხედვით, თუ რომელი მნიშვნელობით გამოვიყენებთ მას, შორეული მოტივაციის საკითხიც თავისებურად დადგება ჩვენს წინაშე. ყველა ამ მნიშვნელობის განხილვის შესაძლებლობა აქ არ გავაჩნია, ამიტომ შემოვიფარგლებით მოტივის შესახებ საბჭოთა ფსიქოლოგიაში არსებული ძირითადი შეხედულებების მოკლე დალაგებით:

1. მკვლევართა უმრავლესობა მოტივს **მოთხოვნილებასთან** აიგივებს. მათი აზრით, სწორედ მოთხოვნილებაა ის რეალობა, რომელიც ასრულებს მოტივისადმი დაკისრებულ ორივე ფუნქციას: აღძრავს მოქმედებას და აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს მას. ასეთნაირად აქვთ საქმის ვითარება წარმოდგენილი ს. რუბინშტიენს, ბ. ტეპლოვს, კ. კორნილოვს, ვ. სელივანოვსა და სხვებს. **ს. რუბინშტიენი** წერს, რომ **მოტივია** ის, რაც ადამიანს აღძრავს სამოქმედოდ, რომ „ნებისყოფის ჩანასახები უკვე მოცემულია მოთხოვნილებებში როგორც ადამიანის მოქმედებისათვის გამოსავალ აღმძვრელებში“ (18:506). „მოქმედების საწყისს აღმძვრელს (ე. ი. მოტივს — **ნ. ბ.**) წარმოადგენს მოთხოვნილება ანუ ადამიანის მიერ რაიმეს მიმართ განცდილი საჭიროება“ — ვკითხულობთ **ბ. ტეპლოვის** შრომაში (20; 178). „მოტივებში ნახულობენ თავიანთ ცნობიერ და კონკრეტულ გამოხატულებას ადამიანის მოთხოვნილებები“ — ამბობს **ვ. სელივანოვი** (19; 16).

ზოგიერთი ავტორი, მართალია, მოტივს უკავშირებს მოთხოვნილებას, მაგრამ მათ შორის გარკვეული ხასიათის სხვაობასაც ხედავს. **ვ. ს. მერლინი** წერს: „მოტივის ქვეშ ჩვენ გვესმის ის ფსიქოლოგიური პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ მოქმედების მიზანშეწონილ ხასიათს“ (14; 10). რა პირობებია ეს? პირველი და ძირითადი პირობა არის საჭიროების მდგომარეობა. მაგრამ ეს მდგომარეობა არაა ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამომხატველი.

იგი ობიექტური ვითარების აღმნიშვნელია. იმისათვის, რომ ადამიანმა მიზანშეწონილად იმოქმედოს, მან უნდა გააცნობიეროს, თუ რის საჭიროებას განიცდის იგი. „ადამიანის მიერ რაიმეს მიმართ ასეთ განცდილ და გაცნობიერებულ საჭიროებას, მარქსისა და ენგელსის შემდგომ, ჩვენ ვუწოდებთ მოთხოვნილებას. ამ და მხოლოდ ამ აზრით, ყოველი მოტივი არის მოთხოვნილება“ — ამბობს ვ. მერლინი (14; 11). დ. კიკნაძის აზრით, მოტივისა და მოთხოვნილების იგივეობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოთხოვნილებას გავლილი აქვს მოტივაციის ეტაპი და მისი დაკმაყოფილება ჩვევად გადაქცეული. ასეთ შემთხვევაში მოტივაციის პროცესი მოხსნილი სახითაა შემონახული და მოთხოვნილება, აღნიშნული პროცესის ხელახალი განმეორების გარეშე, უშუალოდ გადადის მოქმედებაში (2,10): მიუხედავად იმისა, რომ დ. კიკნაძე მოთხოვნილებასა და მოტივს შორის ათავსებს მოტივაციის რთულ ფსიქოლოგიურ პროცესს, იგი მაინც აცხადებს, რომ მოთხოვნილება ყველაზე უფრო ახლოსაა მოტივთან, მოტივი, საბოლოო შედეგში, გაცნობიერებული მოთხოვნილებაა: „მოტივი ამა თუ იმ მოქმედების სუბიექტური აუცილებლობაა მოცემულ გარემოში, სიტუაციაში“ (2;118). ეს აუცილებლობა კი ისევ მოთხოვნილებითაა განპირობებული.

როგორც ვხედავთ, ყველა შემოთავსებული ავტორი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ადამიანის ქცევის ძირითად მოტივად მაინც მოთხოვნილებას აღიარებს.

2. ცნობილი საბჭოთა ფსიქოლოგი ა. ნ. ლეონტიევი მოტივს უკავშირებს იმ ობიექტურ ვითარებას, რომელშიაც მოთხოვნილება ნახულობს დაკმაყოფილებას. „მოთხოვნილების საგანს — მატერიალურს ან იდეალურს, გრძობადად აღქმადს ან მხოლოდ წარმოდგენაში, აზრობრივ პლანში მოცემულს — ჩვენ ვუწოდებთ მოქმედების (Деятельность) მოტივს“ — წერს ა. ნ. ლეონტიევი (13; 13). ისმება კითხვა: არაა მოთხოვნილება მოთხოვნილების ობიექტი და არა თვით მოთხოვნილება გამოდის მოტივის როლში? თუ გავყვებით ა. ნ. ლეონტიევის მსჯელობას, ვნახავთ, რომ, მართალია, მოთხოვნილება არის ყოველგვარი მოქმედების აუცილებელი წინამძღვარი, მაგრამ თავისთავად მას ჯერ კიდევ არ შეუძლია გარკვეული მიმართულება მისცეს მოქმედებას. ადამიანის მოქმედება კი ყოველთვის რაიმესადმი მიმართულებით ხასიათდება. სწორედ ამიტომ „ერთადერთი აღმძვრელი მიმართული მოქმედებისა არის არა თავისთავად მოთხოვნილება, არამედ საგანი, რომელიც პასუხობს მოცემულ მოთხოვნილებას“ (13; 13). მაგალითად, თუკი შიმშილი იწვევს მხოლოდ ე. წ. „ძიების ქცევას“. მაშინ საკვების სახეობა ან მისი წარმოდგენა მიმართულებას აძლევს ამ მოქმედებას.

ა. ნ. ლეონტიევი მოტივთა კატეგორიიდან გამორიცხავს სუბიექტურ განცდებსა და ემოციებს, რომლებიც, მართალია, ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ მოტივაციის პროცესში, მაგრამ არ ატარებენ არავითარ ინფორმაციას გარეგან ობიექტებზე და ვერ აძლევენ მოქმედებას რაიმე გარკვეულ მიმართულებას. ავტორი ადამიანის მოქმედების მოტივებს ასხვავებს მიზნებისაგან. მოტივები „დგანან მიზნების უკან“ და აღძრვენ მოქმედებას მათი მიღწევისათვის. მიზნები ყოველთვის ცნობიერნი არიან, მოტივები კი, როგორც წესი, აქტუალურად არ ცნობიერდებიან სუბიექტის მიერ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მოქმედების პროცესში მოტივები მაინც მუდამ აღწევენ ადამიანის ცნობიერებას, ოღონდ — განსაკუთრებული სახით; კერძოდ, „ისინი აძლევენ სუბიექტურ



შეფერილობას ცნობიერ ასახვას, რომელიც გამოხატავს ასახულის მნიშვნელობას თვით სუბიექტისათვის, მის პიროვნულს აზრს“ (13; 20). ამრიგად, მოტივიები ასრულებენ ორმაგ ფუნქციას: პირველი, აღძრავენ და მიმართულებას აძლევენ მოქმედებას; მეორე, აზრს ანიჭებენ მას. „როგორცაა მოღვაწეობის (Деятельность) მოტივი, ისეთივეა სუბიექტისათვის მისი მოქმედების (Действие) აზრიც“ (12; 9).

ასეთია, ა. ნ. ლეონტიევის შეხედულების ძირითადი აზრი მოტივზე, რომელსაც იზიარებენ ლ. ი. ბოჟოვიჩი, მ. ს. ნეიმარკი და სხვები.

3. მოტივის თავისებურ გავებას გვთავაზობს დ. უზნაძე. მასთან ეს საკითხი ნებისყოფის პრობლემისადმი მიძღვნილ გამოკვლევაშია გაშუქებული. ამ გამოკვლევის მიხედვით, მოტივი, როგორც ნებისყოფის სპეციფიკური აქტის (გადაწყვეტილების) საფუძველი ქცევის პიროვნულ ღირებულებას უკავშირდება. დ. უზნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოტივი გაცნობიერებაა იმ ღირებულების უპირატესობისა, რომელიც ამა თუ იმ ქცევას აქვს ჩემთვის და, ამ აზრით, იგი ერთ-ერთი მათგანის გამართლებაა (3; 209). ფსიქოლოგიურ აზრსა და მნიშვნელობას ქცევას მოტივი აძლევს. სწორედ იგი ხდის ამა თუ იმ ფიზიკურ ქცევას გარკვეულ ფსიქიკურ ქცევად. მოტივსა და ქცევას შორის ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება არსებობს. შეუძლებელია მოტივთა ბრძოლის შესახებ ვილაპარაკოთ ერთი რომელიმე ქცევის პირობებში. ფსიქოლოგიურად ქცევა იმდენივეა, რამდენიცაა მოტივი. მოტივით განსაზღვრული ნებისყოფა ადამიანს ხშირად ისეთ ქცევას ჩაადგინებს, რომელიც სრულიად არ არის მისთვის მიზიდველი და, შესაძლოა, ეწინააღმდეგება კიდევ მის უშუალო მოთხოვნილებებს. „ნებელობის შემთხვევაში აქტუალური მოთხოვნილებების იმპულსი არასდროს მოქმედებს არ იწვევს: ნებისმიერი ქცევა არასდროს აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსს არ ეყრდნობა“ — წერს დ. უზნაძე (3; 181).

რა საფუძვლები გააჩნია თვით მოტივს? დ. უზნაძის აზრით, ნებისმიერი ქცევის მოტივი ადამიანის მალა, ე. წ. „განყენებულ“ მოთხოვნილებებს ემყარება, ამ მოთხოვნილებებშია მოტივის საფუძველი, ეს არის მისი საბოლოო დასაყრდენი.

ასეთია, მოკლედ, მოტივის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი ნებისყოფის უზნაძისეულ თეორიაში. ამ მოსაზრებებს არსებითად იზიარებს რ. ნათაძეც.

4. საბჭოთა ფსიქოლოგიაში ადამიანის ქცევის მოტივის პრობლემა სხვებზე ლეფრო ვრცლად აქვს დამუშავებული **შ. ჩხარტიშვილს**. თავის გამოკვლევებში (1, 4, 5, 22, 23, 24, 25) იგი იძლევა ამ პრობლემის თავისებურ გადაწყვეტას, რასაც ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენი საკითხის — შორეული მოტივაციური ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებების — შესწავლისათვის. ამიტომ მასზე შედარებით უფრო ფართოდ შეეჩერდებით.

მოტივის შესახებ თავისი შეხედულების შემუშავების დროს **შ. ჩხარტიშვილი** ამოღის იმ წინამძღვრიდან, რომ შეუძლებელია ყოველგვარი აქტივობის წყარო იყოს მოთხოვნილება. არის ისეთი აქტივობაც, რომელიც მოთხოვნილების იმპულსით არ აღიძვრება. ადამიანისათვის სწორედ ასეთი აქტივობაა სპეციფიკური. ამ აქტივობის წყაროს წარმოადგენს არა მოთხოვნილება, არამედ პიროვნება, როგორც ნებისყოფის სუბიექტი. ნებისყოფით განსაზღვრულ აქტივობას ავტორი ნებისმიერ ქცევას უწოდებს, მოთხოვნილებით განსაზღვრულს კი — იმპულსურ ქცევას. თუკი პირვე-

ლი აქტივობა სპეციფიკურ-ადამიანურია, მეორე საერთოა ადამიანისა და ცხოველისათვის. მართალია, მოთხოვნილებით აღძრული ქცევა ადამიანთან ცნობიერების საკმაოდ მაღალ დონეზე შეიძლება მიმდინარეობდეს და მისი სუბიექტი დიდი წინააღმდეგობის გადალახვასაც ახერხებდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შ. ჩხარტიშვილის მიერ იგი მაინც იმპულსური ქცევის სახეობად არის კვალიფიცირებული, იმის გამო, რომ მოთხოვნილების იმპულსით იმართება.

ამრიგად, შ. ჩხარტიშვილი მოთხოვნილებისა და ნებისყოფის სახით ერთმანეთისაგან არსებითად ასხვავებს ადამიანის ქცევის ორ წყაროს, რომელთა საფუძველზე იგი გამოყოფს ერთიმეორისაგან ასევე მკვეთრად განსხვავებულ ქცევის ორ ძირითად ფორმას: **იმპულსურ ქცევასა** და **ნებისმიერ ქცევას**. ავტორის აზრით, ქცევის აღნიშნული ორი ძირითადი ფორმის გამოყოფა, მათი ურთიერთგამიჯვნა არა მარტო დამოუკიდებელი ინტერესის საგანს შეადგენს, არამედ იგი მიზანშეწონილია მოტივზე მსჯელობის თვალსაზრისითაც. მოტივზე მსჯელობა, თავისთავად, აუცილებლობით მოითხოვს იმპულსური და ნებისმიერი ქცევის ურთიერთგამიჯვნას, რასაც ქვემოთაც დავინახავთ.

რა ასრულებს იმპულსური ქცევის მოტივის როლს? როგორია ამ უკანასკნელის ფსიქოლოგიური თავისებურებანი? მართალია, იმპულსური ქცევის სუბიექტს მოთხოვნილება აღძრავს და ტერმინი „მოტივიც“ (motif) თავისი პირდაპირი მნიშვნელობით სწორედ **აღძვრას** გულისხმობს, მაგრამ ფსიქოლოგიურად მოთხოვნილების ცნებასა და მოტივის ცნებას შორის სრული იგივეობა როდი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ იმპულსური ქცევის შემთხვევაში ამ ორი ცნებით აღნიშნული მოვლენები ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან, მათი ერთმანეთზე დაყვანა მაინც არ შეიძლება. საქმე იმაშია, რომ მოტივი არა მარტო შესაძლებელს ხდის ამა თუ იმ ქცევას, არამედ იგი სუბიექტურ აზრსა და ღირებულებას ანიჭებს მას. იმპულსურ ქცევაში ასეთ ფუნქციას, შ. ჩხარტიშვილის აზრით, ასრულებს არა მოთხოვნილება, არამედ ერთგვარი გრძნობა, რომელიც ამ ქცევის აღძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მიმართული ქცევის აქტებთან უშუალო კავშირში განიცდება და გამოხატავს იმ ღირებულებას, რომელიც ამ აქტებს აქვს მოთხოვნილების სუბიექტისათვის. ეს ემოციონალური განცდა იმპულსური ქცევის სუბიექტს უჩვენებს, თუ რა ღირებულება აქვს მისთვის იმ ქცევის აქტებს, რომლის განხორციელებასაც იგი აპირებს ან ახორციელებს მოცემულ მომენტში. სწორედ ეს განცდა აძლევს ქცევას ფსიქოლოგიურ საზრისს და ხდის მას მისაღებად. ამრიგად, იმპულსური ქცევის მოტივის წარმოადგენს ემოციონალური განცდის ფორმაში მოცემული ქცევის სუბიექტური ღირებულება. იმპულსური ქცევის მოტივი, სუბიექტური ღირებულება მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის ერთობლივ ფუნქციას წარმოადგენს. მისი სიდიდე იცვლება მოთხოვნილების მდგომარეობის ცვალებადობის შესატყვისად: მოთხოვნილების ზრდასთან ერთად იზრდება, ხოლო მოთხოვნილების დაკმაყოფილების კვალობაზე მცირდება. ამრიგად, შ. ჩხარტიშვილის აზრით, იმპულსური ქცევის ღირებულება, რაც ამ ქცევის მოტივს წარმოადგენს, სუბიექტის მდგომარეობის მიხედვით ცვალებადობს. ამიტომ უწოდებენ ავტორი მას სუბიექტურ ღირებულებას.

განსხვავებით იმპულსური ქცევისაგან, ნებისმიერი ქცევის მოტივი უშუალოდ ქცევის აქტებთან როდია დაკავშირებული როგორც ამ აქტების მომენტალური სუბიექტური ღირებულება; ეს გასაგებიცაა, რადგან ნებისმიერი ქცე-



ვა, ავტორის აზრით, ხდება არა იმისთვის, რასაც ადგილი აქვს ქცევის მიმდინარეობაში, არამედ იმისთვის რაც რჩება ქცევის დასრულების შემდეგ, როგორც გარკვეული ობიექტური ღირებულების მქონე რეზულტატი. თუკი იმპულსური ქცევა მისი სუბიექტის მომენტალურ ცხოვრებას ემსახურება, თვითონ მის საფუძველში არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის და სხვას არაფერს ითვალისწინებს, ნებისმიერ ქცევას, როგორც წესი, ობიექტური ღირებულება აქვს მხედველობაში, იგი ყოველთვის ობიექტურ ღირებულებას ეძებს არის მიმართული. სწორედ ეს ობიექტური ღირებულება ასრულებს ნებისმიერი ქცევის მოტივის ფუნქციას. ობიექტური ღირებულება, როგორც ნებისმიერი ქცევის მოტივი, ლოგიკური მსჯელობის ფორმაში გვეძლევა და იმპულსური ქცევის მოტივივით სუბიექტის მდგომარეობის მიხედვით არ ცვალებადობს.

რა საფუძველზე აღმოცენდება ნებისმიერი ქცევის მოტივი? შ. ჩხარტიშვილის მიხედვით, მოტივი პიროვნებას „მოთხოვნილების იდეის, ობიექტური ღირებულებისა და სათანადო ქცევის აქტების თავის თავთან მიმართების გათვალისწინების ნიადაგზე უჩნდება“ (1; 311), და მის წინაშე „გარკვეული მიზნის მიღების, განსაზღვრული ქცევის განხორციელების საპირობებისა და აუცილებლობის, მოვალეობისა და ვალდებულების სახით დგება“ (1; 312). ამ უკანასკნელთა პირისპირ აღამიანს ნებისყოფა აყენებს, მხოლოდ ნებისყოფის სუბიექტთან მიმართებაში იქნენ ზემოაღნიშნული მოვლენები მოტივის ფუნქციას. მოტივს ნებისყოფის ბუნება აქვს, რამდენადაც ნებისყოფა იმ ობიექტურ მოვლენათა გაპიროვნებაა ინდივიდში, რომელთა ცნობიერება შემდეგ ნებისყოფის მოტივის როლში გამოდის (4; 293).

როგორც ვხედავთ, იმპულსური და ნებისმიერი ქცევა ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიჯნულია არა მარტო მათი აღმძვრელი მექანიზმების მიხედვით, არამედ მოტივთა თავისებურებებითაც. ჩვენ არ შევჩერდებით ქცევის ამ ორი ძირითადი ფორმის მიზნის ავტორისეული გაგების დახასიათებაზე. საკმარისი იქნება თუ ვიტყვით, რომ „ქცევის წამყვანი ფაქტორი, მოტივი და მიზანი ერთმანეთთან არსებით კავშირში იმყოფებიან და, გარკვეული აზრით, ერთმანეთის ბუნებას იზიარებენ“ (5; 39).

ასეთია, შ. ჩხარტიშვილის შეხედულების ძირითადი აზრი მოტივზე. ჩვენ იგი დამაჯერებლად მიგვაჩნია და ვიზიარებთ მას. აღსანიშნავია, რომ ავტორის შეხედულებამ ნებისყოფაზე, საერთოდ, და, მაშასადამე, ნებისმიერი ქცევის მოტივზეც, კერძოდ, თავისი ასახვა პოვა ისეთ ავტორიტეტულ სახელმწიფოებრივ გამოცემაში, როგორცაა დიდი საბჭოთა ენციკლოპედია (7; 349). ეს ფაქტიც ლაპარაკობს მის მეცნიერულ ღირებულებაზე.

ასეთია, ძირითადად, აღამიანის ქცევის მოტივის შესახებ ჩვენში არსებული შეხედულებები. გადავიდეთ უშუალოდ ჩვენი საკითხის განხილვაზე.

როდესაც შორეული მოტივაციის პრობლემაზე ვიწყებთ მსჯელობას, ჩვენს წინაშე თავისთავად დგება საკითხი: არის თუ არა ეს პრობლემა აქტუალური ფსიქოლოგიური პრობლემა? იქნებ მისი შესწავლა რაიმე მნიშვნელოვანს არ გვპირდება მეცნიერული თვალსაზრისით?.. ჩვენი აზრით, საქმის ფაქტური ვითარება სწორედ პირიქით უნდა წარმოვიდგინოთ. საბჭოთა ფსიქოლოგიაში



ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ექცევა ადამიანის სულიერი სამყაროს შესწავლას, მისი ინტერესების, სურვილების, ზრახვების, იდეალების, მისწრაფებების... გათვალისწინებას, ე. ი. ადამიანის კონკრეტული პიროვნების შესწავლის საკითხს. ამ საქმეში კი, როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიურ მეცნიერებას დიდი სამსახური შეიძლება გაუწიოს **მოტივაციის**, მეტადრე **შორეული მოტივაციის** პრობლემის გადაწყვეტამ. **შ. ჩხარტიშვილის** მიხედვით, შორეული მოტივებისა და მიზნების მტკიცედ და ნათლად გარკვევის ღირებულება უდავოა, ვინაიდან პიროვნება მოქმედებს არა მარტო უახლოესი მომავლის საჭიროების მიხედვით, არამედ ისეთ მიზანსაც ისახავს, რომელმაც მთელი მისი შემდგომი ცხოვრების გზა უნდა განსაზღვროს. ამ მიზანს იგი საკუთარი ცხოვრების პრინციპად აქცევს და ყოველდღიური მიზნების მიღებისას ამ პრინციპით ხელმძღვანელობს (1; 319). საგულისხმოა პოლონელი ფსიქოლოგის **კ. ობუხოვსკის** აზრიც, რომელიც ამბობს, რომ ადამიანის მოტივაციური პროცესების შესწავლა, არსებითად, არის პიროვნების შესწავლა მის მოქმედებაში, — პიროვნებისა, რომლის სტრუქტურაც განსაზღვრულია არა მხოლოდ წარსულით, არამედ მომავალითაც... ადამიანის პიროვნება — ეს არის მომავლის ამოცანათა გადასაწყვეტად მოწოდებული სისტემა და ღრმად ცდება ფსიქოლოგი, რომელიც ცდილობს მის გაგებას მხოლოდ მისი წარსულის საფუძველზე (16; 7).

გარდა ზოგადფსიქოლოგიური მნიშვნელობისა, შორეული მოტივაციის საკითხის დამუშავებას აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ შორეული მოტივების მიხედვით მოქმედების ჩვევის გამომჟღავნება, შორეული მოტივაციის უნარის განვითარება პედაგოგ-აღმზრდელთა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. როგორც **მ. ს. ნეიმარკი** წერს: მართალია, „ყოველი მეთოდი ვერ მიადრწევს მიზანს, თუ იგი იმოქმედებს ბავშვის არსებული მოთხოვნილებების წინააღმდეგ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღმზრდელი მორჩილად უნდა მიყვებოდეს ბავშვის არსებულ მოთხოვნილებებსა და მოტივებს. თვით მოტივაციურ-მოთხოვნილებითი სფეროც ხომ ვითარდება და ფორმირდება აღზრდის პროცესში“ (15; 101).

ამრიგად, შორეული მოტივაციის შესწავლის მეცნიერული ღირებულება ექვს არ იწვევს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა ფსიქოლოგიაში შორეული მოტივაციური ქცევის შინაგანი ბუნება, მისი დამახასიათებელი თავისებურებანი სპეციალური შესწავლის საგნად არავის გაუხდია. მართალია, ზოგიერთ ავტორთან გვხვდება ცალკეული გამონათქვამი შორეულ მოტივაციაზე, მაგრამ ისინი ძირითადად შეეხებიან მოტივაციის პიროვნების ფორმირების ადრეულ სტადიაზე და, არსებითად, ფაქტის კონსტანტაციას ახდენენ. ამაში ჩვენ ქვემოთაც დავრწმუნდებით.

**ა. კოვალივი**, ახასიათებს რა სასკოლო ასაკის ბავშვების მოტივაციის თავისებურებებს (10, 15, 16, 17), ამ ბავშვების მოქმედების მოტივებს ყოფს ორ ჯგუფად: პირველს შეადგენენ ახლო მოტივები, მეორეს კი — შორეული მოტივები. თუკი მოქმედებისას ბავშვი ხელმძღვანელობს თვით მოქმედების ინტერესით, ცნობისმოყვარეობით, შექების მიღების სურვილით და ა. შ., მაშინ საქმე გვაქვს ახლო მოტივაციასთან; თუ მოსწავლე მოქმედებს იმიტომ, რომ მიიღოს საზოგადოებისათვის სასარგებლო პროფესია, მოამზადოს საკუთარი თავი სამშობლოს საკეთილდღეო შრომისათვის, დაეხმაროს მშობლებს და ა. შ.,

მაშინ საქმე გვექნება შორეულ მოტივაციასთან. მოტივაციის პირველი სახე ძირითადად დამახასიათებელია უმცროსი კლასელებისათვის, მეორე კი — უფროსათვის. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, ამბობს აქვე ავტორი, რომ უმცროსი მოსწავლესათვის სრულიად მიუწევდომელია შორეული მოტივაცია, უფროსისათვის კი არაა დამახასიათებელი ახლო მოტივაცია. აღზრდის პროცესში, უკვე უმცროსი მოსწავლის ცნობიერებაში მწიფდება მოქმედების შორეული მოტივაცია. რაც შეეხება ახლო მოტივაციას, იგი უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეების მოქმედებაშიც იჩენს თავს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ უმცროსებთან მაინც დომინირებული მნიშვნელობა აქვს ახლო მოტივაციას, რომლის საფუძველზეც აღმოცენდება და ვითარდება შორეული მოტივაცია, რომელიც დომინირებს უკვე უფროს სასკოლო ასაკში და რომელსაც ექვემდებარება ახლო მოტივაციაც. ასეთია ა. კოვალევის გამონათქვამები ახლო და შორეული მოტივებისა და მოტივაციის შესახებ.

**მ. ს. ნეიმარკის** აზრით, ადამიანის მოტივაციური სფეროს დიდი სირთულის მიუხედავად, მოტივთა იერარქული სტრუქტურები ძალიან ადრე უყალიბდება ბავშვს. დასაწყისში ეს სტრუქტურები ემყარებიან უშუალო აღმძვრელთა, უშუალოდ მოქმედ მოტივთა დომინირებას, რომლებიც უნებლიედ იქვემდებარებენ სხვა აღმძვრელებსა თუ მოტივებს და ამით ქმნიან მოტივთა უნებლიე იერარქიას, რომელსაც ნეიმარკი პირველი სახის იერარქიას უწოდებს. ამისგან განსხვავებით, მეორე სახის მოტივაციურ სტრუქტურას (იერარქიას) აქვს ნებისმიერი ხასიათი, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს თავისი უშუალო აღმძვრელები ნებისმიერად დაუქვემდებაროს ცნობიერად მიღებულ მიზნებსა და განზრახვებს, ე. ი. მართოს საკუთარი ქცევა. მოტივაციური სფეროს ასეთი ორგანიზაცია, ავტორის მიხედვით, მოწიფული პიროვნების საფუძველს შეადგენს (15; 95). ინდივიდის მიზნები და განზრახვები მისი პიროვნების განვითარებისა და შესაბამისად განისაზღვრებიან არა იმდენად უახლოესი და ემოციონალურად მიმზიდველი ობიექტებით, რამდენადაც — ინდივიდის მიერ მიღებული და გამომუშავებული ღირებულებებით, მორალური მრწამსით, პრინციპებით, მისი მსოფლმხედველობითა და იდეალებით (15; 99). ამ უმაღლესი ღირებულებების შესატყვისი ქცევა შეიძლება სრულიადაც არ პასუხობდეს ინდივიდის უშუალო სურვილებს, მაგრამ ნებისმიერი მოტივაციური იერარქიის (სტრუქტურის) არსებობა, — ამბობს მ. ს. ნეიმარკი, — შესაძლებელს ხდის დაძლეული იქნას ყოველგვარი წინააღმდეგობა და განხორციელდეს ნებისმიერი ქცევა, ე. ი. ისეთი ქცევა, რომელიც მისაღები იქნება სწორედ ინდივიდის მიერ შემუშავებული ღირებულებების თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ მ. ს. ნეიმარკის ზოგიერთი მოსაზრება თავის დასაბამს ღებულობს ნებისმიერი ქცევისა და მისი მოტივის ჩხარტიშვილისეული გაგებიდან, რის შესახებაც თვითონ ავტორი არაფერს აცხადებს.

ღროში განსხვავებული მიზნებისა და მოტივების მნიშვნელობაზე ლაპარაკობს **ვ. ს. მერლინიც** (14). მისი აზრით, მოტივის აქტივობაზე გავლენას ახდენს არა მარტო მიზნის წარმოდგენის სიცხადე და სინათლე, არამედ — იმის ცნობიერებაც, თუ როგორია მიზნის მიღწევის სიშორე დროსა და სივრცეში (ხაზგასმა ჩვენია — **ნ. ბ.**); ე. ი. მოტივის აქტივობის ძალა დამოკიდებულია იმ მიზნის სიშორეზეც, რომლის მიღწევისადაც ამ მოტივის საფუძველზე გაუილი ქცევის სუბიექტი ესწრაფვის. ეს საკითხი პირველად ცხოველებთან იკვლია ამერიკელმა ფსიქოლოგმა **ჰალმა**. მან დაადგინა, რომ ცხოველის მოქმედების



მოტივის აქტივობა იზრდება მიზანთან მიახლოებისდა მიხედვით. ამ კანონზომიერებას ჰალმა „მიზნის გრადიენტი“ უწოდა. ვ. ს. მერლინი ამბობს, რომ ე. წ. მიზნის გრადიენტი არსებობს არა მხოლოდ ცხოველების მოქმედების მოტივებში, არამედ — ადამიანებთანაც: თუ როგორი იქნება ადამიანის აქტივობა და ამ აქტივობისათვის სტიმულის მიმცემი მოტივის ძალა, ეს დამოკიდებულია იმ დროზეც, რომელშიც, მოტივის რეალიზაციის შედეგად უნდა მოხდეს მიზნის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ ამავე ფაქტს ადასტურებს თავის გამოკვლევაში პ. ლ. გორნფუნკელიც (8), რომელზედაც ჩვენ არ შეეჩერდებით.

მოტივაციის განსხვავებული ტიპების შესახებ ლაპარაკობს გ. ტ. ოხსეპია-ნიც (17). მოზარდა მოქმედების მოტივების შესწავლის საფუძველზე იგი აღგენს მოტივაციის მრავალ ტიპს. მათ შორის ჩვენთვის საინტერესოა ახლოპერსპექტიული და შორეულპერსპექტიული მოტივაციის ტიპი: პირველის შემთხვევაში მოზარდის ნებისყოფას სამოქმედოდ აღძრავს ახლო მოტივები, რომლებიც დაკავშირებული არიან მის მისწრაფებასთან დაიმსახუროს პედაგოგის შექება, კმაყოფილება მიანიჭოს მშობლებს, მიიღოს რაიმე საჩუქარი და ა. შ.; შორეული მოტივაციური ტიპის შემთხვევაში კი — მოქმედებას აღძრავს შორეული მომავლის მოტივები, რომელთა რეალიზებაც ახლა ხდება.

ს. ბ. ხშიროვი თავის სადისერტაციო შრომაში (21) წერს, რომ უმცროსკლასელთა მოტივაცია, ისევე როგორც მოტივაცია უფროსი ასაკის ადამიანებისა, ყოველთვის მიმართულია გარკვეულ მიზანზე, მაგრამ მოსწავლეებთან ეს მიზანი ჩვეულებრივ უახლოესია და არა შორეული. ამასთანავე, რაც უფრო პატარაა მოსწავლე, მით უფრო მაღალია კონკრეტული მოტივების ძალა და მით უფრო ძლიერია დროის მიხედვით ახლო მოტივების მოქმედება. მართალია, ახლო მოტივაცია არის ერთგვარი საფეხური შორეული მიზნების მიღწევის გზაზე, მაგრამ თუკი ახლო მოტივაცია მოკლებულია შორეულ პერსპექტივებს და იზღუდება მხოლოდ უახლოესი ამოცანებით, თუკი იგი არ ექვემდებარება შორეულ მიზნებს, რომლებიც დაკავშირებული არიან კოლექტივის, ხალხის, სამშობლოს ინტერესებთან, მაშინ ახლო მოტივაცია კარგავს თავის სრულფასოვან ღირებულებას. „შორეული მიზანი აღძრავს მოსწავლეებს ახლო მიზნების აქტიური მიღწევისათვის, რომელთა გარეშეც შეუძლებელია შორეულ მიზანთან მისვლა“ — ამბობს ს. ბ. ხშიროვი (21; 74). რაც შეეხება შორეულ მოტივაციას, მისი როლი „იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი აძლევს ადამიანს სიძნელებთან ბრძოლისა და მათი გადალახვის ძალებს, იგი (შორეული მოტივაცია) აიძულებს ადამიანს მოქმედების თითოეულ რგოლში დაინახოს აუცილებელი ეტაპი საბოლოო მიზნის მიღწევისა, ეტაპი, რომელიც უნდა გადაილახოს რაღაც არ უნდა დაჯდეს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება“ (21; 65).

3. გ. ასევე უმცროსი ასაკის ბავშვების მოტივაციის შესახებ ამბობს: ამ ასაკში მოტივაციისათვის დამახასიათებელია „აღმძვრელთა შედარებით ვიწრო დროითი სფერო. ბავშვს ჯერ კიდევ არა აქვს უნარი, ხანგრძლივად იქონიოს მოტივაციური განწყობა, — იგი მალე „იღლება“. მოტივაციის ასაკობრივი განვითარება ამ პლანში მდგომარეობს აღმძვრელთა დროითი პოტენციალის სწრაფ გაფართოებაში“ (6; 18).

შორეული მოტივაციის საკითხებთან დაკავშირებით, უფრო საყურადღებოა ა. ნ. ლეონტიევის შრომა — „სკოლამდელ ასაკში ბავშვის ფსიქიკური განვითარების შესახებ“ (11); მაგრამ, ვიდრე ამ შრომას გავეცნობოდეთ, საჭიროდ



მიგვაჩნია გამოვეყოთ ის საერთო, რაც შეიძლება ჰქონდეს ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ავტორების შეხედულებებს შორეულ მოტივებსა თუ მოტივაციაზე.

პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ყველა ზემომოყვანილი შეხედულება ტოვებს, არის შორეული მოტივაციის როგორც უტყუარი ფსიქოლოგიური ფაქტის არსებობის დადასტურება — აღიარება იმ განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობისა, რომელიც შორეულ მოტივაციას აქვს ადამიანთა შეგნებულ მოქმედების ორგანიზებასა და საბოლოო მიზნის მიღწევაში. ამ გამონათქვამებიდან აგრეთვე ირკვევა, რომ მოტივაციის ასაკობრივი განვითარების გზა მიიმართება ახლოდან შორეულისაკენ; ე. ი. ადამიანს (ბავშვს, მოსწავლეს) ჯერ უყალიბდება ახლო მოტივაცია, შემდეგ კი, ასაკის ზრდასთან ერთად, უფრო მირდება შორეული მოტივაცია. ამასთანავე, რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო ძლიერია დროში ახლო მოტივების მოქმედების ძალა და, პირიქით, რაც უფრო დიდია იგი, მით უფრო გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ შორეული მოტივები. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ახლო და შორეულ მოტივაციას შორის აღმართულია ჩინური კედელი, რომ ისინი მკვეთრადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან.

დაისმის კითხვა: რა კერძო შემთხვევაში გვაქვს ახლო მოტივაცია და რა შემთხვევაში — შორეული? აღნიშნული გამონათქვამებიდან ვგებულობთ, რომ პირველთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ადამიანის (ბავშვის) მოქმედებას აღძრავს თვით მოქმედების ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, შექების ან საჩუქრის მიღების სურვილი და ა. შ. მაგრამ, თუკი მოქმედება აღძრულია კოლექტივის, საზოგადოების, ხალხის ინტერესებით, სამშობლოსათვის სასარგებლო პროფესიის მიღების სურვილით, მის კეთილდღეობაზე ზრუნვით და ა. შ., მაშინ უკვე საქმე გვაქვს შორეულ მოტივაციასთან.

ასეთია, ძირითადად, ის საერთო დასკვნები, რომლებიც ჩვენ მიერ განხილული ავტორების შეხედულებებიდან გამომდინარეობენ. რა შეიძლება ითქვას მათ შესახებ? ჩვენი აზრით, ისინი თავისთავად დავას არ იწვევენ. მაგრამ მათში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი შორეული მოტივაციის შინაგან ბუნებაზე, მის ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე, მის საკუთარ მექანიზმზე. ისინი არაფერს გვეუბნებიან იმაზეც, თუ როგორ აიგება შორეული მოტივაციური ქცევის რეალური პროცესი და რა ფსიქიკური მონაცემებია აუცილებელი ასეთი ბუნების ქცევის გასაშლელად. აღნიშნული ავტორების ნაშრომებიდან ჩვენ ვერაფერს ვგებულობთ აგრეთვე იმის შესახებაც, სახელდობრ, რომელ ასაკში იჩენს თავს პირველად შორეული მოტივაცია და როდის აღწევს იგი თავის დასრულებულ სახეს. მაგრამ ეს გარემოება არც შეიძლება ვუსაყვედუროთ ამ ავტორებს, რადგან არც ერთ მათგანს აღნიშნული საკითხები სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია.

გავეცნოთ ა. ნ. ლეონტიევის მოსაზრებებს შორეული მოტივაციის პრობლემასთან დაკავშირებით (11). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ავტორი სპეციალურად ჩერდება ამ პრობლემაზე და საინტერესო მოსაზრებებსაც ავითარებს. ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენ მისი ცალკე განხილვა.

ახასიათებს რა დაბალი ასაკის ბავშვების ფსიქიკურ განვითარებას, ა. ნ. ლეონტიევი არსებითად განასხვავებს სამ წლამდე ბავშვის ქცევას უფრო მაღალი ასაკის ბავშვის ქცევისაგან. ავტორის აზრით, სამ წლამდე ბავშვის მოქმედების (Деятельность) აგებულებას გააჩნია ერთი განსაკუთრებული სპეციფიკურობა: მართალია ბავშვის მოქმედება აღიძვრება მისი მოთხოვნილებების

შესაბამისი მოტივებით, მაგრამ ეს მოტივები ჯერ კიდევ შინაგანად არ არიან ერთმანეთისადმი დაქვემდებარებულნი; ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული იერარქია, სადაც მოტივთა ერთი ჯგუფი მთავარია, დანარჩენი კი — მეორეხარისხოვანი. პირველად მხოლოდ სამი წლის ასაკიდან შეინიშნება მოტივთა შედარებით მაღალი ტიპის ურთიერთდამოკიდებულება. ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ გამოიყოფა უფრო მნიშვნელოვანი მოტივები, რომლებიც იქვემდებარებენ სხვა დანარჩენებსაც. ამასთან დაკავშირებით ა. ნ. ლეონტიევს აქ მოყავს ე. წ. „მწარე კანფეტის“ მაგალითი: ბავშვი, რომელიც ვერ წყვეტს ამოცანას, საჩუქრად შეთავაზებულ კანფეტზე უარს აცხადებს, რადგან ამოცანაში წარუმატებლობის გამო ეს დაუმსახურებელი კანფეტი მისთვის „მწარე კანფეტად“ გადაიქცა.

როგორი თანმიმდევრობით აღმოცენდება ბავშვებში მოტივთა თანფარდობა? ამ საკითხის გამოსარკვევად ა. ნ. ლეონტიევის ხელმძღვანელობით ჩატარებულია შემდეგი სახის ექსპერიმენტი: ჩვეულებრივ სიტუაციაში, როდესაც ბავშვს მობეზრდებოდა მოზაიკის დალაგება, მას სთავაზობდნენ ძალიან საინტერესო მექანიკურ სათამაშოს, მაგრამ მაშინვე ეუბნებოდნენ, რომ თამაშის უფლებას იგი მიიღებდა მხოლოდ მაშინ, როცა მოზაიკის ბურთულებს ისევე დალაგებდა, როგორც ისინი ელაგა ადრე; ამასთანავე ბურთულების რაოდენობა იყო საკმაოდ დიდი. ამრიგად, ბავშვს ხანგრძლივი დროის მანძილზე უნდა შეესრულებინა არასასურველი (უკვე მობეზრებული) მოქმედება, რომ მიეღწია ახალი, მისთვის საინტერესო სათამაშოთი გართობისათვის. სხვა ცდებში ბავშვს საკმაოდ დიდხანს უნდა ემოქმედა, დიდი წინასწარი მოსამზადებელი საფეხური უნდა გაეგლო, რომ მიეღწია მოქმედების ყველაზე უფრო მიმზიდველი მომენტისათვის (მაგალითად: ციგებით მთიდან ძირს დაშვებისათვის საჭიროა ბავშვმა წინასწარ მთაზე აიტანოს ისინი). ამ ცდებმა დაადასტურეს, ამბობს ა. ნ. ლეონტიევი, რომ ერთი მოქმედების მეორესადმი ცნობიერი დაქვემდებარება ფორმირდება მხოლოდ სამი წლიდან. ცდებიდან გამოიკვია, აგრეთვე, თუ როგორია ამ პროცესის განვითარების გზაც. აღმოჩნდა, რომ თავისთავად არამიმზიდველი (უარყოფითად მოტივირებული) მოქმედების (Действие) დამოუკიდებლად შესრულების შესაძლებლობა ბავშვს უფრო ადრე უჩნდება ისეთ პირობებში, როდესაც ის, რისთვისაც სრულდება ეს მოქმედება (რაც დადებით მოტივს წარმოადგენს) ბავშვის მიერ უშუალოდ კი არ აღიქმება, არამედ წარმოიდგინება აზრობრივად.

ავტორის მიხედვით, ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ საკუთარი მოქმედების უფრო შორეული მოტივისადმი (ხაზგასმა ჩვენია — 5. ბ.) ცნობიერი დაქვემდებარების შესაძლებლობა განვითარების უფრო მაღალი საფეხურის პროდუქტს წარმოადგენს და თავდაპირველად საჭიროებს ბავშვის ქცევის აზრობრივი „იდეალური“ მოტივაციის შესაძლებლობის არსებობას, რის შედეგადაც ბავშვის ქცევა, რომელიც სამ წლამდე მისი მოქმედების ველით განისაზღვრებოდა, გარდაიქმნება ნებისმიერ ქცევად.

ა. ნ. ლეონტიევის აზრით, ბავშვებში სამი წლის ასაკიდან ფორმირებას იწყებს ქცევის უფრო რთული შინაგანი ორგანიზაცია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მათი მოქმედება აღიძვრება არა ცალკეული მოტივებით, არამედ „ახლა ბავშვს სხვა რაიმესათვის შეუძლია ისეთი მიზნის მიღწევისაკენ მისწრაფება, რომელიც თავისთავად არაა მიმზიდველი მისთვის ანდა, პირიქით, უარის თქმა რაიმე უშუალოდ სასიამოვნოზე იმისათვის, რომ მიიღწიოს უფრო მნიშვნელო-



ვანს ან გაქცეს არასასურველს“ (11; 9). ყოველივე ეს, ამბობს ა. ნ. ლონტიევი, არის მხოლოდ ნიშნები, მხოლოდ სიმპტომები იმ პირველი კვანძების გამოვლენისა, რომლებიც ახალ, ადამიანური ურთიერთობის უფრო რთულ საფუძველზე აკავშირებენ ერთმანეთთან ბავშვის ქცევის ცალკეულ პროცესებს. „პიროვნების ჩამოყალიბების პრობლემის თვალსაზრისით, ბავშვის მოქმედებაში ამ პირველი კვანძების გამოჩენის ფაქტს ჩვენ ვაძლევთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას — წერს ა. ნ. ლონტიევი (11; 9). როდესაც არა გვაქვს მოტივთა შორის ურთიერთდაქვემდებარებულობა, ჩვენ წინაშეა პიროვნების დაშლის, წმინდა რეაქტიულ ქცევაზე დაბრუნების სურათი. ა. ნ. ლონტიევის აზრით, მოტივების ერთმანეთისადმი დაქვემდებარება პირველად ფორმირდება სკოლამდელი ბავშვობის დასაწყისისათვის. თუკი დაახლოებით სამი წლისათვის ვლინდება მისი მხოლოდ პირველი ნიშნები, ექვსი-შვიდი წლის ასაკისათვის ეს ურთიერთდაქვემდებარებულობები უკვე აღწევენ თავიანთ სრულ განვითარებას.

ასეთია, ძირითადად, ა. ნ. ლონტიევის მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე. ისინი, როგორც ვნახეთ, საყურადღებო მასალას იძლევიან ბავშვის განვითარების, მისი პიროვნების ჩამოყალიბებისა და მისი ქცევას მოტივაციის პრობლემებთან დაკავშირებით და, რაც მთავარია, თითქმის ყოველი მოსაზრება, რომელიც შეეხება ჩვენს საკითხს, კონკრეტული ექსპერიმენტული მონაცემის ინტერპრეტაციაზეა დაფუძნებული. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი: ა. ნ. ლონტიევის აზრით, საკუთარი მოქმედების უფრო შორეული მოტივებისადმი დაქვემდებარება განვითარების უფრო მაღალ საფეხურს მოითხოვს და თავდაპირველად საპიროვნებს ბავშვის ქცევის „იდეალური“ მოტივაციის შესაძლებლობას. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელში ავტორი ნებისმიერი ქცევის ერთ-ერთ საფუძველსაც ხედავს. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ა. ნ. ლონტიევი მოტივთა ურთიერთდაქვემდებარებულობას, ერთი მოტივის მეორე — შედარებით უფრო ღირებული მოტივისადმი დამორჩილებას, თავისთავად არასასიამოვნო მოქმედების შესრულებას ანდა უშუალოდ რაიმე სასიამოვნოზე უარის თქმას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პიროვნების ფორმირების თუ მისი პირველი ნიშნების გამოვლენის თვალსაზრისით.

რაც შეეხება ზემოთქმულის შესაძლებლობისა და განხორციელების კონკრეტულ ასაკს, ავტორის მიხედვით, სამი წლის ასაკიდან ფორმირებას იწყებს ქცევის ისეთი რთული შინაგანი ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს გარკვეული მიზნის მისაღწევად მისთვის არამიმზიდველი მოქმედებანი შეასრულოს. მისივე აზრით, ექვსი-შვიდი წლისათვის უკვე მოტივთა პირველი ურთიერთდაქვემდებარებულობანი თავიანთ სრულ განვითარებას აღწევენ, ამავე ასაკისათვის შესაძლებელი ხდება შორეული მოტივების მიხედვით მოქმედებაც და ა. შ. აღნიშნული დებულებების გამოთქმის საფუძველს, როგორც ვიცით, ა. ნ. ლონტიევის შემდეგი (ან მის პრინციპზე აგებული) ექსპერიმენტი აძლევს: ციკებით მთიდან ძირს დაშვება ძალიან იტაცებს ბავშვებს, მაგრამ ამისათვის საჭიროა ბავშვმა წინასწარ მთაზე აიტანოს ცივა, ე. ი. შეასრულოს თავისთავად არასასიამოვნო მოქმედება. თუკი ბავშვი ამ მოქმედებას შეასრულებს ანდა სხვა ცდაში, თუკი იგი უკვე მოებზრებულ თამაშს (მაგალითად, მოზაიკის ბურთულების დალაგებას) გააგრძელებს უფრო საინტერესო სათამაშოს მიღების მიზნით, მაშინ ავტორის აზრით, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ბავშვი ნებისმიერად მართავს საკუთარ ქცევას, შეკნებულად უქვემ-



დებარებს თავის მოქმედებას უფრო შორეულ მოტივებს, ე. ი. ახდენს შორეულ მოტივაციას და ა. შ. ყოველივე ამის შესაძლებლობა კი, როგორც აღნიშნული ცდებიდან ირკვევა, ბავშვებში ფორმირებას იწყებს სამი წლის ასაკიდან და ექვსი-შვიდი წლისათვის უკვე თავის სრულ განვითარებას აღწევს.

ისმება კითხვა: როგორ ეგუება ა. ნ. ლეონტიევის შემოთქმული მოსაზრებები ნებისმიერი ქცევის ზემოთ განხილულ განსაზღვრებას? რამდენად გვაქვს აღნიშნულ ცდებში ნებისმიერ ქცევასთან საქმე? როგორია ბავშვების მოქმედების მოტივები ა. ნ. ლეონტიევის მიერ აღწერილ შემთხვევებში? ამ საკითხებისათვის შეიძლება ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდეს ჩვენს ერთ დაკვირვებას. მოკლედ შევჩერდებით მასზე: ბავშვობაში მე არაერთხელ მითამაშია ციგებით. მართალია ვერაფერი შეედრებოდა მაღლობიდან ჩამოსრიალებით გამოწვეულ სიამოვნებას, მაგრამ არც ციგის ზევით ატანა იყო ჩემთვის უსიამოვნო საქმე. ძალისხმევა არ მჭირდებოდა, რომ უკანვე ამეტანა იგი. პირიქით, იმდენად ძლიერი იყო ზემოდან სწრაფი დაშვების სურვილი, იმდენად მიტაცებდა ციგით სხვების თვალწინ ჩამოქროლება, რომ, დაბლა ჩასული, მაშინვე სირბილით ვბრუნდებოდი უკან ციგით ხელში; ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მომავალი სიამოვნება თუ ჩამოსრიალების მოთხოვნილება თვითონვე მიმაქანებდა ზემოთკენ, თითქოს მოსალოდნელი სიამოვნების ნაწილი ჩემს ამ მოქმედებაშიც გადმოდიოდა. მაგრამ წინასწარ თუ ვიცოდი, რომ ამჯერად ციგა სხვისთვის უნდა ამეტანა, მაშინ აღნიშნული მდგომარეობა იცვლებოდა, კერძოდ, ქცევის წყარო ახლა თვით ჩემში მოცემულად კი არ განიცდებოდა, როგორც პირველ შემთხვევაში, არამედ ჩემს გარეთ არსებული იძულების სახით მოქმედებდა და ყოველთვის მე როდი ვახერხებდი ამ გარეგანი იძულების ხმას გავყოლოდი. იყო შემთხვევა, როცა ციგას შუა გზაზე მივატოვებდი და შინსაკენ მოვკურცხლავდი.

ამრიგად, საკუთარი დაკვირვების ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ ა. ნ. ლეონტიევის მიერ მოტანილ ცდებში ბავშვის ქცევის იმპულსი ფაქტიურად მისი აქტუალური მოთხოვნილებიდან მომდინარეობს. ამავე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ ქცევის აქტებთან უშუალო კავშირში განიცდის ბავშვი იმ გრძნობასაც, რომელიც გამოხატავს ქცევის სუბიექტურ ღირებულებას, აძლევს მას ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას და მასასადამე, გამოდის მისი მოტივის როლში. მართალია, აღნიშნულ ცდებში, ბავშვი თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გარკვეულ შემოვლით გზებს მიმართავს და ისეთ მიზნებსაც ისახავს, რომლებიც მისგან თავისთავად არამიმზიდველი მოქმედებების შესრულებას მოითხოვენ, მაგრამ ამით საქმის ფაქტიური ვითარება არ იცვლება, რადგან ძლიერი მოთხოვნილება თავისთავად არამიმზიდველ მოქმედებასაც მიმზიდველად ხდის. როგორც შ. ჩხარტიშვილი წერს: მოთხოვნილებით აღძრული ქცევის მიზანი თვითონ მოთხოვნილებაზე დაფუძნებული: მოთხოვნილება ახდენს სასიცოცხლო ენერჯის კონცენტრირებას მიზნის მიმართულებით ისე, რომ მას თითქოს მიზანში ათავსებს. იმპულსური ქცევის მიზნის აღმძვრელი ძალა ნამდვილად მის საფუძველში არსებული მოთხოვნილების ძალაა (4; 92). მაგრამ თუკი ეს ასეა, მაშინ იმას, რასაც ა. ნ. ლეონტიევი თავის ექსპერიმენტებში ნებისმიერ ქცევას უწოდებს, ჩვენ იმპულსური ქცევა უნდა ვუწოდოთ, თუ იმ მოსაზრებას გავიზიარებთ, რომ ქცევა, რომელსაც თავიდან ბოლომდე იმ მოთხოვნილების იმპულსი

მართავს, რომლის დაკმაყოფილებასაც თვითონ ახდენს, იმპულსური ქცევაა (შ. ჩხარტიშვილი).

რაც შეეხება შორეული მოტივაციის საკითხს, აღნიშნულ ექსპერიმენტებში ჩვენ იმდენად შეგვიძლია ლაპარაკი შორეულ მოტივაციაზე, რამდენადაც ახლა აქტუალურად მოქმედი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება დროის მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ იმ აქტივობის გზით, რომელიც ახლა მიმდინარეობს. მხოლოდ ამ აზრით შეიძლება ა. ნ. ლენტეხის შრომაში მოცემული ექსპერიმენტების საფუძველზე იმის თქმა, რომ სამი წლის ასაკიდან ბავშვი უკვე ახერხებს რა თავისთავად არასასიამოვნო მოქმედების შესრულებას, იგი ნებისმიერი ქცევის სუბიექტად იქცევა, რომ სკოლამდელი ასაკის დასასრულისათვის მოტივთა ურთიერთდაქვემდებარებულობები აღწევენ თავიანთ სრულ განვითარებას, რომ ამავე ასაკისათვის შესაძლებელი ხდება შორეული მოტივების მიხედვით მოქმედებაც და ა. შ.

ჩვენი აზრით, ყველა ზემოგანხილული შეხედულებისათვის დამახასიათებელია ერთი საერთო თავისებურება, რომლის გათვალისწინებასაც ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ შორეული მოტივაციის პრობლემის თვალსაზრისით და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ყველგან სადაც კი ლაპარაკია შორეულ მოტივაციაზე, ერთმანეთისაგან გამიჯნული არაა ორი სრულიად განსხვავებული საქმის ვითარება. მხედველობაში გვაქვს ადამიანის შემდეგი ორი სახის აქტივობა:

ა) მოცემულ კონკრეტულ მომენტში ადამიანს აქვს რაიმე გარკვეული მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება ამჟამად არ ხერხდება. შეიძლება ამ ადამიანმა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იზრუნოს მისი დაკმაყოფილებისათვის, მიმართოს სხვადასხვა მოქმედებას, სხვადასხვა გზებსა და საშუალებებს იმისათვის, რომ როგორმე ეს მოთხოვნილება, ახლა თუ არა, რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც დაკმაყოფილოს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი სახის ქცევასთან;

ბ) ავიღოთ მეორე შემთხვევა: ადამიანს ახლა არ აქვს რომელიმე, — მაგალითად, საცვების — მოთხოვნილება, — მაგრამ მან იცის, რომ იგი მას ხვალ ექნება. იმისათვის, რომ ეს მოთხოვნილება ხვალ, როცა იგი თავს იჩენს, დაკმაყოფილებული იქნას, აუცილებელია მან დღეს, ახლა მიმართოს გარკვეულ აქტივობას, დღეს მოიპოვოს მისი დაკმაყოფილების საგანი. ვთქვათ მხოლოდ ამ გზით შეძლებს იგი აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მაგალითად, გლეხი სიმინდს თესავს გაზაფხულზე და თესავს მაშინ, როცა მადარია, თესავს იმ მიზნით, რომ მომავალი წლის საზრდო მოიპოვოს. ასეთ შემთხვევაში სულ სხვა კატეგორიის ქცევასთან გვაქვს საქმე — (შ. ჩხარტიშვილი).

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში ქცევა ახლა, მოცემულ მომენტში მიმდინარეობს, ორივე შემთხვევაში მოთხოვნილების დაკმაყოფილება მომავალშია გათვალისწინებული, მაგრამ თავიანთი შინაარსითა და აღმქრელი ძალეებით ეს ორი ქცევა ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველ შემთხვევაში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, პიროვნება ახლავე დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას, რადგან ეს უკანასკნელი ახლა არსებობს და მოქმედებს აქტიურად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, იგი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს დაუყოვნებლივ აწმყოში გადმოიტანდა, მაგრამ რადგან ეს შეუძლებელია, პიროვნება ცდილობს მომავალში მაინც უზრუნველყოს მისი დაკმაყოფილების საქმე. მაგრამ ამით პირველი ქცევის შინაარსი და მამოძრავე-

ბელი ძალა სრულიადაც არ იცვლება და არ უახლოვდება მეორე ქცევას. პირველ ქცევას თავისი წყარო მაინც აქტუალურ მოთხოვნილებაში აქვს, აქტუალური მოთხოვნილება იძლევა მისი განხორციელების იმპულსს თავიდან ბოლომდე. ქცევის მეორე შემთხვევაში კი აქტუალური მოთხოვნილება როდი განსაზღვრავს ქცევის მიმდინარეობას. პირიქით, მოთხოვნილების ცოცხალი ფაქტი საერთოდ არ ფიგურირებს ამ ქცევის დროს. მოთხოვნილება მხოლოდ იდეის სახითაა წარმოდგენილი სუბიექტის ცნობიერებაში. იდეას კი არავითარი აღმძვრელი ძალა არ გააჩნია (შ. ჩხარტიშვილი). ერთადერთი, რაც შესაძლებელს ხდის აღნიშნულ ქცევას, რისგანაც მომდინარეობს მისი განხორციელების იმპულსი, არის თვითონ პიროვნება, როგორც ნებისმიერი ქცევის სუბიექტი. ნებისყოფა, როგორც სპეციფიკურ-ადამიანური აქტივობის წყარო, ედება ასეთ ქცევას საფუძვლად.

მიუხედავად იმისა, რომ ქცევის მოტივაცია ორივე შემთხვევაში ახლა ხდება და მოქმედებაც ახლა მიმდინარეობს, ხოლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება მომავალშია გათვალისწინებული (ვთქვათ, ქცევის დაწყებიდან ორი დღის შემდეგ), პირველ შემთხვევაში, გარკვეული აზრით, მაინც ახლო მოტივაციასთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში კი შორეულ მოტივაციასთან.

ამრიგად, შორეულ მოტივაციურ ქცევას ჩვენ, შ. ჩხარტიშვილთან ერთად, ისეთ ქცევას ვუწოდებთ, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს აქტუალურ მოთხოვნილებასთან; იგი თავის წყაროს მოთხოვნილებიდან, კერძოდ, იმ მოთხოვნილებიდან რომლის დაკმაყოფილების პირობებსაც ქმნის, არ იღებს. ეს ქცევა ისეთ რაიმეს შექმნისკენა მიმართული, რომელიც ახლა კი არ მოიხმარება, არამედ მომავლისათვის არის განკუთვნილი. ამრიგად, შორეული მოტივაცია ნებისმიერი ქცევისთვისაა დამახასიათებელი. იგი არის ნებისმიერი ქცევის ერთი სპეციფიკური თავისებურება. მოტივაციის სიძნელე, სწორედ ამიტომ, ნებისმიერი ქცევის განხორციელების სიძნელეს წარმოადგენს. რამდენადაც განუერთარებელია ნებისყოფა, იმდენად ძნელია შორეული მოტივაციური სტრუქტურის ქცევის განხორციელება. ამის გამო უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის იგი მიუწვდომელი.

ზემოთქმულიდან გასაგებია, რომ იმ მკვლევართა წინაშე, რომლებიც ადამიანის აქტივობის ერთადერთ წყაროს მოთხოვნილებებში ხედავენ, შორეული მოტივაციის პრობლემა იმ სახით, როგორც იგი ჩვენ აქ დავაყენეთ, არ დგას. ამ პრობლემის ასეთ დავაყენებას, ჩვენის აზრით, ადამიანის ქცევის გაგებისათვის, გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

#### ლიტერატურა

1. ა. ბოჭორიშვილი და შ. ჩხარტიშვილი, ფსიქოლოგია, თბილისი, 1963.
2. დ. კიენაძე, ადამიანის მოქმედების საკითხისათვის, თბილისი, 1971.
3. დ. უზნაძე, შრომები, ტომი III—IV, თბილისი, 1964.
4. შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბილისი, 1958.
5. შ. ჩხარტიშვილი, ნებისყოფა და მისი აღზრდა, თბილისი, 1964.
6. В. Г. Асеев, Особенности строения человеческой мотивации. (Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата философских наук). Москва, 1970.
7. Б. С. Э. Третье издание, т. 5, Москва, 1971.
8. П. Л. Горнфункель, Об одной из стимулирующей силы мотива. „Вопросы психологии“, № 4, 1967.



9. Д. А. Кикнадзе, Потребность, Поведение, Воспитание, Москва, 1968.
10. А. Ковалев, Воля и ее воспитание, Симферополь, 1949.
11. А. Н. Леонтьев, Психическое развитие ребенка в дошкольном возрасте, Вопросы психологии ребенка дошкольного возраста, изд. А. П. Н. РСФСР, Москва, Ленинград, 1948.
12. А. Н. Леонтьев Потребности, Мотивы и Сознание, XVIII международный психологический конгрес, Мотивы и сознание в поведении человека, Москва, 1966.
13. А. Н. Леонтьев, Потребности, Мотивы и Эмоции, Изд. Моск. Ун-та, 1971.
14. В. С. Мерлин, Лекции по психологии мотивом человека, Пермь, 1971.
15. М. С. Неймарк, О психологии воспитания, Советская педагогика, Москва, 1972, № 7.
16. К. Обуховский, Психология влечения человека, Москва, 1972.
17. Г. Т. Овсеян, Воля и мотивы волевой деятельности школьника-подростка и их формирование (Диссертация на соискание ученой степени доктора психологических наук), Тбилиси, 1972.
18. С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, Москва, 1946.
19. В. И. Селиванов, Воспитание воли школьника, Москва, 1954.
20. Б. М. Теплов, Психология, Москва, 1954.
21. С. Б. Хмыров, О мотивации цели действия у младших школьников, 3-х 4-х классов, (Диссертация на соискание ученой степени кандидата педагогических наук (по психологии), Москва, 1953.
22. Ш. Н. Чхартишвили, Место потребности и воли в психологии личности, „Вопросы психологии“, № 2, 1958.
23. Ш. Н. Чхартишвили, Проблема воли в психологии, „Вопросы психологии“ № 4, 1967.
24. Ш. Н. Чхартишвили, Потребность и воля, „მაცნე“, № 1, 1971.
25. Ш. Н. Чхартишвили, Потребность и волевое решение проблемы поведения, материалы IV съезда общества психологов, Тбилиси, 1971.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა)

## ეკონომიკა

ს. პ. ბუაჩიძე

### О ПРОЕКТИРОВАНИИ СИСТЕМ ОПЕРАЦИЙ В АСПЕКТЕ КОМПЛЕКСНОГО КРИТЕРИЯ ИХ ФУНКЦИОНИРОВАНИЯ — «ДЛИТЕЛЬНОСТЬ, НАДЕЖНОСТЬ И СТОИМОСТЬ ОПЕРАЦИЙ» I

Составлена таблица систем с подвижными и неподвижными операторами и объектами. Определяются системные звенья связи и, в объединении с ними, комплексные операторы и объекты. Дан пример проектируемого функционирования транспортной системы в аспекте критерия — «Длительность, надежность и стоимость операций».

Нами в свое время были рассмотрены некоторые моменты комплексного планирования длительности  $\tau$ , надежности  $R$  и стоимости  $C$  функционирования систем операций в свете возможного оптимального сочетания данных трех показателей системы [1]. В аспекте Математического программирования постановка проблемы может представиться, в частности, как принятие в роли целевой функции одного из параметров  $\tau$ ,  $R$  или  $C$ , а двух остальных, как функций ограничения данной целевой функции.

Здесь мы рассмотрим, в первом приближении, проблему проектирования систем операций, с учетом вышеупомянутых моментов планирования и на примере Задач о Назначениях и Распределении Ресурсов и Транспортной [2].

Элементарные двухкомпонентные системы (подсистемы) — компоненты: оператор  $M$  и объект операций — операнд  $O$  представим, с точки зрения территориальной подвижности-перемещения или-же неподвижности соответствующих физико-технологической носителей функций указанных компонентов, таблицей, символических обозначений рисунка 1.

$S_1$	$M_2$	—	$O_1$
$S_2$	$M_1$	—	$O_M$
$S_3$	$M_2$	—	$O_{2,M}$
$S_4$	$M_M$	—	$O_1$
$S_5$	$M_M$	—	$O_M$
$S_6$	$M_{1,M}$	—	$O_{2,M}$
$S_7$	$M_{2,M}$	—	$O_1$
$S_8$	$M_{2,M}$	—	$O_M$
$S_9$	$M_{1,M}$	—	$O_{2,M}$

Fig. 1. Системы  $S$  или-же подсистемы  $US$ , с подвижными или-же (и) неподвижными операторами  $M$  и объектами  $O$ .

В таблице индекс  $I$  присвоен неподвижному на данном интервале времени, или же постоянно, компоненту, индекс  $M$  — компоненту передвигающемуся, а  $I, M$  — компоненту, то передвигающемуся, то неподвижному. Здесь, например, согласно заданным алгоритмам-предикатам, в системе  $S_2$  неподвижный оператор  $M_I$  воздействует на подвижной объект  $O_M$ , а в системе  $S_9$  и оператор  $M_{I,M}$  и его объект  $O_{I,M}$  могут, во время выполняемых операций, находиться и в подвижном и в неподвижном состояниях.

Очевидно, что в общем случае прогноз соответствующих системных ситуаций предопределяет вероятностное, многовариантное планирование аллюра во времени и пространстве операций [1, 3], в частности, операций территориального размещения способных передвигаться-перемещаться, компонентов системы. В результате, требуется выполнение соответствующего Сетевого Планирования системы операций также в нескольких вариантах и, следовательно, изменение соответствующих стратегий по мере изменения ситуации в системе [3].

Природные факторы оказывают влияние также и на работу судов. Так, штормы, ледовая обстановка, туманы приводят к потере промыслового времени или не позволяют судам работать с возможной производительностью. От течений, глубин, характера грунтов во многом зависят показатели работы судов. При движении судна против течения большой силы скорость его снижается, при работе на больших глубинах увеличивается время на спуск и подъем трала, плохие грунты приводят к авариям или повышенному износу орудий лова, что в свою очередь, сказывается на производительности работы судна. Однако отрицательное влияние этих факторов на производительность труда можно ослабить, используя достижения науки и техники. Как предвидел Ф. Энгельс, «... наука с каждым днем все больше подчиняет людям силы природы. Эта беспредельная производительная способность, будучи использована сознательно и в интересах всех, вскоре сократила бы до минимума выпадающий на долю человечества труда»<sup>7</sup>.

<sup>7</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., изд. 2, т. I, стр. 563—564.



Совершенствование техники и технологии включает в себя: изыскание новых и совершенствование старых способов добычи и орудий лова; автоматизацию и механизацию производственных процессов (судовождения, добычи и обработки рыбы, перегрузки рыбы и рыбопродукции как на промысле, так и в порту); улучшение конструкции и выбор оптимального типа добывающих, производственных и транспортных судов.

В зависимости от биологического состояния и условий внешней среды рыба образует скопления, которые могут успешно облавливаться. Когда же она рассредотачивается, уловы становятся значительно меньше, и производительность труда падает. При выборе способа лова необходимо учитывать величину и глубину расположения косяка, характер его передвижения, чтобы применить тот способ лова, который позволил бы вылавливать рыбу с наибольшей производительностью и меньшими материальными затратами. Так, при образовании донных концентраций используют донные тралы, а при подъеме их в толщу воды — пелагические. Поверхностные плотные косяки, расположенные на глубинах до 100 метров, можно облавливать кошельковым неводом. На разреженных концентрациях лучше использовать дрейферные сети. При лове рыбы на глубинах 250-300 м. эффективными оказались близнецовые тралы. Таким образом, выбор способа лова предопределяет производительность труда уже на стадии проектирования судна, а в дальнейшем и при его эксплуатации.

В связи с сезонностью образования концентраций, годных для облова теми или иными орудиями лова, строят так называемые многоцелевые суда. Эти суда имеют промысловую схему, позволяющую применять различные способы лова. Так, суда типа СРТ могут ловить рыбу дрейферными сетями, пелагическими, донными и близнецовыми тралами. Кроме того, имеются возможности так переоборудовать эти суда, что можно будет ловить рыбу кошельковым неводом и бортовой ловушкой на свет. Суда типа РС-300 могут использовать кошельковый невод, дрейферные сети и трал. Дальнейшее совершенствование способов лова должно идти по линии унификации конструкций орудий лова, увеличения уловистости и снижения веса, создания комплекса приборов для информации о параметрах работы орудий лова и их наполнении, увеличения радиуса действия орудий лова (глубина, площадь облова и т. п.), выбора оптимального режима работы орудия лова (скорость траления, скорость замета, время траления) и т. д.

Большое значение для роста производительности труда имеет автоматизация и механизация производственных процессов, что особенно важно, так как некоторые из них являются процессом повышенной опасности. Кроме того, автоматизация и механизация производственных процессов создают условия для оптимальной работы различного рода механизмов и судна в целом. Так, автоматизация судовождения позволит избрать оптимальный путь судна в зависимости от метеорологических условий; автоматизация судовых силовых установок разрешит вопрос оптимальной нагрузки в зависимости от режима работы судна; с автоматизацией процессов добычи весь комплекс орудий лова, судно и промысловые механизмы будут управляться в зависимости от поведения косяка рыбы и наполнения орудия лова, создается возможность непрерывной работы по промысловой схеме. С автоматизацией и механизацией производственных процессов сократятся затраты труда на обработку рыбы, погрузочно-разгрузочные работы на промысле и в порту. Немаловажное значение имеет и совершенствование конструкции судна. Рыбодобывающее судно служит для добычи рыбы, ее переработки,

хранения и доставки на плавучую базу и в порт. Для выполнения этих функций оно должно обладать целым рядом качеств. Основное из них это соответствие производственных мощностей по добыче и обработке. В связи с колебаниями уровня добычи производственные мощности по обработке должны иметь наибольшую экономически целесообразную величину. Грузоподъемность судна должна быть тоже экономически обоснованной, так как с увеличением размеров судна растет его стоимость, следовательно, удорожается рыбопродукция, а с уменьшением размеров трюмов увеличивается время на подходы к базе и сдачу рыбопродукции.

Важнейшим качеством судна является его скорость, которая оказывает влияние на режим эксплуатации судна и в то же время существенно влияет на расход топлива. Для добывающего судна большое значение имеет оснащение аппаратурой и приборами для поиска рыбы, судовождения и радиосвязи. Рациональная организация производства и труда способствует лучшему использованию имеющейся на судах техники.

Добывающий флот работает в весьма сложных условиях: одни суда уходят от берега всего на несколько миль и каждый день возвращаются в порт, рейсы других продолжаются до шести и более месяцев в условиях быстроизменяющейся промысловой обстановки. В первом случае судно после заполнения трюмов возвращается в порт, экспедиционная работа предусматривает многократное заполнение трюмов судна и сдачу рыбопродукции на транспортные или производственные суда. Тогда продолжительность рейса ограничивается нормами, установленными ВЦСПС, в зависимости от типа судна.

В последнее время получили распространение сдвоенные рейсы. Судно находится в рейсе в течение срока, который определяется моторесурсами механизмов, а судозкипаж меняется. Это позволяет сократить время на переходы. Другим вариантом организации работы добывающих судов, является базирование на иностранных порты. Судно после каждого автономного рейса доставляет продукцию в иностранный порт, а уже оттуда транспортные суда перевозят ее в Советский Союз.

При экспедиционной организации промысла практикуется работа судов с плавучим портом, который принимает у добывающих судов рыбу и хранит ее, а также производит на судах мелкий ремонт. Рыбопродукция с таких плавучих хранилищ вывозится транспортными рефрижераторами.

При организации работы экспедиции важно определить такое соотношение между количеством добывающих и транспортных судов, которое бы при наименьших затратах обеспечило максимальную добычу рыбы за счет сокращения простоев добывающих и транспортных судов.

Для успешной работы рыболовецкого флота необходимо, чтобы суда оперативной и перспективной разведок, а также вспомогательные суда (танкеры, водолен, аварийно-вспомогательные буксиры и т. п.) работали четко и организованно. К прямым факторам производительности труда относятся также факторы, связанные с совершенствованием управления добывающей отраслью рыбной промышленности. Работа добывающих судов проходит в быстро изменяющейся обстановке, когда в одном районе производительность промысла падает, а в другом, наоборот, увеличивается.

При большом скоплении судов принять оптимальное решение трудно, так как в каждом районе промысла можно разместить лишь ограниченное количество судов.

При размещении добывающих судов необходимо учитывать возможности транспортных и вспомогательных судов, т. е. нужно принимать во внимание, сколько они могут доставить различного снаряжения и вывезти готовой рыбопродукции.

Другой важной задачей управления работой флота является согласование его эксплуатации с работой судоремонтных заводов и портов.

Решение всех этих задач и совершенствование управления работой добывающей отрасли рыбной промышленности должно идти по линии применения экономико-математических методов и электронно-вычислительной техники. Осуществление мероприятий по повышению производительности труда, т. е. приведение в действие прямых факторов, непосредственно определяющих динамику и уровень производительности труда, требует создания соответствующей материально-технической базы развитой тяжелой индустрии, в том числе новых, более совершенных машин, различных материалов и расширения их производства. Для добывающей отрасли рыбной промышленности большое значение имеют постройка новых, более совершенных типов судов, механизация и автоматизация производственных процессов, создание новых сетематериалов для орудий лова, улучшение качества топлива и т. п.

Коммунистическая партия и Советское правительство неустанно проявляют заботу о создании материально-технической базы, влияющей на рост производительности труда во всех отраслях, и в частности, в рыбной промышленности. С каждым годом добывающая отрасль, в рыбной промышленности получает новое более совершенные суда, с развитием химии увеличивается номенклатура и количество выпускаемых сетематериалов. В свою очередь для создания материально-технической базы и ее эффективного использования требуются соответствующие условия, важнейшими из которых являются: развитие науки и техники, повышение квалификации работников, повышение материального благосостояния трудящихся, укрепление дисциплины труда и т. д. Созданию этих условий в рыбной промышленности уделяется большое внимание.

В борьбе за повышение производительности труда большое значение имеет использование всех стимулов и рычагов, при помощи которых обеспечивается активное участие масс в совершенствовании процессов труда и повышении его производительности. Большое внимание Коммунистическая партия и правительство уделяют совершенствованию стимулирования творческой активности масс. В Постановлении Пленума ЦК КПСС принятого 29 сентября 1965 года указывается: «Экономические стимулы повышения производительности общественного труда—это могучее средство движения социалистической экономики к коммунизму. В то же время партия и впредь будет неуклонно проводить курс повышения коммунистической сознательности трудящихся, воспитания коммунистического отношения к труду»<sup>8</sup>. Эти указания партии сейчас успешно претворяются в жизнь. Выявление резервов роста производительности труда и их использование-важнейшая задача экономической науки и работников добывающей отрасли рыбной промышленности.

<sup>8</sup> Хозяйственная реформа в СССР, М., 1969, стр. 120.



# სამართალი

პახტან შვანიძე

## ცხოვრების დიალექტიკა და სამართლიანობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

„თუ სამართლიანი ხარ და კაცთ მოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ!“<sup>1</sup> ილია.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენა ქართველი ერის ცხოვრებაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა. იგი გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური წინამძღოლი და ყველა იმ ღონისძიების სულისჩამდგმელი, რომელიც მშრომელი ხალხის ეკონომიური გაძლიერების, ჩაგვრისაგან განთავისუფლებისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეს ემსახურებოდა.

ილია ჭავჭავაძემ, როგორც ცნობილია, სტუდენტობის პერიოდში თავისი ცოდნის ჰორიზონტი დიდად გაიფართოვა როგორც ისტორიულ-ფილოსოფიური, ისე სამართლებრივი დისციპლინების საფუძვლიანი შესწავლით. უნივერსიტეტში იგი ისმენდა გამოჩენილი პროფესორების ლექციებს (კოსტომაროვი, პიპინი, კაველინი, სტასიულევიჩი, სპასოვიჩი და სხვ.), ამასთანავე გატაცებული იყო ისეთი იურიდიული და სოციოლოგიური წიგნების კითხვით, რომლებიც ითვლებოდნენ იმ დროის პროგრესულ ლიტერატურად. მიუხედავად იმისა, რომ ილიამ უნივერსიტეტში დაჰყო მხოლოდ ოთხი წელი (1857—1861), მან, — როგორც მისი თანამედროვე ნიკო ნიკოლაძე იგონებს, — თვითონ გაიკაფა გონების გახსნის გზა... „ცხოვრების დაკვირვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით, ფიქრით. ბასით, მოქმედებით და წერის ცდით, მეცადინეობდა გამხდარიყო ჩვენი ხალხის სასარგებლო მსახურად“<sup>2</sup>. ილიას თანაკურსელი კონტა აფხაზიც ამასვე აღნიშნავს რომ ილია მთელი წელიწადი წიგნების კითხვაში იყო გართული: მან „მართლაც გოლიათური შრომა გასწია და უნივერსალურად განათლებული დაბრუნდა სამშობლოში“<sup>3</sup> და თავისი მწერლობითა და უანგარო მოღვაწეობით იგი გახდა ცენტრალური ფიგურა ქართველ მოღვაწეთა შორის.

გაზ. „პრავედა“ ილია ჭავჭავაძეს სამართლიანად ახასიათებს როგორც „მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ყველაზე უფრო პოპულარულ საზოგადო მოღვაწეს და მწერალს“<sup>4</sup>. ილიას თანამედროვე და მისი ბიოგრაფი გრ. ყიფშიძე, რომელმაც წლე-

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. IV, 1955, გვ. 299.  
2 ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. III, 1963, გვ. 205.  
3 პ. ინგოროყვა, „ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი“, 1957, გვ. XX.  
4 გაზ. „პრავედა“, 1937, 9/XI, მოწინავე.  
9. „მაცნე“, ფილოსოფიის, ... სერია, 1973, № 1

ბის მანძილზე ითანამშრომლა მასთან „ივერიაში“, თავის მოგონებაში გადმოგვცემს, რომ „ილია ყმა გლეხის ბიჭებთან ერთად იზრდებოდა სოფლად, მათთან ერთად სწავლობდა და იწვრთნებოდა, რაც — ყმაწვილობიდანვე საფუძვლად დაედო ილიას სიყვარულს გლეხობისადმი, გლეხკაცის ენა მეტყველებისა და ზნე-ჩვეულებისადმი, საფუძვლად დაედო მის დემოკრატიზმს სიჭაბუკეშივე“; ხოლო, როდესაც სამშობლოში დაბრუნდა, „განსაკუთრებით საინტერესო და საგულისხმიერო დრო იყო ილიას ცხოვრებაში ეს დრო — ყოველდღიური გაზეთის რედაქტორობისა. აქ იჩინა კვლავ თავი მისმა მხნეობამ სალიტერატურო შრომისათვის, დიდმა გონებრივმა მოქმედებამ... ამ ხნის განმავლობაში (1886—1887) თითქმის ნომერი არ გამოსულა, რომ მისი მეთაური ან სხვა რამ წერილი არ ყოფილიყოს დაბეჭდილი. და მერე როგორი წერილი, — დასძენს გრ. ყიფშიძე, — ზოგიერთი მაინც პირდაპირ სახელმძღვანელო იყო, როგორც თავისი გარეგნობით, ისე შინაარსით შემკული“<sup>5</sup>. მართლაც ილიას წერილებსა და სტატიებში, რომლებიც ხშირად მეთაურის სახით იბეჭდებოდნენ ჟურნალებსა და გაზეთებში, ვრცლად არის გაშუქებული ამა თუ იმ ცხოვრებისეული მოვლენის ესა თუ ის პრობლემატური საკითხი — ფართო ერუდციით, ცოდნის სიღრმითა და ლოგიკური დასაბუთებით.

ი. ჭავჭავაძის სულიერი სამყარო, მისი მსოფლმხედველობა და მთელი ცხოვრების დედაარსი გამოხატულებას პოულობს მის პუბლიცისტურ წერილებში, საჯარო გამოხვედრებში და დიდი მეცნიერული ღირსებების მქონე გამოკვლევებში. მას შესანიშნავად ესმის ცხოვრების დიალექტიკა და ლოგიკური თანმიმდევრობით ასაბუთებს ცხოვრების სინამდვილეს; იგი ერკვევა, რომ ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ადამიანის ბედნიერება, სამართლიანობა და ზნეობრივი სიწმინდე მოჩვენებითია. ამ მხრივ, საკმარისია დავასახელოთ თუნდაც 26 წლის ჭაბუკი ილიას მიერ 1861 წელს დაარსებულ ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“ პირველსავე ნომერში მოთავსებული მისი მეთაური, საპროგრამო წერილი.

ილია თავისი აზრის დასამტკიცებლად ხშირად მიმართავს პრაქტიკულ მაგალითებს, ბუნების გარდაუვალ კანონებს; ხშირად იშველიებს ცნობილი ადამიანების მიერ გამოთქმულ რაიმე აზრს, მოჰყავს ავტორიტეტულ მეცნიერთა და მოღვაწეთა თხზულებებიდან ცალკეული ადგილები და უფარდებს ქართველი ერის ცხოვრების სინამდვილეს.

ილია ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“ შესახებ სტატიის დასაწყისშივე ამბობს: „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალეზზე ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს არ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მიაქვს განახლება ყოველისფერისა“. ილიას მსჯელობა ცხოვრების დიალექტიკაზე. (რომ ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება. ვ. შ.) მიგვანიშნებს ძველი ყოფის, ზნე-ჩვეულებების კანონმდებლობის უფარგისობაზე, ბატონყმური ურთიერთობის მავნე და დამაბრკოლებელ როლზე საზოგადოების განვითარებაში; და საერთოდ არსებული სოციალური წყობის ახლით შეცვლის აუცილებლობაზე, რადგან „მასში არის მთელი აწმყო თავისი დროებისა და თესლიც მომავლისა“. ილია ავითარებს ამ აზრს და დასძენს: „ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება იმისათვის კი, არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არა-

<sup>5</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1914, გვ. 10, 56.

მედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზე ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ... ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორადაც ბუნებასაა. ილია ამ დებულების დასამტკიცებლად იშველიებს თავისი დროის პროგრესულ მოაზროვნეთა აზრებს და დასძენს: „ხე ცხოვრებისა — ამბობს ერთი ჩვენი დროის ფილოსოფოსი. — და ხე ცნობადისა ერთ ძირზე ამოდიან; მხოლოდ იმათი აღყვავება სხვადასხვა დროს მოდის. როცა ცხოვრების ხეზე ყვავილი ჭკნება, მაშინ ცნობადის ხეზედ მწიფდება ნაყოფი და ამ ნაყოფის თესლი აღმოშობავს ხოლმე ცხოვრების ხეზედ ახალ ყვავილებსა... ამ მოსწრებულს და, ჩვენის ფიქრით, ძლიერ მართალ შედარებაში მშვენივრად არის გამოთქმული დამოკიდებულება ცხოვრებისა ცნობიერებაზედ და მეცნიერებაზედ“<sup>6</sup>. აქ ილიას აზრი უახლოვდება კარლ მარქსის დებულებას, გამოთქმულს შრომაში — „წინასიტყვაობა“ პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, რომ „წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წესი განსაზღვრავს სოციალურ-პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრების პროცესს. საზოგადოდ ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას“<sup>7</sup>.

ილიას შესანიშნავად აქვს გაგებული ცხოვრების დიალექტიკა და საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებას იხილავს მატერიალისტური პოზიციებიდან. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ილია თავისებურად და დროის შესაბამისად ამუშავებდა და იყენებდა როგორც მარქსამდე არსებულ პროგრესულ ლიტერატურას, ასევე მისი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა კ. მარქსის მოსაზრებები პოლიტიკური ეკონომიის, სოციოლოგიის და ფილოსოფიის საკითხებზე<sup>8</sup>. „თუ ცხოვრება, — ამბობს ილია, — ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდობა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი — მისნი ძალანი, მისნი ძარღენი მარად დაუძინარნი არიან. იგი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედებენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობას, მაშინ ისინი მანაც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედობენ იმ დრომდე, ვიდრე ღარი არ დაუღვებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობის ფრთები“<sup>9</sup>. ბევრისმეტყველია ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძის საპროგრამო წერილი

<sup>6</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 65—57, 59.

<sup>7</sup> კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950, გვ. 407.

<sup>8</sup> აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ილიას არ ჰქონდა საშუალება, რათა სრულყოფილად გაცნობოდა მარქსისა და მარქსისტების ყველა ნაწარმოებს და იმ იდეური ბრძოლის კურსში ყოფილიყო, რომელიც მარქსიზმის წინააღმდეგ მარქსის სიცოცხლეშივე ფართო მასშტაბებს ღებულობდა; ამიტომაც ზოგიერთი მეცნიერის გაცხოველებული კამათი იმის შესახებ, თუ რატომ არ ამოღლდა ილია მარქსიზმის დონემდე და სხვა ამგვარი, დაუსაბუთებელი და მეცნიერულად მიუღებელი მსჯელობა (ვ. ე.).

<sup>9</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული ტ. III, გვ. 59.



გამოქვეყნდა 1863 წლის იანვრის ნომერში, სათაურით — „საქართველოს მოამბეზე“, იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო ნათარგმნი და რუსულად დაბეჭდილი კ. მარქსის ზემოდასახელებული თხზულება<sup>10</sup>.

როგორც ამ საპროგრამო წერილიდან ვხედავთ, ავტორი მსჯელობს ცხოვრების დიალექტიკურ პროცესებზე. შეიძლება ითქვას, რომ მისი მსჯელობა ეფარდება კ. მარქსის მოსაზრებებს, რომ „ადამიანის ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას“.

კარგად დავაკვირდეთ ილიას სიტყვებს: „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მათზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა, როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევე მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს. აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსული შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოასწევენ სათესლოდ, ისევე ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახლის ცხოვრების გამოსაკვანძავად“. ამ სიტყვებში გარკვეულად ჩანს, რომ ილია ჰავჭავაძე კარგად იცნობს თავისი დროის პროგრესიულ ლიტერატურას და „საქართველოს მოამბის“ სარედაქციო წერილში, თავისი აზრებისა და ცალკეული დებულებების დასასაბუთებლად, შესანიშნავად იყენებს დიალექტიკის კანონებს. იგი დამაჯერებლად წარმოგიდგენს ცხოვრების სინამდვილისაგან ნაკარნახევ კემპარტ დებულებებს, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და მარქსისტულ მოძღვრებასთან ბევრი საერთო აქვთ.

ილიას შრომებში გარკვეულადაა მინიშნებული დიალექტიკური მატერიალიზმის რიგ საკითხებზე. მისი აზრით: ცხოვრება, მსგავსად ბუნებისა ობიექტური რეალობაა, იგი პირველადია, ხოლო ცნობიერება, აზროვნება მეორადი; ცხოვრება განუწყვეტლივ მოძრაობაშია, მუდმივ განვითარებას და ცვალებადობას განიცდის; ცნობიერება სოციალური მოვლენაა და განვითარების ისტორიული პროცესის კანონზომიერების შედეგია და სხვა.

ილია ყურნალის მკითხველებს მოუწოდებს: „დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლებში ცურვასა“ „გაფლარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლოთის ცემასა“ მთვარის ხეწნასა, რომ ჩემ საყვარელს უთხარით: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხვრის კვამლი“ თვალბნასა სწვავს და ცრემლს ადენსო; დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალბნის სრვასა, ეგება ცრემლი მომივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდიანარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა“... და აქვე დასძენს: „ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიკუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ინგლისელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარნი იქნებიან“. ილია ჰავჭავაძე სასტიკად ილაშქრებს მათ წინააღმდეგ; ვინც ხელოვნებას მხოლოდ ხელოვნებისათვის იყენებს და არა ხალხის წინსვლისა და აღორძინებისათვის.

<sup>10</sup> კ. მარქსის წიგნი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ პირველად დაიბეჭდა ბერლინში 1859 წლის აგვისტოში, ხოლო „კაპიტალის“ I ტომი ვერმანულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა 1872 წელს.

„ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, — დასძენს ილია, — რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“<sup>11</sup>.

ისეთ პირებს, რომელიც დათვურ სამსახურს უწევს თავის მოძმე ადამიანებს, ილია „უმეცარს“ უწოდებს: „რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობელად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკულლოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამოთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი — ეგ აშკარაა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ეს ლექსი:

„ჩემზედ ამბობენ: „ის ქართველის სიკუდეს ამბობს,  
ჩვენს ჭუჭყს არ მალავს, — ეგ ხომ ცხადი სიძულილია!“  
ბრიყვნი ამბობენ; კარგი გული კი მაშინვე ჰკრძნობს  
ამ სიძულილში, რაოდენი სიყვარულია“<sup>12</sup>.

ილიას აზრით, ხელოვნება არ უნდა გასცდეს თავის საკუთარ კანონებს და მეცნიერება — ჭეშმარიტებას, არც ერთი და არც მეორე არ უნდა ერიდებოდეს იმის გამოაშკარავებას და გაკიცხვას, რაც საციცხუვი და ცუდია. აგრძელებს რა ამ აზრს, ილია დასძენს: „ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრფევაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება... ლაფი ჩამოვრეცხოთ, ჭუჭყი მოვაშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ“<sup>13</sup>. ილია ბრწყინვალედ აშუქებს ცხოვრებისეულ სინამდვილეს და ამტკიცებს, რომ მისი ჟურნალი — „საქართველოს მოამბე“ — ემსახურება მხოლოდ სამართლიანობის, ქართველი ერის წინსვლისა და აღორძინების კეთილშობილურ საქმეს.

ილია ჭავჭავაძე იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც არ ერიდებოდა გაბატონებული კლასების წარმომადგენლებს, სახელმწიფო აპარატის მოხელეებს და მკაცრად ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ. წერდა პამფლეტებს, სატირულ ლექსებს და ღირსეულად ამათრახებდა ყველას, ვისაც, გარდა პირადი ბედნიერებისა, სამშობლო და ქართველი ერის კეთილდღეობა არაფრად მიაჩნდა. ამ მხრივ საინტერესოა ილიას ეპიგრამა-გამოცანები მისი დროის „ძლიერთა ამა ქვეყნისათა ქართველთა შორის“. რომლის შესახებ ილია თავის უახლოეს მეგობარს დავით ერისთავს სწერდა იმ აუცილებლობაზე, რათა ზემოხსენებული ეპიგრამა-გამოცანები ხალხში გაეცრელებინა, მასებისათვის გაეცნო, ხოლო იმ დროის საცენზურო პირობების გამო ამ ეპიგრამების დასტამბვა შეუძლებელი იყო. ილია სწერს: „დათიკო! გიგზავნი გამოცანებს, რომ წაიკითხავ და დააკვირდები, მგონი მიხვდები ვინც არიან აწერილნი... ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ, ჩვენდა სამტროდ „ისინი“ ყველაფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი ბრტყვანად აღარ ეღირება“<sup>14</sup>.

<sup>11</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 62, 68—69.

<sup>12</sup> ი. ჭავჭავაძის უსათურო ლექსის — „ჩემო კლამოს...“ ბოლო ტაქვი.

<sup>13</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III, გვ. 69-70.

<sup>14</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. X გვ. 33.

როგორც ცნობილია, გამოცანები კარგად ასახვენ იმ დროის მაღალ თანამდებობის პირთა არა მარტო პორტრეტულ სახეს, არამედ მათს უსამართლო მოქმედებას, ცრუ პატრიოტიზმს, ქართული ერისადმი მოჩვენებითს ერთგულებას, პირად ბედნიერებაზე ზრუნვასა და კარიერიზმს; ააშკარავებდა იმათ, რომლებსაც სამშობლო და ქართველი ხალხი, — ილიას გამოთქმით, — „ფეხებზედ ჰკიდიათ“. გრიგოლ ყიფშიძე გადმოგვცემს, რომ ილია არ შეუშინდა ძლიერთა რისხვას, მათ მტრობას და ისეთ უკიდურეს ღონეს მიჰპართა, როგორც არის მახილებელი ეპიგრამა-გამოცანების უშუალოდ ხალხში გავრცელება. თუ ვინ იყვნენ ილიას გამოცანების პერსონაჟები, ამის შესახებ განმარტებას იძლევა ილიას თანამედროვე ასიკო ერისთავი<sup>15</sup>.

ნიკო ნიკოლაძის გადმოცემით, უშუალო მიზეზი ამ გამოცანების დაწერისა ყოფილა ქართველი თავდაზნაურობის კამაროლის შეუფერებელი საქციელი 1871 წელს საქართველოში იმპერატორის ჩამოსვლის დროს. თავდაზნაურობა ამზადებდა ადრესს იმპერატორისათვის მისართმევად. ყრილობამ, რომელიც საგანგებოდ იყო მოწვეული, დაადგინა („თერგდალეულთა“ ჯგუფის გავლენით) მოეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნა თბილისში. ამის შესახებ შედგენილი იქნა სათანადო მიმართვა, მაგრამ თავდაზნაურობის მარშალმა რევაზ ანდრონიკაშვილმა (მეფისნაცვლისა, ბარონ ნიკოლაისა და თავდაზნაურთა რეაქციული ჯგუფის სურვილის თანახმად) „გვერდი აუარა ამ დადგენილებას და ნაცვლად უნივერსიტეტისა კადეტთა კორპუსის გახსნა მოითხოვა თბილისში...“<sup>16</sup> ამ გარემოებას დიდად აღუშფოთებია ილია ჭავჭავაძე და გამოცანებში დაუხასიათებია თითოეული მათგანი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქართველი ერის საზიანოდ ადრესის შედგენა-შემუშავებაში.

ილია ჭავჭავაძის პამფლეტში გამოყვანილი პირები არიან: რევაზ ანდრონიკაშვილი — თავდაზნაურთა მარშალი; გიორგი მუხრანბატონი — სენატორი და სახელმწიფო საბჭოს წევრი; ივანე მუხრანბატონი — ყოფილი გენერალი; პლატონ იოსელიანი — ისტორიკოსი; დიმიტრი ჭორჭაძე — კავკასიის მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი; იასე ჭავჭავაძე — გუბერნიის სამმართველოს წევრი; გრიგოლ ორბელიანი — მეფის ნაცვლის მოადგილე; მიხეილ ლორის მელიქოვი — თერგის ოლქის უფროსი; ლევან მელიქიშვილი — გენერალი, დაღესტნის ოლქის უფროსი; იოსებ თარხნიშვილი — გენერალ-ადიუტანტი და სხვანი.

რაც შეეხება გიორგი მუხრანბატონს, იგი რეაქციის მეტად თვლსაჩინო წარმომადგენელი იყო. გიორგი მუხრანბატონმა 1872 წელს ერთი უხამსი წერილი დაწერა, რომლის სათაურია „О состоянии крупных единиц“. ამ წერილში მუხრანბატონი ამტკიცებდა, რომ აუცილებელია პატარა ერის ასიმილაცია დიდ ერთანო. ეს წერილი რუსეთის იმპერატორის სამეხლად დაიწერა და მასში მთლიანად გათელილი იყო ქართველი ერის ღირსება, იგი მიმართული იყო ეროვნული თვითშეგნების ჩასახშობად. ამ წერილს მაშინვე გამოეპასუხა ილია ჭავჭავაძე სატირული ლექსით — „რჩევა“, რომლითაც ღირსეული პასუხი გასცა ამ უხამსი ქმნილების გამოქვეყნებას. გიორგი მუხრანბატონის გამოხდომით აღშფოთებული ილია ასე მიმართავს მას:

„მერმე ბრძნობით შეიმოსე  
 დიდთა უკმე, სხვათ არა,

<sup>15</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. 1914, გვ. 13.

<sup>16</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. I, 1951, გვ. 388.



და იქადაგე: — „წესია,  
რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა“.  
ამა წესის სამართლისა  
შენ საბუთი ვინც მოგთხოვოს,  
— ჯერ ევრე-თქო, დამიჯერეთ,  
საბუთი-თქო მერე იყოს“.

ილიას ოფიციალური გამოსვლა, როგორც დენტთან ნაპერწკალი ისეთი ძალის მქონე აღმოჩნდა. უსაზღვრო იყო ქართველი მოწინავე საზოგადოების აღშფოთება და გიორგი მუხრანბატონის საქციელი სასტიკად დაიგმო<sup>17</sup>. ილია ჭავჭავაძეს ასეთი ხასიათის ლექსი სხვაც ბევრი აქვს, მაგრამ ჩვენ აქ მუხრანბატონზე მხოლოდ იმიტომ შევჩერდით, რომ გიორგი მუხრანბატონი იმ დროს წარმოადგენდა მეფის რუსეთის დიდ მოხელეს, სენატორისა და სახელმწიფო საბჭოს წევრის საჯაროდ ასეთი ვაკიცხვა არც ისე ადვილი საქმე იყო, ამის გაბედევა მხოლოდ ისეთი მაღალი ზნეობრივი პრინციპების მქონე ადამიანს შეეძლო, როგორიც ილია იყო.

ილია ჭავჭავაძის აზრით, — ცხოვრება ობიექტური სინამდვილეა და იგი ვითარდება ადამიანისაგან დამოუკიდებლად, ბუნებისაგან დაწესებული კანონებით. ეს კანონები გარდაუვალია და საზოგადოება მას უნდა დაემორჩილოს და შეუფარდოს ყველა თავისი ქცევა თუ მოქმედება. „ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველისათვის, — დასძენს ილია „საქართველოს მოამბის“ ეპილოგში, — რომ ცხოვრება თვით რჯულია (რჯულს ილია კანონის გაგებით ხმარობს, ვ. ჟ.), იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცის მოგონილ რიკრიკაზედ... რომ მეცნიერება და ხელოვნება, — იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის“. ილია აქ და რიც სხვა წერილებში გარკვეულად მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ბაზისია, ხოლო მეცნიერება და ხელოვნება მასზედ აღმოცენებული ზედნაშენი. „იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის“<sup>18</sup>, ამავე დროს ხელს უწყობენ თვით ცხოვრების წინსვლასა და აღორძინებას. ილია „ცხოვრებაში“ გულისხმობს ადამიანთა ყოფიერებას მის ეკონომიურ და სულიერ ცხოვრებას; ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას მატერიალურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროში, რომლებიც მხოლოდ პროგრესს უნდა ემსახურებოდნენ და მიმართულნი უნდა იყვნენ ხალხის საკეთილდღეოდ.

ილია ჰკიცხავს ყოველ უსამართლო მოქმედებას და აღშფოთებულია იმით, რომ ზოგი უღირსი თანამედრობის პირი არ ერიდება მშრომელი ხალხისა და ქართველი ერის წინააღმდეგ მოქმედებას, ყოველი ღონით ცდილობს საქართველოს წინსვლისა და აღორძინების შეფერხებას. მაგალითად ნიკო ნიკოლაძის აზრით, ილია არის სიახლის შემომტანი და მას ხელში მტკიცედ უკავია სამართლიანობისა და სიკეთის მომტანი „მომავლის დროში“, რაც დაამტკიცა კიდევ საზოგადოებრივ სარბიელზე გამოსვლისთანავე: „1863 წ. ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა; ვის არ ახსოვს ეს წელიწადი,

<sup>17</sup> ამ ბროშურის შესახებ ილია დუშეთიდან 1872 წ. 30 აგვისტოს სწერდა პ. უმიკაშვილს: „მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე... მაგ ბროშურის პასუხად აი რა დავწერე და გთხოვ „დროებაში“ დააბეჭდინო“. ილიას ლექსი — „რჩევა“ დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ 1872 წ. 8 სექტემბერს (ვ. ჟ.).

<sup>18</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 71.

როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება თავის უწინდელ კალაპოტს ცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა. ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, არ აპირებდა, მაგრამ მაინც უნდა შესულიყო და როცა მეორე მხრით, ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობისა — ესე იგი ახალი ცხოვრების და ძველი კაცობის, ესე იგი ძველს წესს და სჯულს შუა... ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს... იგი წინ მიუძღვოდა ახალ თაობას უკეთესი მერმისისაკენ, „ქადაგებდა საზოგადო საქმისა და სიკეთისათვის შრომას, თავის დადებას“<sup>19</sup>.

ილია სამართლიანობის პრობლემას შეეხო მრავალ წერილში და პუბლიცისტურ სტატიაში, ამ საკითხებზე განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება მის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებისადმი მიძღვნილ შრომებში, რაც წერილებში ავტორი ეხება იმ ადამიანების ყოფას, რომლებიც იჩაგრებიან მეფის მოხელეებისაგან, სახელმწიფო დაწესებულებათა ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებით, ცალკეული უსინდისო ადამიანების ანგარებით გამოწვეული უსამართლო და ძალმომრეობითი საქმიანობით. იგი მუდამ დაჩაგრულთა ქომაგად გამოდის და ყოველთვის იცავს მშრომელი და პატიოსანი ადამიანების ინტერესებს. ამის მაგალითად, მრავალთა შორის, საკმარისია დავძეს... იგი წინ მიუძღვოდა ახალ თაობას უკეთესი მერმისისაკენ. ქადაგებდა საქმე“ და ბევრი სხვა.

სტატიაში „ჩვენი გლახობა და ტყეებით სარგებლობის საქმე“ ავტორი ეხება გლახობის აუტანელ გაჭირვებას და უმწეო მდგომარეობას. ტყე დღიად სჭირდება გლახკაცს შემოსათვის, ფიჩხისათვის, საშენ მასალისათვის და სხვა, რის გამოც „უმთავრესი მიზეზი ჩვენის გლახკაცობის ჩივილისა და დრტვინვისა, — ამბობს ილია, — სახელმწიფო ტყეების გამგეობაა. ყოველი მხრიდან ისმის, რომ სახელმწიფო ტყეების გამგეობისაგან ხალხს არაქათი აქვს გაწყვეტილი. თუ ხალხი გულნატყენია, თუ ხალხი ჩივის და დრტვინავს, ეს ყოველი ტყის მცველების ბრალია, რომელთა დაუსჯელად ხალხს ტყავს აძრობენ ტყის ხმარების აუცილებლობის გამო... სწორედ ეს ტყის გამგეობა ტყის ხელისუფალთა გამდიდრებისათვის შეიქმნა და გლეხის განადგურებისათვის. შჩივიან, კენესიან ტყისმცველთა ბოროტმოქმედებისაგან, მაგრამ გამკითხავი არავინ არის... ერთი ურემი ფიჩხი, რომ უნდოდეს, სამს ცეცხლში უნდა გამოიაროს საწყალმა გლეხმა: ეს „ლესნიჩიო“, ეს „ობიესჩიკიო“, ეს „პოლესოვჩიკიო“... ილია აქვე მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ტყეების გამგეობა ისეა ყველგან მოწყობილი, რომ საგნად სამი რამ აქვთ: 1) ტყეების წესიერად მოხმარება და საბოლოოდ გამოზოგვა; 2) ტყეებიდან ჭეროვანი შემოსავალი ხაზინის სასარგებლოდ და 3) სამართლიანი, გაუჭირვებელი ტყით სარგებლობა მცხოვრებთათვის, — ჩვენში კი, ანგარებასა და ბოროტმოქმედებასა აქვს ადგილი, — როდის უნდა მოედოს ბოლო ამ ბოროტმოქმედებას, რომელიც ასე ძმარს ადენს ცხვირიდან საწყალ გლახობას და თავის გაჩენის დღეს აწყევლინებს... მეტყვევნი კი ნავარდობენ და გლეხის ცრემლით და ოფლით ანგარების წყურვილს იკლავენ“<sup>20</sup>. ილია მოითხოვს: გადამჭრელი ზომები იყოს მიღებული და ბოლო მოედოს, ტყეების მცველთა ამ ყოვლად შემაზარებელ, ყოვლად შემაწუხებელსა და ყოვლად მოუტყეველ თვითნებობას.

<sup>19</sup> ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. III, 1963, გვ. 58-60.

<sup>20</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. VIII, 1957, გვ. 197—199.

რაც შეეხება „ავლაბრელების საქმეს“, პირველმა ილიამ აღიმალა ხმა საზოგადოების იმ ნაწილის დასაცავად, რომელიც უსამართლოდ იჩაგრებოდა ქალაქის გამგეობის უკანონო მოქმედებით. ილიამ სასტიკად გააკიცხა ქალაქის გამგეობა, რომელმაც დაარღვია არა მარტო სამართლობრივი ნორმები, თვით ცხოვრებით ნაკარანახევი კანონებიც კი. ყოველივე ეს ილია ჭავჭავაძეს მიუღებლად მიაჩნია და უსაბუთებს ქალაქის გამგეობას, რომ სიმართლე 332 სულისაგან შემდგარ სომეხთა ამხანაგობის მხარეზეა და გამგეობას არა აქვს უფლება ანგარიში არ გაუწიოს ამ საწყალ ხალხს და მათი ყოფილი ავლაბრის მამული იჯარით გადასცეს ვიღაც ახნაზაროვებსა და ქიშიშიშოვს. ახნაზაროვებს და ქიშიშიშოვს მამულები იმიტომ დარჩათ, რომ საჯარო ვაჭრობა უკანონოდ იყო ორგანიზებული, მამულების ფაქტიური მეპატრონეები თავისი უფლების განხორციელებაში შეზღუდულნი იყვნენ, დანტერესებული მხარის მიერ გამოყენებული იქნა ბიუროკრატიული აპარატის ყველა თაღლითური მეთოდი, რაც შედეგადაც ვაჭრობას ახნაზაროვები და ქიშიშიშოვები განაგებდნენ, — რაც არასწორი და უსამართლო იყო. ილია აღშფოთებით აღნიშნავს: „იმპერატორის — ალექსანდრე II წესდებას განსამართლებსას წაიკითხავთ, თუ X ტომის კანონებს, თუ ცალკე დაწესებულებათა წესდებას, მაგალითებრ, ბანკებისას, საქალაქო საკრედიტო საზოგადოებისას, — ყველგან ცხადად გამოთქმულია, რომ, რაკი საჯარო ვაჭრობაა რისამე, უსათუოდ ორი ერთმანეთის მოცილე მხარე უნდა დაესწროს. უიმისოდ, ესე იგი, თუ მარტო ერთი მხარეა და სხვა მოცილე არ არის, საჯარო ვაჭრობა არ შეიძლება მოხდეს“<sup>21</sup>.

ილია ქალაქის გამგეობას ლოგიკური თანმიმდევრობით უსაბუთებს უკანონო მოქმედებას და გულმოდგინედ იცავს ქალაქის მკვიდრ მოქალაქეთა უფლებას: „დავანებოთ ამასაც თავი. ვთქვათ, გამგეობისა და საბჭოსათვის ზოგადი კანონი არ არსებობს, ლოლიკა ხომ უსათუოდ უნდა არსებობდეს! ლოლიკით რომ ჩხრეკა დაეუწყოთ საჯარო ვაჭრობასა, არასჯობით არ შეიწყნარება იგი ვაჭრობა, რომელზედაც მარტო ერთი მხარეა მოსული. რა არის საჯარო ვაჭრობაში პირველი და უკანასკნელი საკითხავია თუ არა ის რომ: „რომელი იძლევიტ მეტს?“ ანუ რუსულად „Кто больше“. ეს საკითხავი შესაძლოა ვანა ლოლიკის დაურღვევლად კაცმა მარტო ერთს კაცს მიჰმართოს, ანუ ერთს მხარეს?.. ჯერ მარტო ამ საბუთით უნდა საბჭოს გაეუქმებინა 26-ს აპრილს<sup>22</sup> იჯარა ახნაზაროვებისა და ქიშიშიშოვისა როგორც უკანონო ვაჭრობით გარდაცემული, თუნდ იმისდა მიუხედავადაც, რომ აქ ავლაბრელების მხრით თვითონ სიმართლე ღალატდებდა“. ილია აზრს ასე ამთავრებს: „არსებითად, თუ სინდისიერ სიმართლით, თუ ეკონომიურის მხრით, თუ მკვიდრთა რიცხვის მიხედვით, ქალაქის საბჭოს ეგ ახნაზაროვების და ქიშიშიშოვის იჯარა უნდა გაეუქმებინა 26 აპრილს, და პირიქით კი ყოველივე რიგი და წესი, ჩვენის ფიქრით, დარღვეულ იქმნა, რომ ეგ იჯარა ახნაზაროვებს და ქიშიშიშოვს შერჩენოდა. ფორმა, წესი და რიგი დაირღვა იმისათვის, რომ არსებითად მართალმა საქმემ თავი არ გაიტანოს“<sup>23</sup>.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძემ კანონის ძალითაც და ლოგიკის მოთხოვნითაც დაუსაბუთა ქალაქის გამგეობასა და ქალაქის საბჭოსაც ავლაბრელების კანონიერი უფლება მათი ყოფილი მამულების თაობაზე და ბოლომდე ამხილა ის უსამართლობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა.

<sup>21</sup> ი. ჭავჭავაძე, — თხზ. სრული კრებული, ტ. VIII, 1957, გვ. 47—49.

<sup>22</sup> ავლაბრელების საკითხი გადაწყდა 1887 წლის, 26 აპრილს, ვ. ე.

<sup>23</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. VIII, 1957, გვ. 49—50, 52.



„შინაურ მიმოხილვაში“ და სხვა პუბლიცისტურ სტატიებში ილია იხილავს რუსეთისა და სხვა სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობას და აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნებს სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ. ისტორიული მოვლენების დრმა ანალიზით ილია ადასტურებს, რომ იმპერიალიზმის ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია ძლიერ სახელმწიფოთა მიერ მსოფლიოს გადანაწილება, სუსტი სახელმწიფოთა და ხალხების დაპყრობა და რომ ამ უსამართლო საერთაშორისო ურთიერთობაში რუსეთის იმპერიალიზმი ყოველთვის აქტიურად იყო ჩაბმული<sup>24</sup>.

სამართლიანობის პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით მეტად საინტერესო აზრებია გამოთქმული მიმოწერაში, რომელიც ილიას ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმესთან. ამ წერილში მხილებულია რუსეთის შავრახმული პოლიტიკა, რომელსაც იგი განუხრელად ატარებდა მცირე ერებისადმი და, კერძოდ, ქართველი ხალხისადმი. რუსეთი თავის პოლიტიკას ადვილად ახორციელებდა ბიუროკრატული სახელმწიფო აპარატით, უეციო და მექრთამე ჩინოვნიკებით და „ინოვაციებისათვის“ შემოღებული კანონ-წყობებით. „ჩემს თავს უფლებას მივცემ მივუთითო ზოგიერთ ფაქტებზე — წერს ილია სერაფიმეს, — კანონის წინაშე თანასწორობის დარღვევაზე, რასაკვირველია არა ჩვენ ქართველთა სასარგებლოდ“<sup>25</sup>. ილიას მოჰყავს მაგალითები კანონის შეუსაბამობისა, როდესაც ერთი და იგივე ქმედებისათვის ქართველს სიკვდილით დასჯა განესაზღვრებოდა, რუსს კი უფრო მსუბუქი სასჯელი; რა მდგომარეობაში იყო ჩაყენებული ქართული ენა მისივე სამშობლოში და რიგი სხვა მწვავე სოციალური საკითხები.

ცნობილია ილიას დამოკიდებულება სიკვდილით დასჯის საკითხისადმი; ილია კანონს სიკვდილით დასჯის შესახებ მიიჩნევდა უსამართლობისა და კაცთმომძლეობის ყველაზე სრულყოფილ გამოხატულებად და თავგამოდებით იბრძოდა მისი გაუქმებისათვის<sup>26</sup>.

ილიას რიგი გამოკვლევებისა და პუბლიცისტური წერილებისა ეხება ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებული გლეხობის მიწით უზრუნველყოფის აუცილებლობის საკითხს, საკითხს რომელიც რეფორმამ მშრომელი გლეხობის საზიანოდ გადაწყვიტა. ილია წლების განმავლობაში იბრძოდა იმ უსამართლობის აღმოსაფხვრელად, რომელიც იყო გლეხების უმიწოდ განთავისუფლება, ფაქტიურად მათი ყოფილ მეზატონეთა, სოფლის და ქალაქის კაპიტალისტურ ელემენტებზე — ჩარჩ-ვაჭრებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში დატოვების გამო<sup>27</sup>.

დიდი ჰუმანისტი ერისთავის განუსაზღვრელად თავდადებული ი. ჭავჭავაძე სამართლიანობის საკითხების გადაწყვეტის დროს გამომდინარეობდა იმ მაღალი ზნეობრივი პრინციპებიდან, რომლებიც გამოიმუშავა კაცობრიობამ საუ-

<sup>24</sup> ამ საკითხზე იხილეთ ჩვენი გამოკვლევა „ი. ჭავჭავაძე და საერთაშორისო საკითხები“ საქ. სსრ აკადემიის ჟურნალი „მაცნე“, № 2, 1971, გვ. 7.

<sup>25</sup> იხ. ქუ რ ნ ა ლ ი „მნათობი“, 1957, № 9, გვ. 153—158.

<sup>26</sup> ამ საკითხზე იხილეთ ჩვენი წერილი „ილია ჭავჭავაძის ბრძოლა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ“ ჟურნ. „მნათობი“, № 8, გვ. 108—109, 1970.

<sup>27</sup> ამ საკითხზე დეტალურად იხილეთ ჩვენი წერილები: „ი. ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილი“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 5, 1968; „ილიას ერთი წერილის გამო“, ჟურნ. „მნათობი“, 1969, № 1. „ი. ჭავჭავაძის იურიდიული ხასიათის წერილები“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 6, 1969. და სხვა.



კუნეების განმავლობაში და რომელთა დაცვის გარეშე ადამიანს არსებობა ცივილიზებულ სამყაროში ილიასათვის წარმოუდგენელი იყო.

ილიას მიერ წამოყენებული თეორიული დებულებები დადასტურებას ნახულობენ მის პრაქტიკულ საქმიანობაში და, განსაკუთრებით მოღვაწეობაში, რომელიც საკუთრივ მართლმსაჯულების ორგანოებში მისს საქმიანობას ეხება.

მწერალი თავის მრწამსს, პოლიტიკურ ტენდენციებს მხატვრულ ნაწარმოებში უფრო ადვილად გადმოსცემს, ვიდრე საზოგადოებრივ მოღვაწეობაში თუ თავისი ცალკეული ნაზრევის ოფიციალურად წარმოდგენის დროს, რადგან მისი ასპარეზი აქ უფრო ფართო და განუსაზღვრელია. ჩვენ ამაში ადვილად ვრწმუნდებით, თვით ილიას მაგალითზე. ილია სამართლიანობისათვის მებრძოლია თავისი მხატვრული ნაწარმოებებით. მისი დიდი სიმპათიები ვაზროსა და პეპიასადმი, სოფლიდან გახიზნული მუშისადმი და ყოველთვის სიმართლის მამებარ ოთარაანთ ქვრივისადმი, ამის ნათელი დადასტურებაა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)





М. Г. УГРЕХЕЛИДЗЕ

## СОЦИАЛЬНО-ЭТИЧЕСКАЯ ПРИРОДА НЕОСТОРОЖНОЙ ВИНЫ

1. Психологическая сторона неосторожности заключается в активности человека на таком уровне психической жизни, где направленность и содержание действия определяются импульсивной установкой<sup>1</sup>. Вместе с тем, поскольку неосторожность признается одним из видов вины, — а вина прежде всего категория социально-этическая, — необходимо выяснить, на чем основана отрицательная социально-этическая оценка деяния, совершенного по неосторожности.

2. По социалистическому уголовному праву, одним из основных моментов, характеризующих психическое состояние лица, действующего по неосторожности, является возможность предвидения общественно опасных последствий совершенного деяния. Согласно статье 9 «Основ уголовного законодательства Союза ССР и союзных республик», «преступление признается совершенным по неосторожности, если лицо, его совершившее, предвидело возможность наступления общественно опасных последствий своего действия или бездействия, но легкомысленно рассчитывало на их предотвращение, либо не предвидело возможности наступления таких последствий, хотя должно было и могло их предвидеть». В приведенном законодательном определении неосторожности содержится прямое указание на «возможность предвидения общественно опасных последствий» как на необходимый признак небрежности. Однако из этого определения не совсем ясно, характерна ли такая «возможность предвидения» и для самонадеянности?

Если в ст. 9 «Основ» вкладывать лишь тот смысл, что при самонадеянности лицо предвидит общественно опасные последствия своего деяния, то логически уже не может идти и речи о возможности такого предвидения. Между тем, в самый момент совершения деяния по самонадеянности, лицо не предвидит возможность наступления в данном случае вредных последствий своего поведения, что подтверждается и следующими словами закона: «легкомысленно рассчитывало на их предотвращение». Поэтому, следует согласиться с теми криминалистами, которые признают «возможности предвидения» одинаково относят как к небрежности, так и к самонадеянности<sup>2</sup>. «Возможность предвидения», о которой здесь идет речь, определяется реальным психическим отно-

<sup>1</sup> См. М. Г. Угрехелидзе. К вопросу о психологической природе неосторожности, «Мацне» (Вестник), серия философии, психологии, экономики и права, 1972, № 4, стр. 170—187.

<sup>2</sup> См. В. Г. Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 21; П. С. Дагель. Проблемы вины в советском уголовном праве. «Ученые записки Дальневосточного государственного университета», Владивосток, 1968, выпуск 21, ч. I, стр. 105; Н. Манчев. Вина в наказательном праве, София, Издательство на Българската Академия на науките, 1969, стр. 241.



шением<sup>3</sup>, составляющим психологическую сторону неосторожности. Следовательно, при обосновании этой возможности следует исходить опять-таки из природы и закономерностей вышеуказанного психического отклонения.

3. Как мы уже отмечали, преступление, совершенное по неосторожности, предполагает активность, протекающую на первом уровне психической жизни человека, т. е. — на уровне установки. Поэтому содержание и направленность этой активности определяются целиком установкой. Между тем, установка к определенному поведению не есть нечто неотвратимое, предопределяющее неизбежное осуществление этого поведения. В отличие от животного, человек обладает способностью психической активности и на втором уровне духовной жизни — на уровне объективации. Это означает, что человек способен переключить свою психическую активность с первичной установки на установку, в формировании которой принимают участие специфически человеческие функции психики — интеллект и воля. Именно благодаря этому человек является социальным существом, которое может сознательно и целенаправленно осуществлять свою деятельность в соответствии с социальными запросами общества (моральными, правовыми), а также — с индивидуальными духовными потребностями, являющимися, со своей стороны, продуктом социального воспитания.

Весь сложный механизм отказа от первичной установки и переключения активности на высший уровень психической жизни, где можно было бы направить поведение по социальному руслу, обеспечивается специфически человеческой способностью — способностью объективации. Как указывает А. С. Прангишвили, «акт объективации — это психологический механизм, дающий возможность «отказаться» от действия на основе активизированных, фиксированных или импульсивных установок и действовать через осознание своего отношения к происходящему»<sup>4</sup>. «Объективация и мышление, — пишет Д. Н. Узнадзе, — потому и возникают в условиях общественной жизни человека, что они дают ему возможность объективно правильного разрешения задачи и безошибочного приспособления к требованиям окружающей действительности. Мы могли бы сказать, что объективация как продукт общественных условий существования человека предоставляет ему возможность не индивидуальной, но социально направленной активности. Она дает ему возможность направления своей деятельности на основе объективно обоснованных, правильных положений: объективация обеспечивает человеку возможность познания истины. Поэтому мы можем утверждать, что человек стал творческим субъектом, преобразующим этот мир в направлении занимающих его задач, человек стал строителем культуры лишь после того, как он стал, на базе объективации, мыслящим и — далее — волевым существом»<sup>5</sup>.

Из цитированных положений советской психологии вытекает весьма важный с точки зрения этики и права вывод, что человек как существо, обладающее специфической способностью объективации,

<sup>3</sup> См. К. Лютов, Рецензия на книгу В. Г. Макашвили, «Уголовная ответственность аз неосторожность», Госюриздат, 1957, «Правна мысль», 1958, № 3, стр. 121.

<sup>4</sup> А. С. Прангишвили, Исследования по психологии установки, Тб., 1967, стр. 74.

<sup>5</sup> Д. Н. Узнадзе, Экспериментальные основы психологии установки, Тб., 1961, стр. 198.

может отвечать и за такие общественно опасные поступки и их вредные последствия, которые не были им предусмотрены, ибо он способен безошибочно приспосабливаться к требованиям общественной жизни. Это позволяет в каждом отдельном случае причинения вреда по невнимательности поставить вопрос о моральном и правовом порицании невнимательно действующего субъекта, но не более. Дело в том, что хотя каждый психически нормальный человек обладает способностью объективации, но это не означает, что в любой момент своей деятельности человек может беспрепятственно применять эту способность. Бывают случаи, когда под сильным влиянием сложной, необычной ситуации (состояния необходимой обороны или крайней необходимости, потрясения психики, вызванные землетрясением, наводнением, пожаром и т. п.) или же различных психо-физиологических факторов (переутомление, внезапная болезнь, обморок и т. д.) человек оказывается во власти установочного состояния, мешающего ему полноценно объективировать свое поведение и безошибочно ориентироваться в окружающей действительности, что и приводит к нежелательным последствиям. В этих случаях, подпадающих под категорию, именуемую в юридической литературе *casus-ом*, хотя и предполагается психическая активность субъекта без участия внимания, на уровне установки, однако он лишен возможности высвободиться от установочного состояния и построить деятельность с учетом мысленно представленных результатов желаемого поведения. Следовательно, снимается вопрос о моральной порицаемости лица в таких случаях и вина исключается. Случаи, когда по тем или иным причинам человек лишен нормальной способности объективировать свое поведение, сравнительно редки. Преобладающая часть практической деятельности человека протекает в благоприятных для объективации условиях.

თუკი ბუნებრივი ბგერები ვენებებს გამოხატავს, რა თქმა უნდა, ისინი ყოველნაირ გრძნობასაც მოგვეკვრიან! ვინ იქნება ისეთი, ვისაც გულს არ აუჩუ-



ყებს ეს ოხ, წარმოქმნილი ტანჯვით ათრთოლებული მსხვერპლის მიერ, ან მო-  
მაკვდავის გმინვა, თუნდაც ცხოველისა, მთელი სხეულით რომ გამოხატავს  
თავის ვაებას? ვინ იქნება ასეთი გულქვა ბარბაროსი? რაც უფრო ჰარმონიულია  
ცხოველთა შორის გაბმული მგრძნობიარე სიმები, მით უფრო მეტად თანა-  
უგრძნობენ ისინი ერთმანეთს, ერთდროულად იძაბება მათი ნერვები, ერთ ხმას  
გამოსცემს მათი გულები, თითქოს მექანიკურია მათი თანაგრძნობა. რა ნაწართო-  
ბი უნდა იყოს ადამიანის ნერვები და რა ძალის მქონე საკუთარ გრძნობათა  
ჩასახშობად, რომ ყრუ და უგრძნობელი გახდეს! დიდრო? ფიქრობს: ბრმად გა-  
ჩენილი თვალილულზე ნაკლებად უნდა განიცდიდეს ცხოველის ტანჯვასა და  
ოხვრას. მე მიმაჩნია, რომ ზოგჯერ საპირისპიროც ხდება. მართალია, ბრმა ვერ  
ხედავს საბრალო და მთრთოლვარე არსების ამაღლეველ სურათს; მაგრამ  
ზოგჯერ ასეც ხდება: დაუნახაობა იწვევს სმენის ნაკლებ დაფანტვასა და უფრო  
მეტად გამახვილებას; ბრმა ყურს უგდებს თავისი მარადიული წყვილიადის სი-  
ჩუმეში დარჩეულ კვნესას და საბრალო ხმა ლახვარივით ესობა გულში! და თუ  
ბრმა ხელის შეხებითაც მოსინჯავს მთრთოლვარე სხეულს, თუ იგრძნობს განა-  
წამები სხეულის რღვევას, მის სხეულსაც დაუფლის ძრწოლა და ტკივილი, მისი  
ნერვებიც ასეთივე რღვევითა და კრუნჩხვით გაეხმაურება ცხოველისას, მასაც  
აღმოვლდება სასიკვდილო გმინვა. ასე კრავს ბუნების ენა ბუნების შვილებს.

განათლებულ თუ გაუნათლებელ ევროპელებს მუდამ გულს ხედებოდათ  
ველურთა უხეში ბგერები, რითაც ისინი თავიანთ გულისტკივილსა და სათხო-  
ვარს გამოხატავდნენ... დღესაც, როცა გონება ხშირად გრძნობას დევნის, ხოლო  
საზოგადოების ხელოვნური ენა — ბუნების ბგერებს, განა ბუნების ენას არ  
გვაახლოებს მჭევრმეტყველების შეუჩერებელი ნიაღვარი თუ პოეზიის უძლი-  
ერესი ზემოქმედება? რა არის ის, რაც თავშეყრილ ხალხს ასე ალაფრთოვა-  
ნებს, გულში ჩასწვდება და სულს აღუგზნებს? ქადაგებანი და მეტაფიზიკა?  
შედარებანი და ხატოვანი თქმები? ხელოვნება და ცივი განსჯა? ესენი თუმცა  
ბგერის შემძლეა, მაგრამ თავბრულამხვევ ალტაცებას იწვევს ესა თუ ის ბგე-  
რა, ჟესტი, მელოდიის მარტივი რიტმები, უცარი მობრუნება, მოძრაობა ხმა და  
კიდევ რამდენი რამ. ბავშვებსა, მგრძნობიარე არსებებსა, ქალებსა, ავადმყო-  
ფებსა, მარტოსულებსა და დაღვრემილებზე მათი მოქმედების ძალა ათასჯერ  
უფრო მეტია, ვინემ ქეშმარიტებისა, თუნდაც მისი წყნარი და ნაზი ხმა ციდან  
დარჩეულიყო... სიტყვა ჩაივლის, განცდის ხმა კი შემოგვრჩება, გაურკვეველი  
გრძნობა შეგვიბყრობს და უდარდელ კაცსაც ჟრჟოლას მოჰგვრის ბავშვობის  
ხმათა გაგონება. მჭევრმეტყველისა და პოეტის ჯადოსნური ძალა კვლავ ბავ-  
შვებად გადაგვაქცევს. ამ ძალის საფუძველი არც აზრია და არც დაფიქრება,  
მარტოოდენ — წმინდა ბუნების კანონი: ჩვენი გრძნობის გარკვეულმა ბგერამ  
ასევე უნდა განაწყოს თანამგრძნობი არსებაც!

✗ თუ გრძნობათა ამ უშუალო ბგერებს ენას ვუწოდებთ, მისი წარმოშობა სავ-  
სებით ბუნებრივად მიმაჩნია. იგი არათუ არ არის ზეადამიანური, არამედ, უდა-  
ვოდ, ცხოველურია. აქ მოქმედებს მგრძნობიარე მექანიზმის ბუნებრივი კანონი.

✗ მე ვერ დავფარავ ჩემს გაცეხებას იმით, რომ ფილოსოფოსებს, ე. ი. ცხადი  
ცნებების მაძიებელ ხალხს, საერთოდ, თავში მოუვიდათ ემოციური შეძახილე-  
ბით აეხსნათ ადამიანური ენის წარმომავლობა. განა ძნელი მისახვედრია, რომ  
ენა სულ სხვა რამეა? აბა რომელი ცხოველია, მუნჯი თევზების გამოკლებით,

<sup>7</sup> Lettre sur les aveugles à l'usage de ceux qui voyent etc.

რომ თავის შეგრძნებას ხმით არ გამოსცემდეს. მიუხედავად ამისა, არც ერთ მათგანს, მათ შორის ყველაზე სრულყოფილსაც კი, არ ატყვია ენის რაიმე ნიშანწყალი. ეს ხმები შეგვიძლია ნებისმიერად შევცვალოთ, დავხვეწოთ და მოვაწესრიგოთ. მაგრამ თუ არ არის გონება, რომელიც ამ ბგერას გარკვეული მიზნით მოიხმარს, გაუგებარია, როგორ უნდა წარმოქმნილიყო ადამიანის ენა ბუნების ზემოთნახსენები კანონის მიხედვით. ზავეშვიცი ასე არ არის? ისიც ბგერით გადმოსცემს თავის შეგრძნებას. მაგრამ ის ენა, რასაც იგი უფროსებისაგან სწავლობს, სრულიად განსხვავდება ამ ბგერებისაგან.<sup>4</sup>

იგივე იტქმის აბატ კონდილიაკის<sup>5</sup> შესახებაც. იგი ან თავისი წიგნის პირველივე გვერდიდან ენას უკვე წარმოქმნილად თვლის, ან თუ ასეთად არ თვლის, მისი მსჯელობა გაუგებრობას იწვევს. იგი თავის ჰიპოთეზას საფუძვლად უდებს „ორ ბავშვს, რომლებიც ერთმანეთს ხედებიან უდაბნოში, სანამ მათ რაიმე ნიშნის გამოყენება ეცოდინებათ“. რა საჭიროა ყოველივე ეს? განა ასეთ პირობებში „ორი ბავშვი“ არ დაიღუპებოდა ან არ გამეცდებოდა? „უდაბნოში“ — ეს ხომ კიდევ უფრო აძნელებს მათ ურთიერთობასა და საზრიანობას. „სანამ მათ რაიმე ბუნებრივი ნიშნის გამოყენება ეცოდინებათ ან საერთოდ რაიმე ცოდნა ექნებათ მის შესახებ“ — ასეთნაირს ხომ ჩვილ ბავშვსაც ვერ შეხვდებით თავისი გაჩენიდან სულ რამდენიმე კვირის თავზე. მაშ, რა უფლებით უნდა დავუდოთ საფუძვლად ასეთი არაბუნებრივი და წინააღმდეგობრივი მონაცემები იმ ჰიპოთეზას, რომლის საძიებელიც ადამიანის ცოდნათა ბუნებრივი მდინარებაა? ხსენებულ ჰიპოთეზას ვერ დავეყრდნობით ენის წარმოშობის ასახსნელად და, აი, რატომ: კონდილიაკის „ორი ბავშვი“ ერთმანეთს ხედება, მათ არც ერთი ნიშანი არ იციან და, ერთიც ვნახოთ, პირველსავე წამს ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებენ. ასე ახერხებენ ისინი „ემოციური შეძახილებით დააკავშირონ აზრები, რომელთა ბუნებრივ ნიშნებსაც ეს შეძახილები წარმოადგენს“. ერთი განსაჯეთ, როგორ არის, რომ იმ ცოდნის გარეშე, რაც მოეპოვება ყველაზე უფრო ბრიყვ ცხოველსაც კი, ბავშვები ახერხებენ კონტაქტის დამყარებას და ამა თუ იმ ნიშნით აზრის გამოხატვას? „მსგავს გარემოებათა გამოყენების გამო ისინი ეჩვევიან განცდითი წამოძახილებისა და სხეულის სხვადასხვა ნიშანთა დაკავშირებას აზრებთან. ეს ავარჯიშებს მათ მესხიერებას. ახლა უკვე მათ ძალა შესწევთ დაიმორჩილონ საკუთარი წარმოსახვა და ისე შორს მიდიან, რომ უკვე რეფლექსიით აღწევენ იმას, რასაც უწინ მხოლოდ ინსტინქტით ახერხებდნენ“. ასეთი მსჯელობა ჩემთვის სრულიად გაუგებარია. „ნიშანთა ხმარება აფართოებს სულის მოქმედებას, ხოლო სული, თავის მხრივ, უფრო სრულყოფილს ხდის ნიშანს. ერთი სიტყვით, წამოძახილები ყოფილა ის, რამაც გასაქანი მისცა ბავშვის სულიერ ძალებს, რამაც ბავშვებს შთაუწერა აზრებისა და ნებისმიერ ნიშანთა დაკავშირების ჩვევა: ისინი იყო ნიმუში, რომელთა მიხედვითაც შეიქმნა ახალი ენა, წარმოიქმნა ახალი ბგერები და სახელები მიენიჭა სავნებს“. ავტორი ენის ასეთ ბავშვურ საწყისებზე აფუძნებს ძველ ენათა პროსოდისას, დეკლამაციას, მუსიკას, ცეკვასა და პოეზიას, თანაც დასძენს: „რომ გავერკვეთ, თუ როგორ შეთანხმდნენ ადამიანები მათთვის საჭირო პირველ სიტყვათა მნიშვნელობებზე, საკმარისია გავითვალისწინოთ ერთი რამ: ადამიანები ამ სიტყვებს წარმოთქვამდნენ ისეთ პირობებში, როცა ყოველი მათგანი იძულებული იყო ისინი ერთსა და იმავე იდეასთან დაე-

<sup>5</sup> Essai sur l'origine des connoissances humaines, vol. II.

კავშირებინა და ა. შ.<sup>9</sup>. მოკლედ რომ ვთქვათ, სიტყვები ყოფილა მანამდე, სანამ ისინი გაჩნდებოდნენ. უმჯობესია თავი გავანებოთ ჩვენი ავტორის შეხედულებებს და სხვაზე გადავიდეთ.

კონდილიაკის აბდაუბდა თეორიამ გამოიწვია ის, რომ ჩვენს საუკუნეში რუსომ<sup>10</sup> თავისებურად შესახა ფრთები ამ საკითხს და იგი საერთოდ ეჭვის ქვეშ დააყენა. კონდილიაკის მსჯელობა რომ საეჭვოა, ეს რუსოს გარეშეც ცხადია. მაგრამ სწორედ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ რუსომ მთლიანად უარყო ენის წარმოქმნის ყველა ადამიანური შესაძლებლობა, რასაც, უდავოდ, რუსოსებური გაქანება სჭირდებოდა. რაკი ეს საკითხი კონდილიაკმა კარგად ვერ ახსნა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ვერ გადაწყვდებოდა? რაკი ემოციური შეხახილებიდან ენას ვერ მივიღებდით, საერთოდ არ არსებობს მისი წარმოქმნის სხვაგვარი შესაძლებლობა?

რუსო ასე აყენებს საკითხს: „თუკი ენა უკიდურეს შემთხვევაში უნდა წარმოქმნილიყო ადამიანის მიერ, მაინც როგორ უნდა წარმოქმნილიყო იგი?“ თავისი წინამორბედის მსგავსად, რუსოც წამოძახილებით იწყებს. გაცილებული ვარ, რუსოს მახვილმა გონებამ როგორ ტყუშვა ენის ამგვარი წარმოშობა.

მე ხელთ არა მაქვს მოპერტიუს პატარა ნაშრომი, მაგრამ თუ ვენდობი მანეს<sup>10</sup> მიერ მოტანილ ციტატებს, ვისი მცირეოდენი დამსახურებაც როდია სიზუსტე და ზედმიწევნილობა, არც მოპერტიუს გაუთიშავს ენის წარმოქმნა ცხოველური ბგერებისაგან, ე. ი. ისიც ხსენებულთა გზას ადგას.

დიოდორემ და ვიტრუვიუსმა, ვისთვისაც ენის ადამიანური წარმოშობა უფრო რწმენა იყო, ვიდრე განსჯით მოპოვებული დასკვნა, სულ მთლად ჩაფუშეს საქმე, როცა ადამიანი წარმოიდგინეს ხანგრძლივი დროის მანძილზე ტყეში მოხეტიალე მყვირალ ცხოველად და ამის შემდეგ, — ღმერთმა უწყის, როგორ და რატომ — ენის გამომგონებლად.

ვის არ გაიტაცებს ენის წარმოშობის საკითხი! იგი ეჯაჭვება ფსიქოლოგიასა და ადამიანთა მოდგმის ბუნებრივ აგებულებას, ენათა ფილოსოფიასა და ყველა იმ ცოდნას, რაც ენასთან ერთად იქნა მოპოვებული.

თუკი ადამიანი ერთადერთი ენის მქონე არსებაა, ვისაც ჩვენ ვიცნობთ, და იგი სწორედ ენით განირჩევა ცხოველისაგან, რომელი გზა იქნება კვლევისათვის უფრო უტყუარი, თუ არა ადამიანისა და ცხოველის სხვაობათა გამოძიება? კონდილიაკიცა და რუსოც უნდა შემცდარიყვნენ, რადგან ხსენებული სხვაობა ორთავეს სხვადასხვაგვარად და მცდარად წარმოედგინა: ერთმა ცხოველი აქცია ადამიანად, მეორემ კი — ადამიანი ცხოველად.

უეჭველია, ადამიანი დიდად ჩამორჩება ცხოველს ინსტინქტის ძალასა და სიზუსტეში; მას არა აქვს ის, რასაც ცხოველებში თანდაყოლილ უნარს ვეძახით. რადგანაც ინსტინქტის ბუნება ვერ გაარკვია გერმანელ ფილოსოფოსთა უმეტესობამ და ბოლოს ვერც ერთმა ჩვენმა სერიოზულმა ფილოსოფოსმა<sup>11</sup>, ამიტომ ადამიანში ამ ინსტინქტის უქონლობის ნამდვილი მიზეზიც უცნობი რჩება. ვფიქრობ, გამორჩათ ის მთავარი თვალსაზრისი, რომლის შემწყობითაც, თუ მთლიანად ვერა, ნაწილობრივ მაინც ამოვხსნიდით ცხოველის ბუნებას, რაც თავის მხრივ ნათელს მოჰფენდა მოძღვრებას ადამიანის სულის შესახებ.

<sup>9</sup> Sur l'inegalite parmi les hommes etc. Part. I.

<sup>10</sup> ზოუსმილჰის მტიციება ლეთაბრიობის შესახებ etc., დანართი, 3, გვ. 110.

<sup>11</sup> რაიმაჟუსი, ცხოველთა ინსტინქტების შესახებ. იხ. წერილები უახლესი ლიტერატურის თობაზე etc.

11. „მაცნე“, ფილოსოფიის, ... სერია, 1973, № 1



ყოველი ცხოველი თავის წრეშია ჩაკეტილი. ამ წრეს ეკუთვნის იგი გაჩენის დღიდან, აქვე ცოცხლობს და აქვე კვდება. საყურადღებოა, რომ ეს წრე მით უფრო მცირეა და ცხოველის საქმიანობაც მით უფრო ერთფეროვანი, რაც უფრო მახვილია ცხოველის შეგრძნებები და გასაოცარი მისი ხელოვნება. დაკვირვება მიმედევნებს საოცარ უკუპროპორციას ცხოველთა მოძრაობის, ელემენტთა, კვების, თავდაცვის, შეწყვილების, აღზრდის, კოლექტივის ნაკლებ ექსტენსიასა და მათ ხელოვნებას შორის. რა ბრძნულია ფუტკრის მოქმედება და რას წარმოადგენს იგი, გარდა თავისი პაწაწინა უჭრედებისა და ამ უჭრედებში საქმიანი ფუსფუსისა? ობობა მინერვას ოსტატობით ქსოვს, მაგრამ მისი სფერო შემორკალულია საკუთარი აბლაბუდას ვიწრო სივრცით. ეს არის მისი სამყარო! რა საოცარია მწერი და რა ვიწროა მისი სამოქმედო ასპარეზი!

და პირუტყუ. რაც უფრო ბევრნაირია ცხოველთა ფუნქცია თუ მოვალეობა, რაც უფრო გაფანტულია მისი ყურადღება ბევრ საგანზე, მით უფრო ცვალებადია მისი ცხოვრების წესი, ე. ი. რაც უფრო დიდია და მრავალფეროვანი მისი სამოქმედო სფერო, მით უფრო დანაწევრებულია და სუსტი მისი გრძნობადობა.

ირკვევა, რომ ანალოგიის მიხედვით ცხოველის ყველა ინსტინქტისა და უნარის ახსნა შესაძლებელია მათივე წარმოდგენის ძალებით და საჭირო არ არის ამათ გარდა შემოვიტანოთ ბრმა დეტერმინაციები, რომლებიც ყოველგვარ ფილოსოფიას ძირს უთხრიან. თუ უზომოდ ფაქიზი შეგრძნებები მცირე წრეშია მომწყვდეული, ხოლო მთელი გარეშე სამყარო მათ არ ეხება, რაოდენ ძლიერი და გამსჭვალავი უნდა იყოს ისინი! თუ წარმოდგენის ძალები პატარა წრეშია მოქცეულნი და ანალოგიური გრძნობადობა ახასიათებს, რას არ შეძლებენ ისინი?! დაბოლოს, თუ შეგრძნებებიცა და წარმოდგენებიც ერთ წერტილზეა მიპყრობილი, რას უნდა მოველოდეთ აქედან, ინსტინქტის გარდა? თავისთავად ცხადია, რომ ამითვე დაყრდნობით შესაძლოა ახსნას ცხოველთა გრძნობადობა, უნარი და ინსტინქტი თავთავიანთი სახეობისა თუ დონის შესაბამისად.

ასე რომ, შემიძლია განვაცხადო: ცხოველთა გრძნობადობა, უნარები და ინსტინქტები ძალისა და ინტენსიურობის მხრივ უკუპროპორციულია მათი სამოქმედო წრის სიდიდისა და მრავალფეროვნებისა.

ადამიანის წრე არ არის ასე ვიწრო და ერთფეროვანი. ის არ არის მოწოდებული ერთადერთი საქმიანობისათვის. მის ირგვლივ თავს იყრის საქმეთა და ფუნქციათა მთელი სამყარო.

ადამიანის გრძნობება და ორგანიზაცია არ გამახვილებულა ერთი მიმართულებით. მისი შეგრძნება ყველაფერს ეხება; ამიტომაც ცალკეული შეგრძნება უფრო სუსტია და შედარებით ჩლუნგი.

ადამიანის სულიერი ძალები მთელ სამყაროზე ვრცელდება; მისი წარმოდგენები არ იზღუდება ერთით; შესაბამისად, მას არ გააჩნია არც ცხოველის უნარი, არც მისი ოსტატობა და არც ცხოველის ენა.

რა არის ის, რასაც ზოგიერთი სახეობის მიმართ, გარდა ზემოხსენებული მგრძნობიარე მექანიზმის ბგერადობისა, ცხოველის ენას ვუწოდებთ? განა ის ჩემს მიერ ჩამოთვლილ დაკვირვებათა ნაყოფი არ არის? ის არის ცხოველთა რომელიმე სახეობის დაფარული გრძნობადი შეთანხმება მათს სამოქმედო წრეში მათივე დანიშნულების შესახებ.

მაშ, რაც უფრო ვიწროა ცხოველთა სფერო, მით უფრო ნაკლებია ენის საპირობბაც. რაც უფრო მახვილია მათი შეგრძნებები და რაც უფრო ერთზეა მიპყრობილი მათი წარმოდგენები, მით უფრო მტკიცეა თანხმობა მათ შესაძლო ხმებსა, ნიშნებსა და წამოძახილებს შორის. აქ მეტყველიცა და მსმენელიც ცოცხალი მექანიზმია, წამყვანი ინსტინქტია, და რა ცოტა ლაპარაკი სჭირდება მას, რათა გაგებულ იქნეს!

ვიწრო წრის ცხოველებს სიყრუეც ახასიათებს; ისინი თავიანთ სინამდვილეს აღიქვამენ მთლიანად შეხებით ან ყნოსვითა და მხედველობით; სრულიად ერთფეროვანი სურათი, ერთფეროვანი ხასიათი, ერთფეროვანი საქმიანობა; მათ ნაკლებად, ან საერთოდ არ უნდა ჰქონდეთ ენა.

სამაგიეროდ, რაც უფრო ფართოა ცხოველთა წრე, რაც უფრო განსხვავებულია მათი შეგრძნებები — თუმცა რაღას ვიმეორებ? ადამიანთან ძირფესვიანად იცვლება სურათი. აბა რას წარმოადგენს მისი სამოქმედო წრისათვის ცხოველის, თუ გნებავთ, ყველაზე უფრო მეტყველი და მრავალფეროვანი ბგერადობის ენა? ან თუნდაც ყველა ცხოველის ბუნდოვანი ენა! რის მომცემია ის ადამიანის დაფანტული სურვილებისა, დანაწევრებული ყურადღებისა და ნაკლებად მახვილი შეგრძნებებისათვის? ასეთი ენა ადამიანისათვის არც საკმაოდ მდიდარია და არც საკმაოდ ნათელი, იგი ვერც საგნებს გასწვდება და ვერც მის ორგანოებს გამოადგება — მოკლედ, ეს არ არის ადამიანის ენა. ბევრი რომ არ მივიკბ-მოვიკბოთ, საკუთარი ენა არის ის, რაც შეესაბამება ამა თუ იმ არსების მოთხოვნილებებსა და საქმიანობას, მის შეგრძნებათა ორგანიზაციას, მის წარმოდგენათა მიმართულებასა და მისი სურვილების ძალას. ცხოველთაგან აბა რომელს დამისახელებდით, რომ მისი ენა ადამიანს ასე ზედგამოჭრილად მოერგოს?

ამ კითხვასაც რომ თავი გავანებოთ, რომელი ენა ადამიანისა (გარდა ზემოთდასახელებული მექანიკურისა) გაუტოლდებოდა ცხოველისას ინსტინქტურობის ძალით? პასუხი გახლავთ მოკლე და გადამწყვეტი: ვერც ერთი!



## კრიტიკა და გიბლიობრაფია

### მოკლე განმარტება გრძელი „რეპლიკების“ გამო

ჩვენი წერილი „პეტრე იბერის გამო“ („ლიტ. საქართველო“, 3.III, 72), გამოქვეყნდა პეტრე იბერის საიუბილეო კომისიის შექმნასა და საიუბილეო სამზადისის დაწყებასთან დაკავშირებით. ქართველ საზოგადოებაში ინტერესი პეტრე იბერისადმი ძალიან დიდია და წერილის მიზანს შეადგენდა — მოკლედ გაეცნო მკითხველთა ფართო წრეებისათვის მისი ცხოვრება და მოღვაწეობა და გაერკვია მნიშვნელობა პრობლემისა, რომელიც დგას დღეს პეტრე იბერთან დაკავშირებით მსოფლიო მეცნიერებაში. წერილის შინაარსი და ფორმაც ამ უპრეტენზიო ამოცანით იყო განსაზღვრული. შეგნებულად ავარიდებ თავი დოკუმენტაციას და ვრცელ სქოლიოებს, რომელიც ზედმეტია ასეთი წერილისათვის, და შორს ვიყავი აზრისაგან ერუდიციის დემონსტრაცია მომეხდინა. არავითარი ახალი პრობლემა იქ დასმული არაა და არავითარი ახალი მოსაზრება ავტორს არ წამოუყენებია, მიუხედავად ამისა, წერილი ძალიან მონდომებული კრიტიკის საგანი გახდა და, რამდენადაც კრიტიკა გამოქვეყნდა კიდევ (იხ. ა. გაწერელია „რამდენიმე რეპლიკა...“, „ლიტ. საქართველო“, 25.VIII, 1.IX.72), მისი საფუძვლიანობის გარკვევა არც თუ სასიამოვნო აუცილებლობად იქცა.

პირველ „შეცდომას“ (რეპლ. I) ა. გაწერელია ხედავს იოანე რუფუსისა და ზაქარია რიტორის დამოწმებაში, როგორც „ბიზანტიელი მწერლებისა“ და ხელოვნურად ცდილობს ეს მარტივი კითხვა დიდ პრობლემად აქციოს. ამ ავტორების ცნობები პეტრე იბერზე გამოქვეყნებულია აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის ავტორიტეტულ, სავსებით სანდო და აღიარებულ გამოცემებში, რომლებსაც ეწოდება: „გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“. საყურადღებოა, რომ ერთ-ერთს ამ გამოცემებიდან („გეორგიკა“, III) გაწერელიაც იმოწმებს, მაგრამ სათაური რომ მას სრული სახით ამოეწერა, მკითხველს პასუხი საკამათოდ ქცეულ კითხვაზე მზად ექნებოდა. ამის შემდეგ განცხადება — პეტრე იბერზე ცნობები“ ვადმოცემულია ძირითადად სირიულ ენაზე შემორჩენილი წყაროებით“ (3) — რჩება ზედმეტ კონსტატაციად საყოველთაოდ ცნობილი ფაქტისა, რომლის მიუხედავად ეს წყაროები ბერძნული წყაროებია იმ მნიშვნელობით, რომ მათი ავტორები ეკუთვნიან ბერძნულ-ბიზანტიურ კულტურულ წრეს და მათი თხზულებანი დაწერილი იყო ბერძნულ ენაზე, ხოლო შემდეგ ითარგმნა ასურულად და ამ სახით მოაღწია ჩვენამდე.

რომელი ფორმა უფრო სწორი „გაზა“, თუ „ლაზა“? რამდენად საფუძვლიანია ჩემი „შეცდომის“ ახსნა, როგორც შედეგი „რუსული კალკები“ სარგებლობისა და რა აზრი აქვს შეგონებას: „რუსულ კალკებს სტატიის ავტორი უნდა ერიდოს“ (8)? — ეს „ახსნა“ სრული გაუგებრობაა. „შეგონება — ცარიელი ხმაური. დღევანდელ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული



ბული ორი ფორმიდან, მე უპირატესობა მივეცი (თუმცა იმდენი არ მიფიქრია, რამდენსაც „რეპლიკების“ ავტორი ფიქრობს) „გაზას“, მაგრამ არა „რუსული კალკებით“ სარგებლობის გამო, არამედ იმ მოსაზრებით, რომელიც განსაზღვრავს დღეს ანალოგიურ გავრცელებულ ფორმებს: გეოგრაფია, კოსმოგონია, ლოგია და არა „ლეოღრაფია“, „კოსმოლონია“ და „ლოლიკა“. შევნიშნავ აქვე, რომ სწორად მიმაჩნია გაწერელის მიერ დაწუნებული პულქერია (ანალოგიური: არქიმედი, მიქაელი, არქეოლოგია) და არა „პულხერია“.

გაწერელია ჩვენს წერილში გაპარული ერთი შეცდომის („ბათომი“ — მაიუმის ნაცვლად) მიმართ „დიდ ობიექტურობას“ ამქლავნებს და კორექტურულ შეცდომად აღიარებს, მაგრამ დანარჩენ ანალოგიურ შეცდომებს საკამათო წერილის ავტორს მიაწერს და, მკითხველზე მეტი შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით, გამოთქმის „შთამავონებელ“ ფორმას მიმართავს: „არსებობდა შტიგლმაირი და არა „შტიმლმაირი“, პ. კოხი, კი არა (!) პ. კოხი და სხვ.“ შემეძლო დამემატებინა, რომ „რეპლიკების“ ავტორს ერთი შეცდომა სწორად ვერ ამოუწერია (წერილში უარესია დაბეჭდილი — „მტიმლმაირი“), ხოლო რაც უფრო „სამწუხაროა“, მეორე შეცდომა სულ გამორჩენია. იქვე, ხსენებული ავტორების გვერდით, დაბეჭდილია „კრიუმერი“ (უნდა იყოს კრიუმერი). ვერაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ რატომ უღალატა ამ შემთხვევაში „რეპლიკების“ ავტორს კრიტიკული აზრის სიმბავილემ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ყველა ეს შეცდომა ძალიან სა მ ა მ წ უ ხ ა რ ო, მაგრამ ისეთივე კორექტურული შეცდომაა, როგორც „ბათომი“. ამაში გაწერელია სულ ადვილად დარწმუნდებოდა, და დროცა და შრომაც ნაკლები დაეხარჯებოდა, სხვა ჩემ ნაშრომებში რომ ჩახებდა.

რამდენადაც ამგვარ საკითხებზე დავა თვით გაწერელიამ წამოიწყო, უნდა შევნიშნო, რომ მის „რეპლიკებში“ დაშვებულია უფრო თვალში საცემი (ყოველ შემთხვევაში ავტორისეული და არა კორექტორული) შეცდომა („სპარსეთ-ირანის ომი“), რომლის გასწორებასაც („დაუსტებას“) ის ამაოდ ჩქარობს. პოსტკრიტიკულში. ამაოდ იმითომ, რომ ასეთი შეცდომები წარმოდგენენ უბრალო და გასაგებ ლაფსუსს; რჩება ლაფსუსად „დაუსტების“ შემდეგაც და, რაც მთავარია, არ არსებობს „საშიშროება“ ვინმე ისინი აქციოს სერიოზული კამათის საგნად, მით უმეტეს — გაზვიადებული და შორსმიმავალი დასკვნების საბაზად.

მაგრამ აი ფრანგული Pau! Devos-ის გადმოტანას ქართულ ენაზე ფორმით — „პოლ დევოსი“ — არავითარი გამართლება არა აქვს. თუ გაწერელია ხელმძღვანელობდა უცხოური სახელისა და გვარის გამოთქმის პრინციპით, უნდა ყოფილიყო „პოლ დევო“ (და არა „დევოსი“); თუ გავკვებით დაწერილობის პრინციპს, — მაშინ „პაულ“ (და არა „პოლ“) დევოსი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში უნდა გვეწერა „დიდეროტი“ (დიდროს ნაცვლად), „შექსპეარე“ (შექსპირის მაგივრად) და მრ. სხვა.

რომ პულქერია ცნობილია ბიზანტიის ისტორიაში როგორც დედოფალი — ეს უღაო ფაქტია, და „ძიებანი“ იმის თაობაზე — იყო თუ არა ის „ნამდვილი(?) დედოფალი“ (6), ან რას უნდა ნიშნავდეს „ნამდვილი დედოფალი“ გაწერელის წარმოდგენაში, — დროისა და შრომის ამაო ხარჯვაა. ასევე უნაყოფოა კამათი — არის თუ არა „სამი ან ოთხი“ მრავალი და შეიძლება თუ არა სამი ან ოთხი თხზულების ავტორს — ეწოდოს „მრავალი შრომის“ ავტორი (11). უნაყოფოა, მიუხედავად იმისა, რომ გაწერელის პასუხი ამ კითხვაზე დაბეჭდი-



მხედველობაში მიღებული, ცალკეულ შემთხვევაში, როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ჯიუტად და საკმაოდ თანმიმდევრულად არის იგნორირებული.

შევეხები „რეპლიკების“ რამდენიმე ადგილს, რომელიც არ გაამართლებს, მაგრამ რამდენიმედ მიინც ახსნის ამ „მოვლენას“ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში.

გაწერელის ეკუთვნის ნაშრომი, რომელშიც ცდილობს დაარღვიოს XIII ს-დან მომდინარე ტრადიცია და დაასაბუთოს პეტრე იბერის ცნობილი ცხოვრების ავტორის ზაქარია ქართველის „ფიქციურობა“. მიუხედავად ამისა მე გავყევი არსებულ შეხედულებას მეცნიერებაში (მდრ. მაგ., ივ. ჯავახიშვილი, „ქართვ. ერის ისტ.“ 1, 1951, გვ.გვ. 217—220) და დავიმოწმე ზაქარია ქართველი, როგორც ამ ცხოვრების ავტორი: გაწერელია ჩქარობს ეს დიდ შეცდომად გამოაცხადოს და ჩემი „გაუტრკვევლობით“ ახსნას („შ. ხიდაშელი ამ ფილოლოგიურ საკითხებში ვერ გარკვეულა!“ (12). მაგრამ აქაც ამაოდ ჩქარობს, საქმის ნამდვილი ვითარება სულ სხვაა.

იყო ზაქარია ქართველი ნამდვილი, თუ „ფიქციურა“ ავტორი ხსენებული თხზულებისა, ეს კითხვა იმდენად შორსაა ჩემი უშუალო საქმიანობისაგან, რომ მასში „გარკვევა“ არც მიცდია. ასეთ შემთხვევაში, როგორც არასპეციალისტი, ბუნებრივია ან დავემყარო სპეციალისტების მოსაზრებებსა და არსებულ ტრადიციას, ანდა მივიჩნიო ახალი დებულების ავტორი ისეთ ავტორატეტად, რომ დებულება ხელაღებით ვირწმუნო. უკანასკნელი არჩევანისათვის მე საფუძველს ვერა ვხედავ და თუმცა გაწერელია, როგორც ვნახეთ, ეკვობს „ხიდაშელმა მიაკვლიოს“ იმასაც კი, რისი „გაგებაც არც ისე ძნელია“, ამ შემთხვევაში მე საიმედოდ ვარ „მიკვლეული“. გაწერელის შეხედულება ზაქარია ქართველის ავტორობის საკითხში ჯერ აღიარებული არაა. ჩემი აზრი (რამდენადაც საუბარი ამ თემაზე თვით გაწერელიამ გამოიწვია) შემიძლია გამოვთქვა მხოლოდ წინასწარი ზოგადი სახით: გაწერელის მიერ აღძრული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ძველი ქართული და ასურული ტექსტების შედარებითი შესწავლის გზით შეიძლება და ამიტომ წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენს — მაკარი მესხის (XIII ს.) სიტყვებით რომ ვთქვათ „ფრიად მეცნიერ“ ყოფნა „მათსა (ასურულსა, შ. ხ.) ენასა“.

ჩვენი წერილის დასასრულს ვეხებოდი ავტორებს, „რომლებმაც ვერ დააღწიეს თავი „დიონისური ციებცხელების“ ცთუნებას“. აღვნიშნე, რომ „რედაქციებში შედის (და ზოგჯერ იბეჭდება კიდევ) სტატიები ავტორებისა, რომლებიც არ შეიძლება ჩაითვალოს კომპენტენტურებად აღძრულ საკითხებში, ანდა, უარეს შემთხვევაში პირებისა, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო მეცნიერებასთან“. ავტორები არ დამისახელებია (ერთი მაგალითი მოვიტანე მხოლოდ), მაგრამ შევნიშნე, რომ „ზერელე დამოკიდებულება“ პეტრე იბერთან დაკავშირებული პრობლემისადმი „მხოლოდ ზიანს მოუტანს“ პეტრე იბერის სახელის უკვდავყოფას. ვფიქრობ, სავსებით ნათელია კონტექსტის აზრი, მნიშვნელობა და მიმართულება.

გაწერელია ჩემი სიტყვების ციტირების შემდეგ ავრძელებს: „ავტორს უკანასკნელი თავისი ფრაზის საილუსტრაციოდ მართლაც მოაქვს კურიოზული მაგალითი, მაგრამ(!) ნუთუ ხიდაშელს არ წაუეკითხავს სხვათა ზოგიერთი



შრომები, რომელთაც ძალიან ბევრი შესძინეს პეტრე იბერის ბიოგრაფიის შესწავლის საქმეს? შეიძლება ყველა შრომას, რომელიც ხიდაშელის ხელიდან არ გამოსულა, კერძოდ პეტრე იბერზე, იგი მართლაც „არა კომპეტენტურად“ თვლის? ნეტარ არიან მორწმუნენი!“ (ხაზი გაწერელისა, უკანასკნელი სვტრი).

არიან თუ არა „ნეტარ მორწმუნენი“? — ამაზე პასუხი გაწერელის უკეთ მოეძებნება. მაგრამ მთელი ეს პასაჟი რომ მხოლოდ გაცეხას შეიძლება იწვევდეს, ეს, ვფიქრობ, ეჭვს გარეშეა. პირველყოვლისა, გაწერელის ზრუნვა „სხვათა ზოგიერთ შრომაზე“ აქ სრულიად უადგილოა. მისი მზრუნველობის კომპეტენციაში უნდა ვივლისხმოთ მისი საკუთარი შრომები და არც თუ დიდი მორიდებით გამოთქმული პრეტენზიაც ამ მხრივ იმსახურებს ჩვენს პასუხს.

თუ სავსებით გასაგებია რომ „რეპლიკების“ ავტორის პრეტენზიას საფუძველი არა, მაგრამ სრულიად გარკვეული მიზანი აქვს, ძნელი გასარკვევია პრეტენზიის მამულები. კერძოდ, რა იყო საჭირო იმისათვის, რომ პრეტენზია თავიდან აგვეცილებინა: ამ შრომების ავტორის მხოლოდ მოხსენიება, შრომების მითითება და ციტირება (ისიც ერთგზის თუ მრავალგზის, მოკლედ, თუ ვრცლად, და ა. შ.), თუ მე შევალეობოდა მეტქვა ის, რაც გაწერელმა სხვას აღარ დააცალა და თითონ გვაუწყა (და არა ჩვეულებრივი შრიფტით, არამედ კურსივით) სახელდობრ, რომ ამ შრომებმა „ძალიან ბევრი შესძინეს...“ და ა. შ. (ხაზი ჩემიცაა შ.—ხ.). ასეა თუ ისე, ფაქტია: ეს შრომები „ხიდაშელს წაუკითხავს“, მაგრამ მან არც ერთი გააკეთა, არც მეორე, არც მესამე. რატომ? მართლა იმიტომ, რომ რაც ჩემი „ხელიდან არ გამოსულა“ არა კომპეტენტურად ვთვლი? ამგვარი „ინტერპრეტაცია“ ამ „რთული“ და „დიდად აქტუალური“ კითხვისა, ან მორიგი გაუგებრობაა ანდა, მიუხედავად იმისა, რომ პრობლემატურ ფორმაშია გამოთქმული („შეიძლება...“), პირდაპირი ცილისწამება.

ვიმეორებ, ჩვენი წერილის მიზანს შეადგენდა ინფორმაცია პეტრე იბერსა და მასთან დაკავშირებული ერთი პრობლემის დღევანდელი მდგომარეობის თაობაზე და არა მისი კვლევის ისტორიის გარკვევა. ამიტომ არ მომიხსენებია რიგი ავტორებისა, რომლებმაც მართლა „ძალიან ბევრი შესძინეს“ პეტრე იბერის მოღვაწეობის შესწავლას. მაგრამ მათი ღვაწლი იმდენად ცნობილია, რომ არაფერი დააკლდება იმით, იყო თუ არა ამაზე ნათქვამი ჩვენს წერილში და არც შეემატება იმის მიხედვით — როგორ მზრუნველობას გამოიჩენს მათზე გაწერელია. ცხადია, გვერდს ვერ ავუვლიდი, აკად. შალვა ნუცუბიძეს. მან პირველმა დააყენა პრობლემა, და არის პირველი ავტორი თეორიისა, რომელიც დღეს ასე დიდ ყურადღებას იპყრობს მსოფლიო მეცნიერებაში. საჭიროდ მივიჩნეე დამესახელებინა აკად. გ. წერეთლის ნაშრომი („უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“), რომელმაც პეტრე იბერის ბიოგრაფიის ერთი მომენტის გარკვევით დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის ისტორიის კვლევის საქმეშიც.

ჩვენი ყურადღება, „დიონისური ციებცხელებით“ შექმნილი მდგომარეობის გამო ჩვენში, მიმართული იყო იმ ავტორებისაკენ, რომლებსაც, მათი გულწრფელი სურვილის მიუხედავად, „მხოლოდ ზიანი“ შეუძლიათ მოუტანონ პეტრე იბერის საქმეს. სხვა მიმართებით ჩვენ წერილში არ ყოფილა ლაპარაკი. რატომ დაუკავშირა „რეპლიკების“ ავტორმა დამსახურებული მეცნიერები ჩვენი წერილის ამ არა სახარბიელო კონტექსტს, — არ ვიცი. მაგრამ ერთი განმარტე-

ბა კი აქაც საჭირო ხდება: ამ შრომებს საერთოდ და მათ ავტორებს (გაწერელის ჩათვლით) არაფერი აქვთ ჩემის აზრით საერთო ჩვენი წერილის ხსენებულ კონტექსტში ნაგულისხმევ ავტორებთან. თუ გაწერელია სხვა აზრისა, ეს მისი საქმეა, მაგრამ იმ შრომებზე და ავტორებზე მაინც ნუ გაავრცელებს თავის შეხედულებას, რომლებზეც ზრუნვა, მან როგორც ითქვა, თავის თავზე უადგილოდ აიღო.

მიუხედავად „რეპლიკების...“ სრული სათაურისა („რამდენიმე რეპლიკა ერთი სტატიის გამო“) შენიშვნების დიდი ნაწილი ეხება ჩემს სულ სხვა ნაშრომებს, რომლებსაც გაწერელია არ ასახელებს. განსაკუთრებით თვალში საცემია ასეთი დუმილი ეხლახან გამოქვეყნებულ სტატიაზე („უცისკარი“, № 8, 1972).

ეს ნაშრომები განსხვავდება ჩემი საკამათო წერილისაგან, და მათში აღძრულია საკითხები, რომლებიც გაზეთის ფურცლებზე ვერ ვადაწყდება, მაგრამ ალბად კამათის, ნამდვილი კამათის საგანი გახდება. სხვათა შორის, არაა გამორიცხული გაწერელისათნაც, თუ. რა თქმა უნდა, ის შემდეგში მაინც მოახერხებს კამათის წესების ფარგლებში დარჩენას. მაგრამ მათ შორის არის საკითხები, რომელთა გამო კამათი საერთოდ არ შეიძლება. საჭიროა მათში გარკვევა და მიღება, ანდა — გაჩუმება, უკიდურეს შემთხვევაში, გვერდის ავლა. უარყოფს თუ არა აპოფატია ღმერთის არსებობას და რა მნიშვნელობა აქვს მას მოძღვრებაში მთლიანად; არის თუ არა ორი საწყისის აღიარება დუალიზმი; წყდება თუ არა (და ისიც „სავსებით“) ნეოპლატონიზმისა და არეოპაგიტის მიხედვით, ერთიდან (ღმერთიდან) წამოსული სხივი ხილულ სამყაროში და მრ. სხვა — ეს საკითხები სპეციალისტისათვის ელემენტარულია, ხოლო მათზე დავა გაუგებრობაა, რომელსაც ვერ შევლის ვერც ძახლის ნიშნების სიმრავლე და ვერც წრესგადასული კატეგორიული ტონი (მაგ. „ვინც საწინააღმდეგოს ამტიციებს — არეოპაგიტის საკითხებში დილეტანტია“, 16). ვერ შევლის საქმეს, სხვათა შორის, ვერც მეცნიერების „პატრიარქებისა“ და „უდიდესი მკვლევარი ავტორიტეტების“ ზურგს უკან ამოფარება. ეს მეცნიერები რჩებიან ავტორიტეტებად იმისაგან დამოუკიდებლად — როგორ რეკომენდაციას მისცემს მათ გაწერელია. მაგრამ საერთოდ — სცდებიან „პატრიარქებიც“ და ორმაგად სცდება, ვინც ცდილობს პატრიარქად საკუთარი თავი წარმოადგინოს.

„რეპლიკებს“ ავტორი ამთავრებს მორიგი შეგონებით: „საერთოდ: ფილოლოგიური დილეტანტიზმი განაპირობებს ფილოსოფიურ დილეტანტიზმს!“. ზოგადი აზრით („საერთოდ“) ეს დებულება სრული აბსურდია. ხოლო რა კონკრეტული აზრი აქვს მას გაწერელის წარმოდგენაში და საითაა ეს ზოგადი შეგონება მიმართული, ამას მნიშვნელობა ჩემთვის არა აქვს. დილეტანტიზმს სულ სხვა ფაქტორები განაპირობებს, რომელთა შესახებ მსჯელობის ადგილი აქ არაა. ერთი რამ კი შეიძლება კიდევ ერთხელ ითქვას: სპეციალიზაციის განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში არა მართლდება მსჯელობა ერთსადაიმევე დროსა და დონეზე — იმაზეც — არის თუ არა „ლიტერატურა ვარიეტე“ და იმაზეც, როგორ ესმის რუსთაველს სიკეთისა და ბოროტების საკითხი; იმაზეც, როგორი ღიმილით ცდილობს „შანსონეტა“ ამოს აუდიტორიას და იმაზეც, რა ადგილი უჭირავს აპოფატის არეოპაგიტიაში და როგორია მისი საბოლოო დასკვნები.

რომ „რეპლიკების“ ავტორის მიზანს ნამდვილი კამათი არ შეადგენს და ის სულ სხვა ზრახვებითაა ნაქარნახევი, ეს თვალნათლივ დასტურდება ერთი ხერხით, რომელსაც გაწერელია მიმართავს და რომლის კვალიფიკაცია მკითხველისათვის მიგვიწვდია.

„ჩვენ არ ვეხებით — ვკითხულობთ აქ — ავტორის (ჩემს, შ. ხ.) მსჯელობას არეოპაგეტიკული კორპუსის შესახებ, ფსევდო-დიონისეზე, როგორც „გაქრისტიანებულ ნეოპლატონიკოსზე“ (16). გაწერელია „შორს წასვლას“ ერიდება და კმაყოფილება მითითებით ჯერ არ არსებულ „მონოგრაფიაზე“, სადაც „ეს საკითხი დაწვრილებით იქნება განხილული“. შემდეგ ავტორი იმეორებს: „თუ ფსევდო-დიონისე გაქრისტიანებული ნეოპლატონიკოსია, ხოლო მისი ნაწერების ნამდვილი ავტორი პეტრეა, მაშინ ეს უკანასკნელი ჭაბუკობისას ნეოპლატონიკოსი იყო და მერმე გაქრისტიანდა? ეს ზღაპარია — როგორც პეტრეს, ისე ფსევდო-დიონისეს მიმართ! ამასთან — თუ პეტრე — დიონისე თავის ნაწერებში ღმერთის უარყოფამდე მივიდა, როგორც ხიდაშელი „ამტკიცებს“ — მაშინ პეტრე რატომ დარჩა ბერად, ან რატომ აავო ამდენი ეკლესია პალესტინასა და სირიაში ქრისტეს სადიდებლად?“ („რეპლიკების“ P. S. ხაზი ჩემია, შ. ხ.).

ციტირებული ადგილებთან დაკავშირებით, მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ეს მართლაც ზღაპარია, მაგრამ ზღაპარი, რომელსაც არაფერი აქვს ჩემთან საერთო და თავიდან ბოლომდე გაწერელისას მიერაა შეთხზული. რა არის მიზეზი გაწერელის შემთხვევლობითი მუშაობისა: სრული გაურკვეველობა იმ საკითხებში, რომლებსაც წარმოდგენილი მსჯელობანი ეხება, თუ შეგნებული ფალსიფიკაცია, და რატომ არ უთითებს გაწერელია ადგილს, სად ამოკითხა მან ხიდაშელის შეხედულებებზე დასაღებელი დებულებანი, — ამის გარკვევაში არ შეედივარ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ არც დებულება (რომელიც მეტადამაჯერებლობისათვის გაწერელისა წინწკლებში აუღია), თითქოს ფსევდო-დიონისე „გაქრისტიანებული ნეოპლატონიკოსი“ იყოს, და არც დებულება (მით უმეტეს მისი „ამტკიცება“), თითქოს „პეტრე-დიონისე თავის ნაწერებში ღმერთის უარყოფამდე მივიდა“ — მე არ მეკუთვნის. ერთი განმარტება იქნებ აქაც საჭირო იყოს: ფსევდო-დიონისე კი არაა „გაქრისტიანებული ნეოპლატონიკოსი“, მისი მოძღვრებაა ნეოპლატონიზმის ქრისტიანული გადამუშავება! არეოპაგეტიკული მოძღვრება („დიონისე-პეტრე“) კი არ მიდის ღმერთის არსებობის უარყოფამდე, აპოფატია მიდის ამ დასკვნამდე. ეს კი სულ სხვა ამბავია! აპოფატის დასკვნა არაა მოძღვრების საბოლოო დასკვნა. ის მხოლოდ საფუძველია ღმერთის წვდომის, არეოპაგეტიკის ავტორის მიხედვით, უფრო შესაფერი გზების ძიებისათვის, რაც, რა თქმა უნდა, შორსაა ღმერთის „უარყოფის“ აზრისაგან. არ ვიცი რას დაწერს გაწერელია „მონოგრაფიაში“, რომლითაც იმუქრება, მაგრამ თუ იქაც ამ „ღონეზე“ განხილული არეოპაგეტიკის საკითხები და ხიდაშელის შეხედულებანი — იქნებ („ვიინძლო“) მან ეს გაუგებრობანი ამთავითვე გამოასწოროს.

ასეთია, მოკლედ, „რეპლიკების“ შინაარსი და საფუძვლიანობა. მიაღწია თუ არა მათმა ავტორმა მიზანს ხიდაშელის მიმართ, — ამ საკითხს მკითხველი გადაწყვეტს. მხოლოდ ხიდაშელითაა „რეპლიკები“ შემოსაზღვრული, თუ უფრო შორსმიმავალი მიზნისაკენაა მიმართული, ამის გარკვევა ძნელია. ყოველშემთხვევაში, „რეპლიკების“ გამოქვეყნება იძლევა საბაბს, ერთი „შეგონების“



უფლება მიეცე თავს: პეტრე იბერთან დაკავშირებით დღეს, როდესაც მისი სახელის უკვდავოფის ამოცანა კონკრეტულად დადგა, ძალიან ბევრია გასაკეთებელი, და იქნებ უფრო მიზანშეწონილი ყოფილიყო ჩემი წერილის კორექტურული შეცდომების სკრუპოლუზური აღნუსხვის ნაცვლად, ავტორს დრო და ენერგია ამ მიმართულებით წარემართა.

ეს „მოკლე განმარტება...“ წარდგენილი იყო ამ სახით „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში 1972 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში. ბუნებრივი იყო მისი გამოქვეყნება იმავე ორგანოში, სადაც ა. გაწერელიას „რეკვიკები“ დაიბეჭდა. თითქმის სამი თვე გავიდა სტატიის წარდგენიდან, როდესაც რედაქტორის პირით მეცნო სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილება გაწერელიას მიერ აღძრული კამათის — „შეწყვეტის“ შესახებ. ეს პრაქტიკულად იმას ნიშნავდა, რომ სტატიის გამოქვეყნებაზე უარი მეთქვა. არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ სრულიად გაუგებარია საერთოდ „კამათის შეწყვეტა“ კრიტიკულ შენიშვნებზე პასუხის გამოქვეყნებამდე; არ ვიცი, თუ რატომ შეიქმნა გაწერელიასადმი ასეთი მიკერძოების ვითარება, მაგრამ ცხადია, რომ რედაქტორის მოქმედება მხოლოდ გაოცებასა და სინანულს იწვევს.

სხვათა შორის შეგნიშნავ, რომ რედაქტორის მიერ გამოყოფილი პირის რეცენზიაში „არა დამაჯერებლად“ იყო მიჩნეული ჩემი მსჯელობანი „გაზასთან“ დაკავშირებით და ამის საბუთად მოჰქონდა „ბაღდადის“ მაგალითი. ეს მაგალითი საბუთი არაა. როგორც მკითხველმა ნახა, ჩემ მიერ მოტანილი მაგალითები ბერძნულ კულტურულ წრეს და ამავე დროს წინაარბულ პერიოდს ეკუთვნიან. მათ შორის გაზაც. „ბაღდადი“ არაბული წარმომავლობის სიტყვაა და აქ „ღ“ არა მხოლოდ შესაძლებელი, აუცილებელია (არაბებს „გ“ საერთოდ არა აქვთ).

ბაქარისეული გამოცემის ქართული ბიბლიის ჩემ მიერ შემოწმებულნი რვა შემთხვევიდან ერთ შემთხვევაში გვხვდება „ღაზა“ და შვიდ შემთხვევაში — „გაზა“. „გაზა“ დასტურდება ბიბლიის ოშკის 978 წლის ხელნაწერით: 1 მეფეთა, 6, 17 (იხ. ხელნაწერი); ამოსი, 1, 6; 1, 7; ზაქარია, 9, 5 (იხ. ბლეიკის გამოცემა, *Patrologia Orientalis*, t. XXIX fasc. 2, Paris, 1961),

ხომ არ ფიქრობს გაწერელია, რომ ჩემთვის გამოწერილი შეგონება — „რუსულ კალკებს სტატიის ავტორი უნდა ერიდოს!“ — ინარჩუნებს ძალას ბიბლიის X ს-ის თარგმანისთვისაც?!

ვალვა ხიფაშელი

**რეცენზია ი. ვ. კაჩანოვსკის წიგნზე — «РАБОВЛАДЕНИЕ, ФЕОДАЛИЗМ ИЛИ АЗИАТСКИЙ СПОСОБ ПРОИЗВОДСТВА»?**

(Издательство «Наука», М., 1971 г.)

ძნელია მცირე ზომის რეცენზია დაწერო ი. ვ. კაჩანოვსკის წიგნზე, რომელიც ეხება ისეთ მნიშვნელოვან და სადისკუსიო პრობლემას, როგორცაა ძველი აღმოსავლეთის, კოლუმბამდელი ამერიკისა და კოლონიამდელი აფრიკის მოწინავე საზოგადოებათა ფორმაციული კუთვნილება. ჩვენთვის ეს მით უფრო ძნელდება, რომ ავტორისაგან სრულიად განსხვავებულ პოზიციებზე ვდგავართ: მიუხედავად ამისა, შევეცდებით. მოკლედ დავახსიათოთ აღნიშნული ნაშრომი.

წიგნის დასაწყისში ი. ვ. კაჩანოვსკი გადმოსცემს სხვადასხვა თვალსაზრისს ზემოდასახელებულ საზოგადოებათა არსზე. თუმცა მკვლევარები გამოდიან ერთი და იგივე ობიექტიდან, ერთი და იგივე ფაქტიური მასალიდან, მაგრამ მათ სხვადასხვაგვარად ახსიათებენ. ამის მიზეზი მხოლოდ ფაქტების უქმარობა კი არ არის, როგორც ეს ზოგიერთ ისტორიკოსს მიაჩნია. ფაქტები საკმაოა, ყოველ შემთხვევაში იმისათვის, რომ ზოგად ხაზებში აღვადგინოთ ამ საზოგადოებათა ისტორიული პროცესი, გავიაზროთ მათი განვითარების ლოგიკა. ვეთანხმებით ი. ვ. კაჩანოვსკის, როდესაც წერს: „Итак, главная причина дискуссий о характере обществ древнего и средневекового Востока, доколониальной Африки и доколумбовой Америки состоит в том, что „теория“ отстала от „эмпирии“, теоретический анализ, обобщение отстали от накопленного фактического материала“. (გვ. 14), მართლაც აღნიშნული პრობლემის გარშემო გამართულმა დისკუსიამ ნათლად გვიჩვენა ის გარემოება, თუ როგორ უჭირთ ისტორიკოსებს ფაქტოლოგიური კვლევიდან თეორიაზე გადასვლა და ისტორიული სინამდვილის გააზრება კატეგორიებით: წარმოების წესი, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, სოციალური რეკლუცია და ა. შ.; აგრეთვე — საზოგადოებებს შორის მსგავსება-განსხვავებულობის კრიტერიუმის გააზრება. აქ თავს იჩენს ისტორიკოსთა სპეციალიზაციაც ცალკეული ქვეყნებისა და პერიოდების გარკვეული პრობლემების მიხედვით, მაგრამ ჩვენ ვკრავითარ შემთხვევაში ვერ დავთანხმებით ავტორის მტკიცებას, რომ „Если сегодня нам еще кажется, что комплекс явлений докапиталистических обществ нельзя свести к единым законам, то дело, повидимому, просто в том, что этих законов мы еще не знаем“ (გვ. 16). როგორც ცნობილია, ისტორიული პროცესის ფუნდამენტური კანონები უკვე აღმოჩენილია. ახლა საქმე იმაშია, რომ მათი მოქმედება გავიაზროთ კონკრეტულ საზოგადოებათა მაგალითებზე. როგორია ი. კაჩანოვსკის პოზიცია აღნიშნულ საზოგადოებათა ფორმაციული კუთვნილების მიმართ? ავტორის მოსაზრებით, ისინი მონათმფლობელურნი იყვნენ. მის მიერ ამ თვალსაზრისის დასაცავად მოტანილი არგუმენტები ორიგინალური როდია, მისებურ დასაბუ-

თებაში გამოვრებულია ი. დიაკონოვის, ბ. პორშნევის, გ. ილინის, ნ. კონრადის, მ. კოროსტოვეცის, ვ. ნიკიფოროვისა და სხვათა დებულებები.

ავტორი ძალზე იოლად „უსწორდება“ წარმოების აზიური წესის კონცეფციის მომხრეებს და იმეორებს ვ. ნიკიფოროვის მტკიცებას, რომ მარქსმა და ენგელსმა წამოაყენეს ჰიპოთეზა ძველაზიური წარმოების წესის შესახებ განსხვავებით მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმისაგან; ე. ი. წარმოების აზიური წესი მათ მიერ გაიზარებოდა როგორც კაცობრიობის ევოლუციაში პირველი. ლ. მორგანის „ძველი საზოგადოების“ გამოვლენის შემდეგ კი (1877) მარქსმა და ენგელსმა თითქმის მიატოვეს ჰიპოთეზა აზიური ანუ აღმოსავლური წარმოების წესის შესახებ და თითქმის აზიის ისტორია გამოხატეს ისეთივე ფაზებით, როგორც დასავლეთ ევროპისა: პირველყოფილი კომუნისმი, მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი. ასეთივე თვალსაზრისზე, ი. კაჩანოვსკის მიხედვით, იდგა ვ. ი. ლენინიც, რომლისთვისაც თითქმის მიუღებელი იყო წარმოების აზიური წესის კონცეფცია. დასიმის კითხვა: წარმოების აზიური წესის კონცეფციის მრავალრიცხოვან მომხრეთა ცდები თუა მოკლებული სერიოზულ საფუძველს? საკმარისია გავეცნოთ კ. მარქსის ჩანაწერებს მ. მ. კოვალევსკის წიგნზე — „თემური მიწათმფლობელობა...“ (1879 წ.), მარქსის ვ. ზასულიჩისადმი წერილის მონახაზებს (1881), ფრ. ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობას“ (1884), ვ. ი. ლენინის გამონათქვამს მოცემულ საკითხზე, — რომ ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ძლიერ დავეჭვდეთ ვ. ნიკიფოროვისა და ი. კაჩანოვსკის ასეთი სწორხაზოვანი მტკიცების მართებულებაში.

აღნიშნული პრობლემის შესახებ მარქსიზმის ფუძემდებელთა მემკვიდრეობა საფუძვლიანად არის შესწავლილი და მიღებულია სხვაანაირი დასკვნები (იხ. ნ. ბ. ტერ-აკოპიანის, მ. ა. ვიტკინის, ლ. ს. ვამაიუნოვის, გ. ბალათურისა — შრომები); ასე, რომ ჩვენ ვერაფერს დავუმატებთ ახალს ვ. ნიკიფოროვისა და ავტორის შეხედულების საწინააღმდეგოდ. შეეჩერდებით მხოლოდ ფრ. ენგელსის „ოჯახის... წარმოშობაზე“. გვაროვნული წყობილების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის სურათი, რომელიც ვადმოცემულია ამ წიგნში, თვით ენგელსს არ მიაჩნდა უნივერსალურად, რადგან ბერძნებთანაც რომაელებთანაც, სპარტელებთანაც და გერმანელებთანაც კი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ნაშრომში ვადმოცემულია სხვადასხვანაირად, შესაბამისად იმ ეკონომიური და ისტორიული პირობებისა, რომლებშიც ეს პროცესები მიმდინარეობდა. მონათმფლობელობის განვითარებას კლასიკური ფორმით, ე. ი. მონობის გახდომას წარმოების წესად, ფრ. ენგელსი უკავშირებდა ცივილიზაციას და ამ ტერმინში გულისხმობდა სასაქონლო წარმოების მაღალ დონეს; სასოფლო თემების დაშლას, მიწის ყიდვა-გაყიდვის ფართოდ გავრცელებას, სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის მაღალ განვითარებას. ი. კაჩანოვსკისა და სხვათა ცდა, რომ ასეთივე მოვლენები მოიძებნოს ძველი აღმოსავლეთის სინამდვილეში და მათ დაუკავშირონ მონობის მაღალი განვითარება — ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. უნდა მივატოვოთ წარმოდგენა, რომ გვაროვნული წყობილების დაშლა და კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნა ძვ. წ. IV—I ათასწლეულებში ერთნაირად ხდებოდა, თითქმის ბერძნულ-რომაული ისტორიული გზა ამ პროცესების განვითარებაში ტიპიურ მოდელს იძლევა. სინამდვილეში ღროის ამ უზარმაზარ მონაკვეთში მსოფლიო ცივილიზაციის დონე ერთ ადგილზე როდი იყო. ხალხები, რომლებიც პირველყოფილი ფაზიდან განვითარებულ საფეხურზე გადადიოდნენ, იწყებდნენ მატერიალური წარმოების სხვადასხვა დონით.



მათ უხდებოდათ სხვადასხვაგვარ გეოგრაფიულ პირობებში ცხოვრება, ამიტომ არა მარტო კლასობრივი საზოგადოების განვითარების ტემპი, არამედ — მისი ხასიათიც, ძალიან განსხვავდებოდა.

კარგი იქნებოდა ი. კაჩანოვსკის ყურადღება მიექცია ფრ. ენგელსის აღნიშნული ნაშრომიდან სამი ადგილისათვის: ერთგან წერია, რომ მონობა — ექსპლოატაციის პირველი ფორმაა, ანტიკური სამყაროსათვის დამახასიათებელი (იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწ. ტ. II, გვ. 175), ხოლო მეორეგან ნათქვამია, რომ ცივილიზაციის ასაკი მოითვლის 2500 წელს (გვ. 99) და არა 6000 წელს, როგორც ეს ახლა საყოველთაოდაა აღიარებული. მესამეგან კი კვლავ დაპირისპირებულია ანტიკური და აღმოსავლური მონობა (გვ. 374). ამის შემდეგ ვფიქრობთ, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ფრ. ენგელსმა მიატოვა თვალსაზრისი წარმოების აზიური წესის შესახებ.

ვ. სტრუვეს, ვ. ავდიევისა და სხვათაგან განსხვავებით, რომლებიც აღმოსავლეთში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის აღიარებისას ტერმინებში: მონა, მონობა — იმავე შინაარსს გულისხმობენ, რასაც — ამ ტერმინების ხმარებისას ანტიკური საზოგადოების მიმართ, ი. კაჩანოვსკი ზოგიერთი მკვლევარის (ი. დიაკონოვი, მ. კოროსტოვეცი, გ. ილინი) მსგავსად მონობას განმარტავს ძალიან ფართოდ. ი. ი. სემიონოვს კრიტიკისას იგი წერს: „Наличие семьи, какого-то имущества и минимума прав — подобные признаки не дают оснований решить вопрос о том, была ли данная группа производителей рабами или нет. Если рассмотреть всю систему производственных отношений, то эти признаки второстепенные, несущественные. Семенов, по-видимому, остается в плену конкретных представлений о положении основной массы рабов в Греции и Риме“ (გვ. 20, იხ. აგრეთვე 22, 211), ჩვენ კი გვგონია, რომ თვით ი. კაჩანოვსკი და მისი თანამოაზრეები ცდებიან, როდესაც ძალიან ფართო შინაარსს სდებენ ტერმინებში მონა, მონობა. ანალოგიური აზროვნებითი ოპერაციით „მონობას“ და „მონათმფლობელობას“ მიუყენებთ ექსპლოატაციის ყველანაირ ფორმას, მთელ კლასობრივ საზოგადოებას.

როგორც გ. ილინი, ი. კაჩანოვსკიც ფიქრობს, რომ საზოგადოება შეიძლება ჩავთვალოთ მონათმფლობელურად მასში მონობის (ანტიკური აზრით) უმნიშვნელო გავრცელების შემთხვევაშიც კი. ამ დებულების დასამტკიცებლად წიგნში მოტანილია XVII და XVIII საუკუნეების ინგლისისა და საფრანგეთის მაგალითები, როცა პროლეტარიატი უმცირესობას შეადგენდა გლეხობასთან, ხელოსნებთან და ვაჭრებთან შედარებით. ეს ფაქტია, მაგრამ ამ საზოგადოებათა ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენცია ეფუძნებოდა დაქირავებულ შრომას და, რაც მთავარია, სახელმწიფოს ფორმა, სამართალი, მორალი, საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმები, კლასთა ბრძოლა და სხვ. ვითარდებოდნენ კაპიტალისტურ ურთიერთობათა ბაზაზე და არა დამოუკიდებელ წვრილ მწარმოებელთა შრომის საფუძველზე. ამის მსგავსის თქმა ძველაზიური, კოლონიამდელი აფრიკის და კოლუმბამდელი ამერიკის საზოგადოებების მიმართ შეუძლებელია: ამ საზოგადოებათა ეკონომიკური ურთიერთობანი და ზედნაშენი ემყარებოდნენ წვრილ მწარმოებელთა შრომას, მონობა კი, ამ სიტუაციის ზუსტი მნიშვნელობით, არ წარმოადგენდა რამდენადმე თვალსაჩინო ელემენტს.

ავტორი მწვავედ ეკამათება წარმოების აზიური წესის თვალსაზრისის მომხრეებს ცნების „წარმოების აზიური წესი“ — შინაარსის გამო. წიგნის მე-4 და მე-5 თავებში ი. კაჩანოვსკი ცდილობს აჩვენოს მათი ბუნდოვანი წარმოდგენა საწარმოო ძალების დონეზე, რომელიც განაპირობებდა წარმოების აღნიშნულ წესს. ავტორი იხილავს, თუ რას გულისხმობენ ისინი ექსპლოატაციის არსებულ ფორმაში, სოციალურ სტრუქტურაში და სახელმწიფოს არსში, მან ერთმანეთს შეადარა სასოფლო თემები აღმოსავლეთში და დასავლეთში. ამის შემდეგ იგი მიდის დასკვნამდე, რომ წარმოების აზიური წესის თვალსაზრისი ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივი და უშინაარსო. აღნიშნული მიმართებითაც, ვფიქრობთ, ავტორის კრიტიკა უსაფუძვლოა. ისტორიული მატერიალიზმის ფუძემდებელთა მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, აგრეთვე — ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული კონცეფციის მომხრეები მიუთითებენ ამ საზოგადოების დამახასიათებელ ნიშნებს. უშუალო მწარმოებლების ხელში წარმოების საშუალებათა ყოფნა, მსხვილ მიწათმფლობელთა კლასის არარსებობა, რენტისა და გადასახადის თანხედნა, გაბატონებული კლასის შეზრდა სახელმწიფო აპარატთან და ა. შ. რასაკვირველია, ბევრს საზოგადოება ასეთი ნიშნებით გაუგებრობად მიიჩნია, მაგრამ ეს საკვებით გასაგებია: აზიური საზოგადოებას ხედავდნენ, და ნაწილი ახლაც ხედავს, მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის პოზიციებიდან, ე. ი. კლასობრივი საზოგადოების გვიანი საფეხურებიდან, მაგრამ აზიურ საზოგადოებას უნდა შეეხედოთ სხვა კრილში, სახელდობრ — არქაული კომუნისმის დაშლის მხრივ, რაც აქ ხდებოდა, — ვიმეორებთ, — სხვაგვარ ისტორიულ და გეოგრაფიულ პირობებში. ძველადმოსავლურ ქვეყნებში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის სხვანაირი გზა გაიპარა ფრ. ენგელსმა (იხ. „ანტი-დიუბინგი“).

ი. კაჩანოვსკი სულაც არ აქარბებს, როცა წერს: „В работах сторонников указанной концепции (т. е. — азиатской — Г. К.) вопрос об уровне развития производительных сил, которому соответствовал азиатский способ производства, практически не ставится. Если они пишут о производительных силах, то крайне редко и мало, в самой общей форме“. (გვ. 111). მაგრამ ეს საყვედური ითქმის ავტორის მომხრეთა მიმართაც. არც თვითონ ავტორს აქვს რამდენადმე მკაფით წარმოდგენა ძველი აღმოსავლეთის საწარმოო ძალებზე, რომლებზედაც მისი აზრით დაფუძნებული იყო სპეციფიკური ფორმის მონათმფლობელური საზოგადოება. ავტორი იფარგლება მოსაზრებით, რომ „Используя всю совокупность имеющихся фактических данных, подвергнув их всестороннему анализу, в частности обработав с помощью современных математических методов (сотрудничество историков, экономистов в этой области было бы очень плодотворным), наша историческая наука, надо надеяться, сможет получить важнейшие сопоставимые величины, характеризующие производительность труда в древних и средневековых обществах (გვ. 27, იხ. აგრეთვე გვ. 97). ამ საკითხის გარკვევას ი. კაჩანოვსკი უკავშირებს ისეთი დიდი პრობლემების გადაწყვეტას, როგორცაა აზიაში ევროპელების მოსვლამდე ერთი თუ რამდენიმე წარმოების წესის არსებობა, ძველ აზიაში არსებული წარმოების წესი (გვ. 88). ვფიქრობთ, რომ საკითხისადმი ასეთი მოსაზრებით მიდგომა ძალიან ამარტივებს პრობლემას. საქმე, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო რთულია.

საერთოდ, სარეცენზიო წიგნის ავტორი კმაყოფილდება წარმოების აზიურ-რი წესის თვალსაზრისის მომხრეთა კრიტიკით, რაშიც ვიმეორებთ, მისდევს სხვა ავტორებს; ძალიან ცოტა ახალს და მით უფრო ნაკლებ პოზიტიურს იძლევა იგი ძველი აზიის ისტორიული პროცესის გასაგებად. აღნიშნულ პრობლემათა დამუშავებაში თავის წვლილად ი. კაჩანოვსკი მიიჩნევს მონობისა და ფეოდალიზმის ცნებების განსაზღვრას (თავი XII, გვ. 210—242). მონობა თითქოს განპირობებული იყო საწარმოო ძალების განვითარების ისეთი დაბალი დონით, როცა შრომის ნაყოფიერება პირველყოფილ კომუნისტურ საზოგადოებასთან შედარებით, თუმცა გაიზარდა, მაგრამ იმდენად არა, რომ მოეცა მნიშვნელოვანი ზედმეტი პროდუქტი. ამის გამო ხდებოდა უშუალო მწარმოებლებისათვის აუცილებელი პროდუქტის ნაწილის მითვისებაც კი; ე. ი. განვითარდა მონობა. როცა აიწია შრომის ნაყოფიერებამ, მოხდა ექსპლოატაციის ბატონყმურ ფორმაზე გადასვლა.

ასეთი თვალსაზრისი ძალზე მცდარია. მონობის გაჩენა, როგორც ცნობილია, უკავშირდება მწარმოებლური ეკონომიკის — მესაქონლეობასა და მიწათმოქმედების წარმოშობას. ანტიკურ სამყაროში პირველყოფილი საზოგადოების დაშლის შემდეგ, ტექნიკის, მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის შედარებით მაღალი დონის დროსაც კი წარმოების საფუძველს შეადგენენ უშუალოდ ბერძენი და იტალიელი წვრილი მწარმოებლები. მხოლოდ საწარმოო ძალების განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე მოხდა მონობის კლასიკური ფორმით განვითარება. (ამის შესახებ იხ. ჩვენი სტატია „О причинах неразвитости рабства на Древнем Востоке“. Вопросы истории, 1969, № 9. სხვათა შორის, ჩვენ აქ ვაკრიტიკებდით ი. კაჩანოვსკის მიერ მონობისა და ფეოდალიზმის წარმოშობის უაღრესად მცდარ გაგებას). ამათა მცდელობა ანალოგიური სიტუაცია დავინახოთ ძველ აზიაში, კოლონიამდელ აფრიკასა და კოლუმბამდელ ამერიკაში. თვალში საცემია ავტორის მიერ ისტორიულ შედარებითი მეთოდის მცდარი მიმართულებით გამოყენება. ზედმეტია იმაზე დაწვრილებით ლაპარაკი, რომ აღნიშნული მეთოდით ოპერირება გარკვეულ ფარგლებში ძალიან გვეხმარება კონკრეტულ საზოგადოებათა გაგებაში. ამ აზრით ისტორიოგრაფთა ძალიან ჩამორჩა სხვა მეცნიერებებს (ენათმეცნიერება, სამართლისმცოდნეობა, ფსიქოლოგია და სხვ.). მაგრამ არის საზღვრები აღნიშნული მეთოდის გამოყენებისა: ამ საზღვრებს იქით იგი მოვლენების გაღრმავებული კვლევის საშუალების ნაცვლად ცდომილების საშუალებად იქცევა. მაგალითად, რომ ვერ დავინახოთ ძირეული განსხვავება აზიურ დესპოტიზმსა და რომის იმპერიას შორის, მათსა და აბსოლუტურ მონარქიას შორის (გვ. 263, 193—200), რომლებიც ემყარებოდნენ სხვადასხვანაირ ბაზისს, ამით მხოლოდ მცდარ გზაზე მივდივართ. წიგნში კი ასეთი მაგალითები მრავალადაა (გვ. 125—132, 140, 142, 260 და ა. შ.).

XIV თავში (გვ. 245—264) ლაპარაკია კაცობრიობის ერთიანი განვითარების გზაზე. ავტორი მიუთითებს, რომ წარმოების აზიური წესის კონცეფცია და აზიის სინამდვილისათვის განვითარების ხუთწეობრიანი სქემის მიუღებლობა — ეს ისტორიის ზოგადი კანონზომიერებების უარყოფაა. ეს შესიტყვება უბრალო გაუგებრობაზე დამყარებულად გვეჩვენება. უსარგებლოა ისტორიის იმ ზოგად კანონზომიერებათა უარყოფა, რაც აღმოაჩინეს მარქსმა და ენგელსმა (საზოგადოებრივი ყოფიერების მიერ — საზოგადოებრივი ცნობიერების, ბაზისის მიერ ზედნაშენის, საწარმოო ძალების მიერ — წარმოებითი ურთიერთობების,



